

644
1969/4



Ինչպե՞ս

9

1969



თვანეს თუმანიანი

სსსს

148

გამომცემის მისამართი

11281

9

საქართველო

1969


თბილისი



საბჭოთავი გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საბჭოთავი გამომცემლობის კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო





შინაქარსი

1869-1969

- 3. **ოვანეს თუმანიანი.** ლექსები. თარგმნეს გივი შანაზარმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გრიგოლ ცეცხლაძემ
 - 7. **გონდო არველაძე.** პარტიული ხალხის მებრძოარი **კოეზია და კროზა**
 - 12. **კონსტანტინე ლორთქიფანიძე.** ძველი რვეულიდან. ლექსი
 - 13. **პარლო კოვაჩიძე.** თეთრი თიკანი. მოთხრობა
 - 22. **მეფა ახიძე.** ლექსები
 - 24. **გურამ დოგანაშვილი.** მხიარული გორცვი. მოთხრობა
 - 43. **ბელა შალვაშვილი.** ლექსები
 - 44. **ვიტორი ავალიანი.** ერთი ხალთა მარილი. შავები. მოთხრობები
 - 49. **ვანო ჩხიკვაძე.** ლექსები
 - 51. **ვლადიმერ სინარულიძე.** მათე მოწმი. მოთხრობა
 - 82. **გორის ანდრონიკაშვილი.** ვაბუკიძე. მოთხრობა
- სიყვარული გზად და ხიდად**
- 89. **დმიტრო პავლიჩკო.** ვიტალი კოროტიჩი, ივან დრაჩი, მიკოლა ვინგრანოვიჩი, გორის ოლენიკი. ლექსები თარგმნეს მურმან ჭგუბურიამ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ოთარ ჭილაძემ, გივი ძნელაძემ. ნია აბესაძემ, გივი გეგეჭკორმა, შოთა ნიშნიანიძემ, ეშვარ კვიციანიშვილმა.
 - 101. **სვეტლანა შოლოგი.** რამდენიმე სიტყვა. უკრაინული სასულაზრდული კოეზიის შესახებ
 - 103. **ვასილ სტაფანიკი.** ნოველები. მხიარული კოციკებისკი. მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები. ნაწყვეტი რომანიდან. უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა
 - 109. **ბ. ზალაუკო.** ივან კოტლიაროვიჩი **კოეზიის მერიდიანები**
 - 112. **პარლ სენდგორგი, ვერა პაუნდი.** ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა ზვიად გამახაზურდიამ
 - 116. **ძველი ეპიკოსური მითები.** თარგმნა გივი მაღულარიამ
- წერილები**
- 125. **ჯუანუარ ვათეიშვილი.** გრიგოლოვი და პირველი რუსული გავითი კავკასიისზე
 - 136. **დალი კოპაია-ფანჯიკიძე.** ისევ თარგმნის ხელოვნებაზე
- ს კ ო რ ტ ი**
- 144. **3. მიხაილოვი, ბ. იუხინი.** მემინგუნი და სკოტი თარგმნა ზურაბ ლეშაშელმა
 - 153. **„ცისკრის“ ინტერვიუ საფრთხე კავშირის სახალხო არტისტ სერგო ზაქარიაძესთან**
- იუმორი**
- 156. **სადი რუღიანუ.** იმედის ნაპერწკალი. თარგმნა შოთა ამირანაშვილმა
 - 158. **ეკველი მხრიდან**

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

ხარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
პაპი ბაძრაძე,
ია გამრეკელი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდუთელი,
მირაზ ელიოზიშვილი,
პარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტინა პაპიკოია
(პახუხისმგებელი მდივანი),
ტარიელ ვანტურიბა,
სერგი ვილანი,
თამაზ ვილვაძე,
ლავა ჯანაშვია.

ნ. ბარათაშვილის საფლავთან¹

პოი, მგლოვიარე საქართველოვ, ნუგეში შენდა!
ვაჟკაცის სახე რად მიეცი ავბედით სევდას;
პოეტის ფერფლი თვალებს ცრემლით ისევ გისველებს?!
ძველი ტკივილი განგიახლა?! შეგძრა ისევე?!
თუ მისი ღრმა და ასე ბნელი სამარის კარი
შენი თბოლი სულისათვის საშიში არის.

ფერფლს მარხავ, დიახ, ფერფლს და არა თავად მგოსანსა!
ვინც უკვდავების შარავანდით ასე გმოსავდა —
არ იმარხება, არა კვდება, არ იბინდება,
აწ და მარადის უკვდავია მისი დიდება,
აწ და მარადის ის იქნება შენი მკურნალი,
რომ მკერდს ჭრილობა მოგიშუშოს ჟერაც მხურვალი.

და შენც მგოსანო, დაღადებავ ერის ბაგეთა,
ტანჯული გული სიდუსჭირის ბნელში დაგენთქა,
მოსვედ მშვიდობით სამარიდან სამარემდისა:
სასუფეველი დაგიმკვიდროს სამარადისო!..

ბრძელი ღამეები

უწყალოდ მტანჯავს უძილო ღამე
და სასომიხდილს მკლავს დარდი მწველი,
ფიქრით სულს როგორ ვუშველო რამე, —
ღამეა ბნელი, ღამეა გრძელი.

ეპ, იყო ჟამი... ჯერ კიდევ გუშინ
დედა მეგონა ქვეყანა მთელი...
გულის ძახილი არ იყო ფუჭი
და არცა ღამე — ასეთი გრძელი.

წარვიდა, განქრა ტრფობაც, ოცნებაც —
ძალი და ფერი... რაც მქონდა წრფელი,
ძნელ საზრუნავმა, შავ ღღემ მომძებნა
და ღამეები მიმრავლა გრძელი. *

უძილო ღამის ტანჯვამ იმატა,
სასომიხდილი, დადლილი ველი,
ველი და ველი, ვეღარ ინათა!
... ღამეა ბნელი, ღამეა გრძელი.

1897.

ეს ლექსი ოვანეს თუშანიანმა ნ. ბარათაშვილის ნეშტის დიდუ-
ბის ეკლესიის ვალაფანში დაკრძალვის დღეს წარმოთქვა, 1893
წლის 25 აპრილს.

ცა იყო ბნელი; ვერავინ ნახა,
რას ჰქმნიდა ბნელში ბუნების ძალი;
მხოლოდღა, როცა გადმოდგა მალღა
ცისკარი, მინდვრად ბრწყინავდა ცვარი.

სდუმდა პოეტი, ვერ მიხვდა მაშინ
ვერვინ, რა ჭმუნვა უკრთობდა სახეს;
მხოლოდღა სტრიქონთ მთრთოლვარე ხმაში
სათუთი გულის ცრემლები ნახეს...

1892 წ.

სომხურიდან თარგმნა გივი შანაზარმა

გამოჩენილი მწერლის, ოვანეს თუმანიანის ეგრეთწოდებულ
„ერთსტროფიანი“ ლექსები — ქარიაკები — განსაკუთრებით ცნო-
ბილი და პოპულარულია სომხეთში.
გამომცემლობა „პაიასტანმა“ საიუბილეოდ გამოსცა, ოვანეს
თუმანიანის „ერთსტროფიანი“ ლექსთა კრებული.
გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს.

ჩემო დღეებო, თქვენ შორს გაფრინდით,
თქვენ შორეთიდან აღმოცენდით და შორს გაფრინდით,
ისევ წამართვით რაც მომეცით და შორს გაფრინდით,
გული და სული დამიფლითეთ და შორს გაფრინდით.

1890 წ.

შენ წახვედი და აღარ დაბრუნდი,
წახვედი, გაქრი, დაიკარგე, აღარ დაბრუნდი.
ამქვეყნად, ძმაო, ვინ გააძღებს მიწას და სიკვდილს,
შენც თურმე მათი ტყვე გახდი და აღარ დაბრუნდი.

1916 წ. ივნისი.

მე სამუდამოდ მიმატოვეთ, ისე წახვედით,
ზურგი აქციეთ მამულის მთებს, ისე წახვედით.
გიხმობდით ყველას ტირილით და ხმა არ გამეცით,
ხმაც არ გამეცით, მეგობრებო, ისე წახვედით.

1916 წ. ივნისი.



ვაი, რამდენი ნადევლია ჩემს დაღლილ გულში,
რამდენი მყავდით, მეგობრებო, ჩემს დაღლილ გულში,
ყველა მიდის და ალბათ მალე ჩემი დღეც მოვა,
სიკვდილის შიში შეპარულა ჩემს დაღლილ გულში.

1917. ნოემბერი.

დაბრუნდით ჩემთან, ადიდებულ მდინარესავით,
დაბრუნდით ჩემთან
სიყვარულის წასულო დროო,
ძველო სიმღერავ და სიმშვიდევე, დაბრუნდით ჩემთან.

1917. 11 ნოემბერი.

მტერიც, მოყვარეც, ყველა მე მწვავდა,
მეც ვიწოდი და ბნელს ვანათებდი,
ადამიანო, მანამ ვეცადე,
სანამ არ ჩავეჭრი, როგორც სანთელი.

1917. 24 დეკემბერი.

სიცოცხლე ჩემი იყო სიზმარი თუ ცხადი იყო, არც გამიგია,
ისე გაფრინდა.
დღე დღეს მისდევდა, მეც დღეს მივდევდი, ვერ დავეწიე,
ისე გაფრინდა.
იგი, რაზედაც ვოცნებობდი, არ ამისრულდა,
ისე გაფრინდა.
ვითომ ნიძლავეში წამიგია მთელი სიცოცხლე,
ისე გაფრინდა.

1919. 6 დეკემბერი.

ვით შემედლო, ვმსახურებდი ამ ჩემს ხალხსა,
სამსახურით დავიღალე.
მე ვკურნავდი ადამიანს დარდისაგან
და დარდისგან დავიღალე.
სხვა ვერ ვნახე, ვინც მეგობარს გული მისცა,
ვერ ვნახე და დავიღალე,
მე ჩემნაირ კაცს ვეძებდი
და ძებნაში დავიღალე.

1921. 7 თებერვალი.

თარგმან ჯანსუღ ჩარაჰიანას

ბულბულის სევდა



უცხო ფრინველმა შეასწრო თვალი,
ბულბული ცრემლებს ღვრიდა საწყალი.
ჰკითხა: „ბულბულო, რა გჭირს მითხარი?
რატომ ჩამოგდის ცრემლები ცხარი?
რატომ ცახცახებ ნეტავი ასე?
რად ჰგალობ მხოლოდ სევდიან ხმაზე?
მთელი ქვეყანა შენ გიძღვნის ქებას,
შენი ტკბილი ხმით ყველა გრძნობს შვებას,
და შენ კი თითქოს გამოიცვალე —
სისხლის ცრემლები გისველებს თვალებს“

ბულბული უცხო ჩიტს უპასუხებს:
„განა ვერ ხედე, მე რა მაწუხებს? —
ხედავ დაჰფაჩა თოვლმა მთლად არე,
გაყინულია მკვირცხლი მდინარე,
მთლად გაძარცვულან ხენი არყების,
არც ჟრიამული ისმის ბარტყების,
ადარც ყვავილებს აქვთ აღრინდელი,
არც სილამაზე და არც სურნელი;
როგორ არ ვღვარო მე ცრემლი ცხელი?“

მას უპასუხებს უცხო ფრინველი:
„ნაზო ბულბულო, დამიგდე ყური,
ცრემლებს ნუ იდენ ასე წურწურით;
კვლავ გაზაფხული მოვა ნარნარი,
კვლავ აყვავდება შენი ბაღნარი,
თოვლი გადნება, გადაიდარებს;
შენი სამშობლო კვლავ გაიხარებს;
ყინულს გასტეხენ მდინარეები,
ამწვანდებიან ისევ ტყეები,
ვარდის სურნელი ისევ დაგატკბობს,
შენი ნაზი ხმაც ყველას დაათრობს!“

თარგმანა ზრიგოლ ცაცხლაძემ



ბონლო არკელაქე

ქართული ხალხის ეპოპეაი

ოვანეს თუმანიანი დიდი მამული-შვილი იყო, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს ქართველი ხალხის, ქართული კულტურის მოყვარული და უანგარო პატივისმცემელი ყოფილიყო. იგი შესანიშნავად ათავსებდა საქართველოს სიყვარულს თავის სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულთან. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო თუმანიანის შემოქმედებისა და პოეტური შთაგონების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იყო ქცეული. ქართველი ხალხის პოეტურ ბუნებას და მის მდიდარ პოეზიას გულისხმობდა ოვ. თუმანიანი, როცა წერდა: „ქართველის წრფელი ბუნება, სულის პატიოსნება, ბუნებრივი სიწმინდე, თავისუფლების და სილამაზის სიყვარული, ეს ყველაფერი სიცოცხლის წყურვილით და ნაზი სევდით დაფერილი, საფუძველია იმისა, რომ ქართულ პოეზიას დიდი მომავალი აქვს. ეს თვისებები საოცარი რელიეფურობით ჩანს შოთა რუსთაველში, რომელიც მთელი თავისი არსებით ქართველია“.

შოთა რუსთაველის შემოქმედება განსაკუთრებულ ინტერესს და პატივისცემას იწვევდა სომეხ პოეტში. მას მუდამ აღეგებდა ვეფხისტყაოსანი და მის თარგმანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მას განზრახული ჰქონია შეესრულებინა ამ უკვდავი ქმნილების

სრული სომხური თარგმანი. „ვეფხისტყაოსნის თარგმნა დიდი საქმეა; კარგი თარგმანი ამ შედეგს გზას გაუხსნის, დიდ ქვეყანაზე გაიტანს. მაგრამ თარგმანი შემთხვევით ხასიათს როდით უნდა ატარებდეს. ეს საქმე იმ სიმალღეზე უნდა ავიდეს, რომ თარგმნის საშუალებით მგზობელი ერები გაეცნონ ერთიმეორის კულტურულ სიმდიდრეს, მწერლობას... ერთი დიდი საქმე განვიზრახე — ვეფხისტყაოსნის მთლიანად თარგმნა, ეს ჩემი დიდი სურვილია“ — უთქვამს ოვ. თუმანიანს ერთ ქართველ პოეტთან საუბარში. სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრის შესრულება პოეტმა ვერ მოასწრო.

ოვ. თუმანიანი ქართული მწერლობის ყოველ ახალ მოვლენას ცხოველი ინტერესით ადევნებს თვალყურს და აქტიურად ეხმარება კიდევ მათ. 1893 წლის 25 აპრილი იყო. ქართველი ხალხი დამწუხრებული იდგა განჯიდან ჩამოსვენებული ნ. ბარათაშვილის ნეშტის წინაშე. სამგლოვიარო სიტყვა წარმოთქმევს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა. ნ. ბარათაშვილის პოეტური გენიით მოხიბლული 24 წლის ოვ. თუმანიანი პირველად წარსდგა ქართველი საზოგადოების წინაშე. მან ათრთოლებული ხმით წაიკითხა ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი:

პოი, საქართველოვ მგლოვიარევ,
ნუგეში შენდა!
ვაეკაცის სახე რად მიეცი ავბელით
სევდას;
პოეტის ფერფლი თვალებს ცრემლით
ისევ გისველებს?..

ოვ. თუმანიანის ხალსმა პოეტურ-
მა გულმა იგრძნო ბარათაშვილის პი-
როვნული ტრაგედია და ქართველ პო-
ეტში იმთავითვე შეიცნო მხატვრული
აზრის გენოსი.

ოვ. თუმანიანი თავისი პოეტური
თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის
მანძილზე საქართველოსთან მეგობრუ-
ლი ურთიერთობის თავგამოდებული
დამცველი იყო. მან, როგორც დიდმა
მამულიშვილმა, თავის ერს ანდერძად
დაუტოვა.

«Тот армянский деятель, который не ста-
вовился на защиту Грузии, — не понимал
своего народа и своей истории».

ეს შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე
თვითონ აძლევდა თანამემამულეებს
ქართული მწერლობისადმი პატივის-
ცემისა და ქართველ თანამოქალაქეებ-
თან სამავალითო მეგობრობის ნიმუშს.

1915 წელს ვაჟა ფშაველას ავადმყო-
ფობა ელვასავით მოედო საქართვე-
ლოს. ოვ. თუმანიანმაც ერთ-ერთმა
პირველმა რამდენჯერმე მოინახულა
ქართველი პოეტი. ისინი დამეგობრდ-
ნენ კიდევ. ვაჟა ფშაველას გარდაცვა-
ლებით დამწუხრებული ოვანესი სო-
მეხი ერის სახელით ეჩმიაძინიდან გზა-
ვნის დეპეშას — „ამ ტრაგიკულ დროს
მშრომელმა ხალხმა ღრმად იგრძნო
დიდი ადამიანის, უნიჭიერესი და უბა-
დლო პოეტის ვაჟა ფშაველას გარდა-
ცვალება. გულწრფელ სამძიპარს მო-
ვახსენებთ ქართველ ხალხს“. ოვ. თუ-
მანიანის მიერ ქართველი მწერლები-
სადმი გულწრფელი პატივისცემის სა-
ბუთად გამოდგებოდა აგრეთვე, მისი
წერილები დ. კლდიაშვილის, იაკ. ნი-
კოლაძის, ილ. ნაკაშიძისა და სხვა ქარ-
თველი მოღვაწეებისადმი.

ქართული პოეზიის დღისადმი მი-
ძღვნილ წერილში, რომელიც 1920

წლის 7 მაისს გამოქვეყნდა, ოვ. თუ-
მანიანმა მიულოცა ქართველ ხალხს
დღესასწაული და საგანგებოდ აღნიშნა,
რომ საქართველომ უმსაქმესი და
მსახურა ამ ეროვნული გენიის ზემი,
რადგანაც ქართველები ნატიფი სილა-
მანის და ღირიული განცდის ხალ-
ხიან. „ჩემთვის ცნობილ ხალხთა შო-
რის არც ერთში არ შემინიშნავს ის,
რაც ქართველებს ახასიათებს... ისი-
ნი ქალიშვილებს ახლაც მზითვად აყო-
ლებენ რუსთაველის პოემას“.

ოვ. თუმანიანი გულახდილად აცხა-
დებდა: ქართველი კაცი პოეტი, მაგრამ
ქართველი პოეტი — ორჯერ პოე-
ტიან.

1919 წელს ოვ. თუმანიანმა ტ. ტა-
ბიძის საღამოზე წაიკითხა ლექსი „სა-
ქართველოს პოეტებს“. სომეხი პოეტი
სალამს უძღვნის კოლეგებს და თავის
გულწრფელ მეგობრობას სთავაზობს:

თანამომქმნო, საღამი თქვენდა!
პოეზიაში წვა გერგით ბედად,
და არარატმა — როგორც ლეგენდა —
გული გაიპო თქვენ შესახვედრად.
შემოღამების მიმქრალი შუქი
დე, შეუერთდეს ჯანსაღ განთიადს,
აინთოს ძმათა ორი პატრუქი,
გზა გაუნთოს სიხარულს დიადს.

პოეტს ჩვენი ხალხების ურთიერთ-
დაახლოების და მეგობრობის ერთ-
ერთ გზად მხატვრული სიტყვა მიაჩნ-
და. იგი ამ საქმეში პოეზიას უდიდეს
როლს ანიჭებდა.

დე, ჩვენი ლექსის ნაზ ცისარტყელამ
მოსპოს ვერავთა სისინი მტრული,
დე, ჩვენი ლექსი მოედოს ყველას,
ბედნიერებით გადაზღაბრული.

დღეს კიდევ უფრო მეტი მნიშვნე-
ლობა და მოქალაქეობრივი ქღერადო-
ბა აქვს ამ სტრიქონებს, რადგან ხანდა-
ხან „ვერაგთა სისინი“ მართლაც ჩრდი-
ლავს ქართველი და სომეხი ხალხების
მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. პო-
ეტი ვერასოდეს ვერ ურიგდება აზრს,
რომ ვინმემ შეძლოს ჩვენს შორის მე-
გობრული ხიდის ჩატეხა. იგი მთე-

ლი თავისი პოეტური რწმენით აცხადებს:

ვის შეუძლია, რომ გადაგვთლოს,
ჩვენს სულში ცეცხლი არ იწვის განა?
ღე, იგრძნოს ყველამ, რომ საქართველო
არის მგოსანთა წმინდა ქვეყანა.

საქართველოს უპირველესი მეგობრის, ოვ. თუმანიანის ნათელი პიროვნება და მისი მეგობრული დამოკიდებულება გამოჩნდა მის სხვა ლექსებშიც („შერიგება“, „საქართველოს სული“, და სხვა) პოეტი აქაც ჩვენი ხალხების ძმობა-მეგობრობის გულდაკვრებულ მომღერლად გვევლინება.

ერთ-ერთ თავის წერილში, სადაც ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში ამიერკავკასიის ხალხთა შორის მტრული შეხლა-შემოხლის მიზეზებს არკვევდა, ოვ. თუმანიანი მართებულად აღნიშნავდა: „მრავალი წლების განმავლობაში ერთმანეთისადმი ცერად ყურება, ერის სახელით გაღვივებული ბრძოლა, მტრული სიმღერები და ადამიანთა საეჭვო ფუსფუსი, — ყოველივე ეს ხალხთა სულში გროვდება, რათა ერთ წყეულ დღეს ამოხეთქოს და გულუბრყვილონი გააკვირვოს“. სომეხი პოეტი თავგამოდებით იბრძოდა ქართველ და სომეხ ხალხებს შორის წარმოქმნილი ზოგიერთი უთანხმოების წინააღმდეგ. იგი ხშირად გამოდიოდა სომხური და რუსული პერიოდული პრესის ფურცლებზე წერილებით, სადაც ქართველი ერის კეთილშობილების შესახებ წერდა: „თუ თვალს გადავაგვლებთ მსოფლიოში მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, დამეთანხმებით აუცილებლად, რომ ქართველები საუკეთესო მეზობლები არიან.

ჩვენ შექმნით უფრო მკიდრო, მძლავრ სულიერ კულტურულ კავშირს. ჩვენ, კავკასიის ხალხები, მხარდამხარ და ძმურად ვიყავით მარად, როგორც ჩვენი მშობლიური მთები,

რომელთა მწვერვალები ბაწყინავე ცალცალკე, მაგრამ ერთად არიან, ერთიანი დედაფუძით შეერთებული. პოეტმა ქეშმარიტად სიტყვებით მიმართა ქართველ ხალხს 1913 წელს, წერილში „დღეგრძელობა ქართველ ხალხს“, სადაც წერს: „ძმებო ქართველებო, ჩვენო მრავალსაუკუნოვანო ძმანო, მუდამ თავისუფალნო და კეთილშობილნო, ლიტერატურა თუ სულის ქეშმარიტი ანარეკლია, პოეტი კი ამ სულის გამომხატველი. მაშინ მე თქვენთან მომაქვს სომხობის სული, როგორც მაღალი და კეთილშობილი რამ, რაც შესაძლოა ხალხს და ადამიანს ჰქონდეს“.

როცა ქართველი ერის მოჭირანახულე მამულიშვილებმა ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით ხელი მოჰკიდეს ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეს, ოვ. თუმანიანი ერთ-ერთი პირველთაგანი მიესალმა ამ დიდ ეროვნულ წამოწყებას. ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების გამგეობისადმი მიწერილ წერილში იგი წერდა: «Только наука, литература и искусство заполняют пропасть, разделяющую народы, и лишь они создадут грядущую лучшую жизнь и истинного человека. Вы поймете поэту мою радость, когда я узнал про открытие грузинского университета.

Я с восхищением представляю жизнь радостного и благородного грузина, на родном языке получившего высшее образование.

Когда же мы будем приветствовать открытие и прочим народам Кавказа высших учебных заведений, дабы на почве науки и искусства нам встретится вместе и установить взаимное понимание и уважение.

Прошу Вас принять и передать кому следует мой горячий привет по этому поводу, а также мою скромную ленту, которая может быть послужит одним из камней великого здания расцветающей грузинской культуры».

Глубоко уважающий Вас Ваш Ов. Тумანიан.

25 окт. 1917 г. Тифлис.

ზონდო არველაძე

ჰართვილი ხალხის მამობარი

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ გულწრფელი მადლობით მიიღო მოძმე ერის საუკეთესო შვილის ეს გულწრფელი მისალმება და პასუხიც დაუყოვნებლივ გაუგზავნა: «Правление Общества грузинского университета с большим нравственным для себя удовлетворением выслушало Ваше письмо, по поводу учреждения Грузинского университета.

Выраженные Вами чувства симпатии к грузинскому народу и к вновь зарождающемуся рассаднику высшего национального образования в Грузии, нашли живейший отклик в сердцах членов Правления Общества.

В глубоко прочувствованных словах Ваших, как лучшего сына своей родины и талантливое выражение ее дум и чувств, мы видим ласку и привет всего армянского народа, тысячелетия добрососедски живущего бок о бок с грузинским народом и находящегося с ним в постоянном взаимодействии на почве культурного развития и духовного совершенствования».

ეს ორი დოკუმენტი კიდევ ერთი დასაბუთებაა ოვ. თუმანიანისა და ქართველი ინტელიგენციის ურთიერთგაგებისა და ქეშმარიტი მეგობრობის.

●

ოვ. თუმანიანის ინიციატივით 1912 წელს თბილისში დაარსდა „ამიერკავკასიის სომეხ მწერალთა ამხანაგობა“. ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ოვ. თუმანიანი.

პოეტმა ამ საზოგადოებას ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაუსახა ამიერკავკასიის ხალხთა მწერლობისა და ისტორიის შესწავლა და პოპულარიზაცია. ამ მიზნით ხშირად ეწყობოდა ლექციები და ლიტერატურული საღამოები, სადაც მომხსენებლები სომეხ საზოგადოებას აცნობდნენ ქართული მწერლობისა და ისტორიის გმირულ ფურცლებს.

1919 წელს ოვ. თუმანიანის დაბადების ორმოცდათი წლისთავის იუბილე ხალხთა მეგობრობის ზეიმად იქცა. რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოება და მწერლები აქტიურად მონაწი-

ლეობდნენ ამ ზეიმში: „ოვანეს თუმანიანის იუბილე სანახევროდ ქართველმა მწერლებმა გადაიხადეს თბილისში“ — წერს ტ. ტაბიძე.

ოვ. თუმანიანის იუბილეს განსაკუთრებით გამოეხმაურა ქართული პერიოდიკა; იმ დღეებში სისტემატურად ქვეყნდებოდა სომეხი პოეტისადმი მიძღვნილი წერილები და ლექსები. აი, რას წერს ერთ-ერთი ქართული გაზეთი: „არ ყოფილა არცერთი ისეთი შემთხვევა კავკასიის ერთა ცხოვრებაში, რომ ოვ. თუმანიანს ხმა არ აქმედებინა და თავისი სიტყვა არ ეთქვას. ოვ. თუმანიანის სიტყვა იყო ყოველთვის სამართლიანი და მიუდგომელი და ამიტომ პოპულობა გამოიძახილს ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებში და არბილებდა ეროვნებათა შორის შელღს და მტრობას. მისი სახლი ყოველთვის ღია არის ყველა ეროვნებათა მხატვრების და პოეტებისათვის, რომელნიც მის ოჯახში ხვდებიან მზრუნველ მასპინძელს და კეთილშობილ ადამიანს და გამოაქვთ შთაბეჭდილება შერიგების და სიყვარულის“.

ქართველი პოეტებიდან ოვ. თუმანიანის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი ი. გრიშაშვილი იყო: ი. გრიშაშვილი სომეხ პოეტში საქართველოს და ქართველი ხალხის მეგობარსა და პატივმცემელს ხედავდა... „ოვ. თუმანიანს უყვარდა საქართველო და მისი დედაქალაქი. მას გაბრიელ სუნდუკიანივით შეეძლო ეთქვა: ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომეხები, ქართული მიწით ვართ გაზრდილნი, ჩვენ საქართველოს ქირის და ღვინის თანამოზიარნი მუდამ ვყოფილვართ და ვიქნებით“.

ოვანეს თუმანიანი გულწრფელი მეგობარი იყო საქართველოს კულტურისა: „ერთი გზა გვქონდა ძველად, ერთი კულტურა ჰყვოდა ჩვენს შორის და მომავალიც ერთი გვაქვს“ — იტყოდა ხშირად განსვენებული.

ოვანეს თუმანიანი არ იყო საქართველოს უძღვნი შვილი, ნამდვილ ძეს

არ შეუყვარდება ჩვენი თვისება ისე გამძაფრებით, როგორც განსვენებულს უყვარდა, საქართველოს წარსული, აწმყო და მყოფადი, სომეხ პოეტში სერიოზულ გამოძახილს პოეებდა...

ოვანეს თუმანიანი იშვიათი სპეტაკი პიროვნება იყო: სიყვარულის განხორციელება. მისი სიყვარული არ იყო მურმანის ეკალი, რომელიც ორ მონათესავე სულს აწორებს — ასეთ აღმანიად იცნობდა ი. გრიშაშვილი და მასთან მთელი ქართველი საზოგადოება ოვ. თუმანიანს.

ცნობილია, რომ ოვ. თუმანიანის ბინა თბილისში ლიტერატურულ სალონად იყო ქცეული. მის ოჯახში საფუძველი ეყრებოდა სხვადასხვა ეროვნების მწერალთა მეგობრობას. მაგრამ ყველაზე უფრო ქართველ პოეტებთან თუმანიანი მეგობრობდა. რა თქმა უნდა, არც ეს უკანასკნელნი რჩებოდნენ ვალში. სომეხ პოეტს, განსაკუთრებით ავადმყოფობის დროს, არ სტოვებდნენ უყურადღებოდ ქართველი მეგობრები. მისმა გარდაცვალებამ კი დიდად დაამწუხრა ისინი. „მე არ მახ-

სოვს, როდესმე ასე გულწრფელად დაეტეოთ ვინმე სხვადასხვა ქალბატონს პოეტებს. ოვ. თუმანიანის განცხადებით რომ იგი დაემარხათ საქართველოს დედაქალაქ თბილისში, მის საყვარელ ქალაქში, სამარადისოდ აკავშირებს ჩვენთან ამ პოეტს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ხალხს შესწირა და უმწიკვლოდ გამოატარა ხალხთა მეგობრობის დროშა“ — წერს ტ. ტაბიძის მეუღლე ნინო.

დღეს მადლიერი ქართველი ხალხი ზემოთ აღნიშნავს ოვ. თუმანიანის დაბადებიდან 100 წლისთავს. ამ იუბილეს განსაკუთრებით გულითადობით მიესალმება ყოველი ქართველი, რადგან მას კარგად ახსოვს ოვ. თუმანიანის შემდეგი სიტყვები:

„არა, რუსთველის ოქროს სიტყვები როდი ხმაურობს მკვლედ და ღუენდა,

მის ამაყ აჩრდილს დღეს თქვენ მიძევებით, ვერა გძლეეთ ტანჯვა საუკუნეთა. ახალმა ხელმა ცამდე აღმართა ძველი ლოცვები ხანგადასული, და საქართველომ კვლავ გაამართლა მშვენიერება უკვდავი სულის.



ქველი ჩვეულებანი

ვერ მომერვეა შენი ლახვარი,
თუმცა სიმწარე ბევრი მარგუნე.
მე თვითონ ვიცი ჩემი საზღვარი,
ნუ დამიძახებ, ვერ დამაბრუნებ...

შენ ახლა ჩემი წარსული გქვია,
ვერ დამაბრუნებ — სულიც მხდებოდეს!
უნახავს ვინმეს ნასროლი ტყვია
კვლავ თოფის ლულას დაბრუნებოდეს.

ყველაზე წმინდა დასაფიცარი
შენ გაატანე ქარსა და ნიავს,
მე არ მეყოფა სამი ფიცარი
სიტყვა უთქმელი იმდენი მიმაქვს.






საურმე მშრალ ხევს მიყვება: კაი დიდ მანძილზე ადი-ჩადის, აქეთ-იქით უხვევს — ხან კაკლის ჩრდილს ეფარება, ხან აკაციისას; ღობიდან გამომძვრალ ძუძუმაყვალს წვეროებს უჩეჩქვავს, ძეძვის ღობეს მტვერში განგლავს, ღობის იქით აშრიალებულ სიმინდსაც; მერე ათასჯერ გადაბელილ მუხის კორომში გაძვრება და ერთბაშად აწყდება გაუქმებულ სასაფლაოს: წარწერიანი ქვები შუამდე ჩამსხდარან მიწაში, რაც ზემოთ დარჩენილა ისიც, საცაა, ჩაიყვინთება ბალახში. ზოგი ქვა ხევის ფერდობზე ჩაცურებულა და მიწაზე გაუკრავს მაყვლის ანწლშერე-

ული ბარდები. ზოგი ქვა კი ახლა აპირებს ჩაცურებას, ნიაღვრები ნელ-ნელა აცლიან ფხვიერ მიწას და წარწერიანი ღობეებიც ნელ-ნელა მიიწვევენ გადასათქერი ბარდებისაკენ. სასაფლაო ისეა მოსწორებული, წარწერიანი ქვები და წახრილ-წაქცეული რკინის ღობეებია თუ მოგაგონებენ, ქული მოიხადეო. ასე მისაცოდაობს გორაკამდე.

გორაკზე წმიდა გიორგის ეკლესია დგას და კიდევ: ერთადერთი ბებერი ნეკერჩხალი, თაკარა შუადღისას ქედნების ფრთხილითა და ღულუნით რომ გაიფხება ხოლმე. ეკლესიას, ეტყობა, იარპირი ვალავანი ჰქონია. პირველი



გალავნიდან მარტო საძირკველიდა დარჩენილი; მეორე გალავანი კი აქა-იქ ისევ ფეხზე დგას. ნეკერჩხალიც წაქცევაზეა მისული. ტოტები გაუსვრ-გამოუსვრია, ფოთოლგადარბებულნი ტოტები და ჩრდილსაც აღარ იმეტებს — დასიცხული თხები ეკლესიის გალავანს ეფარებოდნენ და ექექებოდნენ — რაკი ეკლესია პატარაა, ჩრდილიც არ აქვს იმდენი, მთელი სოფლის ნახირი შეიფაროს. ეკლესია რატომღაც სულ დაკეტილია: არავინ იცის, ვინ დაკეტა, რას ინახავენ შიგ და ვინც დაკეტა, გასაღები რა უყო!

ეკლესიის ჩრდილოეთით მწვანედწამოშლილი მთები ჩანს; ღელეებით დაღარულა მთები. იმ ღელეებს თეთრად მოაცილებენ კირქვიანი კლდეები. მოხმაურობენ ღელეები, მოჩუხჩუხებენ, მერე ერთ მხარეს ირკალებიან, ერთდებიან და დიდ, ჩაქუფურულ ხევად იქცევიან. მოღუღუნებს, მოშიშინებს ხევი, მოუახლოვდება ბალ-ვენახებს და მაშინვე შრება — წყალი ბეტონის არხებში გადადის, ნაწილდება და იქაურობას მწვანე სიცოცხლით ავსებს. ბეტონის კედლებში მოქცეული წყალი ახლა წიწილა არხებში მილივილებს: ზოგი ვენახში მიძვრება, ზოგი — სიმინდსა და საზამთროში მიბუხუბუხებს. მტევანი ქარვისფრად იბადრება, სიმინდს ტაროები ემძიმება, საზამთრო კი იბერება, სივდება — დანას რომ ჩაუშვებ, თავისით იფხრიწება და წითლად ვიცინის.

წყალდიდობისას არემარეს მიაგუგუნებს ხევი; მთელი ხეობა ცაბცახებს, ჩინჩილებით იფარება. ის ჩინჩილები პატარ-პატარა კუნძულებად მოჩანს მალდიდან.

ჩაივლის წყალდიდობა და სოფელი ხევს ეფინება — ნარიყს აგროვებენ. მეტყევეს ისღა დარჩენია, მორებჩაფრენილ ხალხს საღამო გადაუგდოს და სხვათაშორისაც არ ახსენოს ბილეთი — ნიაღვრის წყალობაა და შენ ვინ რას გეკითხება!

გვალვა რომ ჩამოენთება ხოლმე, აქა-

იქ ფშანებსლა წააწყდება კაცი. ამიტომ გადმა გამსვლელი მგზავრი ეფინება ეძებს, შემთხვევით გამგეფლანდავს ელოდება, ხელი ხელს გადავხვიით და ვგრე ვატყუაუნდეთ გადმაო.

ეკლესიიდან ასიოდე მეტრის დაშორებით, ჩივაკებაზე კარავია დაცემული. კარავში ან კარავთან ყოველთვის ორი კაცი დაჩალიჩობს. ღრუბლიან ამინდში ორიენი ცას ვასცქერიან. მზიან აწინდში ან ღვინოს სვამენ ან დომინოს უხათქუნებენ წიფლის კუჭრიანი ფიცრებისაგან გამოჩორკნილ მაგიდაზე, თან, რათქმა უნდა, პაპიროსს ახრჩოლებენ. რაკი ორივე ხელი დომინოს ქეებით აქვთ დაკავებული, სშირად ვერ ახერხებენ პაპიროსის პირიდან გამოღებას, ერთერთი თვალი ბოლით ეწვით და ამიტომ იმ თვალს მალმიმალ ქუტავენ, თუმცა ლექსოს უიმისოდაც უტყუის ცალი თვალი — ომში დამართაო.

როგორც კი ირიყრაყებს, თვალი რომ არ უტყუის — დათია — გამოძვრება კარავიდან, შესასვლელთან დადგმულ, ფუჩჩიჩით პირდაცობილ კოკას წამოავლებს ხელს, ნალამურ წყალს დაღვრის და თავქვე მირაცრაცებს, წყაროზე წყაროც იქვეა, არყნარში. მალე მობრუნდება უკან, მიწაზე დაგდებულ ფუჩჩიჩს აიღებს, ხელზე დაიფერთხავს, ისევ პირს დაუცობს კოკას და ჩაახველებს — მოვედიო.

— ჰაი, დათია! — შიგნიდან ეძახის ლექსო, — აბა, გაიხედე, ღრუბელი არა ჩანს?

დათია კიდეც ერთხელ გაიხედავს ჩრდილოეთით და რიხიანად უბრუნებს პასუხს:

- ჩაანს რომელია!
- მევემზადოთ?
- როგორც შენ გავგებარდება!

— ავღგები და უფროსობას შევეკითხები, — მავრამ ავღომისა არაფერი გტყობა: ნაბაღს იკეცავს და თავსაც უსვამს ბალიშზე, მოხერხებულად უნდა ჩაითბუნოს.

— რათ ვინდა რა? — სოფლიაკენ

იხედება დათია, ერთგან დიდად ამოდის ბოლი და იმას აკვირდება: თუ თონეს ჩაუყიდეს, ამ უთენია რა დროს პურის გამოცხობაა; იწვის რამე და რატომ წიოკობა არ მესმისო.

— ეხლა არ მითხარი, ღრუბელი მოდისო?!

— გაღმა მიიბოლება... ნამდვილად თონეს ჩაუყიდეს.

— რას ჩაუყიდესო?

— ჩემთვისა ვლაპარაკობ.

— ზოგჯერ ჩემთვისაც ილაპარაკე... არ მოდის და ნუ მოდის! მეც ავდგები და ცოტასაც წავუძინებ.

— ეგრე აჯობებს... თანაც კიდე თეთრი ღრუბელია, ის ვაგლახი კი არ არის!

— კინალამ კი წამამავდე და!...

ცოტა ხანიც გაივლის და კარავიდან ხერინვა ისმის. ხერინვას ყურს მოჰკრავს დათია და ლამის გადაიროს — მარტო ყოფნა ეზარება. ხან ვედროს წაეხლება, ხან რასა და ხან-რას, მაგრამ ლექსოს მაგლაჯუნა დასწოლია, ხრიალებს, როგორ გინდა ჩაავდო გონში. დათია ახლა იმასა ნატრობს, ნეტა ადამა პაპამ მინც ამოიაროს, გულს გადავყოლებო. ადამა პაპას ზედ წყაროსთან აქვს ვენახი, ისეა დატკეფილი, მტერი არ შეიშვება შიგ. ქოხიც როგორი უღვას?! — ნამტვრევი კრამიტით დახურული, გვერდებამოწნული, დასუფთავებულ-დაკრიალებული, გეგონება, ქერივი დედაკაცისააო. შიგ მშვენიერი ტახტი უღვას — იტრიალე რამდენიც გინდა, აბა თუ აჭრიალდება?!

მოწყინდება დათიას ფიქრში ბორილი, პაპიროსი გაუშრობს ნერწყვს, გაიხედავს და, ბედად ადამა პაპაც არ მოდისო! წელზე შემოუწყვია ხელები, მოდის და მოიკაკვება; უკან თეთრი თიკანი მოსდევს, არც თოკი აბია, არც არაფერი, ისე მოპაკიპუკობს თიკანი.

ადამა პაპა გაუსწორდება კარავს, მთელი ტანით მოტრიალდება, ერთხანს დააკვირდება დათიას და ძლივს გაიმეტებს:

— გამარჯობა, სალომეს ბიჭო! — და-

თია ობლობაშია გაზრდილი, მამა არც ახსოვს, მარტო ადამა პაპა კვ...
ლი სოფელი ეძახის ასე.

გამარჯობა, სალომეს ბიჭო და, გზას განაგრძობს. დათიას ელიძება: იცის, თუ არ დაუძახა, რაღაცას მოიმიზეზებს ბერიკაცი და მუხლის ჩასახრულად მინც მობრუნდება. დათიას კი, დიდი ხანია ასეთ პატარა რაღაცაზე აღარ უწყენინებია.

— მოდი, კაცო, ან ავი ვთქვათ, ან — კარგი.

უსიტყვოდ მოტრიალდება ადამა პაპა, უსიტყვოდ ჩამოჯდება კარავწინ მიგორებულ ქვაზე და თავის ქოხისაკენ იხედება. ამ დროს თიკანი გვერდზე უღვას და ცოხნით მისჩერებია დათიას, ისე აკვირდება, თითქოს საცაა ეტყვის, აი, როგორ გითხრა, როგორ გაკადრო, მაგრამ ხელმრუდე კაცი ჩანხარ ასე და ამგვარად... ადამა პაპა და დათია საუბარს რომ გააბამენ, თიკანი წინა ფეხებს შეიკეცავს, უკანას — ამოიკეცავს, მუცელს დაუშვებს ზედ და ახლა ასე იცოხნება, მშვიდად, ზომიერად. მარტო მაშინ აპყრის ყურს, ლექსო ხერინვას რომ მოუმატებს.

— ძან მოგიქენჭინდა თიკანი! — ნერწყვა ყლაპავს დათია.

— რაც მე ამას ველოლიავები, რატო დეკეულის ტოლა არ უნდა იყოს!

— მეტი რაღა გინდა, შამადგომამდე თორმეტ კილოს დაურტყამს. ეხლა ხომ ჯერ ისრიმობაა!

— თორმეტ კილოს დაურტყამს და მეც ეგ მინდა, ცოტა სტუმრობა მომაწყდება!

— თუ მოგვიხრიალდა სეტყვა, სულაც დაუკლავი დაგრჩება.

— რას არაკუნებ, არსაითო! — წყრება პაპა, — სიტყვის მასალა შემოგაკლდა?!

ამ დროს ლექსოც იღვიძებს, თვალეზის ფშვენტით მოიზმორება კარავიდან და, გამარჯობას რომ იტყვის, ისიც თიკანს დაადგამს თვალს:

პარლ კობარიძე
თითხი თიკანი



— ჩაქაფულს დაჰყრის, რომა!
აღამა პაპას უხარია. თიჯანს მიქებე-
ნო და, უხარია:

— დაჰყრის და აქ არა ხართ, უთქვე-
ნოდ როდის რა ჩამიტარებია!

— ჩვენცა აკი იმიტომ გადავეფარეთ
შენს ვენახს! — პირს იბანს ლექსო.

— მაგაზე მემრე ვილაპარაკოთ... ეხ-
ლა ეს მიბრძანეთ, ის ბიჭები თქვენზე
წინ რომ უბათქუნებდნენ ღრუბელსა,
მართლა ჩააყუდეს?

— არ ვიცი, ამხანაგო, საიდან მეცო-
დინება?! — უკვირს ლექსო.

— შენ რა გაჯავრებს, მე იქნება და-
თიას ვეკითხები?

— რო არც მე ვიცი? — იკრიჭება
დათია.

— ის მაინც გეცოდინება, დანამღვი-
ლებით როგორ იყო.

— აქ არ იყავ, მე რაღას მეკითხები?

— შენ სხვანაირად გეცოდინება, და-
თიავ. ჭორი რო წაემატება, იმასა აქვს
ფასი.

— მართალია. ეგრე იყო: დათვრნენ
და მიბალიშდნენ. იქუხა და წამოვიდა
სეტყვა, წამოვიდა, რო, ეს ამოდენა ხე-
ობა თეთრად ააგორა. მანამდე ვერ ჩა-
ვარდნენ გონში, სანამ სეტყვამ არ
დაუმტკრიათ თავპირი. მემრე კი წა-
მოხტნენ და შეცვივდნენ კარავში. კა-
რავი ქარმა რომ აკეცა, ახლა თავქვე
დაეშვნენ, სოფლისაკენ. მიარბენინებთ
და მიაყვირებთ სეტყვა... მაინც რამო-
დენას ისროდა, კაცო, ის რა ღვთის-
რისხვა იყო?! რა მშრალზე დაგვსხა!
როდის, აღარ იკითხავ? სწორზე უნდა
დაგვეწყო რთველი! ბედი მითხარი!..
სეტყვამ გადაიღო და ამოვიდნენ, ჩვენზე
წინ რომ იყვნენ ისინი, და რასა ხედა-
ვენ, ქვემეხი ხევში ჩაუტანია ნიაღვარს,
მიულამნია! ეძებეს, ეძებეს და ძლივს
იპოვნეს! შენ როგორა ფიქრობ, თავ-
ზე ხელს გადაუსვამდნენ?!

— გატყვრნენ და მიდეს თავიო, პა?!
— ელიმება პაპას.

— ჰო, გამოიბრუქნენ და მიცერავდ-
ნენო.

— თქვენ ხომ პირს აგიცდებათ ხოლ-

მე ბურთიანი ჭიქა! — ისევ ელიმება პა-
პას.

— მაგას რაზე ამბობს ილიმება
ლექსო.

— თქვენი ბოლოც ეგ არის! — წა-
მოიკაკევა აღამა პაპა, ძლივს აითრევს
წელს, — თქვენი ბოლოც ეგ არის! იმ
ერთი მამლისა არ იყოს, მე მიყვილია და
თუ არ გათენდება, იმასაც ვნახავ! წა-
მო, თიჯანო, წავიდეთ, ვენახს მივხე-
დოთ.

— რა გეჩქარება, აღამო, დაჯე, დაის-
ვენე, შენც რა საქმე გაღონებს! —
თმას ივარცხნის ლექსო.

აღამა პაპა ხელმიჩრდილვით გაჰყუ-
რებს გორების თავზე ჩამომხობილ თეთრ
ღრუბელს.

— იმ ღრუბელს არ გაუქახუნებთ? —
ეკითხება დათიას, მაგრამ ლექსო პასუ-
ხობს, რაკი ის უფროსობს; არავის და-
უვალებია და უფროსობს კი, აქაოდა,
ომში ნამყოფი ვარო. სროლითაც ლექ-
სო ესვრის ღრუბელს. ჩაუჭდება და,
ბუხ! — მიაყოლებს ზედიზედ. იმდენს
ესვრის, რამდენიც უბრძანეს. მიდის, მი-
შიშინებს რაკეტა, უკან თეთრი კუდი
გამობმია, ძალიან თეთრი. ნაპერწკლებ-
საც ხომ ისვრის, მაგრამ ღრუბელში რომ
შეგვარდება და იქ დაიფშვანება, ის ნა-
პერწკალი არც წითელია, არც თეთრი,
არც — ყვითელი... რაღაცნაირია, თით-
ქოს სიზმარში გენახოს: ვერ გამოიტან
რა ფერია, ის დალოცვილი თუ დაწყევ-
ლილი! ქვემეხი გაბათქუნდება და ღი-
მილით უყურებენ ორივენი — დათია და
ლექსო. მე შენ გეტყვი, მოგიტრიალდე-
ბა, სროლითვე გიპასუხებს ღრუბელი,
შენც ადგები და ბლინდაჟში მიიჭყუ-
ნები, შუბლში არ გამოიწეროს ტყვიანო.
ეგრეა, აბა, ესვრიან და უხარიათ!..

— რომელ ღრუბელზე ამბობ? — ეკ-
ითხება დათია.

— აგე, კობივით რომ აზის ტბაწვერს.

— ის რა სეტყვის ღრუბელია!

— ვაი, თქვენი ჭკუა რა ვთქვა! —
ქირჭილებს აღამა პაპა, — ის ღრუბე-
ლი მართლა რომ სეტყვისად იქცეს,
ვიდრე თოფია თუ რაღაცა ჯანდაბაა,

მაგ ჩულებს მოაცლით, აქედან ენისლამდე რია-რია წაიღებს ყველაფერს, ჰო, თქვენი დაბარებული სეტყვა.

— ქვემეხია. შენ მაგითვინ ძილი არ დაიფრტხო!

— ლექსო, მაინც ჩვენებურად რას ეძახი მაგას?

— სეტყვის საწინააღმდეგოა, ამხანაგო.

— რა, შვილოსა, ეგა?!

— ჰო, ესა.

— სეტყვის საწინააღმდეგო ეგ კი არა, აესაა, ჩემი თიკანი! რას იკრიჭები, დათიაც, არა იჯერა?

დათიაც იცინის და ლექსოც. ამაზე უფრო ჯავრობს ადამა პაპა:

— კარგი, ვნახოთ, რომელია სეტყვის მალამო, ვნახოთ!

— ვნახოთ და ვნახოთ, რა!

მიდის გაჯავრებული ადამა პაპა, მიდის და უკან პაკიპუკით მიჰყვება იმ ღრუბელივით თეთრი, ქათქათა თიკანი...

დილა საცაა შუადღედ იქცევა და ახლა არ ახსენდება ლექსოს დათიას ცოლი?!

— რათ იგვიანებს, მკვდარო, შენი ცოლი?

— რა შენი ცარიელი თავის საქმეა! — ჯავრობს დათია.

— მოშუადღევდა, ვერა ხედავ? ის კი... ჩემი ცოლი უნდა იყოს! — ლექსო გულზე იბრაგუნებს მუშტს, — ერთი ჩემი ცოლი უნდა იყოს!..

— ჩაწყვიტე ხმა თორემა, იქნება გვერდებში მიგკიდო ჭიგო!

— შვილი არ აწუხებს და ძირი, საითაც მოეპრიანება, იქით გაუტევეს ხოლმე!.. ამხანაგო, სად მამაჩემთან წაეხირა!

— მალე მოვა და მოისვენებ!

— საუხმეო და, სამხარს გამოგვიყვანს ხოლმე!.. ჩამომამხმო კაცი!

— ძან გაუმადლარი ვილაცა ხარ! მე ჩემი ცოლი ჩემს მოსახელად მინდა! რატომ არ ითხოვ ცოლსა?

— ისევ რო გამექცეს, ბარემ ტყვია უნდა ვიკრა შუბლში!

— მაშ მგლის შიშით ცხვარი იჯავრებო?!

ლექსო ხმას არ იღებს. მიშტერებია და თავს აკანტურებს, მერე ამბობს:

— ბრუციანი ხარო, იმიტომ გამექცა, ამხანაგო, და კოჭლს კი გაჰყავ! ქალისას რას გაიგებს!.. მალე მაინც ამოვიდეს შენი ცოლი, არ მომკლა შიმშილით?!. ერთ ნატეხ პურში, აემ ქვემეხს მივეცემდი!..

— მეც ეგ არ მატირებს?!

შუადღისას იქაურობა ბულშოია გავეული, სუნთქვა ჭირს. ნიავე რომ წამოიქროლებს, ხმელი ბალახი მიშრიალებს და მისისინებს. ამ დროს ისე მოჩანს შიშველი გორაკი, თითქოს მიბარბაცებსო. საღამოს საგრძნობლად კლებულობს სიცხე—ხეობიდან შემოჭრილი ჩრდილოეთის სიგრილე კარავსაც აწყდება და გორაკის თავზეც გადადის. მაშინ, თუ ნეკერჩხლისქვეშ ნახირო არ იცოხნება, ღრუბელს ჩასაფრებულები მაკარონის ცარიელ ყუთებს მოათრევენ და მის ჩრდილში ურტყამენ ღომინოს ან წყაროში ჩაიციებულ ღვინოს იყლურებია...

ასე მისდევს დღე დღესა და ღამე ღამეს; ასე ენაცვლება კვირა კვირასა და თვე — თვეს: ყურძენში თვალი შედის — საფერავი იმღვრევა. რაც უფრო ახლოვდება რთველი, მით უფრო უმატებს გული ბაგაბუგს შავი ღრუბლის დანახვისას. გამოჩნდება შავი ღრუბელი, მიუჯდება დათია რაღაცა ოთხკუთხა აპარატს, ყურებზეც რაღაცას ჩამოიცვამს და ყვბრის, ჰაი, რუისპირიო, ყვავი ვარო, თფოფი ჭარო... შავი ღრუბელი მოდის და როგორ მოვიქცე, ვესროლო თუ არაო. რაო, ქალაქს უნდა ვკითხოო?!. გაივლის ცოტა ხანისა და ახლა იმას ელოდება, ქალაქმა კიდევ სხვა ქალაქსა ჰკითხა, დათია და ლექსო როგორ მოიქცნენო. ვიდრე რუისპირი მოწყალებას გაიღებდეს და

პარლო კობაკიძე
თათრის თიკანი

სროლის ნებას დართავდეს, ამასობაში ის ერთი გუნდა შავი ღრუბელი, ოც ჰექტრად იქცევა ხოლმე და ორიათას ჰექტარს უყაყუნებს. დათიას ყვირილსა და ლექსოს ხელების ფშვინტას გაციებული უყურებს ადამა პაპა, უკვირს: ამ ყუთმა ნაფარეულს როგორ უნდა ნიაწვდინოს ხმა, ნაფარეულს, ქალაქსა და კიდეც ქალაქსაო... დათია ვილაცას ევედრება, ქვემეხი მასროლინე ღრუბელს, სეტყვა არ დამაყაროსო; ადამა პაპას კი თიკნისათვის ორივე ყურში ჩაუვლია ორივე ხელი, მაღლა აუწვევია და იმდენს აკიკინებს, ხმა ეხლიჩება თიკანს, მერე ნიავეში გაეპარება ხოლმე.

— შენ იცი, წმიდაო ელიავ, როგორ დაიფარავ ჩემს მარჩენალ ვენახსა, ჩემს რქაწითელსა, ჩემს საფერავსა, მწვანესა!.. შენ დაიფარე ჩემი ნაოფლარი და ნაჯაფარი ვენახი! შენ დაიფარე ჩემი შვილებისა და შვილთაშვილების იმედი! წლევანდელი ფეხსამოსებით არ ატარო მემრისაც, წმიდაო ელიავ! ოღონდ მოწყალე და კეთილი თვალთი გადმოხედე, წმიდაო ელიავ, შენთვის შემიწირნია შენს სახელობაზე ნაყიდი თიკანი!..

აქა-იქ ჩამოვარდება სეტყვა, კანტიკუნტად დაიგრუხუნებს და ცივ ქარს გაჰყვება ჩაშავებული ღრუბელი — მთელ ქვეყნიერებას გადაივლის და ლეკიმთას მიადგება. იქ იმტვრევს თავპირს; კარგია: იქ არც ვენახია და არც თამრო-მსხალი, არც ხეჭეჭურია და ხუნძლული და არც ძუძუვაშლა გაიფინება ჩაჩეჩქვილ ბალახში...

მიწყდება სროლის ხმა, თიკნის კიკინიც და ახლა ცივი ღუმილი დგება. დამბალი მიწა ისეთ სინესტეში ხვევს იქაურობას, ადამიანები ყურებამდე ძვრებიან ათჯერ გადასაგდებ პალტოებში.

წვიმამ კაი ხანია გადაიღო, მაგრამ ხეებქვეშ ისევ წვიმს — მსხვილი წვეთები ხმაურით ეცემიან მიწაზე, უფრო მაშინ, ნიავე რომ წამოუბერავს და ხეებს ტოტები ეწეწება.

მაცოცხლებელი წვიმით გაჟღენთილ

მიწას სურნელოვანი, მოტკბო ორქული ასდის. ყველაფერი სასიამოვნოდ უტყუარდება: ვენახი, სიმინდი, სხვა-სხვა ხეები, ვიც კი — უნაყოფო, გამოფიტულ მიწაზე რომ აბოლქვილა, თითქოს ამით განიშნებდეს, არაფერი მაქვს თქვენი დასაცვედრებელიო.

ჩაივლის სეტყვანარევი წვიმა. ადამა პაპა ვენახს მზეჩამდგარი თვალებით უვლის გარშემო, ესიყვარულება. როგორ უნდა, შევიდეს ვენახში, ყველა მწკრივი დაიაროს, ყველა ვაზი, მაგრამ მიწა გაიძეკებაო — ერიდება. თიკანი ხმელ ბალახს კიკნის საუზმეზე. გაივლის რამდენიმე დღე და ისეთი რძეჩამდგარი ბალახი იფეთქებს და ამობიბინდება, ისეთი, ცოდვაც კია გადაძოვა, ზედ წამოგორებაც — ხელით მოსაფერებელია პირდაპირ...

დათიამ და ლექსომ ქვემეხს ისევ გადაფარეს წვიმაგაუფალი ტილო და ახლა გორაკზე გადმომდგარან, დოინჯი შემოუყურიათ და ყინჩად გადასცქვრიან შაბიამნით გადალურჯებულ ვენახებს.

— ადამო პაპავ! — ეძახის ლექსო, — ზედაშეს მოაძრე სარქველი, ვენახი გადავირჩინეთ!

ადამა პაპა გაიგონებს ლექსოს ხმასა და ილიმება:

— რას ამბობ, დათარსულო!

— ვენახი რომ გადავირჩინეთ-მეთქი, ამხანავო!

— შენი ვაღარჩენილი შენი ფერისა იქნება!

დათია თავს აქნევს:


— მოდი და ამისთანა დაუნახავ მოქალაქეს კრუხივით გადაეფარე!

— მამა გიცხონდა, ჩემი გულითვინ ჰკიდობარ თავდაყირა!

— შენ იქნება აქეთ დაგვდო ვალი?!

— ეგ ღმერთმა იცის, ვინ ვინ გადაარჩინა!..

ბლობას სათიბათვო მსხალი მოსდევს, საკალოო, მერე ხომარდულიო... თხილი გულს იკეთებს, კაკალს უღელი უმაგრდება, შემოდგომურა ატამს წვენი ჩაუტკება და რთვლობაც მომდგარა კარზე... ყველაზე გულგასახეთქად მაშინ,



სწორედ მაშინ გამოჩნდება ხოლმე სეტყვის ღრუბელი, მაშინ იწვევს ბაზარზე დასაკლავი თხის ფასი... ამ დროს ხალხი ვენახებშია გაკრეფილი ღამედგომით, ჩვენი სარჩო-საბადებელი აქ გვეგულება და შინ რაღა გვინდაო.

ერთხელაც, ადრეულა ყურძენი რომ მოილია და რქაწითელაზე მიდგა საქმე, იმ ხანებში ცუდად აირია ღრუბელი. ისე ჩამოცხა, ხალხი შეფიქრიანდა, უეჭველად რაღაცა ოხრობა მოიქნევს კუდსაო, ეჭვს ისიც აღვივებდა, შემოდგომის გალუული ბუზები მწარედ იკბინებოდნენ და აღარც პეპლები დაფარფატებდნენ რუების პირპირ.

ერთ დილით ადამა პაპა დათიასა და ლექსოს დაეხმაურა, ჩემი თიკანი სადმე ხომ არ დაგილანდავთო. გუშინ უკან მიგდევდა, დღეს კი, ღეთის წინაშე, თვალი არ დაგვიკრავსო. მიდგა-მოდგა ადამა პაპა, სადაც არ ეგულებოდა, იქაც მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერსად მიაკვლია. დაიკარგა თიკანი! წელან ქოხთან იკინებოდა, ცოტა წამთვლიმა, მალევე გამომღვიძა და, რა ვიცი, მიწა როგორ ჩაყლაპავდაო. ამას ხმამაღლა ამზობდა, გუნებაში კი დათიასაც აგინებდა და ლექსოსაც, მაგათ მეტი ამ ახლო-მახლო ხელმრუდე არავინ დაბოგინობს, მე მაგათი ასე და ისეო, ეგრე და იგრეო. წავიდე და მილიციაში გამოვაცხადო? ვაი თუ ვერაფერი დაეუმტკიცო, მერე ხომ სულ გამაჩანაგებენ ვენახიან-სახლკარიანაო...

გულს ეწყინება თორემ, თიკანი მაინც თიკანია, ბევრი არაფერი ღირს, მაგრამ, აი, ცა რომ მოიქუფრა და ქექა-ქუხილსაც მოუხშირა, ამან შეაფიქრიანა თუ შეაფიქრიანა ადამა პაპა. დილას აქეთ მზე ველარ გამოეტია ღრუბლებიდან, ან რას გამოაღწევდა, სქელი ღრუბელი ჩამოეთარა, შავი, ჩახვეული ღრუბელი.

შუადღისას ისევ დატრიალდა ადამა პაპა, იქნებ თიკანი ვიპოვოო, მაგრამ არაფერი გამოვიდა — დაიკარგა და მორჩა! მთავარი მაინც ის იყო, რომ ვიღაცა შინაურის ხელი ერია, თორემ

მთებშიდან ვინ მოვიდოდა თიკნის მსაპარად. ვაი, რა ვუთხრა ქუჩაზე დაგდაგვარებულ მეზობელს! არის, კაცო, საკუთარ ბალიშში რომ ბომბი გედოს!

სადამოთი ცივმა ქარმა წამოუბერა. ადამა პაპა ქოხში, ტახტზე იყო წამოწოლილი. ხმელი ჩალა-ბულა რომ დაუტრიალა თვალებთან, მაშინვე ჩამოვარდა, გარაცრაცდა ვარეთ და ცას ახედა, ჩაშავებულ ცას. მერე ლექსო და დათიაც გაახსენდა, მივალ, გავიგებ რას აპირებენო. მივიდა თუ არა კარავთან, იქუხა კიდევ ქვემეხმა და შიშინით გავარდა რაკეტა.

პაპამ ნეკერჩხლის კენწეროს გახედა, ჩრდილოეთით დადმოხრილიყო. როცა მეორედ ესროლეს ღრუბელს, ველარ მოითმინა და დასკუვილა:

— რატომ ესვრით, თქვე ოჯახდაქცეულებო!

— სეტყვისაა, პაპავ, — მშვიდად უპასუხა ლექსომ.

— განა არ ვიცი, მაგრამა, რამ დაგიბრმავათ თვალები, ვერა ხედავთ ზევით მიიმუქრება?!

— შენ რა იცი?! — გაიოცა დათიამ.

— ქარი ქვეიდან უბერავს.

— ტექნიკის განვითარებას ხელს რატომ უშლი, მოქალაქევ!

მალე მესამეც ესროლეს, მეოთხეც, მეხუთეც...

— ნუ ესვრით, ხალხნო! — იხვეწება ადამა პაპა, — თავისთვის მიღის სხვა მხარესა, რას ერჩით!.. არ გააბრაზოთ და აქეთ არ მოაბრუნოთ!

ლექსოსა და დათიას გაუჩნდათ სიცილის მიზეზი. ადამა პაპა კი ვიშვიშებს, ბუზლუნებს და ნატრობს:

— აფსუს, ჩემო თიკანო, ვის ანაბარა დაერჩი?! — თან ნეკერჩხალს გახედა და გული გადაუტრიალდა, სამხრეთისაკენ გადაუხრია კენწერო, — ავი ვთქვი! აქეთ შემოაბრუნეს ამ ნაცარქექიებმა, ლოთებმა და უმაქნისებმა!..

პარლო კოვარიძე
თეთრი თიკანი

ზრიალით მოიწევს სეტყვის ღრუბელი. შორიდან ისე მოჩანს, თითქოს ცას შავი, თეთრზოლებიანი სვეტები შეუდგესო. ჩამოწილილი ნისლი აღარ მოიპარება ხევიხევ და კენწეროებს აღარ აკენეტს მწვანედ წამოშლილ ხეებს, ცივი ნიავე უბერავს. ის ნიავე უცებ იქცევა ქარად, ერთბაშად რომ ახმაურებს მიდამოს და მტვერსა ხეებს გზიდან. მტვერი ვენახების თავზე მიიგრანება; სიმინდებს ნაცრისფრად აშრიალებს... ჩიტებს ყივყივი ავიწყდებათ, სამაგიეროდ საქონელს აბლავლებს. ყველაფერი წრიალებს, სულიერიც და უსულიც: ხეები საცოდავად იმტვრევენ ტოტებს, ერთმანეთს ეფარებიან ბუჩქები, ერთმანეთს აწყდებიან ვენახის მწკრივები, სიმინდები... ბურთად აგორდება ხოლმე კატაბარდა და ძუძუმცავალა... ფარას თავს ველარ უქცევს მეცხვარე, ნახირი სოფლისაკენ მიიბლავის... გაფითრებული მეზვრეები ცისკენ იხედებიან. მჭახედ დაგრუხუნებს ცა — ზოგჯერ ისეთი ხმაც მოისმის, გეგონება, წმინდა ელიამ ეტლი ოღროწოლოდ გზაზე მიუშვავო... დაგრუხუნებს გაავეებული ცა და ჰორიზონტი წითლად ინავლება...

ჯერ ბრტყელი, ცივი წვეთები წამოუშინა, მერე იმ წვეთებს სეტყვა გამოერია და მალე ცამ ზრიალი მოიღო. ერთიანად ჩამობნელდა. მსხვილი კოხირეგავს ყველაფერს, ამტვრევს და ხლეჩს. შეთვალული ყურძენი ჩაიჩეჩქვა, მარცვალი მიწაზე გაიფინა. რომც აკრიფო, მაინც არ ღირს, ღვინოდ ხომ არ გამოდგება და არ გამოდება, საარყედაც არ ივარგებს.

ქვემეხი გრუხუნებს. ტყლაშენით გავარდება ხოლმე რაკეტა, მაგრამ სეტყვას არაფერი ეტყობა ცადავლისა.

აღამა პაპამ ხელები დაიფარა თავზე, ქოხში შელასლასდა, ტახტზე წამოწვა და ზურგი მიუშვირა კარს, თვალები დახუჭა — ნეტავ სიზმარი იყოს, უქმური სიზმარიო. სეტყვის ზრიალი მატულობს — გადასაღები პირი არ უჩანს,

თუმცა ეხლა სულ ერთია, მორჩა, ჩაიარა მთელი წლის წვალეზამ იმედმა, დიმილიმა...

არხი წყლით მოპიპინდა. მსხვილი სეტყვა ცვივა არხში და პატარა, უამრავი შადრევნით ავსებს.

ფოთოლი აღარ შერჩა ხეს. სიმინდი გაშიშვლდა და ახლა ქარის წამოქროლზე აღარ შრიალებს — ტყაცუნობს. ვაზი ლერწად იქცა. ტყემ სიმწვანე დაკარგა, კირქვიანი კლდეები კი ისევ თეთრად იხედებიან...

ლექსო და დათია, კარავში წვიმა ჩამოდისო და, ადამა პაპას ქოხში შეცვივდნენ გალუმბულები. პაპამ გაიგო მათი მისვლა, მაგრამ არც გაჩუჩუნებულა. მხოლოდ მაშინ, სეტყვამ რომ გადაიარა და ახლა ალაზნგაღმა სხვებს დაასხა ჭირის ოფლმა, მკვირცხლად წამოჯდა:

— დამეკარგენით აქედან, მე თქვენნი!..

— ჩვენგან რა გინდა?! — მხრები აწულა ლექსომ.

— ქოხი ჩემია და არ გიშვებთ!.. რატო თქვენი პატრონი არ გადაქუხდება!

— ადე, კაცო, — წამოდგა დათია, — გააგებიან რამეს?!

— არა, თქვენა მყავხართ დალაგებული ხალხი!..

უსიტყვოდ გამოვიდნენ გარეთ. ისე გაიარეს საურმე, ვენახისაკენ არ გაუხედავთ...

მეორე დღეს მზემ ისე გამოანათა, ორთქლის ბურში გახვია მიწა. გადმოიხედა მზემ: კარავი ისევ ისე იდგა, ადამა პაპას ქოხიც, ქვემეხიც, კარავთან ისევ ორი კაცი დაჩალიჩობდა, მაგრამ იმ ახლო-მახლო არ დაფუტუფუსებდა ქოხის პატრონი.

მთელი მეორე დღე ელოდნენ დათია და ლექსო. ელოდნენ, მონატრათ ბერიკაცი. დალოდნენ, რამე უბედურება ხომ არ აიტეხაო. მაგრამ გულს ის უმაგრებდათ, კვირა დღე იყო და, ჩვენს მეზობელს ბაზარზე სიარული უყვარს კვირაობითო.

მესამე დილას გაიხედეს და ხედავენ, ბერიკაცი მოიკაცება, უკან შავი, უწყ-



ლოდ შავი თიკანი მოსდევს, მოსდევს
კი არა, მოათრევს: სარეცხის თოკის ნა-
ჭერი მოუბია კისერზე და ძლივს მოეჭა-
ჩება.

კარავს რომ ჩაუარა ბერიკაცმა, გა-
მარჯობათო და, მუხლის ჩახრაზე არც
უფიქრია, გზა განაგრძო. ველარ მოით-
მინა დათიამ და დაეხმარა:

— რა არის ეგ, ადამო?!

— თიკანია, — უკანმოუხედავად უპა-
სუხა.

— რალად გინდა, კაცო?!

— ბალები ხართ, ლაწირაკებო, ბალები
ლები!

— რათაო?!

ბერიკაცი მოტრიალდა, ქვეშქვეშ
გაპხედა დათიას;

— განა ეს არის და ვკვდები, მემრი-
საც აქა ვარ, ამ ვენახში! გაიგე, რეგვე-
ნო!

სხვა დროს დათიასაც გაეღიმებოდა,
ლექსოსაც; მაგრამ ახლა რატომღაც
ხასიათზე ვერ იყვნენ.

მთებზე თეთრი, თეთრი ქულა ღრუბ-
ლები ირეოდნენ.



ვიდრე ვართ ქვეყნად

ჰქონდეთ მარადის ნანატრი დარი,
 ალბათ ხეები ძილშიც ნატრობენ.
 თურმე დაჩაგვრა ლამაზი ქალის.
 ისევ ლამაზ ქალს ძალუქს მარტოდენ.

ალბათ მდინარეს, ნისლად ანაორთქლს,
 ისევ მდინარედ ელის მდინარე,
 ცისა და მიწის შუა ვქანაობთ,
 რა გინდ შორს გავცდეთ მერიდიანებს.

ალბათ თავის ჯერს თუ უცდის რიდით
 ყაყაჩოს თესლი, ხნულში დამცხრალი.
 ყველა ნუშის თუ ალუბლის კვირტი
 არის სიცოცხლის თითო მარცვალი.

თურმე წაქცევა ყველა მინდორზე
 შრიალით იცის ყველა ჭადარმა.
 რასაც შენ გულის გულით იგლოვებ,
 სხვების გულამდე თურმე არ დავა.

მხოლოდ მიწაზე უნდა ვეძებოთ
 სიკვდილ-სიცოცხლის დაქორწინება.
 ვიდრე ვართ ქვეყნად, არ მოგვწყინდება
 დამარცხება და აღორძინება.

ან რა გული მომიტმენს

ზამთრით ხელმოცარული
 ზაფხულს მწარედ ველოდი,
 ყველგან ხე მოცვარული,
 შუქი მწვანე ველების.
 მუხლმა უხვად იწვნია
 შიში სავალ ბილიკზე,
 წავალ, მუხრან-წიწვიანს
 ფეხით დავაგვირისტებ.
 ზღვა საფიქრალს მომცემენ
 გზები ანაზღეული.

წავალ ზამთრის ოცნებებს
 მზეში გავამზეურებ.
 ან რა გული მომიტმენს,
 წავალ, სადაც მივლია.
 ჩანჩქერები ოდითვე
 ტყეთა ძველი ჰიმნია.
 ან რა გული მომიტმენს,
 მოველ, არ დავგვიანდი,
 შემომბლავის შორითვე
 ორი არაგვიანი!

ეს იყო მაშინ

ეს იყო მაშინ,
არხოტის მთაში,
მზისფერ უბეში სურვილი ვმალე,
თეთრი იები მეკეთა თმაში,
ვერსად ვმალავდი მზენასვამ თვალებს.

შენს გაუხედნავ ბილიკს —
შიშისმგვრელს,
სად არ შეეხვდი და
სად არ ვაჯობე.
შორს თეთრი მთები,
როგორც სიმშვიდე,
გულმშვიდად იდგნენ
სადარაჯოზე.

ჩვენ არ ვეძებდით
სეფას და დარბაზს,
სიზმრები გეჭონდა
მინდვრების ფერი,
მხოლოდ ყვავილებს
ვეძებდით ხარბად.
მხოლოდ დიმილი
გვინდოდა ბევრი!


ეს იყო მაშინ,
არხოტის მთაში,
წვიმის წვეთები
მეკეთა თმაში,
შემოგვლევია მზე-თაფლის კვერი,
გაუქმებულა კალო და კვერი.
გაგვხუნებია სიზმრების ფერი,
მხოლოდ ტკივილი შემოგვრჩა ბევრი.





და ისე მოხდა, რომ ჩემმა მბრძანებელმა, მიუწვდომელმა და ყოვლისმცოდნემ, უხმომ, დაფარულმა, სწორედ ამ ქვეყანაში გამომაგზავნა. მე, მტვერი ფერხთა მისთა, მარად უძღური მის იღუმალ სიბრძნეთა წინაშე, მორჩილად ვისმენდი ძუნწ, მკაცრ დავალებას და ზურგი რომ შემეპქცია, მე, ამჩატებული, მბრძანებელივით უხილავი და მოთვალთვალე, ნიავად ავედევენე კოპწია ხომალდს და ჩემი წყალობით იალქანი ამაყად გამოიბერა. ანძის სიმალიდან დავცქეროდი უცნობ, ფერადჩალმიან ადამიანებს, და მოოჰვილ სარტყელზე

მოქანავე გაზნეჟილი ქარქაშის მიხედვით ხმლის გამოცნობა რა იყო ჩემთვის, — არაფერი. ეს კი არა, მე ისიც ვიცი, ამპარტავანმა კაცმა თუნგი რომ მიიყუდა, რამდენი წვეთი შარბათი შესვა, მე სახელიც მაშინვე გავიგე მისი — სიდ ბენ იჯნალი. არა მგონია, იმასაც სცოდნოდა ჩემი იქყოფნა, თუმცა პირველივე სიტყვა, მისი თხელი ტუჩებიდან მომწყდარი, ჩემი სახელი იყო: „სიმართლე რომ ითქვას“... ასე წარმოსთქვა მან, მე — სიმართლე ვარ, ხანდახან სინამდვილესაც მეძახიან, მაგრამ ეს სახელი, სიმართლე, უფრო მომწონს,



მე — სიმართლე ვარ, ყველგან მობარულე, მოხეტიალე, უჩინარი მოწმე, ყოველივეს დამნახავი მაწანწალა, ვერაფერი გამოაცხებს, არც იმას გაუტყვირებთ ვარ, თანამოსაუბრე ბენ იჯნაპალს ჩემი მბრძანებლის სახელით რომ დაეთანხმა: „ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება“, ასე დაეთანხმა თანამოსაუბრე სიდ ბენ იჯნაპალს.

და მაინც, ხომალდზე, მოწყენით ვიყავი, აბრეშუმის ნაზ იალქანს მსუბუქად მიყრდნობილი. აქ, როგორც ყოველი მგზავრობისას, ადამიანები ნაკლებად წააგავდნენ თავიანთ თავს — თუმცა მშვენიერი დარი იდგა, გულის კუნძულში მიმალული დაღუპვის შიში აიძულებდა მგზავრებს, უფრო უკეთ მოქცეულიყვნენ, ვიდრე საერთოდ სჩვეოდათ და თავაზიანად მასლაათობდნენ, ამყმა ბენ იჯნაპალმაც კი, მთელს ისპაჰანში სიმდიდრით განთქმულმა კაცმა, ჩვეულებრივი მოკვდავივით აღნიშნა — „სიმართლე რომ ითქვას, ხომალდზე არა ცხელა“, ასე აღნიშნა მან. და იქვე მდგარმა ასისთავმა, მდიდარი კაცის უშუალოდობით აღტაცებულმა, მაშინვე კვერი დაუკრა: „ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება“... უგუხურო! მეც კი, თავად სიმართლემ, არ ვიცი მბრძანებელი.

მერე მე მხარი მოვიანაცვლე და ცას დავუწყე თვალთვლება. თვალმოჭუტული შევცქეროდი მზეს, ღრუბლებს, ვინ იცის, მერამდენედ ვათვალთვრებდი გავარვარებულ დისკოს, მე ვიცოდი მისი ზომა, მოცულობა, სიძლიერე, გზა მისი — მრავალჯერ ამოწვარი და მაინც უხილავი, ვიცოდი მისი სიჩქარე, ლაქები და დანიშნულება და ყოველივე ამის მიუხედავად, შემხარავი იყო იმის გაფიქრება, რომ მე მაინც არ ვიცოდი, რა იყო მზე — ან როგორ შეიქმნა, ან რამ გაათბო... დაძაბული და აფორიაქებული, იქამდე შევცქეროდი, სანამ ზღვის მიღმა დიდებულად არ ჩაეშვა და გაუჩინარდა თუ არა, წითლად შეფერილ დასალიერს თვალი ავარიდე და ცა მოვათვალთვრებ. მე შევცქეროდი ღრუბლებს, თანდათან რომ მუქდებოდნენ და

მოწოლილ სიბნელეში თითქოს გამკვირვდნენ, მაგრამ მალე სრულად გაუჩინარდნენ, ვპოულობდი მბრძანებლის სკვლავებს, უწესრიგოდ რომ ჩნდებოდნენ ღამეულ ცაზე და სუსტი ციავი თვალს მიმშვიდებდა; მე რომ სიმართლე არ ვყოფილიყავი, შეიძლება ისიც კი მომჩვენებოდა, თითქოს ცაზე დამსხვრეული მზე მიმოპნეულიყო, მაგრამ მე არა მქონდა ამის უფლება და მხოლოდ ის მიკვირდა, ამ შორეულ და ამოუცნობ, მაგრამ მიწიდან მაინც ერთნაირ კაშკაშს როგორ დაარქვეს ადამიანებმა ისეთი განსხვავებული სახელები, როგორცაა მეეტლე, ქალწული, ღრიანკალი... და რადგან ბნელოდა, და ღამე იყო, მსუბუქად ჩამოვცურდი ანძაზე მე, უხილავი, და ხომალდის პაწია ოთახები დავიარე — ძალიან მიყვარს ადამიანების თვალთვრება, როცა პირველი ძილით მიყუჩდებიან ხოლმე. მე დაცქეროდი მოქანცულ მეზღვაურს, მართალი დაღლილობით გარუჯულ სახეზე და ამ კუთვნილი ძილით მოხიბლული, მის საწოლთან კარგახანს ვტივტივებდი და მძიმე ჰაერი ჩემითაც გაიჟღინთა, მერე მივადექ თვით სიდ ბენ იჯნაპალს, ვისი ერთადერთი ვაჟიშვილის გამოც ამ ხომალდს დამადევნა მბრძანებელმა, მერე ზიზღით ავათვალთვრებ პირდაფჩენილი ასისთავი და მისმა უსიამოვნო გამომეტყველებამ ისევ მღვიძარი ადამიანი მომანატრა და აჭრიალებულ საქესთან გახევებულ, ყვრიმალეზდაბერილ მეზღვაურს, ჯიუტად რომ იცქირებოდა სიბნელეში, ნაზად შევეხე მხარზე. მერე კი, ხომალდზე მყოფთა ფშვინვითა და დაბუყებული სახეებით გაღიზიანებული, მიყუჩებულ ზღვაში გადავეშვი და მთელი ღამე მხიარულად დავდევდი უზარმაზარ, გაცელქებულ თევზს, მოქნილი კუდით ღონივრად რომ აპობდა ზვირთებს და ამოხტომისას გლუვი ზურგი უპრიალებდა.

გურამ დონანაშვილი
მხიარული გორცნი

დიდი ქალაქი, ისპაჰანი, გმირთაგმირს ხვდებოდა.

მე დავნავარდობდი მეჩეთებიან ქალაქში, ხან დავძვრებოდი ხალხში, დიდიან-პატარიანად რომ გამოფენილიყვნენ ქუჩებში და მათი ერთსულოვანი ქებათა-ქება მესმოდა — ყველას პირზე ეკერა გმირთაგმირის სახელი; ხან ავიტრებოდი ზემოთ, დავცქეროდი ისევ მათ — ამსიმალიოდან დაპატარავებულებსა და ერთნაირებს, მერე მე დავინახე, როგორ გაიფინეს ფერადი ნოხები და ლოცვას შეუდგნენ და სიოდ შევცხე მეჩეთის კენწვროდან გადმომდგარ მოლას, ვისი ტკბილ-გამყივანი მოთქმაც შუადღის ხვატში სქლად გაიყვინთა. ყველა გაიტრუნა, თითქოს ყოველივე გადაავიწყდათ, მე კი ერთი სული მქონდა, სანამ გმირთაგმირს დავინახავდი — მე ხომ ვიცოდი, რა როგორ იყო... არად მიღირდა, შესახვედრად რომ გავქანებულყავ, მაგრამ მისი დანახვა სწორედ აქედან, ამ ხალხთან ერთად მიხლოდა და აფორიაქებული, მოუთმენელი, მიწის პაწია ნასვრეტებიდან ღრუბლებამდე დავქროდი და ღრო ასე გამყავდა. და როცა შორს, გზაზე, მტვერი აიზიდა, მე დავინახე თვით გმირთაგმირი, რომლის სახელსაც ამ ორი დღის უკან სანუკვარი სიტყვა „ხანი“ დამემატა — მტვრიან გზაზე, დიდებული ეტლით, თვით არებ ხანი მოდიოდა! იგი იღგა ინდოეთიდან ჩამოყვანილი თეთრი ხარებით შეკაზმულ ეტლში, რომლებმაც აჯილდა ცხენებივით მსუბუქად სირბილი იცოდნენ, თავდახრილებს, წითლად შეღებილი რქები წინ გაეშვირათ და ვაი იმას, ვინც ეტლს გზაზე გადაუდგებოდა.

სატანტო ქალაქი, ისპაჰანი, გმირთაგმირს ხვდებოდა, ეტლის გამოჩენისთანავე ძალიან გრძელი საკრავები — კერენაი ცისაკენ აიშვირეს ღონიერმა მუსიკოსებმა, ჩაჰბერეს და მეც კი, თავად სიმართლეს, სხვა დროს ასეთი შემზარავი ბღავილი არც კი გამიგია. მაშინვე დაირბინა, ბუკები და დაფდაფები

აჰყენენ კერენაის და ამ წარმოუდგენელ ღრიანცელში მე მაინც ვაჯილდა რალაცა უცხო, ველური ჰაერითა და ყოზა, არებ ხანსაც მსწვდა ეს ხმები, რადგან წელში უფრო გაიმართა. იგი ქალაქში შემოდოდა დემავენდის მთის მხრიდან, მდიდრულად გამოწყობილი ხუთი ათასი მხედარი ჩამწკრივებულიყო გზის პირას, ქარი კი ქროდა და მტვერი სახეში ეხლებოდათ, მაგრამ ვინ შეატოკებდა თავს — მეჩეთებიან ქალაქში გმირთაგმირი შემოდოდა!

მთელი ქალაქი გამოფენილიყო მთავარ გზაზე, არებ ხანს ალტაცებულნი შეჰყურებდნენ მღებავები და ვაჭრები, პატივისცემით აღვსილი მეომრები, ასეთი დიადი ზეიმით განცვიფრებული ფეიქრები, თვალეზი უელავდათ პირაკრულ ქალებს, მაიდანელი უსაქმურები ჩალმებს ჰაერში ისროდნენ და თვით აულელვებულ სიდ ბენ იჯნალს თვალზე სიხარულის ცრემლი უქიაფებდა. „მეგობრობა — ამბობდა ხანდახან ბენ იჯნალი, — ნამდვილი მეგობრობა — აი ერთადერთი, რაც კი ცხოვრებაში არის“. ასე ამბობდა ბენ იჯნალი, არებ ხანი კი მეგობარი იყო მისი. ახლა სად მეცალა, თორემ მის ერთადერთ ვაჟიშვილს, პირდაფჩენილი ისე რომ გახევებულიყო, თითქოს რაიმეს ფიქრობდა, უკეთესად შევათვალეირებდი, მაგრამ ამ წუთას მაინც არებ ხანი მაინტერესებდა, თუმცა, ამ ქვეყანაში მბრძანებელმა სწორედ ბენ იჯნალის ვაჟიშვილისათვის გამომაგზავნა. ერთი მაინც ახედ-დავხედე და გამიკვირდა — ღირდა კი ამ ლოქოსათვის ამსიშორეს წამოსვლა? მაგრამ მბრძანებელს უკეთ მოეხსენება ყველაფერი და იმ იმედით, თეთრ ფარჩაში გამოწყობილ ყმაწვილს სხვა დროსაც რომ ვნახავდი, ისევ არებ ხანისაკენ ვაქანდი — იგი კი, მზისა და მტვრისაგან თვალმოჭუტული, ოფლით დაცვარული, გაჯგიმულიყო და მაინც ზანტად ათვალეირებდა ალტაცებულ ხალხს და დაბინდულ მზერაში უცებ კმაყოფილება გაიკლავნა: მართლაც რომ მეფური იყო შაჰის საჩუქარი — არებ



ხანისავენ ოცდაათი საუცხოო ცხენი მოჰქროდა, ზურგზე ფოცხვერის ტყავი ეფინათ; დაოთხილი ცხენები, ოქროს ლაგამითა და ბრილიანტებით მოოჭვილი უნაგირებით, ყოველ ცხენს კი, რაც მთავარია, ლამაზი ქალი მოაგვლებდა. ბულში მოჩვენებასავით ატივტივებულ მხედრებს ყვრიმალედაბერილი ათვალიერებდა არებ ხანი, პირბადე კი არ ჰქონდათ ჩამოფარებული — ხავერდის მჭიდროდ შემოტმასნილ შარვლებსა და გამჭვირვალე აბრეშუმში გამოწყობილნი, თავად საჩუქარნი, მხიარული ყიფინით მოაგვლებდნენ ნაჩუქარ ცხენებს და ახტუნავებული ოქროს ყელსამკაულები ალაგ-ალაგ მოულოდნელად ფეთქდებოდნენ მზეზე. და მომავალ ნეტარებათა თვალნათლივმა წარმოდგენამ უფრო მოუქუფრა სახე გმირთაგმირს და ჰქვედა ტუჩი ძალიან ნელა, სიამოვნებით აილოკა. მოახლოებულმა მხედრებმა მარჯვედ შეაჩერეს ცხენები და ავარდნილი ბული რომ გაიკრიფა, თაყვანი სცეს ახალ პატრონს და ეტლს აედევნენ, ქალაქის კარიბჭესთან კი საუცხოოდ მორთულ, დამჯერ აქლემს ტანმომცრო მსახურმა მუხლზე მსუბუქად დაჰკრა ჯოხი და მორჩილმა პირუტყვმაც მაშინვე ჩაიჩოქა. არებ ხანი ეტლიდან გადმოვიდა და გოროზად მოკალათდა ორ კუხს შორის კოხტად ჩაგებულ, გედის ბუმბულით დატენილ ბალიშზე. აქლემი წამოდგა და თანაბარი, ძლიერი რწევით ქალაქში შეიყვანა არებ ხანი, ჯანმრთელმა მუსიკოსებმა უფრო ააბლაგულეს კერენაი, დაირასაც მომეტებულად აჩხაკუნებდნენ — დიდ ქალაქში ეყვნებოდა და ზანზალაკებით აქლერიალებულ აქლემზე ამყად მჯდარი შემოდისოდა... თუმცაღა, კმარა, მე აღარ შემიძლია ვახსენო ეს გაპრანჭული სიტყვა „გმირთაგმირი“ — მეჩეთებთან ქალაქში პროვინციიდან აფრენილი ავაზაკი, არებ ხანი შემოდიოდა.

ყურად აღარ ვიღებ აღფრთოვანებულ შეძახილებსა და ტაშისცემას, თვალს აღარ ვადევნებ ჰაერში აფრენილ ბრჭყვიალა ჩალმებს, მე ვათვლიერებ

სოფელს, სადაც იზრდებოდი. ჰეი, არებ ხან, არებ, ავაზაკო... შენ დაიბრუნდებიან, დამყაყებულ სოფელში, რომელსაც მორდოვი ერქვა. მიწა იქ არ ვარგოდა და წყალი, საქონელიც შიმშილით გეხოცებოდათ და, მშიერ-მწყურვალებს, ჩამოძენდილებს, ნესტიან მიწურებში თვალეზილამებულებს, წვალეზამ და გაქირვებამ გასწავლათ, რომ არაფერზე გეფიქრათ და შენი სოფლელები, ცივ ღამეებში ცეცხლის პირას გახევებულნი, ვერაფერზე ფიქრობდნენ. შენს გულუბრყვილო თანასოფლელებს ხანდახან ცხელი კერძი თუ ეღირსებოდათ, საქმელს სულს არ უბერავდნენ, რატომ, რისთვის, არ ვიცი, ასეთი იყო მათი ერთადერთი გულუბრყვილო წესი, თავისით უნდა გაციებულყო ნანატრი კერძი და მოლოდინისას ისევ და ისევ ცდილობდნენ, არაფერზე ეფიქრათ. ასეთი იყო შენი ხალხი — შიოდათ, ციოდათ, წვალობდნენ, თვლემდნენ, შენში კი, ავაზაკში, მთელი სოფლის დასვენებულმა სისხლმა იფეთქა და დიდ ქალაქს, ისპაჰანს მოაშურე, რომელიც ახლა აღტაცებული ღრიალით გხვდებოდა და ოთხკუთხა სახლების ერდოებიდან ვარდებსა და ყაყაჩოებს გესროდნენ, შენ გესროდნენ, ჩაჭაობებული სოფლიდან აფრენილო ავაზაკო. დიდ ქალაქში რომ მოხვდი, ერთხანს ყველაფერს დიდის გულისყურით აკვირდებოდი და სწრაფად აულე ყოველივეს ალლო — შეილდისრის ხმარება მშვენივრად შეისწავლე, იცოდი, სად უნდა ჩაგეცა დანა მტრისათვის, მლიქვნელური ლაპარაკიც დიდებულად აითვისე, გულუბრყვილო კაცად მოჩვენების ძნელ საქმესაც ზედმიწევნით ფლობდი და გამძვინვარებულ ვაჟკაცსაც ხშირად თამაშობდი სხვების დასაშინებლად. ისე, ძნელი გზა კი გამოიარე, უცნაური იყო შენი გზა, ხიფათით მოფენილი — კაციც მოგიკლავს და პანდურიც მოგხვედრია. მაგ თავზე, ახლა რომ


გურამ დონანაშვილი
მხიარული ბოცვი

ალმასის თვლიანი ჩალმა გადევს, ირბი ნაქდევი გეტყობა, რაც შენ მაშინ სისხლი დაღვარე... არ შეშინდი კი, რაც მართალია, მართალია, მერე უცებ ისე მოხდა, რომ ყველაფერში გაგიმართლა და თვით შაჰის კარზე მოხვდი, რა ღრიალია, ეს შენ გხვდებიან აღფრთოვანებულნი, არებ ხან, გამირთავმირო...

პირველ ხანებში წვრილ-წვრილ საქმეებს გავალბდნენ, როგორც იყო საექვო პირთა თვალყურის დევნება, ვისიმე მოკვლა, საიდუმლო ბრძანების წაღებ-წამოღება, მერე კი, გულმოდგინეობით თავი რომ გამოიჩინე, შაჰის ამალაში შეგიყვანეს. დათაფლული ენა გქონდა, არებ ხან, მაგრამ შენი უსიამოვნო, ჭროლა თვალეები ერთხელ აშკარად არ მოეწონა ახალგაზრდა შაჰს და მისი გულის მოსანადირებლად უჩვეულო, გასაოცარი საქმე გადასწყვიტე — შეთქმულება. მშვენივრად იცნობდი რუსტამ ბეგს, გულიანი სიცილი იცოდა. გულუბრყვილო და მიმნდობი იყო, მაგრამ საოცრად ამაყი და გაბედული. და როცა შაჰმა ერთხელ სიმთვრალეში ხელუკუღმა სთხლიშა, მას შემდეგ დამცინავად შეაქტერდებოდი ხოლმე და როცა იგრძენი, საბოლოოდ რომ აემღვრა გონება, მიიხედ-მოიხედე, მერე თანაგრძნობა აღიბეჭდე სახეზე და მომავალ მეჯლისზე შაჰის მოკვლა შესთავაზე. ალუთქვი ისიც, რომ მაშინვე გვერდში ამოუდგებოდი და გამოაცხადებდი, რომ შაჰს ყველა იქმყოფი ხანის სიკვდილით დასჯა სურდა, ეს კი ნამდვილად იცოდი — საიდუმლო ბრძანება შაჰის ხალათის ჯიბეში იდო; ამიტომ აღშფოთებული ხანები აუცილებლად მოგემხრობდნენ, როგორც სიცოცხლის გადამრჩენელს, ახალგაზრდა შაჰის ნაცვლად კი სხვას ამოირჩევდნენ, რომელიც ალბათ, ამ ამბის შემდეგ — აქ ისევ დამცინავად შეაქტერდი — ხელუკუღმა გართყმას ველარ გაგიბედავდა. წამოჭარხლებულ რუსტამ ბეგსაც დიდხანს აღარ უფიქრია, გაქვავებული სახე შენკენ მოატრიალა და უხმოდ დაგიქნია თავი. და როცა მეჯლისზე, მთელი ისპაჰანელი

დიდებულების თანდასწრებით, შენ და შენი თანამზრახველი შაჰის სურგუსტუნ იდექით, და როცა შეატყვევებოდა რომ შეთერნენ, მოლოდინით აღსავსე რუსტამ ბეგისაკენ გაიხედე და ოდნავ დაუქნე თავი. იმანაც მაშინვე ისკუპა და ალაპლაპებული ხანჯალი რომ შემართა, ის იყო, უნდა დაექნია, მაგრამ შენც ისკუპე, მარცხენა ხელი მაჯაში სტაცე, მარჯვენათი კი ყელში ჩაეცი შენი წვრილი, გრძელი დანა და სამჯერ დაატრიალე. თან წელზე შემოხვიე ხელი. ფეხის წვერებზე შედექი და, თავგადავარდნილს, თვალეებში ჩახედე. მსხვერპლი სუსტი გაკვირვებით ამოგაქტერდა და სანამ განცვიფრებასა და აღშფოთებას გამოხატავდა, სული დალია. რისხვისაგან გაფითრებულმა შაჰმა შემოგხედა, გიყურა, გიყურა, შენ კი მიამიტი, ერთგული გამომეტყველება დაიბრუნე და, სისხლში ამოთხვრილი ტანსაცმლითა და ხელებით, უწყინარი მღებავივით იდექი შეტებუებული დარბაზის წინაშე.

ახლა კი, შაჰის სიცოცხლის გადამრჩენელს, ზემი მოგიწყო დიდმა ქალაქმა და ისპაჰანის აბდავლებულ ქუჩებში ამაყად შემოდიოდი, არებ ხან! გზადაგზა გართობდნენ, აქლემის წინ ყირამალა გადადიოდნენ მასხარები, ოინბაზები სხვდასხვა ხრიკებს გთავაზობდნენ, ინდოელი ქალები ცეკვისას დაუზოგავად აცახცახებდნენ სხეულს, ვარდები გაწვიმდა დაქანებულ მხრებზე, გამირთავმირო. შაჰის სასახლეს რომ მიუახლოვდი, არაბული ცხენი მოგიყვანეს, ადგილზე ცმუკავდა, ორი მსახური ძლივს იჭრდა, სანამ შეჯდებოდი. მთელს სპარსეთში განთქმული ცხენი იყო, შაჰის მეჩინიბეები ოქროს უზარმაზარი თასიდან ასმევდნენ წყალს. ცხენს თავაწყვეტა უნდოდა, მაგრამ მაგარი ხელი გქონდა, ნაბიჯით წაიყვანე. შაჰის სასახლესთან ჩამოქვეითი და დინჯად გაიარე საუცხოო ბაღები, ნუშისა და ბროწეულის ხეებით, შადრევნები სასიამოვნოდ აგრილებდნენ იქაურობას, პირთამდე სავსე მარმარილოს აუზებში უხვად ტი-



ვტივებდა ლიმონი, ატამი და ნესვი, კედლებზე წითელი ჩიტები და ყვავილები ეხატა და შაჰის დარბაზში რომ შეხვედი, კრიალა იატაკზე განერთხე. შაჰმა წამოდგომა გიბრძანა და პატივი დაგლო, მუხლზე გეკოცნა მისთვის.

... თარსა და ჭიანურზე უკრავდნენ, ლამაზი ქალები ჩანგს კენკავდნენ, შაჰი ალერსით შესცქეროდა გმირთაგმირს, მერე ღიმილით ჰკითხა:

— გიყვარვარ, არებ ხან?

გმირთაგმირსაც ბევრი აღარ უფიქროია, ისე უპასუხა:

— მარადძლიერი სიყვარული, ყოვლადძლიერო, — წარმოსთქვა არებ ხანნმა, — დაფარული უნდა იყოს, როგორც ზღვათა ფსკერზე ნიჟარაში ჩაქრული მარგალიტი.

მერე მზერა გველივით მოუცურა სახეზე და, კმაყოფილება რომ შეატყო, თავდახრილმა დაუმატა:

— მაპატიე, კარგად თუ ვერ გამოვთქვი ჩემი ჭეშმარიტი სიყვარული, ყოვლადძლიერო.

შაჰმა კი ტაში შემოჰკრა და ყურადღებად აფეთქებულ მსახურს ასე უთხრა: — ის საფირონი; მომიტანე.

ქალაქგარეთ, მინდვრებისაკენ გაქანდა, აღარ მინდოდა სასახლეში გაჩერება. ველარ გაუძეულ ამდენ პირფერობასა და სიცრუეს, ისედაც ვიცოდი, რითი დამთავრდებოდა ყოველივე ეს — ჯერ ტკბილელს მიართმევდნენ სტუმრებს, მერე ოქროს თეფშებს დაალაგებდნენ მაგიდებზე და ათასნაირ საქმელს ჩამოატარებდნენ. უხვად შეისმებოდა წითელი ღვინო, რომ გამოთვრებოდნენ, მაგიდებს წაიღებდნენ მსახურნი და, გამომტყვრალეები, იატაკზე წამოგორებულნი გაავრძელებდნენ ქეიფს. რაღა მინდოდა იქ, მთვრალების გნისი არაფრად მიღირს, ისევ ამ ბალახოვან ველზე ტალღად გადასვლა მერჩია და თუ გზადაგზა ბორცეს გადავაწყდებოდი, მსუბუქად ავიტრებოდი ხოლმე მალა. ამ ბორცვებს კი, რომლებზედაც სადა,

ფერადი ყვავილები იზრდება, მხიარულს ვეძახი. მრავლად მინახავს მტრულ ტიტვლებული, მკვდარი ბორცვები აქ კი, ისპაჰანის ახლოს, ბევრი იყო მხიარული ბორცვი და მათი ყურება თვალს მიხალისებდა. თანაც, ვისაც დავეძებდი, აქ რომ გადავაწყდებოდი, მთელი ჩემი უხილაეი სხეულით ვგრძნობდი და მოლოდინში სუნთქვა მეკვროდა.

ეს იყო სწორედ ის, ვისი შემჩნევაც მბრძანებელს ჩემთვის არ დაუვალვია და მაინც ვისაც აქამდე იმედგაცრუებული დავეძებდი მეჩეთებიან ქალაქში — მხიარულ ბორცვზე ამაყად შემდგარს შენ შეგცქეროდი, მაჰმუდ აალი!

მე მახსოვს შენი ფერმკრთალი სახე, შენი ხელები, დაძარღვული და გრძელთითა; შენი სახე და ყოველი ნაკვთი, შემე მომწვანო-მონაცრისფრო, შუქიანი თვალები, ახლა, მზეში მდგარს, ოდნავ რომ მოგეჭუტა და შუბლიც თითქოს შეკრული გქონდა; მე მახსოვს შენი თხელი, ფიქრისას დაბერილი ნესტოები, შენი ამაყად გამოქრწილი ყვრიმალეები და ნიკაბი, შენი წარბების შეტოკება მცირედ ხმაურზე და ოდნავ გაკვირვებული, შეეჭვებული სახე, სუსტი ღიმილით აბეუტებული; უბრალო ნაცრისფერი ჩალმითა და ფართო ხალათში გამოწყობილი, ამ ხალვათ სამოსში შენი შემხედვარე კაცი ვერ იფიქრებდა, ისეთი წვრილი წელი თუ გქონდა, ხანდახან კი, ათასში ერთხელ დონიჯს თუ შემოიყრიდი, მარაოდ აღიოდა შენი სხეული წელიდან ბეჭებამდე, ჩემო რჩეულო, მაჰმუდ აალი.

ყველაფერს მერჩია ახლა, შენთვის მეცქირა, საცა წახვიდოდი, კვალდაკვალ დაგვევნებოდი, შენს ირგვლივ მეტრიალა; შენ ვერ მხედავდი, მე კი ვიცოდი, როგორ გიყვარდი და მეც, თვით სიმართლეს, ამ ჭრელა-ჭრულა ხალხით გულგრილად მოდილს, შენს დანახვაზე სიყვარულმა დამიარა და ჩემით ათრთოლებული მუხლამდე ყვავილები ზვირთად მოგწვდა. შენი ყურება

ზურაბ დონანაშვილი
მხიარული გორცვი

ყველაფერს მერჩია, მაგრამ ვიცოდი, მბრძანებელი საიდანღაც კუშტად რომ დამცქეროდა.

სიდ ბენ იჯნალი სიმდიდრითა და გონიერებით მთელს სამეფოში იყო განთქმული. კაცი იყო, რა კაცი — ფული, გაგიხარია, ჰქონდა; დემავენდის მთიდან ჯიკიჯიკის ბორცვამდე იმისი რემა ბალახობდა, ბენ იჯნალის ფეიქართა ნახელავი აქლემებით მიჰქონდათ შორეულ ქვეყნებში და ოქრო და თვალმარგალიტი ხომ, იცოცხლე, თავზე გადასდიოდა. ეს კიდევ არაფერი, სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობითაც იყო განთქმული — მის ადგილას, სხვა ვინ დაიახლოვებდა არებ ხანს, როცა იგი ჯერ კიდევ უბრალო ავაზაკი იყო. როგორც კი ამაზრუნენ თვალეებში მიაჩერდა, იმავე დღეს ცხენი და იარაღი უბოძა და დახმარებაც აღუთქვა. არები ხშირად დაიარებოდა მასთან და ბენ იჯნალი ყოველთვის გულუხვად ასაჩუქრებდა. ხელგაშლილობით კი არ მოსდიოდა, შიში იყო, შიში. მანამდე არავისთვის მიურთმევია საჩუქარი, შაჰისა და ხანების გარდა, იმათ კი, ო, იმათ მართლაც დიდებულ ძღვენს უგზავნიდა. „ალაჰსა ვთხოვ“, დააყოლებდა ხოლმე საჩუქარს სიდ ბენ იჯნალი, „დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს მზისსადარ შაჰს და მისი ყოველი დღე კი ათას წელიწადს უღრიდეს“. ასე ამბობდა შენ იჯნალი, გულში კი ფიქრობდა: „თავის დაზღვევა და სიმშვიდე — აი ერთადერთი, რაც კი ცხოვრებაში არის“.

დილაადრიან თავის სასახლეში გავლა-გამოვლა უყვარდა ბენ იჯნალს — მოკლე ნაბიჯით დაიარებოდა კრიალა დარბაზებში და აუარება ავლადიდებას ათვალეირებდა. ყურადღებით შესცქეროდა ოქროულს, ძვირფას თვლებს, უცხოურ ბროლსა და ფუმფულა ბეწვეულს, „ქონება“, ფიქრობდა მაშინ ბენ იჯნალი, „აი ერთადერთი, რაც კი ცხოვრებაში არის.“ მაგრამ თვალი მაინც უცნაური რამაა და გულნაკლული ბენ

იჯნალი ხან აქეთ მიიხედავდა, ხან იქით ბოლოს კი უძრავი ქონების თვალეირება მაინც ბეზრდებოდა და მთავრად ნებისაკენ, ესე იგი, თავისი უბედურების ცოლის, სორეია ხანუმის აბრეშუმით გაწყობილ დარბაზისაკენ მიეშურებოდა. ოჰ, იმას კი გულის ძილით ეძინა. ახლა, როცა მცირედ ფშვინავდა, ოდნავ მოძრავი ქონება იყო, საერთოდ კი, როცა მიდი-მოდიოდა... მე თუმცა სიმართლე ვარ და ამიტომ თითქოს უფლება არ მაქვს, სხვადასხვანაირი შედარებები მოვიყვანო, მაგრამ იგივე სიმართლე მაიძულებს ვთქვა, რომ სორეია ხანუმი... ნესვივით ქალი იყო, — გრილი, ტკბილი, დასაწაფებელი. და დილაადრიან, როცა საერთოდ წინდახედული, ძუნწი, თავშეკავებული ბენ იჯნალი მძინარე ცოლს დაინახავდა, უცნაურად აუჩუყდებოდა გული, მოშორებით მიუწვებოდა, კისერს გაქიმავდა. გაქიმავდა და ლოყას ნაზად მიადებდა შიშველ მკლავზე. იწვა ასე, სულგანაბული, „ნამდვილი ქალი“, ფიქრობდა გასუსული ბენ იჯნალი, „აი, ერთადერთი, რაც კი ცხოვრებაში არის“. მისი შეძლების კაცს წესითა და რიგით უამრავი ცოლი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ სორეია ხანუმი მკაცრად აფრთხილებდა: „მოიყვან და... ცოცხალს ვეღარც მნახავ“. „არა, არა“, ამწვიდებდა ბენ იჯნალი, „შენს მეტი არავინ მინდა“. სორეია მკლავებს წინ გაიშვერდა, ბენ იჯნალიც საჩქაროდ გაშლიდა მოკლე ხელებს და მაშინვე ერთმანეთს ჩაეხუტებოდნენ. მშვენიერი კარგი წუთები იყო — ძვირფას ხალიჩაზე იდგნენ, ერთმანეთს ჩაბუტებულნი. „ულამაზესი ქალის თავდავიწყებული სიყვარული ვაჟთციხადმი“, ფიქრობდა გატრუნული ბენ იჯნალი: „აი ერთადერთი, რაც...“ სორეია ხანუმი კი მდიდრულად მორთულ დარბაზებს გასცქეროდა და გულში იქადნიდა: „როგორ — ამ სასახლეში სხვა ქალმაც იპარაშოს? როგორ არა, დია-ას!“

მაგრამ სიდ ბენ იჯნალი ყოველთვის როდი იყო ასეთი მორჩილი და ნაზი. მსახურებსა და ხელოსნებს მის დანახ-

ვაზე ფერი ეცვლებოდათ და უღრმესი პატივისცემით შეჰყურებდნენ—ბენ იჯნალმა იცოდა, სად როგორ დაეჭირა თავი. ამჟამად და ნაძალადევი უკმაყოფილო სახით ჩამოუვლიდა ფეიქართა ნახელავს, შუბლს შეჰმუხვნიდა და მიდიოდა. შეწუხებული ხელოსნები ერთმანეთს გადახედავდნენ, უფრო გულიანად ამუშავებდნენ და გაიფიქრებდნენ: „არა, რაც მართალია, მართალია, უფრო კარგადაც შეგვიძლია მუშაობა“.

დღე ისე არ გავიდა, ნავაჭრი რომ არ მიეტანათ ბენ იჯნალისათვის, ოქროს ოქრო ემატებოდა, ალმასს — ალმასი. ფულიან კაცს, მეგობრებს რა გამოუღედა, მაგრამ ბენ იჯნალმა ოთხი ღირსეული მოქალაქე შეაჩრია მათგან და მხოლოდ იმათთან საუბრობდა. დაჯდებოდნენ ხალიჩაზე, ფეხმორთხმულნი. უძვირფასეს კრიალოსნებს დინჯად მარცვლავდნენ და ზრდილობიან საუბარსაც კრიალოსანს ააყოლებდნენ ხოლმე: „ალაპი იყოს“, იტყოდა ბენ იჯნალი, ორ მარცვალს გადათვლიდა და მერე ისევ ორს მიაყოლებდა — „შაპის მფარველი“. „ალაპმა გისმინოს“, ტყუპად გაჰქარუნდებოდა მეგობრების კრიალოსნები. მერე კარგახანს ჩუმიდ ისხდნენ, და როცა მრავლად გადასთვლიდნენ მარცვლებს, მასპინძელი სიჩუმეს არღვევდა — „სიტყვა“, ამბობდა ბენ იჯნალი, „იშვითი უნდა იყოს, მაგრამ უღრუბლო დღესავით ნათელი და ნირისის ფოლადივით შეუპოვარი“. სტუმრები მოწონების ნიშნად თავს აკანტურებდნენ და თვალმოჭუტულნი წრუპავდნენ შარბათს. „რად აღარ მოდიხარ ჩემთან სტუმრად“, ეუბნებოდა ბენ იჯნალს სახენაიარევი კაცი“, „ოღონდ მობრძანდი, და ორთავ თვალის სინათლეს ბილიკად მოგიძღვნი“. „მშვენიერი გამონათქვამია“, ცერით ორი მარცვალი მიითვალა სქელმა სტუმარმა, რომელსაც ირბად ეხურა ჩაღმა—ცალი ყური ახალგაზრდობისას მოაჭრეს, „ალაპსა ვფიცავ, მშვენიერად იყო ნათქვამი და ასეთი დიდებული სიტყვებისათვის ძალა კი მხოლოდ ჰეშმარიტ მეგობრო-

ბას შეუძლია მისცეს“. „ოო, წეშმარიტი მეგობრობა“, ტუჩების უცნაური მოძრაობით დაეთანხმა მესამე, ყბამონგრეული კაცი, „ო, წეშმარიტი მეგობრობა მქეშავით გვინათებო ჩხოვრებში გჟაჟე და გვათბობო“. „რა თქმა უნდა“, თქვა მეოთხემ, ლამაზმა კაცმა, „ჰეშმარიტი მეგობრობის ღალატი ყველაზე მეტად მომაკვდინებელი ცოდვაა“. „ჰეშმარიტი მეგობრობის ღალატი“, წარმოსთქვა სიდ ბენ იჯნალმა და მომდევნო წინადადება ყველაზე შთამბეჭდავი და შემზარავი სიტყვებით ააგო. „ეს იგივეა, მუჰამედის საფლავზე დედა რომ გააუპატიურო“. „ოჰ“, შეცბუნდნენ სტუმრები და ჰერისაკენ აღაპყრეს თვალები — „ალაპმა დაგვიფაროს, ალაპმა დაგვიფაროს“. „ყოვლადძლიერი იყოს ჩვენი მფარველი“, თქვა სიდ ბენ იჯნალმა და მოკლე ხელებით ტაში ძლივს შემოჰკრა: „კანჯარის ხორცი მოიტანე“.

ამასობაში პირაკრული სორეია ხანუმიც თამამად შემოდიოდა დარბაზში და უეცრად აფორიაქებული სიდ ბენ იჯნალი, რომელიც ლამაზი კაცის გვერდით იჯდა, გრძობდა, რომ მისთვის წამგებიანი იყო ასეთი ეშხიანი მამაკაცის გვერდით ჯდომა და თითქოსდა მუხლის გასაშლელად, გაივლიდა, გამოივლიდა, მერე ყბამონგრეულ კაცს მიუჯდებოდა და თავაზიანად, გამოთქმით ეკითხებოდა: „მოგწონს ხორცი, ბებუთ ხანა?“ „ოო“, თავს აქანავებდა სტუმარი, „მეტომეტად შაშიამოვნოა“.

და სიდ ბენ იჯნალი წელში იმართებოდა.

მაგრამ ყველაზე მეტად მამის გააჟაჟადა, ვაჟიშვილი რომ შეეძინა. ერთი სული ჰქონდა, სანამ დახედავდა, მაგრამ მეჩეთებიან ქალაქში მდიდარ მამაკაცებს უფლება არა ჰქონდათ, ხუთ წლამდე ენახათ შვილი, ასეთი იყო მათი უცნაური წესი. ბენ იჯნალმაც რამდენიმე თვე ითმინა, ითმინა და ბოლოს მაინც შეიპარა ოთახში. მომვლელი ქა-

ზურაბ დოჩანაშვილი
მხიარული გორაკი

ლი თვლემდა, ფარჩაში გახვეული ბავ-
შვი კი ჭერს შესცქეროდა და მისკენ
დახრილი უცნობი სახე რომ დაინახა, მა-
შინვე ჩაეძინა. და გახარებული სიდ ბენ
იჯნალი ფეხბაქრეფითვე გამოიპარა ოთა-
ხიდან, საბოლოოდ დარწმუნდა, ნამდ-
ვილად მისი შვილი რომ იყო — იგივე
დაცქვეტილი ყურები, მოკლე ხელები,
იგივე მდიდრული ნიღაბებით ლაპლაპა
სახე. დიდხანს აღარ მონატრებია, ახლა
თუგინდ ათ წელიწადს აღარ ენახა, დამ-
შვილებული იყო. ხანდახან, ათასში ერ-
თხელ კი მაინც აეკვიატებოდა უცნაური
ეჭვი: „ხომ არ მომეჩვენა?“ მაგრამ არა,
არა, ძალიან წააგავდა. მადლობა შენ,
ლამაზო სორეია ხანუმ, ერთგულო ქა-
ლო, ბარაქალა შენ, იმეორებდა გულში
ბენ იჯნალი.

ბაღლი კი ჭამდა, სვამდა, იზრდებო-
და. უშფოთველად გადიოდა დრო, ხან-
დახან ბუზი თუ დააჯდებოდა, სახეს
კმუხენიდა. ფეხი რომ აიდგა, ოქროთი
მოსირმული კოპწია ხალათი ჩააცევს,
ბრჭყვიალა ჩაღმა დაადგეს თავზე. და
როცა პირველად წარუდგა მამას საუც-
ხოოდ გამოწყობილი, სათამაშო ხანჯ-
ლით წელზე, სიდ ბენ იჯნალმა ახლოს
მოიხმო, მაგრამ ბავშვი ადგილზე დარ-
ჩა. მაშინ ბენ იჯნალი თვითონ მივიდა
შვილთან, ერთხანს უყურა და არ იცო-
და, რა ექნა, მერე კი ორი თითი გუ-
ლისპირზე გაუსვ-გამოუსვა და უთხრა:
„ხიცი-ხიცი“... ბავშვი შესცქეროდა და
ბენ იჯნალს გაეხარდა: „მიყურებს, მი-
ყურებს“... გადიამ რამდენჯერმე წაჰკრა
პატარას ხელი, რაღაცას აძალეზდა.
იმან ერთხანს მოუყრუა, მაგრამ მერე
თქვა: „ყოვლად ძლიერი შაჰი იყოს
ალაჰის მფარველი“. აქ კი ბენ იჯნალს
სახე მოეღრიცა და მეორე დღესვე
ბავშვს მჭევრმეტყველების მასწავლებე-
ლი — დიდი მადერისი აუყვანა. ამას
რა უნდოდა, არაფერი. სახელის დარქ-
მევა კი ძალიან გაუჭირდა. მთელი დღე
იმეორებდა — მაჰებ, მაჰებ, არა, არ
ვარგა, ჰასან, ჰასან... ა? ჰასან... არა, არ
ვარგა, კენჯა? კენჯა, კენჯა... მაინც ვე-
რაფერი შეარჩია და უცებ, ხასხასა მო-

ლის შემყურემ, იგრძნო, რომ ახლა კი
ნამდვილად შეარქმევდა სახელს. სახე
რაფოდ შევიდა ოთახში, შეაღწა შენა
ჭერდა ნაცნობ, დაპატარავებულ, შედა-
რებით ნაზ ნაკეთებზე და უწოდა... ნო-
რჩი. სორეია ხანუმს ჯერ თითქოს ეხა-
მუშა სახელი, მაგრამ მერე იმასაც მოე-
წონა, ტუჩებს მოამრგვალებდა და გა-
მოთქმით ეძახდა: ნოორჩი, ნორ-ჩი!

მთელს ისპაჰანს მოედო ეს ამბავი.
და ბენ იჯნალის წაბაძვით ბევრმა და-
არქვა ვაჟიშვილს „ნორჩი“, მაგრამ სა-
მართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს,
არავინ გამდიდრებულა.

დიდი მადერისი კი თავის უშრეტ ხე-
ლოვნებას ანა-ბანათი იწყებდა: „აბა,
გაიხედე, ნორჩი, მზეა?“ „ჰა?“ „მზიანი
დღეა, ნორჩი, და თქვი, დაე, მზესავით
ანათებდეს შაჰის დიდება.“ ნორჩი კი
ვერცხლის ფიალას წაატანებდა ხელს
და ეკითხებოდა: „ეს რა არის?“ „ნორ-
ჩი, ნორჩი“, თავს აქანავებდა დიდი ჰა-
დერისი, „ჯერ მითხარი, როგორ უნდა
გამოთქვა მზიან დღეზე და მერე გეტ-
ყვი“. ნორჩი კი ფიქრობდა, ფიქრობდა
და ბოლოს ეუბნებოდა: „არა, ჯერ შენ
მითხარი“. „აჰ, ნორჩი, ნორჩი...“

„ბავშვო“, წარმოსთქვა იმავ საღამოს
სიდ ბენ იჯნალმა, „ჩვენს ქვეყანაში
ასეთი წესია — ვაჟკაცს სამი რამ მოეთ-
ხოვება: ცხენზე კარგად უნდა იჯდეს,
მშვენივრად ხმარობდეს შვილდისარს
და ილაპარაკოს სიმართლეს. მე კი, შენი
მამა, ასე გეუბნები — ვაჟკაცი ცხენზე
კარგად უნდა იჯდეს, მშვენივრად ხმა-
რობდეს შვილდისარს, ილაპარაკოს სი-
მართლეს და იყოს განსწავლული. გაი-
გე? თუ არა და“... — აქ კი ბენ იჯნ-
ალს თავშეკავებზე უმტყუნა, რადგან
ნორჩიმ მაგიდიდან მსხალი აიღო და
უგულოდ ჩაიბჩია. „თუ არა და გადმო-
გილებ და იმდენს გირტყამ, სარკემ ვერ
გიცნოს, გადააგდე მსხალი!“

„ჰე, ვინ გაზომოს ზღვათა სიღრმე,
ანდა ცათა ტატნობზე წერტილად მოძ-
რავი ფრინველი ვინ ამოიცნოს? — გა-
ნაგრძობდა სწავლებას დიდი მადერისი,
— რამ და ჩემმა შენდამი განუზომელმა

სიყვარულმა, მზის სადარო შაპო, ისპანის მარადუქვანობო მშვენებაე“.

„თამამად, თამამად, ფეხები მაგრად შემოაქდე, მხედარი რომ იგრძნოს, თამამად, ნუ გეშინია, — ამხნევებდა ცხენოსნობის მადერისი, — ახლა ცოტათი მიუშვი, ტანი ააყოლე, არა, არა, ეგრე არა, დაიჭირე, მოზიდე ლაგამი, ვაიმე! დავიღუპე!... ხომ არაფერი გეტკინა, ნორჩი?“

„მოხარე, მოხარე და თან გაასწორე, კიდევ, კიდევ, ოო, აი ასე, ახლა კარგად გახედე, ურჯულოს ფიტულია, ვითომ ცოცხალია, გულში დაუმიზნე, კიდევ მოზიდე, ახლა ხელი შეუშვი ისარს და გაფრინდება. ხელი შეუშვი! რაა, თითებს ველარ შლი? იქით გასწიე, იქით, თორემ გაგივარდება, საითკენ მიაშვირე, არ მომიკლა, გასწიე მეთქი, რამ დაგაბნია, აჰ!.. ოჰ, კიდევ კარგი, კიდევ კარგი, უნავგირში მოხვდა“.

„ვის განადიდებს ყოვლადძლიერი? ვის განადიდებ, ყოვლადძლიერო, ან ბნელ სამარეს რომელს გაუთხრი? შაპის მოყვარულთ შენ ააღზევებ, ხოლო იმას, ვისაც შაპი არ უყვარს, სიკვდილი და არგადარჩენა. აბა, მე თავიდან ვიტყვი და შენ გაიმეორე — ვის განადიდებს ყოვლადძლიერი?“

„დაჭიმე, დაჭიმე, აბა ახლა ხელი შეუშვი, ხელი შეუშვი, თორემ ისე ვერ გაისვრი, თითები გაშალე, მთაცოლე, ვითომ ცხელია... ოო, ყოჩაღ.“

„როგორ გაიზარდა, — ამბობდა სორეია ხანუში, — რომ დაიბადა, რა პატარა იყო“.

მეჩეთში კი ნახევარწრედ მოკალათებული ბავშვების პირდაპირ მოლა იჭდა. დაჭიმულ შვილდა ჰგავდა ბავშვების გაღუნული მწკრივი, მოლა კი ისრის ფრთასავით მოშორებოდა მათ და უხილავი, ალესილი ისრისწვერით ბავშვების შიღმა უცნაურ აზრებს სტყორცნიდა: „ალაპისაა აღმოსავლეთი და დასავლეთი, რა კუთხითაც პირი იბრუნოთ, მის სახეს შეხედეთ. ალაპი განუზომელია და ყველაფერიც უწყის. ურჯულოებზე გამარჯვება მოგვეცე“.

„ურჯულოებზე გამარჯვება მოგვეცე“.

„და თუ ვინმემ შეგავიწროთ“ მხრის ხანებისაგან წელში იმართებოდა, მოლა და უფრო იძაბებოდა შვილდი — „თქვენც შეგავიწროეთ ისე, როგორც შეგავიწროათ“.

„ნამდვილი მეგობრობა“, ხშირად უმეორებდა ვაჟიშვილს სიდ ბენ იჯნალი, როცა არებ ხანი შაპის უახლოესი მსახური გახდა, „აი ერთადერთი, რაც კი ცხოვრებაში არის“.

ნორჩიმაც თითქოს ბევრი რამ შეითვისა, ოღონდ სანამ რაიმეს მოიფიქრებდა, მზერა გაუშტერდებოდა ხოლმე. მრგვალ, გამობერილ თვალებს ჭერისაკენ ალაპყრობდა და როცა მე, უჩინარი, მივუახლოვდებოდი და შიგ თვალში ჩავაცქერდებოდი, ისე მეგონა, თითქოს დიდი სიმაღლიდან დავეყურებდი მრგვალ აუზს, სადაც დამდგარი წყალი პირთამდე იყო და შუაში კი გახუნებული კასრი ტივტივებდა. ო, როგორ მძულდა! მის დანახვაზე აღარ ვიცოდი, საით გადაეკარგულიყავ, მაგრამ მბრძანებლის დავალება მახსოვდა და სხვა რა გზა მქონდა — ჩაჩანაკივით დავეყებოდი მადერისებთან, მეჩეთში, უხალისოდ მივძუნძუნებდი არებ ხანის სასახლისაკენ, ნორჩის კი ხელთ უძვირფასესი საჩუქრები ეყვრა. დიდი ავაზაკიც კი ისე არა მძულდა, როგორც ეს საუცხოო სამოსში გამოწყობილი ყმაწვილი. არადა, სიბრძნით განთქმულ ბენ იჯნალსაც კი არა ჰქონდა იმდენი მიხვედრა — ნორჩისთანა გარეგნობის შვილს რომელი ჭკუათმყოფელი მამა ჩააცმევდა ისეთ ძვირფას, თვალშისაცემ სამოსს, ის კი არა, ქალივით პირაკრტულს რომ ევლო, უკეთესი იქნებოდა. და რადგან სიმართლე ვარ, მაინც ვხედავდი, სწორი ნაკვთები რომ ჰქონდა — წარბები, ცხვირი, შუბლი, ტუჩები, მაგრამ ეს თვალეები, თვალები და უაზრო გამოხედვა, ფიქრისას კი ოფლი მოსდიოდა და უფრო ულაპლაპებდა ნიღაბივით სახე.

მერე ვისი შვილი იყო — მხდალი

გურამ დომანაშვილი
მხიარული გოცნვი

ძუნწისა, ვისაც მოჩვენებითი სიამაყე მუდამ სახეზე აღბეჭდოდა, თუკი ლოყა ნესვივით ცოლის მკლავზე არ ჰქონდა მიხუტებული. და ყოველივე ამას კიდევ მოვითმენდი, მაგრამ როცა ვუყუარებდი, როგორ ჭამდა, როგორ ეძინა, როგორ იხედებოდა მოვარაყებულ სარკეებში, რა დიდის წუთიაობით ირჩევდა ნაირ-ნაირ ჩალმებს; და რაც მთავარია, სულყველაფერი — განცდა, მოძრაობაცა და ტვინიც მადერისებისა და მამისაგან ჰქონდა გაწვრთნილი. და თუმცა იცოდა, სად რა ეთქვა, ცხენის გაჭენებაც შეეძლო და შვილდისრის ხმარებაც ისწავლა, მაინც ზომამზე გაცილებით დიდი თოჯინა იყო, რომელსაც ორად ორი მისწრაფება გააჩნდა — სიმდიდრე და უსაფრთხოება. თუმცა, სიმდიდრე ათასი მარცვლისაგან შედგებოდა — სასიამოვნო იყო გემრიელი კერძების მიორმევა, საკუთარი შადრევნებისა და მზონავი ტანსაცმლის თვალღიერება, ოქროს გლუვი ელვარება, იშვიათი მარგალიტი, საჩუქრების მიღება; უსიამოვნო კი იყო ეჭვი, გაძარცვის შიში, საჩუქრების გაცემა. და მაშინაც კი, არაბულ ცხენს რომ გააჭენებდა, როცა ყოველ ადამიანს ძარღვებში სისხლი უნდა აყივლებოდა, იმ ნიავევით ბედაურზე მუყაოს გაბრუებული იდიოტი იჯდა. თოჯინა იყო, რაგინდ მდიდრული სამოსში გამოწყობილიყო, სახე მაინც ულაპლაპებდა. მერედა, სახელი, ჰმ — ნორჩი... მაჰმუდ აალი! შენ დაგეძებდი, მისგან თავგაბეზრებული და ბრაზით აცახცახებული, დაგინახავდი და ყველგან მიგსდეგდი, როგორ მიყვარდა შენი თვალღიერება, შენი ხან სევდიანი, ხანაც მკრთალი ღიმილით აბუყტებული სახე. შენ დაგყვებოდი მტვრიან ქუჩებსა და მეჩეთში, შენ დაფიქრებული შესცქეროდი მაიდანელ უსაქმურებს, ბავშვებს, როგორ მიდიოდი — ხელები ჩამოყრილი გქონდა, ნაბიჯი — უნებურად ამპარტავანი, თავიც უნებური სიამაყით ზეაწეული, ბაზარში კი, აყივლებულ, მოგების წყურვილით აფორიაქებულ ხალხში ისე გამოირჩეოდა შენი სხეული და

მშვიდი, ნაღვლიანი სახე. შენს მეჩეთებთან ქალაქში კი ყველგან ბაზარში იყო — ვინ არ ვაჭრობდა, ვინ არ ცდილობდა სხვის მოტყუებას; და თუ, როგორცაა საკრავების ხმაზე თავს მიატრიალებდი, ზურგიდან მიყვარდა შენი ცქერა: საფეთქელთან მკრთალი, ცისფერი ძარღვი, ლოყაზე რომ ეკარგებოდა და მერე ყელთან ისევ ოდნავ ჩანდა; შენი შეექვევებული მზერა, შენი მკაფიოდ გამოძიწვილი ნაზი ყვრიმალის, მაღალი ყელი, ძლიერი და ქათქათა... მაჰმუდ აალი! — შენი ფიქრები, შენი ეჭვები... ვერავისთან ამბობდი, მაგრამ მე ხომ მაინც ვიცოდი ყველაფერი. და მხოლოდ შენი მზერა, შენი მზერა — მრავლისმეტყველი, მართალი, პირდაპირი... მე გიყურებდი, როგორ უმზერდი იმ კაცს, დანასისხლად რომ აფასებდა ფარჩას, იმ მექარავნეს, აქლემს ზედმეტი ბარგი რომ აპკიდა და მერე წაქცეულს ყელში ორგან გამოუსვა დანა, იმას, ვინც მოწყენილი იძახდა დათაფლულ სიტყვებს და კიდევ იმას, ვინც ყოველივეს გულგრილად შესცქეროდა... მაჰმუდ აალი! არაფერი იყო შენთვის უმნიშვნელო. კარგად იცოდი ხმარებით გაცვეთილი საუნჯეების ფასიც — წყალი, რომელსაც სეამდი, ჰაერი, რომლითაც სუნთქავდი, მზე, რომელიც გათბობდა... და როცა ერთხელ ნორჩიმ ატამი აიღო და ჩაკბიჩა, შენკენ გამოვქანდი და შევცბი — შენც მაღლა აშვერილ თითებში იგივე ხილი გეჭირა და დიდხანს უყურებდი. ნორჩიმ — არაფერი, აიღო და შექამა, შენ კი გოაცებული შესცქეროდი ნაზი ბუსუსებით დაფარულ ნაყოფს და მოლას სქელი წიგნიდან, სადაც ზოგიერთი რამ არ მოგვეწონა, ეს წინადადება გაგახსენდა და ნულა, აღტაცებით იმეორებდი: „ზეციით წყალს გადმოავლენს, მით აღვალორძინებთ ყოვლისავე მცენარის თესლსა; მით ამოვიყვანთ მწვანეს, რომელიც გამოიღებს რიგრიგობით დალაგებულ მარცვლებს, და ინდისხურმის ხეებს, რომელთა რტონიც დიდრონ ფუნჯებს მოისხამენ, და ვაზით მოფენილ წალკოტებს, და ზეთისხილებსა და ბრო-



წუთებს. რომელიც ერთმანეთს ემს-
გავსებიან და ერთმანეთში განირჩევიან.
თვალი გადაავლეთ მათ ნაყოფს, მათი
მსხმოიარება და სიმწიფე იხილეთ —
ყოველივე ეს სასწაულია მათთვის, რო-
მელიც გულისხმას ჰყოფენ“.

მაჰმუდ აალი! ისიც მინახავს, ცხენს
მოახტებოდი თუ არა, ყალყზე შედგე-
ბოდა, წამით გახევდებოდა და ნამდვილ
მხედარს რომ იგრძნობდა, გრძელი ნახ-
ტომით გაჰყენდებოდა მხიარულ ველზე.
შენ გამართული იჯექი დაოთხილ ცხენ-
ზე, ყურებთან ქარი იწვლებოდა, ხან
დასცქეროდი გაქცეულ მიწას, ხან დე-
მავენდის მთას გაჰყურებდი, მრისხანე
როკვით რომ მოიწვედა შენკენ.

და, რა თქმა უნდა, ისიც ვიცოდი,
რად არ უყვარდი ისპაჰანელებს; შენი
მზერა, მოურიდებელი და დაქვეებული,
რამი უნდოდათ — თვალს გარიდებდ-
ნენ, ბრახდებოდნენ, სძულდი — შენ,
ახოვანი, მომღიმარე, შეეკვებულები, სინ-
დისივით დაიარებოდი მტერიან ქალაქ-
ში, გამორჩეულო, მაჰმუდ აალი!

მაგრამ იძულებული ვიყავ, ისევ ბენ
იჯნალის კრილა დარბაზებში მეარა,
აშოშინებულ შადრევნებთან მეწრიალა,
იმ მაგიდის ქვეშ შევმძვარალიყავ, რო-
მელზედაც ნორჩი საკმელს მიირთმევე-
და და ჩემს წინ კი უდარდელად ატყა-
ბუნებდა ფეხებს. იქ რა მინდოდა...

მაგრამ მბრძანებელს, მიუწვდომელ-
სა და ყოვლისმცოდნეს, უკეთ მოეხსე-
ნება.

●
მთავარი მზარეული ერთხანს ირგე-
ლივ აცეცებდა თვალებს, მერე კი, შო-
რიახლოს ვერავინ რომ ვერ შენიშნა,
ერთხელ კიდევ თაყვანი სცა ბენ იჯნ-
პალს და ის საზარელი ამბავი დაბალის
ხმით მოახსენა.

- ვინა, სორეია? — წამოჯდა გა-
ფითრებული ბენ იჯნალი.
- დიახ.
- ნამდვილად იცი?
- დიახ. — შეწუხდა მზარეული.
- შენი თვლით დაინახე?

- ჩემი თვალით.
- სულყველაფერი?
- სულ, ყველაფერი.
- მერე, ვერ აჩვენე!

— ხმალი არა მქონდა, — ხელები
გაშალა მზარეულმა და შეფიქრიანებუ-
ლი დაეკითხა: — ორივე უნდა ამეჩხნა?

ბენ იჯნალმა მოუყრუა და კრიალო-
სანი ხალიჩაზე მიაგდო. სულის მოსათ-
ქმელად საარკმელთან მივიდა, მაგრამ დი-
დებულმა ბაღამ უფრო გააღიზიანა —
„ფუჰ!“ აღელვება არასოდეს რომ არ
უნდა დასტყობოდა, ეს კი იცოდა —
„თავშეკავება, თავშეკავება“, — ამოი-
ჩემა და აკანკალებული თითები ერთმა-
ნეთში გადახლართა. მერე ამაყად შემა-
რთა თავი და უთხრა:

- წადი და კარგად გამიგე ეგ ამბავი.
- ნამდვილად ვიცი, ყოვლადძლიე-
რო, — გულზე ხელი მიიღო მზარეულ-
მა, — რაღა გავიგო, ნამდვილად ვიცი,
ჩემი თვლით დავინახე.

— წადი-მეთქი, — მოკლე ხელი კა-
რისკენ გაიშვირა, — წადი და კარგად
გამიგე.

„ო, სორეია, ყოფას გიტყვებ!“ გაი-
ფიქრა და ხალათის ჩამოფხრეწა მოუნ-
და, მაგრამ ვერ შეძლო — მშვენივრად
იყო ნაქსოვი. „შენ კიდევ, შე მათხოვა-
რო, როგორ გამიბედა, უუხ, გლახაკი...“
გლახაკი კი არა, ფრიად ჯანმრთელი
მეპურე იყო, დიდი თეთრი ხელები ჰქო-
ნდა.

აქამდე კუთხეში ვიდექ, მოწყენილი
და თავგაბებრებული. ახლა კი, გონე-
ბარეული ბენ იჯნალის დანახვაზე, მი-
სი ფიქრების გაგება მომინდა და ჩაღ-
მად შემოვეხევიე გაპარსულ თავზე. „სი-
მშვიდე, სიმშვიდე“, გავიგონე ჩუმი, და-
ძაბული ხმა, — მთავარია სიმშვიდე“. ხა-
ლათის შიგნიდან კი, თავის ადგილას,
გული აფრიალდა: „აჩეხე, ნაკუწ-ნაკუწ
აჩეხე, ყველაფრის ღირსია“. „დამშვი-
დდი, დამშვიდდი, მთავარია გონიერე-
ბა“, ჯიუტად იმეორებდა გაპარსული

გურამ დოჩინაშვილი
მხიარული ბოროცვი

თავი, „გონიერება — აი ერთადერთი, რაც კი...“ „აჩეხე“, წრიალებდა გული და მუშტად შეკრული თითებიც მიიმხრო, „აჩეხე, ანდა სხვას ააჩეხინე“. „ავაჩეხინოთ“, უეცრად დაეთანხმა თავიც და როცა თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო... „არა, არა“, შეიხვეწა ლოყა, „რომ ააჩეხინო, ხომ მოკვდება“.

„რას აყრანტალებდა ენას, — გაიფიქრა მერე ბენ იჯნალმა, — არადა, ცოცხალი რომ დავტოვო, მთელ ისპაჰანს მოსდებს, ეჰ, არებ ხანი მაინც იყოს ქალაქში...“

არებ ხანი კი მოქუფრული იდგა სულთანის წინაშე და სდუმდა. იცოდა, დაძაბული სიჩუმე წონასწორობიდან რომ გამოიყვანდა სულთანს და როცა საჭიროდ სცნო, თვალი თვალში გაუყარა და ნელა წარმოსთქვა:

— ყოვლადღლიერმა შაჰმა, დიდი ისპაჰანის მშვენებამ დამავალა, სუჰაკს ხუნდები დაადო და მე გადმომცე.

— ჩემთან არ არის, დღეგრძელი იყოს ისპაჰანის გონება და მახვილი.

— შენთან არისო, ასე ამბობენ.

— ალაჰსა ვფიცავ, ჩემს მიწაზე თუ იყოს, — თქვა სულთანმა და ყურანს ხელისგული დაადო, — ბაირამობა დღეს ღორის ხორცი მეჭამოს, თუ სუჰაკი ჩემს მიწაზე იყოს.

საზარელი ფიცი იყო, ერთმანეთს დიდხანს შესცქეროდნენ, თავთავიანთ სიმართლეში დარწმუნებულნი. დიდმა ავაზაკმა ნაღდად იცოდა, სულთანმა რომ შეიფარა ლტოლვილი, სულთანმა კი უზარმაზარ კალათში ჩასვა სუჰაკი, საკმელ-სასმელი ჩაულაგა. გაამხნევა, ორიოდ დღით სრული დამუხჯება უბრძანა და კალათი ორ უერთგულეს მსახურს უღრან ტყეში, ხეზე ჩამოაკიდინა, ანლა კი თამამად ეფიცებოდა არებ ხანს: — თუ ჩემს მიწაზე იყოს...

— შენს მიწაზე რომ ყოფილიყო, — დინჯად დაუმარცვლა არებ ხანმა და საჩე დაუთვალა, — მომაკვლევიანებდი?

— მოგაკვლევიანებდი.

— ძმა როა შენი?

— ძმაზე და მამაზე ახლობელი კემ მარატი მსახურისათვის ისპაჰანში მშვენიერება.

— ძალიან კარგი.

დიდი პატიყის მიუხედავად, არებ ხანი ისპაჰანში არ დარჩა და დამის გასათევად მინდორში გააშლევინა კარავი. დაბალ კარავში შესასვლელად თავის დახარა დასჭირდა, შორს კი, ისპაჰანში, მზარეულმაც თავი დახარა და ისე შევიდა ბენ იჯნალთან, თუმცა კარი მაღალი იყო.

— რა ქენი, გაიგე? — ცბიერად დაეკითხა ბენ იჯნალი.

— ბევრი ვიფიქრე, ყოვლადღლიერო, ხომ არაფერი შემცდა მეთქი, მაგრამ ნამდვილად ისე იყო, პირველად რომ მოგახსენე: სორეია ხანუმი თავის ოთახში, ფანჯარასთან იდგა და თქვენ რომ წაბრძანდით, სახელოებდაკაბიწებული მებურე ეზოში რომ გამოვიდა, სორეია ხანუმმა თითი დაუქნია და თავისთან...

— წადი, გამეცალე, — ხმას აუწია ბენ იჯნალმა, — რეებს რომავე, კარგად გამიგე, რა როგორ იყო და მერე მოდი...

— ხომ მოგახსენებ, ყოვლადღლიერო...

— წადი, დამეკარგე, — გაუწყრა ბენ იჯნალი, — კარგად გამიგე მეთქი ყველაფერი. მიხედი? — და ავად შეხედა.

— გავიგე, ყოვლადღლიერო.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, გათენებისას კი, სქლად შედედებული ბინდი რომ დაიჭიმა და გაიცრიცა, არებ ხანმა ტანსაცმელი ჩამოიბერტყა, ხელპირი გულდასმით დაიბანა და დილაუთენია სულთანს მიადგა.

— აბა, წავედი, — თქვა და აჭიხინებულ ცხენს მაგრად მოზიდა ლაგამი, — შენის ნებართვით, შაჰს გადაცემ რომ სულთანთან არ იყო მეთქი.

— ჩემი ფიცი გაუმეორე და ყოველივეს დამიჯერებს ისპაჰანის მარადუქნობი მშვენიერება.

— იმასაც ვეტყვი, რომ ყოფილიყო, აუცილებლად მომაკვლევიანებდა მეთქი.

... აგრე გადაეცი. ალაჰი იყოს შაჰის მფარველი.

არებ ხანმა დინჯად შემოატრიალა ცხენი და ნაბიჯით წაიყვანა. აღელვებულმა სულთანმა მსახური მოიხმო და უბრაძანა, შეუმჩნევლად ასდევნებოდა და თვალი არ მოეცილებინა, სანამ ჯიკიჯიკის ბორცვს არ მიაღწევდა. შებინდებამდე მსახურს უცდიდა, ეკვი კი ღრღნიდა — ვაითუ მობრუნდეს... და როცა მსახურმა გაოფლილი ცხენი შემოაგდო ეზოში და არებ ხანის ბორცვს გადასვლა ამცნო, გახარებული სულთანი ყველასათვის შეუმჩნევლად, უჩირალდნოდ და უმსახურებოდ წავიდა ტყეში. თეთრ ცხენზე იჯდა, შავი კი მარქაფად მიჰყავდა. უმთვარო ღამე იყო, ძალიან ბნელადა, ჩაშავებული კალათი ძლივს გააჩნია. ხესთან მივიდა, თოკის კიბე წელზე შემოიხვია, უნაგირზე დადგა და ტოტს ჩაებლაუჭა. ფრთხილად, უხმაუროდ მიძვრებოდა, ღონიერ ხელებს სიბნელეში აფათურებდა, ახალ-ახალ ტოტებს ეძებდა. მერე თოკის კიბე შემოიხსნა, მაგრად მიაბა მსხვილ ტოტზე და ფრთხილად, ფრთხილად ჩაიარა კიბე. ერთხანს გაჭიმული ფეხით ეძება მორიგი საფეხური, მაგრამ რომ ვერ მიაგნო, ფრთხილად ჩასტა ძმასთან. კალათი დაიწო, დაღლილმა, თავი ვეღარ შეიმაგრა და ზედ გადაემხო. სუჰაკი, გაიღვიძე, ჩასჩურჩულებდა სულთანი, ცხენი მოგიყვანე, მოაჯექი და წადი... მხარში ჩასჭიდა ხელები, შეაჯანჯღარა, უცებ მკერდზე მოუფათურა თითები და რალაც ცივსა და ამაზრზენს რომ შეეხო, უკან გადაქანდა, თან ფართოდ დაღებულ პირით შეისუნთქა ჰაერი და მერე თვალგაფართოებული, სუნთქვაშეკრული გახვედა: დანა იყო, შიგ გულში ჩაცემული.

ჰეე, არებ ხან, არებ, ავაზაკო... ჯიკიჯიკის ბორცვი რომ გადაიარე, დაუზოგავად გააჭენე ცხენი და სადამოხანს მშობლიურ სოფელს, მორდოვს რომ მიუახლოვდი, შექუჩებული ხალხის დანახვაზე შეჩერდი და, თვალ-მარგალიტით აელვარებულნი, დამცინავად მიაჩ-

ერდი ჩამოძენდილებს. ისინიც გაკვირვებულნი შემოგცქეროდნენ და თქმა უნდა, ვერ გიცნეს; და როცა მოსვლა დააპირე, ერთმა თმაგაჩეჩილმა კაცმა ხელისგული გიჩვენა და ასე გთხოვა, დაგეცადა. შენც გაკვირვებულმა შეიცადე, თან ისევ დამცინავად შესცქეროდი, როგორ მიფართხუნებდა ჰაობებს შორის, როგორ მიიძალა მიწურში და იქიდან კი ძალიან ნელა გამოვიდა, ფრთხილად მოდიოდა შენკენ და რომ მოგიახლოვდა, ხელები მალა ასწია და ცხენზე მჯდარ სტუმარს პირთამდე სავსე ჯამი მოგაწოდა — რძე იყო. ღმილი პირზე შეგაშრა და აღარ იცოდი, რა გექნა. ერთი სული გქონდა, აგეუჭნა, რადგან თვალეში სწორედ ის ამოიკითხე, რაც ყველაფერზე მეტად გძულდა — უმიზეზო სიკეთე; მაგრამ იმ კაცის მოკვლა მაინც არ შეიძლებოდა, იმიტომ კი არა, რომ ვერ ვაბედავდი, არა, მშვენივრად იცოდი, ხახვივით რომ შეგრჩებოდა, მაგრამ მაინც არ შეიძლებოდა... არადა, მოწოდებულ ჯამსაც ვერ მიიღებდი — ყელზე შხამად დაგადგებოდა და დაბნეულმა შეატრიალე ცხენი, ერთხელ კიდევ მიხედე იმ თმაგაჩეჩილ კაცს და, განრისხებულმა, ერთგულ ბედაურს მაგრად გადაუჭირე მათრახი. და მერე, სიბნელეში, დაუზოგავად მიაჭენებდი ცხენს და გზადაგზა ჩავლილ სოფლებში მძინარე გლეხებმა გვერდი იცვალეს, ისე მკაფიოდ ჩავსმათ ფლოქვების თქართქური. არსად ჩანდა სინათლე, ყველას ეძინა, მოქანცული, გულადმა გამოტყლი გლეხები უცხო მხარეში დაბოროლდებდნენ, რომელიც მე, მარადფხიველ სიმართლეს, არასოდეს მინახავს, მდიდარ ბენ იჯნპალს კი მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს და ირიჟრჟა თუ არა, გახარებულმა მსახურმა ტახტზე მჯდარს მოჰკრა თვალი და ოთახში შემოვარდა:

— ყოველივე ვაგივე, მარადძლიერი.

— რა? — კრილოსანს დასწვდა ბენ

გურამ დოჩანაშვილი
მხიარული გორცვი

იჯნაალი და თვალი აარიდა, — რა გაი-
გე...

— რა და მთელი ღამე ვალაპარაკე!
ახლოს მიუფიქრიდი, ვუთხარი, მე და შენ
ხომ ძმები ვართ, მეპურე და მზარეული
რამ გაყო, მოდი, მიახმე ყველაფერი, მე
ხომ დაგინახეთ მეთქი. იმანაც მიახმო,
ოო, სორეია ხანუშისთანა ქალი ცხოვ-
რებაში არ შემხვედრია, ბედნიერი იმი-
სი ქმარიო...

— გაეთრიე აქედან! — წვრილი ხმით
დაიყვირა ბენ იჯნაალმა, — გაეთრიე
და დღეს საღამომდე ყველაფერს დანამ-
დვილებით თუ არ გამოიგებ, თავს წაგაც-
ლი, იცოდე!

საღამოს კი თვალეზამოღამებული
მზარეული გაუბედავად მიუახლოვდა,
ფეხზე აკოცა და უთხრა:

— მიაბატიე, ყოველადღიერიო, ტყუი-
ლი ყოფილა.


ბენ იჯნაალი ამაყად გაიმართა წელში
და აბატია, მეორე დილით კი უგუნე-
ბოდ მობრუნებული არებ ხანი მოინა-
ხულა, ხოლო ნაშუადღევს მთავარ მზა-
რეულსა და მეპურეს მოედანზე თავი
მოჰკვეთეს, როგორც შაჰის მოღალა-
ტეებს. კმაყოფილი ბენ იჯნაალი შინ
დაბრუნდა და უეცრად ოთახში აღელ-
ვებული სორეია ხანუში შემოვარდა და
უცნაური რამ უთხრა: „რატომ მოაკვ-
ლევინე, სიდ ბენ, რატომ, მე ხომ ძალა-
თი ვათქმევინე მთავარ მზარეულს“...
„როგორ-ძალათი“... — დაიბნა ბენ იჯ-
ნაალი. „როგორ და მაინტერესებდა, და-
იჯერებდი თუ არა... დაიჯერე, ხომ? ხომ
დაიჯერე, სიდ ბენ...“ და სორეია ხანუ-
ში ისე მდღულარედ სტიროდა და თანაც
ისეთი ღამაში იყო, სიდ ბენ იჯნაალი
საბოლოოდ მაინც ვერ მიხვდა, იყვნენ
თუ არა მთავარი მზარეული და თეთრ-
ხელემა მეპურე შაჰის მოღალატენი.

მაგრამ იმავ საღამოს, როცა სორეია
ხანუში სიმღერითა და ცეკვით ძალიან
გაცელქდა, სიდ ბენ იჯნაალმა თითქოს-
და მოფერებით ძალიან მაგრად უჩქმი-
ტა მკლავზე, სწორედ იმ ადგილას,
დილ-დილაობით ლოყას ნაზად რომ მია-
დებდა ხოლმე.

ისევ მომწყინდა ამ მდიდრულ სხელ-
ში, ღამაზ ბაღებსაც თვალი შეეჩეია,
ყველაფერი მომბეზრდა.

ნორჩისთან კვლავინდებურად დაიარ-
ებოდნენ მადერისები და განსაკუთრე-
ბით მჭევრმეტყველების მასწავლებელი
პალიზიანებდა. მერე იმათ არაბი ასტრო-
ნომი, ხალილ მინაჯიმი შემოემატათ.
ასლა მაკლდა სწორედ — მთვარიანი
ღამით ბაღში გავიდოდნენ, მსახურს
ბროლის თასით ხილი მოჰქონდა, დიდი
მინაჯიმი თითს ცისაკენ აიშვერდა და
სწავლებას იწყებდა: აიი, ამ ვარსკვ-
ლავს... ესა და ეს ჰქვია... იმას... ისა და
ის... მზარ-თეძოზე წამოწოლილი ნორჩი
კი აუზში ჩაციებულ ყურძენს მიირთ-
მევდა და ხელს თხელი პურით იმშრა-
ლებდა. შესანიშნავად მიდიოდა ბენ იჯ-
ნაალის საქმეები — რემა და ოქრო მრავ-
ლდებოდა, ნაცნობები უწინდებურად
აფასებდნენ, არებ ხანის მეგობარს ვინ
რას გაუბედავდა და ნორჩიმაც მჭევრ-
მეტყველება შეისწავლა, ოღონდ გულ-
გრილად იძახდა ძვირფას სიტყვებს. აღ-
ტაცების მადერისი კი მთელს ისპაჰან-
ში ვერ მოიძებნებოდა და ამიტომ ბენ
იჯნაალმა დიდი სარკის წინ გვერდით
მოისვა ვაჟიშვილი, და დაარია — აბა,
ყურებთან თუ მიიტან ლოყებს... ნორ-
ჩიც დაიძაბა, მაგრამ არა, ღიმილი მაინც
სულ სხვა რამ იყო. აბა, ტუჩები გაჭიმე,
ასე, ახლა თვალეზამოღამე: ბოლომ-
დე, ბოლომდე გაჭიმე ტუჩები... ნორჩი
ყოველივეს გულმოდგინედ ასრულებდა,
მაგრამ გულიანად ვაღიმება მაინც ვერ
ისწავლა და ამიტომ ბენ იჯნაალმა გა-
ღიმების ნაცვლად უმდაბლესე თაყვა-
ნისცემის ნიმუში წარმოუდგინა — მოკ-
ლე ხელეზი მკერდზე გადაიქცო და იატა-
კამდე დახარა თავი. და თუმცა ნორჩიმ
ესეც კი ვერ გაიმეორა, სიდ ბენ იჯნაალ-
მა მაინც სიამოვნებით გაიფიქრა: „ქედს
ბოლომდე ვერ მოახრევიანებ — ნამდვი-
ლი ვაჟაკია“.

რჩეული მეგობრები ძველებურად
დაიარებოდნენ, და ერთხელ თვით არებ



ხანი რომ ეწვია, აღტაცებულმა მასპინ-
ძელმა დიდებული სუფრის გაშლა ბრძა-
ნა, მაგრამ სტუმარი უგუნებოდ იყო და
ქუჩაში გავლა შესთავაზა. ბენ იჯნაღ-
მაც ბენდიერი შემთხვევით ისარგებლა
და ნორჩიც გაიყოლია. ქუჩა-ქუჩა მი-
დიოდნენ, ხალხი აღტაცებით შესცქერო-
და უძვირფასეს სამოსში გამოწყობილ
მოსეირნეებს; დიდი ავაზაკი უძძრახად
მიაბიჯებდა და გზადაგზა ყვავილს თუ
ფეროდნენ, ვერც კი ამჩნევდა. ბენ იჯ-
ნაღმაც ყოველი მხრიდან მდაბლად უძ-
ღვნიდნენ სალამს — თითებს მკერდზე,
ტუჩებსა და შუბლზე იდებდნენ, ნორ-
ჩისაც ალერსიანად უღიმოდნენ, სასი-
მოვნო იყო მოსეირნეთათვის ესოდეს
აშკარა პატივისცემა, ბოლოსდაბოლოს
არც ხანმაც ასწია თავი და გუნებაზე
რომ მოვიდა, უეცრად, გზაზე, უცნაუ-
რი სპარსელი შემოხვდათ და გახევდნენ.
სამივე იმას შესცქეროდა, ის კი რიგრი-
გობით ათვალეირებდა სამ განსხვავე-
ბულ სახეს: ერთი — მუყაოს თოჯინისა
იყო, მეორე — ფრთხილი ძუნწისა, მე-
სამე სახე კი, ხარბად მომზირალი, ამაზ-
რუნე, დიდი ავაზაკისა იყო, მაგრამ უც-
ნაური სპარსელი სამივეს ერთნაირი სიმ-
შვიდით შესცქეროდა. იმათ კი სულ
სხვადასხვა რამ აწუხებდათ: ნორჩის —
უცნაური სპარსელის აშკარა, თვალში-
საცემი უბირატესობა, სახესა და სხეუ-
ლზეც რომ აღბეჭდოდა, ბენ იჯნაღი
ისეთ დაკვირვებულ მზერას წააწყდა,
რომ თავი დახარა და სორეიას ღირსე-
ბაში მაშინვე ეჭვი შეიტანა; მხოლოდ
არებ ხანს არ მოუცილებია მისთვის
თვალი და ახლა შემხედრიც მხოლოდ
მას შეჰყურებდა. ვიღაცას ჰგავდა! იმა-
საც გრძნობდა არებ ხანი, სახით კი არა
ჰგავდა; თვალებში ჰქონდა რაღაც ისე-
თი, რომ არ სიამოვნებდა, ვიღაცაც ასე
შესცქეროდა, სადღაც, ახლახანს... და
გაახსენდა — ჰო, იმ კაცს ჰგავდა, სო-
ფელ მორდოვში რძე რომ მიაწოდა, კი
არა ჰგავდა, იმასავით გულლიად შესც-
ქეროდა ჩემი რჩეული, მაჰმუდ აალი და
განრისხებულმა არებ ხანმა ხანჯალზე
დაიღო ხელი, მაგრამ ასე, შუა ქალაქში,

ცდისით, მზისით, უდანაშაულო კაცის
მოკვლა არ შეიძლებოდა და დედმა ავა-
ზაკმაც უმოკლესი გზა აირჩია:
— შაჰი თუ გიყვარს.
და მე, თვით სიმართლე, აფორიაქე-
ბული და დაშინებული, ყურთან მივეპარ-
დი და სიცრუეს ჩავჭურჩულედი:
— თქვი, რომ გიყვარს. თქვი, რომ
ძალიან გიყვარს, რა გენაღვლება...
მაგრამ მაჰმუდ აალის თვალიც არ და-
უხამხამებია, ისე უპასუხა:
— ვერაფერს გეტყვი, არსად მინა-
ხავს.
— როგორ, როგორ? — ტუჩი აილო-
კა არებ ხანმა და მივხვდი, ჩემი იქყოფ-
ნა უარესი იყო მაჰმუდ აალისათვის —
მე ხომ სიმართლე ვარ და სასწრაფოდ
გავეცალე იქაურობას — სახლებს მსუ-
ბუქად გადავევლე და მხიარულ ველზე
აღმოვჩნდი, მაგრამ ახლა ყვავილებისა-
თვის სად მეცალა — ეჭვებაშლილი, შე-
წუხებული, ერთხანს ბალახებში დაეძვ-
რებოდი, მერე კი მალლა ავიჭერი და
დემავენდის მთისაკენ მიმედ გავცურ-
დი, დრო რომ გამეყვანა; მერე ისევ
დინჯად გამოვბრუნდი, მაგრამ შუაგზა-
ზე მოთმინება აღარ მეყო და მეხვიით
დავატყდი იმ ადგილს, მაგრამ ქუჩაში
აღარავინ ჩანდა. მაშინ პირდაპირ შაჰის
სასახლისაკენ გავიჭერი და შევცბი:
ყველანი იქ იყვნენ, იატაკზე გართმუ-
ლი ნორჩი კი გრძელ წინადადებას ამ-
თავრებდა: „... ისპაჰანის მარადუტკნო-
ბო მზევ!“
და, საოცრებაც, ისე გულლიად შეს-
ცინა!
— აი, როგორ უყვარხარ, სათაყვანე-
ბელო, — თქვა არებ ხანმა და შეიცადა,
სანამ ნორჩი შაჰს მუხლზე ემთხვეოდა,
მერე კი თავი მაჰმუდ აალისაკენ ოდნავ
გაიქნია და უთხრა:
— ერთი ამასაც ჰკითხე, ისპაჰანის
გონებაც და მახვილო!
თარსა და ჭიანურზე უკრავდნენ, შაჰ-

გურამ დოჩანაშვილი
მხიარული გორცვი

მა ჩემი რჩეული თავით-ფეხამდე აათვალიერა და კმაყოფილმა ჰკითხა:

— რა გქვია.

— მაჰმუდ აალი.

„ყოვლადძლიერო!“ „ყოვლადძლიერო“ მაინც დამეატებინა, კედელს მივეწვინარცხე.

შაჰს სახე მოეკმუხნა, მერე მაინც აღერსიანად ჰკითხა:

— გიყვარვარ, მაჰმუდ აალი?

იმან კი შაჰი შეკავებული ღიმილით აათვალიერა და უთხრა:

— არ მძულხარ.

— თუ გიყვარვარ!

— არ მძულხარ მეტი.

და მაშინ შაჰმა პირი მაგრად მოკუმბა და კვერთხი მოიქნია. მაჰმუდ აალიმ, რჩეულმა, ხელი იტაცა გაჩეხილ წარბზე, მერე კი დინჯად მოიწმინდა თვალის უბეში ჩამდგარი სისხლი, ხელისგულს დახედა, ახალგაზრდა შაჰს თვალეზში შეაქებრდა, ისე გაიღიმა, მე რომ მიყვარდა და უთხრა:

— მაინც არ მძულხარ.

რა, რა ხდებოდა! მოედნისაკენ დიდი ჭოკი მიჰქონდათ მსახურებს და ხელი რომ შემეშალა, რა არ ვიღონე. წინ გადაუღდექი, ფეხებში ვედებოდი, მაგრამ ვერაფერი გავაწყე და გადათელილმა, დამცირებულმა, სეირის საყურებლად გამოდენილ ხალხს ჩამოვუარე — ყველას თვალეზში ჩაცქეროდი, ნიავად ველამუნებოდი, ვეხვეწებოდი ხმლის გაშიშვლებას, ამბოხს ვუბრძანებდი; ვინ დამიჯერა — არც კი გაუგიათ ჩემი, სეირის მოლოდინში ზოგი ხელეზსაც კი იფშენებდა და კმაყოფილები იყვნენ. მე კი, უხილავი და უხმო, უსუსური, ტანსაცმლის კალთას თუ ავუფრიალებდი მსუბუქად ჩაცმულთ, სხვა რა შემეძლო, გაცოფებული ვენარცხებოდი ქვასა და მუხლებს, მაინც ჩემსას ვჩურჩულებდი და შესმენის იმედი მთლად რომ გადამიწყდა, დაკუნთულმა მუსიკოსებმა საზარელი კერენაი ააბლავლეს — შაჰი გამოჩნდა. იგი მოდიოდა მოედნისაკენ, შვილდისრით ხე-

ლში, მთელ მის ამაღასაც შვილდისრები ეკავა და მოედნის შუაგულში მიუძღვის კის თავზე სამიზნედ მიკრული, ჩემი რჩეული, მაჰმუდ აალი ტივტივებდა! შაჰი ამაყად მოდიოდა და ამაღა ახლდა, უკეთესი რომ არ შეიძლებოდა — მხრებდაქანებული დიდი ავაზაკი, მოკლეხელეა სიდ ბენ იჯნაალი, ყურმოკრილი ხანი, ირიბად რომ ეხურა ჩაღმა, ძაღლებივით გაწვრთნილი ასისთავები, ის ყბამონგრეული კაციც შეგნიშნე, რომელსაც ახლა შაჰიმ ერთგულებიშ დაშამტიჩიებლად შვილდი გაედო მხარზე, და თვით მუყაოს იდიოტიც ისრებს ალესილ წვერს უთვალიერებდა, ხმა რომ მქონოდა, ხილული რომ ვეყოფიყავ! ის კი, განწირული, ჭოკის კენწეროზე მიკრული, ალბათ ისიც ამაღას შესცქეროდა, ვედარ შეგხედე. არა, არ შემეძლო! და როცა ახალგაზრდა შაჰმა ცხენი შეაჩერა და მრისხანედ მოვეუთვალიერე სახე, კერენები მომეტებულად ააბლავლეს და მაშინვე ზანზალაკები, დაირებიცა და ბუკებიც აჰყენენ და მთლად მოვიჩვებრე — ამ საზარელ, აბდაუბდა ღრიანცელში რაღაც ველური ჰარმონია მაინც იყო. და როცა შაჰმა შვილდი გადმოიღო, უკანასკნელად შევებრძოლე და, დაუძღურებულნი, სახეში ვეკვეთე, მაგრამ იმას ნიავი ესიამოვნა და კმაყოფილმა მომიშვირა სახე, თან ისარიც გადმოიღო და შვილდი რომ დაქიმა, გამწარებული ავეარდი ზემოთ, შემოგვხვე და მაშინვე ვიგრძენი, ისარმა ზუზუნით რომ გამაპო და ჩემს რჩეულს, უცნაურ სპარსელს, ყელში ჩაესო — იმ ცისფერ ძარღვეში, ოღნავ რომ მოუჩანდა. არ ვუყურებდი, მაგრამ ვიცოდი, სუსტად რომ აფართხალდა და აღარაფრის დანახვა და გაგონება არ მსურდა, მაგრამ საკრავები წამით დადუმდნენ, შაჰმა კი თვალი მოავლო ამაღას, ხალხს და ღიმილით განაცხადა: „ვისაც ვუყვარვარ, ყველამ ესროლოს.“ და მაშინვე აუარება ისარმა გამიარა და, რჩეულს შემოხვეული, ბრაზით აცახცახებულნი, ადგილს მოეწყდნენ და ისევ ზიზლით ჩავაცქერდი

თვალეში ყველას, ყველას, ვინც კი ისროდა. მერე შორიდან ავხედე ჭოკს და გავმრი — უთვალავი ისრისაგან დამრგვალბულიყო კენწერო და აღარავინ ჩანდა, მისი დანახვა მომინდა და იმ აუარება ისარში, ზოგს სისხლი რომ სდიოდა, ათრთოლებულმა, დამცირებულმა გავიარე და უხმო ღრიალით შემოვეხვიე; და მე, უსუსუს, გამწარებულს, ერთი ნუგეში მაინც, მქონდა — პაერში მოკვდა!

სანამ მაგრად შეღამდებოდა, ჩამავებულ ფულუროში შევიყუყე და ჩემთვის ვგლოვობდი. მერე კი, შურისგებითა და ბრაზით გაწელილმა, გოროზად გადავუარე მიძინებულ ქვეყანას, მთვართით აბუტებულ ზღვას და ახლა, თავად მბრძანებლის ფერხით გაშოტილი, სისხლის აღების წყურვილით ანთებული, ჭიუტად ვევედრებოდი: „ან ხმალი აძვრებინე ვინმეს, თუგინდ — ისარი, ან საზარელი რამ სნეულება შეჰყარე, ბღვილსა და კბილთა ღრქენაში რომ ამოხდეთ სული, რომელიც გინდა, ის დასაჯე, გინდ ავაზაკი, გინდა — ძუნწი ან იმისი შვილი, ანდა სულაც სამთავეს ერთად დაატეხე თავს შენი რისხვა, ერთ მათგანსაც დაგჯერდები, ერთერთს გვედრები, მტვერი შენთა ფერხთა, შენი ერთგული, დამცირებული და უმოწყალოდ გადათელილი... იმათ ჩემი რჩეული მოჰკლეს, ვისაც მადერისად თავად დედაბუნება ჰყავდა, შენ რომ გენახა, როგორ დადიოდა, როგორ“...

ავხედე და სიტყვა გამიწყდა — ყოველივე იცოდა.

სევდიანი და დაფიქრებული, ნაღვლიანად დამცქეროდა. რაღაცა ისეთიც იცოდა, მე რომ არც მომლანდებია, დიდხანს მიყურა და რომ შევეკრთი, მკაფიოდ მითხრა:

— საბრალო ნორჩი.

ნაღვად ასე თქვა, არ მომჩვენებია. გონება ამემღვრა და მბრძანებელს, ყოვლისმცოდნესა და იღუმალს, მე, აღშფოთებული მსახური, უდიერად შევეპა-

სუხე: „ვინაა საბრალო, ვინ — მუყაროს იდიოტი? ის, ვინც ყოველგვარი მტერი გარეშე მიირთმევს გემრიელ ნუგეშებს უძვირფასეს სამოსსაც მუყაროში, შადრევნებში დაიარება...“

მაგრამ მბრძანებელმა სუსტად გაიღიმა და მითხრა:

— ეგ არაფერი. სხვა?

სხვა რაღა უნდოდა, დავიბენი. მერე მაინც ყველაფერი გამახსენდა და სხაპასხუპით მივყარე:

— უგუნურსა და ყეყჩხს, დიდად აფასებენ, წუწკი მამის დაგროვილი ქონების წყალობით!

მაგრამ მბრძანებელს წარბიც არ შეუხრია:

— ეგეც არაფერი. სხვა?

რომელი ერთი ჩამომეთვალა! და ყველაფერზე მეტად თვალშისაცემი რამ გამახსენდა:

— ბავშვობიდანვე მლიქვნელად ზრდიდნენ მშიშარა მამა და განსწავლული მადერისები! ჩემი რჩეული, ვისთვისაც უცხო იყო ამდაგვარი რამ, ახლა ჭოკის თავზე მრგვლად დაისრული, ბაბუაწვერასავით ამოსულა მთავარ მოედანზე, მაგრამ რომელი სულისშებნება გააცლის უმოწყალოდ ჩასობილ ისრებს, ის კი, მადერისებისაგან მოწამლული, ისეთ დათაფლულ სიტყვებს იძახდა!

მბრძანებელმა კი ჩუმად, ნაღვლიანად გაიმეორა:

— საბრალო ნორჩი.

თავისას იძახდა, ალბათ კარგად ვერ გავაგებინე:

— რითია საბრალო, რა აქვს შესაცოლი! ვის არ შეშურდება იმისი ქონება, ოქროული და თვალ-მარგალიტი, ბედაურები, ბროლი და საფირონი და ერთი ისეთი ალმასი აქვს...

მაგრამ მბრძანებელმა მკაცრად გამაწყვეტინა:

— ყველანი წავლენ, — მითხრა და ისე შემაცქერდა, წამსვე მოვიწუხებ და

გუგამ დოჩანაშვილი
მხიარული გორცვი

დავბატარავდი, — ერთი იცოდე, ეგენი ყველანი წავლენ და თუნდაც მთელი სიმდიდრე და ავლადიდება უზარმაზარ საფლავში ჩაატანონ, მაინც ვერავინ ვერაფერს წაიღებს იმქვეყნად, ეგ ერთი იცოდე, — და დამიყვავა, — მარჯვენა ხელო.

გაოგნებული გავცქეროდი, ის კი, განრისხებული, სადღაც შორს იყუბრებოდა:

— ის ბენ იჯნალიც ნუ გგონია ბედნიერი და პროვინციელ ავაზაკსაც ერჩია, მთელი სიცოცხლე სოფელ მორდოვში მჯდარიყო. იმ უბედურ ნორჩისაც ნუ შეიძულებ ასე და ისიც იცოდე, ვინაა ბედნიერი...

ეგონა, რომ ყველაფერს მივხვდი და შეჩერდა, მაგრამ მე, მოკუნტული, მუკისოდენა, ხარბად დავეკითხე:

— ვინ?

— ვინც რჩება.

რადაცამ გამიელვა, შევექვდი:

— ვინ დარჩა?

იმან კი, მბრძანებელმა, ღიმილით შემომხედა და მითხრა:

— ვინც უყვარდათ.

თითქმის ყველაფერს მივხვდი და მაინც ხარბად, მოუთმენლად დავეკითხე:

— ვინ უყვარდათ?

იმან კი, მბრძანებელმა, მიუწვდომელმა და ყოველისმცოდნემ, დაფარულ-

მა, ალერსიანად შემომხედა, თავი მძიმედ დამიქნია და დინჯად, დამარცხებული მითხრა:

— მაჰმუდ აალი, მხიარულ ბორცვზე.

სიხარულმა რომ გადამიარა, არეული და დაფიქრებული, ნისლად გავიწვლე დამეულ ზღვაზე... მე ვიხსენებდი მბრძანებლის სიტყვებს და მაინც, მარადუძღური მის იდუმალ სიბრძნეთა წინაშე, საბოლოოდ ვერაფერში დავრწმუნდი და კიდევ კარგი, მთელი ჩემი უხილავი სხეულით ბრმად რომ ვგრძნობდი მისი სიტყვების ჭეშმარიტებას. სიფრიფანა ნისლად ვტივტივებდი დამეულ ზღვაზე, დავცქეროდი მთვარის შუქზე ნაზად ამოხნეკილ ტალღებს და თვალი დამიმშვიდდა. მერე გავხედე ზღვას და მივხვდი, რატომ ეძახდნენ უკიდევანოს, თუმცა მშვენიერად ვიცოდი, სად ჰქონდა ნაბირი და გულადმა ამოვტრიალდი. იქ კი, ცაზე, უამრავი ვარსკვლავი ჩანდა, და მე, ვისაც ღრუბლების მიღმა ასვლა არ შემეძლო, მაინც მშვიდად შევცქეროდი ჩემთვის გამოუცნობ, შორეულ კაშკაშს და მხოლოდ ის მიკვირდა, მიწიდან ასეთ ერთნაირ ციავს როგორ დაარქვეს ადამიანებმა ისეთი განსხვავებული სახელები, როგორიცაა მეეტლე, ქალწული, ღრიანკალი...



გავემოლუევი

აქ კვლავ მოდიან ათასები,
მილიონები,
ისევ ისეთი გატაცებით
და დაღონებით...
სურთ ცხადად ნახონ
სიდიადე კაცთა გონების,
ჰოდა, მოდიან ათასები,
მილიონები.

გარშემო ისევ დგას დუმილი,
ჯერარსმენილი.
ჯერ უნახავი ცრემლებია
აქ დადენილი...
და ისე ფრთხილად
მიმოდინ მწუხრადფენილნი,
თითქოს არ უნდათ
გააღვიძონ
დიდი ლენინი.



სიცხე მქონდა და ვბორგავდი დიდხანს,
ჩამძინებია, წასულხარ ბოლოს...
ვერ გითხარ, რალაც მინდოდა მეთქვა
და უთქმელობამ მომიღო ბოლო.
წასულხარ... დამჩა უსაზღვრო სევდა,
რა სათქმელია — სევდაც და მეტიც,
მე მაშინ მსურდა მეთქვა ის რალაც,
რომელსაც ახლა ვერასდროს გეტყვი.
დღესაც წვიმს ისევ... წვიმს როგორც მაშინ —
ძალიან ჩუმად, ნაზად და კდემით,
კიდევ კარგია, წახვედი ისე,
რომ ვერ გითხარი სათქმელი ჩემი.

ის სხვა იქნება

ჩემი თვალებით, ჩემი ხელებით,
ჩემი სიცილით, ჩემი დარდებით
შეგხვდება ვილაც, — მიეფერები,
შეიყვარებ და შეუყვარდები.
იქნებ ხიბლავდეს მასაც ქარები,
გიჟი არავი, მთებში კარავი. —
იტყვი ერთმანეთს ჰგვანან ქალები
და მიეჩვევი როგორც არავის.
იქნებ უყვარდეს წვიმა ჩემსავით, —
მწვანე მინდვრები, კარგი წიგნები...
იქნება მგავდეს... მაგრამ ეს არის,
ის სხვა იქნება, მე სხვა ვიქნები.



ერთი ხალხი მართლად



ოცდაშვიდი სვანი მწკრივად მიუყვებოდა კლდე-ღრეებში დაკლავნილ საცალფეხოს. შორი მგზავრობით მოსალოდნელ საფრთხეს ლახამულელები, ფარელები, ეცერლები და ბეჩოელები ძმებივით შეეკრა. ჯარისკაცებივით ერთნაირად ემოსათ. მხოლოდ ფერშიღა იყო განსხვავება: ზოგს ჯვალისაგან შეკერილი სამოსი ეცვა, ზოგს კი — რუხი მგლისფერი. სამი ნივთი კი ყველას ერთნაირად აკობდა: ზურგზე მართლით სავსე ხალთა, ხელში ფოლადისწვეტიანი მუჭრა და წელზე ხანჯალი.

ამ გზას პირველად არ მიუყვებოდნენ — ყველამ იცოდა, სად უნდა გაე-

თიათ ღამე, სად უნდა დაეღიათ წყალი, ან სად უნდა ეჭამათ პური. დანიშნულ ადგილამდე სულიც რომ გასძრომოდა, დაღლას, შიმშილს ან წყურვილს არავინ გაამეკლავებდა. ასეთი იყო მგზავრობის სასტიკი წესი. თუ მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, სისხლში გამაჯდარი, ჯიუტი თავმოყვარეობა.

სამეგრელოდან წამოსულნი მეოთხედღეს, შუადღისას, ლაჯურღულას კლდეებს მიადგნენ. აქ ოდითგან დადგენილი წესი აასრულეს — ადგილის დეტალებს მშვიდობით მგზავრობას შევედრნენ.

ლოცვა ლახამულელმა გაბრიელმა



შეასრულა — კლდის ძირთან თაროსავით გამოშვებულ პიტალოზე ფიჩხი დაყარა, ცეცხლი დაანთო, შემდეგ ახალუნის ჯიბიდან თეთრ ნარმის ნახევში გამოხვეული წმინდა ცვილის ნაკერი ამოიღო და დანით ცეცხლზე თლა დაუწყო. ნაკვერცხლებზე დაცემისას ცვილის ბურბუშელა ციციხით იღვინებოდა და მისი ნაკვეცი ბოლთან ერთად მდლა მიიჩქაროდა. ცისკენ მიმავალ სასიამოვნო სურნელს დაჩოქილი გაბრიელი ღვთის ხეწნა-ვედრებებს ბუტბუტით აყოლებდა. დანარჩენებიც მუხლმოყრილნი უხმოდ იწერდნენ პირჯვარს.

ლოცვა რომ მოათავეს, შენაყრდნენ და ენგურზე სხეენივით გაღმოყუდებულ კლდეებს შეუყვანენ.

ლაჭურღულას კლდეები ყველაზე საშიში გასაყლელი იყო საზანოს გზაზე. გზა ეთქმოდა, თორემ ლენხერას ხევში გამავალ ბილიკზე მხოლოდ მარჯვე მოსარულეს შეეძლო გავლა. ლაჭურღულა კი მაინც უფრო საშიში იყო, როდგან აქ კლდეები წამდაუწყუმ ირღვეოდა და ზევიდან შეუწყვეტილი ცვიოდა ქვა.

განსაკუთრებით საშიში იყო ორბის საბუდარას ღარი. თვალშეუწვდენელ სიმაღლიდან ციკაბო, ზამთრობით შვავისაგან მოლიბული კლდისფსკერიანი ღარი პირდაპირ ენგურის დაღრენილ ხახს უერთდებოდა, სადღაც, თავთან, კლდეს უშველებელი ლოდები წყდებოდა და ციკაბო ღარში ელვის სისწრაფით ეშვებოდა. ამიტომ მგზავრს იქ გავლისას მეტი სიფრთხილე მართებდა.

ორბის საბუდარაზე თითო-თითოდ გადიოდნენ. სწორედ შუა ღარში იდგა გაბრიელი, ზემოდან საშინელი გრუხუნის რომ მოისმა. ხალთის სიძიმით მოღუნულმა თვალი კი შეასწრო ვეებერთელა ლოდს, რომელიც ღარში გრიალით ჩამოდიოდა და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ბილიკზე ოდნავ გადამოშვებულ კლდის ქიმს ქვემოდან აეტუნა. მიმინოსაგან შეშინებულ ნიბლისავით შეეკუჰა მღვიმეში ლახამუ-

ლელი მთაკაცი და, ყოველ შემთხვევაში სათვის, კლდიან ბილიკზე მუჭრამდელი რად ჩაასო. მღვიმეში გაბრიელის მხოლოდ თავი და ვეება მხრები დაეტია. სამფუთიანი მარილით სავსე ხალთა კი გარეთ გამოშვებული დარჩა. უცებ ლოდი ხალთას მოხვდა და ორივე სახელო-მოგლეჯილი უფსკრულში ბურთივით ისროლა.

ჰერში კარგა ხანს ტრიალის შემდეგ მარილით დამძიმებული ხალთა ზედ მდინარისა და კლდის შესაყართან პიტალოზე დაენარცხა და გაბრიელის ნაოფლარი მარილი ნაწილი წყლისაგან სუფთად მორეცხილ კლდეზე დაზვიანდა, ნაწილიც ხალთასთან ერთად წყალში ჩაიშალა. ენგურმა კლდეზე დარჩენილ მარილსაც ენა ნაიალაღარი ხარივით ხარბად მოუსვა და ლურჯად მოლივლივე სტომაქში ჩანთქა.

მუჭრაზე საიმედოდ დაყრდნობილ გაბრიელს ხალთაზე მოხვედრილმა ლოდმა ძვრაც ვერ უყო.

მგზავრებმა ჯოჯოხეთის ღარს მშვიდობიანად დააღწიეს თავი.

საზანოდან გაბრიელისოდნა ტვირთი ჯერ არავის ამოუტანია. ოთხში ამოღებულ ვაცის ფუნფულათმიან ხალთას კარგად იცნობდნენ ზუგდიდელი თუ სენაკელი მეღუქნეები და სამი ფუთის ანგარიშით აუწონავად უვსებდნენ.

წელიწადში ერთხელ ამოიტანდა გაბრიელი მარილს და მთელ სამო ოჯახებს წლიდან-წლამდე ჰყოფნიდათ. პადლეიერი სამოც გაბრიელს ვალში არ რჩებოდა და, როგორც შეეძლო, ისე უხდიდა სიკეთეს. იმ დღეს კი სხვა მგზავრებს შორის ხვალშიშის გადასახედზე გაბრიელი ცარიელი მიდიოდა. დაღვრემილი, გულღრუბლიანი მიაბიჯებდა. ამჯერად იტულს არ უხარებდა ქვემოთ გადაშლილი მისი საყვარელი სოფელი ლახამულა. სოფლის ბოლოს, წმინდა გი-

გიორგი ავალიანი
ერთი ხალთა მარილი

ორგის ეკლესიის დანახვაზე, პირველად არ გადაუწყვრიდა, ისე ჩაუყვავა სოფელში ჩაპავალ ბილიკს. ყველანი მდუმარედ მიაბიჯებდნენ.

სოფლის განაპირა მოსახლისას შედგენენ მგზავრები. ფარელმა ბითემ ოჯახის დიასახლისს ცარიელი ხალთა გამოატანინა — საშუალო ზომის საწისქვილე ხალთა იყო. ყველამ მოიხსნა თავთავისი

ტვირთი. ბითემ თავის ხალთიდან სავსე ორი პეშვი მარილი პირველად და ნათხოვარ ხალთაში ჩაუყვავა ხალთა შემოატარა: ყველა მგზავრმა უსიტყვოდ მიჰბაძა.

მგზავრებმა მარილით პირთამდე გატენილი ნათხოვარი ხალთა გაბრეილს აპკიდეს და ოფლისმღვრელი გზა განავრძეს.

შ ა ვ ბ ე ნ

სატვირთო მანქანის კაბინაში ორნი ვზივართ; ზუგდიდის სატრანსპორტო კანტორის მძღოლი, ტანმორჩილი, ჩაფსკენილი ღურუ ხვითა და მეახალთახალი სატვირთო მანქანის ძარა პურისფქვილიანი ტომრებითაა სავსე. სამ ტონამდე იქნება ტვირთი და მანქანა ზუგდიდ-ჯვარის გზაზე ექსპრესის ვაგონივით რბილად მისრიალებს.

მაგრამ აი მანქანა გასცდა მაგანას ხიდს, თითქოს მთების მრისხანე სუნთქვა იგრძნო, ერთი მძიმედ ამოიქმინა და ხენწმით შეუყვავა ოღრო-ჩოღრო აღმართს.

— შშვიდობით, საათში 60-70 კილომეტრო, — ჩაილაპარაკა ღურუმ და მართლაც შემდგომ სპიდომეტრი 20 კილომეტრს აღარ ასცილებია.

მანქანაში მძღოლთან მუსაიფს ყოველთვის ვერიდები. მთელ გზაზე სულ რამდენიმე სიტყვა ვთქვი და მაინც საკმაოდ გავუშინაურდით ერთმანეთს.

ღურუს ერთადერთი მგზავრი დღეს მე ვარ. სხვა ჩემს ადგილზე არ მოიწყენდა, იშვიათი ბუნებით დატკებოდა, მაგრამ, რა ვქნა, რომ ეს გზა ბევრჯერ ქვეითად გამივლია, თითქმის ყველა მოსახვევი, ჩანჩქერი თუ საბედისწეროდ გადმოკიდებული კლდის ლოდი საგულდაგულოდ ვიცი და ვერც ჩაშვებულ კლდეებში ენგურის ბორცვა ახდენს ჩემზე ახალ შთაბეჭდილებას.


მკვეთრ აღმართებზე მანქანა ხროტინს იწყებს; იკაჭება ძრავა, მოსტე-

ვამს. ხანდახან, თითქოს ილაჯი გაუწყნაო, შეჩერებას დააპირებს, მაგრამ ღურუ გაზს მარჯვედ წაუშვებებს და გამხნევებული რკინის ხარი აღმართს ახალი ძალით უტევს.

გზის დიდი ნაწილი ისე გავიარეთ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დავტოვეთ სოფელი ეცერი. კლდიან ბორცვზე ქორის ბუდესავით მიშენებული პაწია სოფელი მარცხნიდან თავზე გიდელივით წამოგვემზო. ღურუ მანქანას გზის მარჯვნივ ვიწროდ დარჩენილ მდელოზე აყენებს და ხელის მუხრუჭს ბოლომდე სწევს; შემდეგ კაბინიდან გადადის.

მზე ზენიტიდან საკმაოდ გადახრილა. ჩვენს წინ აღმართული გორაკი გზას რომ მიუყვება, ხევს ფარავს, ხევიდან მდინარე დოლრას ბრაზიან შხუილს დროდადრო ჰაერის ნაკადი ჩვენამდე ავდებს. მერე კვლავ სიჩუმე მკვიდრდება და ამ სიჩუმეს მწყემსის ტყიდან ობლად გამოვარდნილი სტვენა ან ნაჯახის კაკუნია არლევებს. ეს კანტიკონტი ხმები მთის კრიალა ჰაერში ისე ეღერს, როგორც დიდი ხნით მიტოვებულ საკონცერტო დარბაზში უცებ აღღრებული საკრავის ხმა.

ენგურს გადადმა ლამაზად გაწოლილა სოფელი ცხუმარი. ქერის, პურის, კართოფლის და სიმინდის ნათესებობი ოთხკუთხედებად აქრელებულა მისი საუცხოო საფარველი. გორაკს იქით უშბა ამოშვერილა. ერთი შეხედვით ჭგვონე-



ბა, თითქოს ეს გოლიათი ზედ გორაკზე დგასო. უშბა მშვიდია, უნისლო. ოდნავ შემუქებული თეთრი ორთავა დევი ცას ეცილება სიმაღლეს.

● უშბას ნახვა მოგონებებისა და ფიქრების ქსელში მხვევს. თავდავიწყებაში გადასული უკვე ზედ უშბაზე ვდგავარ. აქედან ქვეყანა უკიდევანოა: არსად დასაწყისი, არსად — დასასრული. ღრუბლები დაბლა, ხეებში ტბის ფსკერზე დაბოლქვილ წყალმცენარეთა ფოთლებივით გადაშლილან. გაკრიალულზელ ყინულზე ჩემი ძირგადაღესილი მხედრული ჩექმებით მშვიდად ვდგავარ — ფეხი არ მისხლტება. ყინულეთიდან ამოდის ალიოშა ჯაფარიძე და ჩემკენ მოემართება. მისგან მოშორებით ყინულისა და კლდის შესაყართან ორნი ფუსფუსებენ: ესენი ალბათ ქელეჩიბი ონიანი და ივანე მუხინია.

ალიოშას წერაყინი უჭირავს. მისი რკინისძირებიანი ფეხსაცმელი და წერაყინის ფოლადის წვერი გააყებულ ყინულზე ნაპერწყლებს ყრის. მთები ზანზარებენ ალიოშას ფეხქვეშ. უკვე მკვეთრად ვარჩევ მის მაღალ შუბლზე ხშირ ნაოჭებსა და აბურძგენილ წვერს. სახე კი უღიმის და.. მეგობრულად ხელს მიწვდის:

— ვო, შავგენ! — და ალიოშა ჯაფარიძე, ისევ უშბად გადაქცეული, მშვიდად შემომცქერის გორაკს გადაღმიდან.

● — ვო, შავგენ! — იმეორებს ღურუ უფრო ხმამაღლა და ამჯერად ზემოდან მამაკაცის მოგუდული ხმა ეხმიანება. შემდეგ მანქანის უკან საუბარი იმართება. იმასაც ვხვდები, რომ ძარადან ტომარა გადმოაგდეს. შემდეგ სიჩუმეა. ღურუ კაბინის კარს აღებს და ელიმება, თან უკან იცქირება. კაბინის გასწვრივ, გზისპირთან, საშუალო ტანის, მეტად სასიამოვნო გარეგნობის მოხუცებული ჩერდება და ვედრებით ხან მე შემომცქერის, ხან ღურუს.

— ჩემი მეგობარია, ბიძია შავგენი. სიმინდის ფქვილი ამოვუტანე ზედღრუდან, — მეუბნება ღურუ, — ერიდება და ვერ გიბედავთ შინ მიპატიუებას. მე მთხოვს, იცოხრათ. თუ ძალიან არ გეჩქარებათ, ვეწვიოთ, გაუხარდება. ოქრო კაცია, ძვირფასი ოჯახის პატრონი.

ვიწრო ბილიკით შავგენის სახლისაკენ მივუყვებით. წინ მასპინძელი მიგვიძღვის, ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ. მეორე სართულზე ავდივართ და ფართო აივანზე ვსდებით. შავგენი მცირე ხნით სადღაც მიდის და მალე ისევ ბრუნდება. ოთახში შევყავართ. კედელზე დიდ ჩარჩოში ჩასმული ჯარისკაცის სურათი მეცნაურება. კარგად ვაკვირდები და ცენერალ გიორგი ყურაშვილს ვცნობ. შავგენი მისხნის, რომ ყურაშვილი მისი ოჯახის დიდი მეგობარია, რომ ომის დროს გიორგის ახლდა მისი ვაჟიშვილი, აი ამათი მამა, და მითითებს ორი ახალგაზრდა ვაჟის სურათზე. ერთი ჯარისკაცის ფორმაშია, მეორეს კი სტუდენტურად აცვია. „ყურაშვილის დივიზია ბეჩოში იდგავო და დიდად ირჯებოდა დივიზიის შტაბისთვის, ვანაგრობს შავგენი თავის შვილზე, — გიორგის დავალებით იმ ზამთარს ორჯერ გადავიდა ბეჩოს გადასასვლელზე „ქათმის მკერდით“¹. ახლა ზაფხულშიც უძინელებათ ტურისტებს იქ ამოვლა. მეოთხე გადასვლა გადავიდა და უკან ველარ მობრუნდა“. მიმე დუმილი დგება. მსურს გავამხნეო მოხუცი, მაგრამ ჩემი წაღილი ზედმეტად მეჩვენება. „ესენი მეყოლონ კარგად“ — ბიჭების სურათებზე მითითებს და მის კმაყოფილ, იმედიან, სიცოცხლით სავსე თვალებს ცრემლი არ ეკარება.

რატომღაც გვარს ვეკითხები, თან მაშინვე ვნანობ, არ უნდა მეკითხა.

— რად გინდა, ბიძიკო, ჩემი გვა-

¹ ასე ჰქვია ბეჩოს გადასასვლელზე ციკაბო ჩასასვლელს.

გიორგი ავალიანი
შავგენი

რი — ლანხერიელი შავგენი ზემო-ქვე-
მო სჯანეთში ყველამ იცის. იქეთ კი გვა-
რითაც ველარ მოიკვლევ ჩემს ვინაო-
ბას — მპასუხობს.

მოხარული ლორი, ორთქლის ოხში-
ვარში ჩაძირული ხაჭაპურები და კუბდ-
რები, ლავაშები, სიღამწვრით ფეხებ-
გაფარჩხული წიწილები, მუქწითელი
კოწახური, ანკარა, მეტის სიმაგრისაგან
მიხაკისფერდაკრული ქერის ნათავედი
არაყი... გულითადი სადღეგრძელოები...
კეთილი მასპინძელი და მხიარული სტუ-

მრები... გულმხურვალე გამომშვიდობე-
ბა... მოხუცებულის მადლცხებული ბ-
ბორი... ციცაბოზე შვაფიფეთ დამცველ-
ლი ბილიკი... მოლხენილი და ხალისიანი
დურუ ხვითია, მე და ახალთახალი პუ-
რისფქვილიანი ტომრებით საესე მანქა-
ნა... წითლად მოდაყლაქე, ჩამავალი მზე
ბალზაგარის თავზე... წვერწაგრძელებუ-
ლი ბეჩო სატევარივით რომ ჩასობია
უშმის ყინულეთს, კოშკების ტყეები
სტუმართმოყვარე ლატალსა, ლენჯერსა
და მესტიაში...



შემოიარე მხოლოდ წუთით,
 რომ სუნთქვა შენი
 ისევ შეიგრძნონ ჩემი სახლის თეთრმა კედლებმა.
 შემოიარე მხოლოდ წუთით,
 მაღალ ლარნაკში
 მოუწყენიათ ფერად ყვავილებს.
 შემოიარე მხოლოდ წუთით,
 თოვლივით სუფთა
 სული დატოვე და წადი მერე.
 ჰო, ნუ დარჩები,
 მხოლოდ წუთით შემოიარე;
 მე გავაბოლებ მშვიდად პაპიროსს,
 ჭკვიან თვალეში გაკოცებ და
 კვლავ გაგახსენებ
 წვიმიან ღამეს მეტყვევის ქოხში.
 ერთი შეხედვით მრისხანე და უჟმურმა კაცმა
 თავისი ტყავი დაგვიგო ტახტზე,
 კარის დირეზე ჩამოჯდა და
 შავ-შავი ბოლი ნელა დაიძრა ნესტოებიდან.
 ჩვენ კი ძალიან დიდხანს ვუსმენდით
 წვეთების ხმაურს ყვითელ ყავარზე...
 იქვე კუთხეში
 ძველი მეტყვე
 სთვლემდა და ისევ ზედმეტად მშვიდად
 ახვევდა თუთუნს...
 შემოიარე, მხოლოდ წუთით.
 რომ სუნთქვა შენი
 ისევ შეიგრძნონ ჩემი სახლის თეთრმა კედლებმა.
 შემოიარე,
 ხანძარივით მოედე ოთახს
 და გამახსენე, კეთილო სულო,
 დღეს სიახლოვე გვჭირდება მხოლოდ,
 რომ უფრო ხშირად გავიხსენოთ
 მეტყვევის ქოხი,
 ერთი შეხედვით
 პირქუში და მკაცრი მეტყვე.
 შემოიარე მხოლოდ წუთით,
 რომ სუნთქვა შენი
 ისევ აფეთქდეს ყვავილებად მაღალ ლარნაკში.

ივსება მთვარის ნახევარცური,
სხეულში თითქოს ჩაუდგა სითბო.
მინდორს მორღვევს მგლური ძუნძულით
და შორს დარჩენილ ლეკვებზე ფიქრობს.

გაგარდა თოფი, წაიქცა ჩრდილი,
ტყისკენ ეძახის ტკივილი ძველი
და სიცოცხლეში პირველად ტირის
საკუთარ ბედზე ბებერი მგელი.



ჩვენ ვაგროვებდით კენჭებს და სითბოს
ფერად კენჭებს და მაისის წვიმას.
მერე თვალეში რჩებოდა დიდხანს
აყვავებული ფერების ბრწყინვა.

როცა სათიბში კრიალებს ცელი,
როცა ვისხენებ გაცრეცილ წუთებს —
შემოაქვთ ჩიტებს ბალახის ღერი
და უმატებენ დაწყებულ ბუდეს.



კათე- მონ- კე



ნაბადწამოსხმული ჯანიკო მთვრალი-
ვით მიბანცალებდა სოფლის მტვრიან
შარაზე. აწეწილ თმაში თივის ღერები
გარჭობოდა, წვერიც კარგა ხნის მოშვე-
ბული ჰქონდა და შეშუბებული, გაჭო-
ნილი სახე ოფლის ჭუჭყიან ღარებს
დაესერა. ჯანიკოს გრძელი და ფართო
ნაბდიდან რკინის ყრუ ჩხაკუნი მოის-
მოდა. გზად შემოხვედრილ სოფელს
თმააჩეჩილი კაცი ავ ღიმილს აყოლებ-
და და მერე, შეშლილივით, რაღაცას
მწყრაღად ბუტბუტებდა თავისთვის.

გვიანი ზაფხულის ცხელი შუადღე
იღვა.

შეფერდებაზე გაშენებული დიდი
სოფლის თავში გადაბრეცილი კედელი-
ვით აყუდებულყო უღრანი ტყით და-
ფარული მაღალი მთა. დაბლობსაკენ
ნაკადულებივით დაქანებული ვიწრო
შუქები მდორე და მღვრიე მდინარეს
ებჯინებოდა. მდინარის გადაღმა ველზე,
შორეულ ქედებამდე სოფლის მარ-
ჩენალი ყანები, ბალები და ვენახები
მოჩანდა. ძველ, ხავსმოდებულ ხიდს
უხერხულად გადაელაჯებინა განიერ

მდინარეზე. სოფლის ეზოებს, ტყესა და იალაღებს გამოშრალი მწვანე ფერი ედო. უღრუბლო, გაკრიალებული ცა გავარვარებულ თაღად დამხოზოდა სიციხით გათანგულ ქვეყანას.

მოღუშული ჯანიკო დილიდანვე დადიოდა შუქებში, ამღვრეულ თვალებს გაბოროტებით აცეცებდა და ჩუმად იგინებოდა. შინიდან გამოსვლისთანავე გეზი ტყისკენ ეკავა, მაგრამ უჩინარ მგებურს მიყოლილი სოფელს შემოივლიდა და კვლავ მიაღებოდა ხოლმე გაპარტახებულ ეზოს კიშკარს; ნახევრადდანგრეული, იაფი ხით ნაგები თავისი ოდის დანახვისას სიბრაზისაგან სულშეხუთული ჯანიკო ანჩხლი დედაკაცივით იწყევლებოდა და ლანძღვამუქარით, შუკა-შუკა, მერე ასევ მიფრატუნობდა ტყისკენ.

მსუყე მინდვრებისა და იალაღების წყალობით სოფელს ოდითგანვე საბალახო ერქვა. გარე სამყაროს მოწყვეტილი მშვიდად, უღრტვინველად ცხოვრობდა სოფელი. ხელდაკოყრილი გლეხები მოვლას არ აკლებდნენ ყანებსა და ბაღებს, სანაცვლოდ კი ნოყიერი მიწა თავაზიანად უმასპინძლებოდა გამრჯე საბალახოელებს. დაუპატიჟებელი კაცის სტუმრობისას, ლუკმა პურითა და ჩარქი ღვინით მუდამ შეეძლო ყოველ ოჯახს ნაუცბათევი სუფრის გაშლა. მაგრამ სტუმარი აქ მაინცდამაინც არავის ეპიტნავენოდა; სოფლის თავკაცის წამხედურობით საბალახოელები ქონებაზე იყვნენ დახარბებულნი და ფუჭ, უმიზნო ხარჯიანობას ძალიან ერიდებოდნენ. ღვინის სმა კი უყვარდათ. სოფლის ერთფეროვანი, ღუნე ღღეების უხალისობას სწორედ თრობითა და მადღრისი ჭამით აქარწყლებდნენ. მოთენთილი გონების შესანჯღრევად, ხანდახან, საბალახოელები კედელივით შემართული მთის ძირას, ბაზრის მოედანზე იკრიბებოდნენ ბატონი სავლეს საზრიანი და საინტერესო ლაპარაკის მოსასმენად. შთამომავლობითი ბატონი საბალახოს არა ჰყავდა, მაგრამ სოფლის უფვირგვინო მმართველი, თავკაცი და სხვაზე

მეტად დოვლათიანი ოჯახის პატრონი ბატონი სავლე იყო. სიჭაბუკეში მან ქვეყანა შემოიარა, რამე-რუმეები ნახა და დადინჯებული ბოლოს სამშობლოში დაბრუნდა. სავლემ დალაგებული საუბარი და უცხოური სიტყვები იცოდა, რაიც თანამომძმეთა თვალში მას დიდების შარავანდელით მოსავდა. დროთა განმავლობაში სავლემ ხალხში დიდი გავლენა მოიხვეჭა და ახლა საბალახოში სადავო საკითხების გადამწყვეტი, მომრიგებელი და ყველას დამრიგებელიც იგი ვახლდათ. გლეხები თავს ვალდებულად რაცხდნენ, ყოველწლიურად, რამდენიმე ქცევა მიწა უსასყიდლოდ გადაებრუნებინათ მის კარგა მოზრდილ მამულშიც... სოფელი სავლეს გამოგონილი კანონებით ცხოვრობდა.

ოფლში გაღვრილი ჯანიკო შარაზე მიჩანჩალებდა და მწარე ფიქრისგან თავბრუ ეხვეოდა: რატომ უნდა დაამდლონ კეთილი მოკითხვა და მადლიანი სალამი უბრალო, მაგრამ ბატკანივით თვინიერ კაცს?.. დღემდე ავი განზრახვა არ ჩაუღია გულში და არც მკვახე სიტყვა შეუბედავს ვინმესთვის... ვითომ ამით დაიმსახურა?.. ავერ, ახლაც!.. ერთი თვის გაუპარსავი წვერი წამოზრდია კაცს, თმაც ჭირისუფალი დიაცივით მოუშვია და აბა თუ შეეკითხება გზად შეხვედრილი თანასოფელი რაიმეს?! დილიდან ბარე ორმოცი გლეხი შემოხვდა და მათგან მხოლოდ ზოგიერთმა ძლივს ინება ჯანიკოსთვის გამარჯობა გამოეღეჭა... ამ მზიან, დახუთულ ამინდში მატყლის საბანივით ცხელი ნაბადი მოუხურავს და ტანზე შემოკრულ იარაღსაც მონდომებით აჩხარუნებს... გაჩერდი, ღვთისნიერო კაცო!.. შეეკითხე ჯანიკოს, ვინმე ხომ არ დაედუპა, წვერი რომ მოუშვია?.. იქნებ ძალიან ავადა და თბილი ნაბადი იმიტომ მოუგდია მხრებზე?.. ან ის იკითხე: რატომ არ უვლის ჯანიკო თავის ვენახსა და ბაღსო?.. რატომ უნდა მიაგდოს კაცმა მარჩენალი, თუ რაღაც უბედურება არ შეემთხვა?! არ გინდა შეეკითხო?.. კარგი, იყოს ასე!.. ჯანიკო არც



ტლუა და არც კიანჭველა... მაგას ქე
ნახავთ აწი..

— ქიარა გინდა მოგცე სალამში, შე
უპატრონო? — ჩაისისინა ჯანიკომ და
ჩავლილი ვაფაშვაშებული გლეხი წა-
მოწითლებული თვალებით აუქუწა.

თაკარა მზე უმოწყალოდ აცხუნებდა.
ჯანიკომ კარაჭედილ, უმოქმედო სამ-
ლოცველოს ჩაუარა და ბაზრის მოედ-
ნისკენ გაუხვია. სქელი ნაბადი ბეჭებ-
თან ოფლით გაეყვინთა და დაუძმინდა.

ჯანიკო საბალახოს საშუალო შეძლე-
ბის მეკომლედ ითვლებოდა! და-ძმა არა
ჰყავდა, მამამისიც დედისერთა იყო და
მცირერიცხოვან ოჯახს ახლო ნათესავე-
ბი არ შემორჩენია. შობილების გარ-
დაცვალების შემდეგ, ბუნებით ცოტათი
ზარმაცი და მორიდებული ჯანიკო ვაი-
ვაგლახით შეეჩვია მძიმე გლეხურ
შრომას... ბოლოს საქმეს როგორღაც
თავი გაართვა და მალე, გარიგებით,
ცოლიც მოიყვანა; მკლე, შეუხედავი და
კაპასი ქალი. დაოჯახდა ჯანიკო, მეტი
პასუხისმგებლობა დაეკისრა და თავის
ყანაში უფრო მოუხშირა სიარულს. დი-
ლიდან შებინდებამდე მიწას ზანტად
ულაყუნებდა თოხს, ვენახს უვლიდა და
კაიკაცობით, აბეზარ ფრინველთა მოსა-
გერიებლად, მეზობლებს საფრთხო-
ბელებს უდგამდა ბაღებში. დაოჯახე-
ბული კაცი მხრებში გაიშალა, ხელები
დაუგრძელდა და თითქოს დადაბლდა
კიდევ. ყველაფერი ჩვეულებრივად წა-
რიმართა, ოღონდ უშვილობა აღიზიან-
ებდათ ცოლსა და ქმარს, ამის თაობა-
ზე ოჯახში მალიმალ გაისმოდა ნერვიუ-
ლი ბუზღუნა.

თავისუფალ დროს ჯანიკო უმეტესად
შინ ატარებდა. არხეინად ჯდომა და
მომცრო კიქიდან ღვინის წრუტვა უყ-
ვარდა. ხანდახან კი ბაზრის მოედანზეც
ადიოდა სავლეს ჭკვიანური ლაპარაკის
მოსასმენად. სავლე და მისი ლამაზი,
ამაყი ქალიშვილი — ცირუნია ჯანიკოში
უცნაურ, ტკივილისმავარ გრძნობას
იწვევდნენ. როცა ჯანიკო ამ წარჩინე-
ბულ წყვილს მოკრავდა თვალს, რა-
ტომღაც გული უკვდებოდა, რატომ-

ღაც მაშინ აგონდებოდა წესქცევად
გამზადებული თავისი ოდა...
ბოდა ბრაზიანი ცოლის უფერული სახე
და ბაღებში დადგმული მაღალი საფრ-
თხობელები. სავლესა და ცირუნიას
დანახვა უსაშველო სევდას ჰგვრიდა ჯა-
ნიკოს. მათი ნახვის შემდეგ სევდამო-
რეულ კაცს მაგრად გამოთრობა უნდე-
ბოდა. ამიტომ არ ეკაშნიკებოდა ჯანი-
კოს სავლე, თუმცა საბალახოს თავკაცის
მამულის თოხვნაში, სხვა გლეხებთან
ერთად, მასაც დაუღვრია ოფლი... ასე
ცხოვრობდა ჯანიკო; საქმელ-სასმელი
საკმარისი ჰქონდა, ბევრი ფიქრით თავს
არ იწუხებდა და ხვედრით, ასე თუ
ისე, კმაყოფილი იყო.

უწყინარსა და ჩუმ ჯანიკოს უცებ,
მოულოდნელად აემღვრა ხასიათი. ყვე-
ლაფერი ჩვეულებრივი შემთხვევიდან
დაიწყო: ერთხელ, საღამო ხანს, ბაზრის
მოედანზე სოფლელები შეიყარნენ და
დინჯი ბაასი გააჩადეს. იმაქამდ სავლე
იქ არა ბრძანდებოდა და ახალგაზრდა
გლეხებს უმაღლესი შემოეღიით დადინჯე-
ბული, გონივრული საუბრის მარაგი.
მალე ახალგაზრდებში მსუბუქი, მხიარ-
ული განწყობა ჩამოვარდა. წამოი-
ჩიტნენ ენაფხიანი ბიჭები. ითქვა ცო-
ცხალი და მარილიანი სიტყვები. დაუ-
დეგარმა ქილიკმა, ჭალემა თედომ,
ხუმრობით, დიდუყრა უწოდა ცხვირ-
მონგრეულ შოთას. ამდაგვარი ვახუმ-
რება სხვა დროს უშედეგოდ ჩაივლიდა,
მაგრამ, იმხანად, შოთა საქორწილოდ
ემზადებოდა და ქალიც დანიშნული
ჰყავდა. თან, ამ უნებლიე შეურაცხყო-
ფისას, სასიძოს გვერდით ედგა საპა-
ტარძლოს ძმა და მცირეოდენი ყოყმა-
ნის შემდეგ შოთამ გაბრაზება გადაწ-
ყვიტა. თედომ არ დაუთმო და ალესი-
ლი ბიჭები გლეხებმა ძლივს გააშორეს
ერთმანეთს. დაიდო დროებითი ზავი.
შოთას დანიშნულის ძმამ მოედანზე
მყოფი ჩხუბის შემსწრე სოფლელები
გადათვალა და მოქიშპეებს ურჩია, სავ-

ვლადიმერ სინარულიძე
მეათე მოწვევა

ლესთვის მიემართად მართლისა და მტყუანის დასადგენად. თედო და შოთა დაეთანხმნენ. ჩხუბს ათი მოწმე აღმოაჩნდა.

რამოდენიმე დღეში საველემ მოიცალა და საქმის გასარჩევად ბაზრის მოედანზე ინება მისვლა. უხმეს მოწმეებსა და მოჩხუბრებს. მოწმეთაგან მხოლოდ ცხრანი გამოცხადდნენ. მეათე არ ჩანდა. საველე გაუწყრა სოფლელებს და დაავალა ახლავე მოეყვანათ მეათე მოწმე, მაგრამ გლეხებმა ფეხი არ მოიცვალეს მოედნიდან, დამნაშავეებივით იდგნენ საველეს წინაშე, მზერა ზეცისკენ მიეპყროთ და უშედეგოდ იქექებოდნენ მეხსიერებაში; ვერც ერთი ვერ იგონებდა, ვინ იყო მეათე კაცი. საველე განრისხდა და საქმის მოსმენა მემრისთვის გადადო.

ერთი კვირის შემდეგ მოქიშპენი და მოწმენი ისევ იდგნენ მოედანზე საველეს თვალწინ და კვლავ დამნაშავეებივით იქექებოდნენ მეხსიერებაში.

— თქვენ ხართ შტერები, თუ ის, მეათე კაცი? — გაოცდა საველე, — იქნებ ცხრანი იყავით?

— ათი კაცი დევითვალე, — თქვა შოთას საცოლისძმომ, — სამჯერ დევითვალე.

— მეც მაგდენი დევითვალე, — მორცხვად აღნიშნა თედომაც.

საველემ გაბრაზება დააპირა, მაგრამ უცებ სიცილი აუვარდა და თავის მეზობელ შაქროს დაავალა მოედანზე სასწრაფოდ ამოეყვანა სოფლის ყველა მამაკაცი.

ერთ საათში ბაზრის მოედანზე ყველა ქუდოსანი საბალახოელი შეიყარა. ტანმორჩილი საველე ევრობიდან ჩამოტანილ სკამოხზე წამოჯდა და მხიარულად მიმართა გაკვირვებულ სოფლელებს:

— სად არა ვყოფილვარ და რა არ მინახავს, მაგრამ ასეთ სასაცილო ამბავს აქამდე არ შევსწრებვივარ!.. თვალსა და ხელს შუა ერთი კაცი გავგიქრა, ისე გაუჩინარდა, თითქოს არც არსებულა ოდესმე... ახლაგაზრდობით, პა-

ტიოსან შოთას წაიკნკლავება შეემდგვა არანაკლებად პატიოსან თედოსთან და ამ შფოთის მოწმე ათი კაცი მოვიდნენ. ვარჩევდი ამ საქმეს შვიდი დღის უკანაც, დღესაც, და ორივეჯერ მხოლოდ ცხრა მოწმე გამოცხადდა. მეათეს ვერ მივაგენით; ვერც მოჩხუბრებმა ვაიხსენეს და ვერც მოწმეებმა, ვინ იყო საცოდავი მეათე... ევ მეათე კი ახლადგას მოედანზე თქვენს შორის და ალბათ დარწმუნებულია: კაცი ვარ და ცოცხლებშიაც ვირიცხებიო... — საველეს სიცილი წასკდა, დიდხანს იფრუტუნა და მერე ხარხარით განაგრძო ლაპარაკი: — ათმა თანასოფლელმა თუ არ ვაგახსენა, ორი დღის წინათ რომ მათ გვერდით იდექი, რად გინდა, ბიჭო, ამნაირი სიცილები?.. ვინ გამოგჩეკა ასეთი უჯიშო, ასეთი უფერული, ტლუ და უსუსური?.. რად უნდა მაგისტანა ჭიანჭველას ცოლ-შვილი, ან მეზობელი, ან ჭამა და ქეიფი?.. ადი, ბიჭო, მაღალ კლდეზე, გადმოხტი თავით და გაანოყიერე სხვებისთვის მიწა... ვერც მაგას გვევიგებთ, — ხითხითებდა საველე, — ვერც მის დაღუპვას გვევიგებდით ალბათ!.. ავაშენა გამჩენმა!.. ამდენი, კაი ხანია არ მიცინია...

სოფლელები ახორხორცდნენ. ზოგი ვერ მიხვდა — რა იყო ამ ამბავში სასაცილო, მაგრამ საველეს მაინც აჰყვა და ხარხარით იჭაჭებოდა. ჩხუბის დაუდგენელი შემსწრე — ჯანიკო, მართლაც იდგა ხალხში და როცა საველემ სათქმელი მოათავა, ერთბაშად დაპატარავებული, თითქოს მაგრად მიბეგვილი მეათე მოწმე შეუმჩნეველად გაიპარა მოედნიდან.

გახალისებულმა საველემ თედო და შოთა შეარიგა, მორეცილი ხალხი დაითხოვა და მეზობელ შაქროს მკლავზე დაყრდნობილი ქირქილით გაუყვა გზას შინისკენ.

ამ შემთხვევამ ააწიოკა ჯანიკოს უბოროტო სული. მოედნიდან გაპარული შინ მივიდა, ცოლს არაფერი უთხრა, თვითონვე ვაშალა ტაბლაზე დარბიული სუფრა და ჭაჭის არყით მაგრად გა-



მთვრა... დილიდანვე ჩვეულებისამებრ დააპირა საქმიანობა; ეზო დაგავა, ფრინველს საკენკი მიუყარა, ძროხა შარზე გაიყვანა და საბალახოდ გაატანა მენახარე კაციას. მერე ვენახში უნდა წასულიყო, მაგრამ უზომოდ დარდმა ყველაფრის ხალისი დაუქარგა. ლუკმაც არ ჩაუვიდა პირში. კრიჭაშეკრულმა ეზოში ჭილობი გამოიტანა, ბეოლის ძირას დაავო და თითქოს ღონემიცილი გაგორდა ჩეროში. მზის ჩასვლამდე მშიერი იწვა ცუდ ფიქრებში ჩაძირული ჯანიკო და მოგვიანებით კვლავ უგონოდ გამოთვრა... მომდევნო დღეებშიც იგივე განმეორდა; ჯანიკო ჩეროში იწვა შებინდებამდე, მერე კი ტაბლას მიუჯდებოდა და წაქცევამდე სვამდა ღვინოს.

ჯანიკოს ვენახსა და ბაღს უმაღლ დაეტყო უპატრონობა; ვაზის რიგებში შინაურულად ათამაშდნენ მეზობლის ღორები. მის ყანაში დადგმული საფრთხობელა ჩიტებმა გაიტაცეს, ნაკუწებად აქციეს და ბუდეების ნასვრეტების დასაცობად გამოიყენეს.

ცოლი ერთხანს გაცოცებით უყურებდა ქმრის ბრიყვულ საქციელს, მერე მეუღლის ჭილობიდან წამოგდება დააპირა და რომ ვერ მიადწია საწადელს, ისედაც ნერვიული, სულ გაღაირია. ჯანიკო მძიმე ავადმყოფივით იწვა ეზოში და ცოლის ლანძღვა-მუქარას აინუნში არ აგდებდა. გაცოფებულმა ქალმა ბევრი იყვირა, ლოყებიც დაუკაწრა მეუღლეს, თავზე თეფშებიც მიამსხვრია, მაგრამ მაინც ვერ გამოაფხიზლა სულიერი ტანჯვის ჯოჯოხეთში ჩაფლული ქმარი. იმედდაკარგულმა ბოლოს თავის ბედს შეუკურთხა, მზითევს ხელი დაავლო და მამისეულ კერას დაუბრუნდა.

ჯანიკო მთელი დღეები გაუნძრევლად იწვა და ფიქრით კარდაკარ დადიოდა სოფელში. გონებაში ათასნაირად წარმოიდგინა თავისი დამოკიდებულება თვითეულ საბალახოელთან და მუყაითი განსჯის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამხელა სოფელში მისი ჭირისა თუ ლხინის ნამდვილი, პირუთვნელი

გამზიარებელი კაციშვილი არ მოიძებნებოდა. არ მოიძებნებოდა, არ მოიძებნებოდა, თვითონ მეტად უმნიშვნელო და უსუსურ ვინმედ ითვლებოდა. ასე გაიაზრა ჯანიკომ და ბოლოს მუგუზხალმა გულში ცეცხლი გაუჩაღა.

თითქმის ერთი თვე ჯანიკო მეუღლის დაბრუნებას ელოდა, მაგრამ ქმრის ოჯახში ქალი აღარ გამოჩენილა. ულამაზო, კაპასი დედაკაცის დაკარგვა მაინცდამაინც არ განიცადა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მწუხარებით შეპყრობილმა კაცმა. ორიოდღე დღე ცოლზეც იდარდა, მერე ხელი ჩაიქნია ყველაფერზე და ბოროტი გეგმების მოფიქრებას შეუდგა.

უხალისო ცხოვრებას შეგუებული საბალახოელები წელიწადში ერთხელ გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე; ყოველგაზაფხულს სოფელში მძიმე ფურგონების გრძელი ქარავანი შემოდებოდა. ფურგონებით მეფის მოხელეები, შეიარაღებული ჩაფრები, ვაჭრები და მსახიობები ჩამოდებოდნენ შორეული ქალაქიდან. ჩამოსულები მთის ძირას, მოედანზე შლიდნენ ბანაკს. სანამ მოხელეები და ჩაფრები ხალხში ბეგარას აგროვებდნენ, მოედანზე გაცხოველებული ბაზრობა ჩაღებოდა, შეღამებისას კი, მთვარის შუქზე მსახიობები ლამაზ წარმოდგენებს მართავდნენ... სტუმრიანობა მხოლოდ ერთი კვირა გრძელდებოდა. მერე გლეხები ჩამოსულებს სოფლის კიდემდე მიაცილებდნენ და იქ დიდხანს იდგნენ, იყურებოდნენ, ვიდრე უკანასკნელი ფურგონი ერთმანეთში ჩაჭვეულ ქედებში მიიკარგებოდა... ეგ იყო სოფლის ერთადერთი კავშირი გარე სამყაროსთან და წლის წამიერი, მაგრამ ყველაზე ნათელი მონაკვეთი საბალახოელთა ცხოვრებაში.

სოფელს წლეულსაც ეწვია ქალაქელთა ქარავანი. ბაზრის ალიაქოთი და არღნის ხმა ჯანიკოს ყურსაც მიწვდა, მაგრამ შავი აზრებით შეხუთული კაცი წა-

ვლადიმერ სიხარულიძე
მეათე მოწემა

რმოდგენის სანახავადაც კი არ ასულა გამხიარულებულ მოედანზე. იმ დღეებში ღალის შემგროვებლებმა გულმოდგინედ დაიარეს მთელი სოფელი, თვითეული ოჯახიდან აიღეს ბეგარა, ჯანიკოსთან მისვლა კი რატომღაც გამორჩათ. ჩამოსულთა ეს დაუდევრობაც ცუდად ენიშნა ექვებით დასნეულებულ ჯანიკოს.

მზე კისერში აჭერდა, თითქოს მძიმე, გახურებული მძივი ეკიდა კაცს. უხილავი მეგზურისაგან დამონებულმა ჯანიკომ მოულოდნელად ისევ ჩაუარა თავის ოდას და ამ უთავბოლო უცნაურობით გაღიზიანებული ახლა კვლავ ზემოთ, მოედნისკენ მიფრატუნობდა გინებით. შუკაში კაცი არ ჩანდა. დიდი, გაფხორილი ინდაურები მედიდურად ათვალეობდნენ მიმავალ ნაბდიანს... უცებ ჯანიკოს მიდამო ეცნაურა, გაკვირვებული შედგა და ეზოს გადახედა. ეზოს სიღრმიდან, ქვის ბოძებზე შემდგარი პატარა ოდიდან ქალის სიმღერა მოისმოდა. გაოგნებული ჯანიკო ტყრუშულს გადაეყუდა, ყური მიუგდო სიმღერას და ერთბაშად სახე მოედრიცა; კაცმა ცოლის ხმა შეიციწო. ჯანიკო სწრაფად მოშორდა სიმამრის წნულ ღობეს, მუქარა ამოიხროტინა და ბანცალით აუყვა აღმართს.

ბაზრის კარგა მოზრდილ მოედანზე, ჩეროში, დუქანსა და მოღრეცილ სადალაქოს შორის ჩუმად იდგა ჯგროდ შეყრილი ხალხი. ყასაბი მიხა დახლზე გადაწოლილიყო და ყურადღებით იხედებოდა გლეხებისაკენ. ჯანიკო დაფიქრებული გაჩერდა მოედნის კიდეში, სახელოთი შუბლზე ოფლი შეიწმინდა და მერე მძიმედ გაბაჯბაჯდა დუქნისკენ. სადალაქოში თავჩაქინდრული თვლემდა დალაქი ვაბო. ნაბდიანი კაცი ჩხარუნით მივიდა კრებულთან, ჯიუტად დაეყუდა სოფლელების ზურგსუკან, ხგრელი გამონახა და უცხოურ სკამჯოხზე ლადად წამომჯდარ, ქადაგად დავარდნილ სავლეს თამამად მიადგა თვალი.

— გასაჭირი, უბედურებაა ამის აშკარა გამომსახველი, — ამბობდა სავლე.

— ერთნაირი უბედურება თვითეულ თქვენგანზე სხვადასხვანაირად იმოქმედებს... რაც უფრო დაბალი განვითარებისა და მდგომარეობისაა კაცი, მით უფრო ადვილად იტანს გასაჭირს. მაგრამ ეგ სულაც არ ნიშნავს მის სიძლიერეს. აქ სულ სხვა მიზეზია, ძალიან ჩვეულებრივი და ძალიანაც გასაგები... თავსდამტყდარ უბედურებას დაბალი განვითარების ადამიანი ვერ გრძნობს მთელი სიმაფრით, მხოლოდ ნაწილობრივ განიცდის იგი შეჭირვებას შებოჭილი გონებისა და შინაგანი სიჩლუნგის გამო... ამიტომაც ჩანს, თითქოს საკმაოდ უშფოთველად ითმენს ასეთი კაცი ყოველგვარ ვარამს. აი, პატარა მაგალითიც: გავიხსენოთ მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობა... ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ, ვთქვათ, უეცარმა სენმა საწოლს კარგახნით მიმაჭაჭვა... იგივე სენი, აგრეთვე, ვინმე სხვას, უბრალო კაცსაც შეეყარა... მაგალითად, შენ, ნაბდიანი!.. საიდანღაც მახსოვხარ თითქოს?! — საბალახოს თავკაცმა სახე დამანჭა და მწყურალად შეხედა ნაბდიანს.

ჯანიკოს უბოდიშო მზერა თვინდანვე იგრძნო სავლემ, ძალიან იუცხოვა, იუკადრისა და უმალვე დაუპირა გათავზედებულს სამაგიეროს გადახდა.

— მდინარესთან ახლოს ვცხოვრობ, — ბლუკუნით უპასუხა ნაბდიანმა და რატომღაც ააჩხარუნა ტანზე შემოკრული იარაღი.

— გამარჯობა, ჯანიკო, სად დეიკარგე, ძამა? — გაკვირვებით დაუძახა დახლზე დაბჯენილმა ყასაბმა.

მთელს სოფელში ერთადერთ კეთილკაცად ჯანიკოს ყასაბი მიხა მიაჩნდა. ეს დასკვნა ამ ორი თვის მომქანცავი ფიქრის შედეგად გამოიტანა. სრულიად უანგაროდ ჩოფურა ყასაბი, ხანდახან, ხორცის კარგ ნაჭრებს ძალიან იაფად აძლევდა და ამ სიკეთისთვის ჯანიკო მისი უზომოდ მაღლიერი, ოღონდ ოდნავ დარცხვენილი კი იყო... ახლა გლეხებმა ყასაბიცა და ჯანიკოც ჩააჩუმეს და სავლემ ლაპარაკი განაგრძო:

— დასნეულებულ ჯანიკოს ექიმბაში



ბლომად ქამას აუკრძალავს... ველარ მი-
 ირთმევს დავრდომილი კაცი ლადარზე
 შეთუთქულ ცვრიან მწვადებს. ცოტას
 კი მიირთმევს, ოღონდ გაძღომამდე —
 როგორც ახლაა დაჩვეული — ველარ, —
 სავლემ ჩაიჭირქილა. — ეს იქნება ავა-
 დმყოფობით გამოწვეული მისი პირვე-
 ლი მწუხარება... ავადმყოფის მეორე,
 მნიშვნელოვანი ჯავრი ქალთან დაშორე-
 ბაა... რავალი საქმეა, კანონით ნება გქო-
 ნდეს შენი დედაკაცი ლოგინში შეით-
 როო, მაგრამ იძულებული იყო — ავად-
 მყოფობის გამო — მხოლოდ შორიდან
 უმზირო ქალის სხეულის ამობურცულ
 ნაკეთებს?!. — გლეხებს ეშმაკურად ჩა-
 ელიმათ. სავლე განაგრძობდა: — ძნელი
 ასატანია ხვადისთვის უძოდ ყოფნა!..
 სხვა, მცირე უსიამო რამეებიც დაატყ-
 დება თავს დასწეულელებულ ჯანიკოს, მა-
 გრამ მთავარი, ძირითადი გასაჭირი ამ
 ორი სურვილის აღკვეთა იქნება... ახლა
 ისიც ვთქვათ, თუ რა სიამოვნებას მიანი-
 ქებს ავადმყოფობა ბატონ ჯანიკოს: იწ-
 ვება მშვიდად, ახლობლებისა და კეთი-
 ლი მეზობლებისაგან მოვლა არ მოაკლ-
 დება... ცოლი ას ხელს გამოიბამს და სა-
 ჭმელს მაინც მიაწვდის დროულად. ვი-
 ნმე ენაწყლიანი კი ფეხით დაუჯდება
 და როგორც ჩვილს, გაუთავებლად მოუ-
 თხრობს მხიარულ ამბებს... იცხოვრებს
 მწოლიარე კაცი არხინად, ზარმაცუ-
 ლად, სიამოვნებაც ქე ექნება... რა არის
 ავადმყოფობაში სასიამოვნო? — ვითომ
 მიხას შეეკითხა სავლე და მერე თვი-
 თოვნე უპასუხა: — რა და, უსაქმურო-
 ბა!.. უყვართ ჯანიკოსნაირებს უსაქმუ-
 რობა... სიზარმაცე შინაურულადაა და-
 ბუდებული მაგისტანებში, — სავლე ნა-
 ბდიანისკენ არც იხედებოდა, გლეხებს
 უყურებდა და გესლიანად იკრიჭებოდა.
 მობუზულ ჯანიკოს ხშირი სუნთქვა
 აუვარდა.

— ახლა წარმოიდგინეთ სარეცელზე
 გაკრული სავლე... წარმოიდგინეთ
 ფრთხილი, ჩუმი ლაპარაკი ჩემს სახლში,
 ფეხისწვერებზე მოსიარულე ჯალაბობა
 და ჩემი ავადმყოფობით აფორიაქებული

სოფელი, — ხმა დაიდაბლა სავლემ და
 თვალი მილულა.

გლეხებს მართლაც დაუდგათ თვალი
 წინ უშველებელი ოთახის შუაგულში,
 ამღლებულ, ქათქათა საწოლზე გართხ-
 მული საბალახოს ქაღარა თავკაცი, გა-
 რინდული ჯალაბი და მამის დასწებოვ-
 ნებით სეკდამორეული ქალიშვილი —
 ლამაზი, ვემრეილი ცირუნია. ყველა-
 ფერი ნათლად წარმოიდგინეს სოფლე-
 ლებმა და აღელდნენ.

— ავადმყოფობით გამოწვეული ჩემი
 ჭმუნვა სულ სხვაგვარი იქნებოდა, —
 მხნედ განაგრძო სავლემ. — რაც დასწე-
 ულებულ ნაბდიანს შეაწუხებდა, ისეთი-
 ვე დარდი მე არ დამანალვლიანებდა, იქ-
 ნებ არც კი შემსხენებოდა... მე სულ
 სხვანაირი უბედურება მეწვეოდა, უფრო
 რთული და აღსანიშნავი... სივრცის შეგ-
 რძნებას მოკლებული საშინელი სივიწ-
 როვით შევიხუთებოდი... გულს მო-
 მიკლავდა არდნახვა მდინარის გადაღმა
 აბიბინებული ყანებისა და ბაღებში, ორ-
 სული ხეების ტოტებზე დაკიდებული,
 მზით დატენილი ნაყოფებისა... რად მიწ-
 და ისეთი სიცოცხლე, თუ ცხელ მზეს არ
 მივეფიცხე ხანდახან, ან ღამის გაჩირა-
 ლდნებულ ცას არ მივაპყარი მზერა?!.
 ძნელია ჩემთვის — თქვენთან საუბარი
 ვერ მოვახერხო და არ დავიღალო ფიქ-
 რის ეშხით... დიახ, მძიმე ასატანია ჩემთ-
 ვის ავადმყოფობა! — მსახიობივით გა-
 შალა ხელები სავლემ და მოჭუტული
 თვალები მკაცრად მიბაძინა ნაბდიანს.

ჯანიკო აირია, უიმედოდ გადახედა
 სოფლის თავკაცის ლაპარაკით გაბრუე-
 ბულ გლეხებს და გაუბედავად ამოი-
 ლულღულა:

— მთვარის სინათლეზე მოკლე ხანჯ-
 ლებივით ჩანა მდინარეში თევზები.

სავლემ ჩაიხიბხითა, ირგვლივ ჩამო-
 რიგებულ, მლოქვენლურად მომდიმარ
 გლეხებს კმაყოფილმა გადახედა და საუ-
 ბრის თემა უცებ შეცვალა.

ჯანიკოს მიხასთან უნდოდა მისვლა,

ვლადიმერ სინარულიძე
 მაათი მოვამ



მავრამ რაღაც ძალით შებოჭილი სავლეს მისჩერებოდა. სავლე მშვიდად უყვებოდა სოფლელებს ძველი მონადირის ამბავს, მონადირისა, რომლის ჯადოსნურ ძალას თურმე შორიდანვე გრძნობდნენ მხეცები.

ჯანიკომ მზეს ახედა, მთასაც უყურა ერთხანს და მერე ჩხარუნით გაბაჯბაჯდა ტყისკენ. ცეცხლში ნაგდებ, გვერდებდანახშირებულ სქელ მორს ჰგავდა ტყისკენ მიმავალი ნაბღიანი კაცი.



სადამოს უფრო შეიხუთა სოფელში ჰაერი და ურიცხვი კოლო მოედო იქაურობას. შუქებში კაცის ჭაჭანება არ იყო. დუქანსა და სადალაქოს მძიმე ბოქლომები ჩამოჰკიდეს. ბაზრის დაცარიელებულ მოედანზე ბეწვეგაქუცულ ძუქნას უხმოდ დასდევდა გაქაფული ძაღლების ჭრელი ხროვა. გლეხები ჯორკოზე ისხდნენ თავთავიანთ ეზოებში, ფეხები ცივი წყლით სავსე ტაშტებში ჩაეყოთ და ფართეფოთლებიანი ტოტებით ზანტად იგერიებდნენ აბეზარ კოლოებს. ერთ ტონში, მომბეზრებლად ჭრიალებდნენ ჭრიჭინები, ხან სიხნელეში უცებ ვირი აყროყინდებოდა, ხან ძროხა შეიბღავლებდა და მერე კვლავ წუთილი და ჭრიჭინი ისმოდა ირგვლივ.

მოგვიანებით სიომ დაუბერა და სოფელიც მამინ ჩაეფლო ძილში.

იდგა ზაფხულის გრილი და ნათელი ღამე.

გათენებას ცოტადა აკლდა, რომ ღამის მყუდროება უეცრად რამდენიმე გასროლის ხმამ გახლიჩა. ძილგატეხილი, დაფეთებული სოფლელები აივნებზე გამოცვივდნენ და აღეღებით მიჩერდნენ გადაბრეცილი კედელივით აყუდებულ მთას, რომლის შუაწელში, დროგამოშვებით, ცეცხლის პატარა ბურთები სკდებოდა. სროლა მალე შეწყდა და სოფელზე თითქოს ხმაურით გადაიბრინა აუტანელმა სიჩუმემ. ხანმოკლე მდუმარების შემდეგ რომელიღაც ოდიდან ნერვიულად იყვირა კაცმა:

— რომელი ხარ, შეჩვენებულო?

— ჯანიკო ვარ მე, ჯანიკო... მთამ.

კვლავ ჩამოწვა დაძაბული სიწყნარე. — რომელი ჯანიკო, ბიჭო? — გაბზარული ხმით იკითხა ვილაცამ.

— მდინარის პირას ქე რო მაქვს ოლა, ის ჯანიკო ვარ მე!

ოდებში ჩურჩული ატყდა; ყველა იგონებდა მდინარის პირას მცხოვრებ ჯანიკოს. მერე ერთბაშად, არეულად აყვირდა სოფელი:

— რავე ბედავ, ამ შუალამეს სროლას?

— რა გინდა მაქანე, შე უპატრონო?..

— ჭიანჭველასავით გაგსრისავ, შე გამოლენჩებულო!

— მინდა და ვისვრი!.. რასაც მინდა, იმას ვიზამ! არაა მაგი თქვენი საქმე! — რიხით გადმოსძახა მთიდან ჯანიკომ და წუთით ისევ ჩააჩუმა საბალახო.

— ჩამეთრევი უკან და ქეც გაგიხეთქავ მაგ შტერ თავს! — შეუტია მთას გაავებულმა სავლემ.

— ჩამოსვლას არ ვაპირობ და თავი ვის გოუსკდება, ქე დაინახავთ აწი! — არ შეეშინდა გორას.

ოდებში ბჭობა გაიმართა.

— ყასაბო მიხა, რავე ხარ, ძამა? — იკითხა ჯანიკომ.

— რამ აგიყვანა მაქანე, ბიჭო, გაგიყვდი ამხელა კაცი? — გაეპასუხა ყასაბი.

— კაი კაცი ხარ, მიხა.. შენ არაფერს გერჩი, ძამა!

— ჩამოი ჩქარა ქვეით... გადაგეყრება ნადირი, ბიჭო! — გაუწყრა მიხა.


— თუ აქ ტვინი ნადირს, ქე მიხვდება და მომერიდება... სულ შიშველი ხელით დავგლეჯ ამ საცოდავებს! — ფოლადი ჟღერდა ჯანიკოს ხმაში.

— ცოლი არ ყავს, ამ უპატრონოს? — ოდამ ოდას გადასძახა.

— ყავდა და გვექცა... ვინ გოუჩერდებოდა მაგისთანა აბდალს.

ჯანიკოს ცოლი ხმაგაკმენდილი იდგა მამისეული ოდის აივანზე.

— თითონ მიატოვებდა მეუღლეს, — გაიხუმრა ვილაცამ. — ალბათ დათვი უნდოდა ცოლად და ახლა პატარძლის ამოსარჩევად მიბრძანდება.



— შავას რომელი თავმოყვარე დათვი გაყვება, — ჩაერია ხუმრობაში სხვა, — ბებერმა, გამოლენჩებულმა დათვმა კი ეგება ცოლად დეისვას; ...ბუნაგი ექნება ხანდახან დასალაგებელი.

— გამარჯობა შენი, დათვების პატარძალი! — იყვირა სავლემ.

სოფელი ახორბოცდა. ვისაც არ შეეზარა, გესლიანი სიცილი დააყარა ფირალად გავარდნილ ჯანიკოს. მთას გრიგალივით მიაწყდა სოფლელთა უტიფარი ლანძღვა-მუქარა. მაგრამ საყოველთაო მხიარულება უცებ ჩაახშო ხშირმა სროლამ და კიდევ ერთხელ გაისმა ჯანიკოს ხმა:

— კარგად იყავი, მიხა!.. მე გოუყევი აწი ზეთკენ!

გორა დადუმდა, აფორიაქებულ საბალახოს კი ძილი აღარ გაეკარა გარეყრამდე. მადაგახსნილი სოფლელები აივნებზე იდგნენ და ხმამაღლა აქაქებდნენ ახლადგამომცხვარ ყაჩაღს... მთიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

კარგა ხანი გლეხებს ენაზე ეკერათ ჯანიკოს სახელი. ხშირად ხალხი ბაზრის პოედანზე იკრიბებოდა და გაცხარებით არჩევდა ამ უცნაურ შემთხვევას. გახიზნული კაცის პიროვნება სახუმარო შარავანდედით შეიმოსა. ორიოდ თვე სოფელი ჯანიკოთი ირთობდა თავს... მერე მოსავლიანობის ჟამი დადგა, ყველა საქმით დატვირთა და ფირალი ჯანიკო თანდათან დავიწყებას მიეცა.

შემოდგომის მიწურულში სიცივე დაიჭირა. ხილი უკვე დაკრეფილი იყო, ქვევრებში მაჭარი თუხთუხებდა და მინდორში თივა ეწყო მაღალ ზვინებად. სოფლის ირგვლივ ტყე გამეჩხერდა, გაუფერულდა და უხალისოდ გადმოხედა საბალახოს.

კაცები თბილ ბუხრებს მიუხსდნენ. უსაქმურობით მოთენთილები დილიდან დაღამებამდე ჩანჩურით ეშაირებოდნენ დედაკაცებს და მალიმალ მარანში გადიოდნენ ახალი ღვინის გასასინჯად. ხშირმა წვიმამ აატალახა სოფლის ვიწრო შე-

კები და გარუხებული, თითქოს გაშინებული ეზოები.

საბალახოში შემოდგომობით ნიარბობდა ქორწილები. ახლაც შეუღლდა რამდენიმე წყვილი, ერთი-ორი ძეგობაც გადაიხადა სოფელმა და ჩაბიყვინებულმა, თუძოვასქელებულმა კაცებმა მცონარებას მისცეს თავი.

ერთ უქორწილო და უქეიფო შუალამეს, პატარა საქმეზე ოდიდან წამით გამოსული გლეხის ყვირილმა უეცრად მთელი საბალახო შესძრა. ნახევრადშიშველი სოფლელები ეზოებში გამოვარდნენ და დიდებული სანახაობით ერთბაშად მოჯადოებულნი, ვაოგნებით მიაცქერდნენ გადაქანებული კედლივით შემართულ მთას; მთის წვერზე ხეებს ცეცხლი მოსდებოდა და უზარმაზარ კოცონს ირგვლივ აღისფრად შეეფერადებინა ყველაფერი. მონუსხული გლეხები თვალს ვერ აშორებდნენ განათებულ გორას და ძილგამოყოლილებს ხანძარიც სიზმარეულ მოლანდებად მოეჩვენათ. მაგრამ მალე ზენა ქარმა დაუბერა და ცეცხლი წითელი, ცხელი გველივით გამოიკლაცნა სოფლისაკენ. ოდებს დიდრონი ნაპერწკლების ციციანთელები შეესია. დამფრთხალმა კაცებმა შუბლში იტკიცეს ხელი და ხანძარი სოფელშიაც რომ არ გაჩენილიყო, სველი ნაბდებით, სასწრაფოდ ავარდნენ სახლების სახურავზე. აივნებსა და ეზოებში თუნგიანი ქალები ქოთქოთით დასდევდნენ უცნაურ ციციანთელებს და სადაც მოიხეტებდნენ, წამსვე სპობდნენ წყლით. ქარი ძლიერდებოდა, ძლიერდებოდა ხანძარიც. მთის ფერდით, ფართო ზოლად ცეცხლი აუჩქარებლად მოცურავდა საბალახოსკენ. ნადირთა ღრიალმა, სიღამწვრის სუნმა და კვამლმა ბოსლებში პირუტყვი ააწრიალა. აჭრიალდა ბოსლების მოფანფალეული კარი. სახურავებზე გასული გლეხები მარჯვედ იგერიებდნენ ნაპერწკლებს, დედაკაცებიც ფხიზლობდნენ, თითქოს გაუმკლავდნენ კიდევ სოფლელები მოულოდნელ უბედურებას,

ვლადიმერ სიხარულიძე
მეათე მოწამი

მაგრამ უცებ ტყიდან აბლავლებული და-
თვების მთელი მხედრონი გამოიჭრა და
ზარდაცემული საბალახო ისევ აწიოკდა.
გლეხები ოდებში შეცვივდნენ, კარები
საიმედოდ ჩარახეს და ჭუჭრუტანებში
გაუყარეს შიშნეული მზერა. ხანძრით გა-
ნათებულ შუკებში მხეცები დათარეშო-
ბდნენ. სქელი კვამლით ინისლებოდა სო-
ფელი. ცეცხლის ზოლი საბალახოს უახ-
ლოვდებოდა. ბოსლებში გამომწყვდეულ
ცხოველებს დათვის სუნი ეცათ, ში-
შით მოღონიერებულნი კარს ეძგერნენ,
გამტკრიეს და კარგი ბედაურის სისწ-
რაფით გაქანდნენ შორეული ქედებისა-
კენ. ოდებში ამოკეტილი, გულვადაბრუ-
ნებული გლეხები ჭუჭრუტანებიდან უმ-
ზერდნენ ხანძარს. სოფელს გადაბუგვა
ემუქრებოდა. მთის ძირამდე ჩამოცურე-
რული ალი საბალახოს განაპირას მდგარ
სახლსაც წაეპოტინა და ამ დროს, ბე-
დად, შემოდგომის ბარაქიანმა თქემმა
დაუშვა. გორა აშიშინდა, ღონემილეული
აფართხალდა ცეცხლი და ირგვლივ
კვლავ ჩამოხნელდა...

დადაღული გოლიათივით გამოჩნდა
დილით მთა. წვერიდან ჩაყოლებული
ძირამდე, კარვა განიერადაც, გორის ფე-
რდი ჩანახშირებული იყო. ეზოები და
შუკები ნაცრით გამოიტენა... საბალახო-
ელთა ლანძღვა-მუქარა ახალი ძალით
მიაწყდა მთას. ხანძრის გაჩენა სოფლე-
ლებმა ჯანიკოს დააბრალებს. ხანძრის გა-
ჩაღება კი არა და, დათვების შემოსევაც
მას დაბრალდა; ნადირი მოთვინიერებუ-
ლი ჰყავსო და შინაური პირუტყვი თა-
ვისთვის წაარეკინაო, საიდუმლოდ ეჩ-
ურჩულებოდნენ დედაკაცები ერთმა-
ნეთს. ორ დედაბერს საკუთარი თვალით
დაუნახავს წვეპლიანი დათვები, რომე-
ლთაც საქონელი ბაზრის მოედანზე ჯო-
გად შეუყრიათ თურმე და ძალიან გონი-
ვრულადაც გაურეკავთ ტყისკენ. გლეხე-
ბმა საბალახოს შემოგარენი შემოიბრ-
ნეს, ჭოგრიტითაც დიდხანს ათვლიე-
რეს მთები და ტყეები, მაგრამ გაუჩინა-
რებული პირუტყვის კვალს ვერსად მია-
გნეს. მთელს სოფელში მხოლოდ სავლეს
დარჩა ერთი ჯორი და ერთი ვირი, რო-

მლებსაც რაღაც სენი შეყროდად, და ხე-
ნძრისას, უძლურად ეყარნენ ბოკელში,
საბალახო გაბოროტდა. გაავებული
გლეხები ერთი კვირის განმავლობაში
იკრიბებოდნენ ბაზრის მოედანზე გვერდ-
დაღარულ მთას უყურებდნენ და ხმა-
მალა ლანძღვდნენ ჯანიკოს. სხვებზე
მეტად სოფლის თავკაცი — სავლე ან-
ხლობდა; თას მუქარას უთვლიდა უგვა-
ნო ფირალს. ყაჩაღი ჯანიკო კი ღუმდა-
სიცოცხლის ნიშანს არ იძლეოდა. საბა-
ლახოელებმა გული მოიოხეს ფირალის
წყველით და თანდათან დაწყნარდნენ.

სოფელი ღონიერი იყო, მანცადამა-
ინც არ უგრძენია შინაური პირუტყვის
დაკარგვა. ბევრმა ოჯახმა ჯერ კიდევ ხა-
ნძრამდე მოასწრო ზამთრისთვის ხორ-
ცის დამარილება. თანაც ამ შეჭირვების
ქამს ყასაბმა მიხამ გამოჩინა თავი; სად-
ღაც-საღდაც დაშტოკინობდა და მთელი
ზამთარი ახალი ხორციით ამარაგებდა სო-
ფელს. სხვაფრივ ნაკლებობას არ უჩი-
ოდნენ გლეხები და თოვლიანობის მოკ-
ლე დღეები საკმაოდ იოლად გადაიტანა
საბალახომ. არც სასაუბრო გამოლეულა
ოდებში; თბილ ბუხრებთან მოკალათე-
ბული სოფლელები გაუთავებლად იხსე-
ნებდნენ საშინელ ხანძრიან ღამეს, ბევრს
ფიქრობდნენ ამ ამბავზე და ბოლოს,
როცა მზეს ძალა მოემატა და ფეხქვეშ
თოვლი აჰყაპუნდა, უკვე ყველანი გაი-
ძახოდნენ, რომ ტყეს ცეცხლი, ალბათ
მთის წვერზე დავარდნილმა მეხმა გაუ-
ჩინაო. საქონლის გაქრობის მიზეზი კი
ხეირიანად ვერ ახსნეს გლეხებმა, მაგ-
რამ ხანი გავიდა და ჩავლილი ამბავი ის-
ევე გადავიწყეს, როგორც იღბლიანად
გადატანილი მძიმე ავადმყოფობა.

გაზაფხულის სითბომ და გახალისებუ-
ლმა ბუნებამ საბოლოოდ გადაავიწყა-
ხალხს ამაზრუნენი ხანძრიანი ღამე. საბა-
ლახოს ირგვლივ მწვანედ აიჭოჩრა ტყე-
მომძლავრებული მდინარე ძირიანად ამ-
ოთხრილ თხმელის ხეებს მოათრევდა.
გუნდი და გუნდი მერცხლებისა თან-
დათან უბრუნდებოდა გამოღვიძებულ
სოფელს. ძარღვებდაბერილი გლეხები
მინდვრებს შეესივნენ და შემთბარ მიწას

გემრიელად მოუფხანეს მუცელი. სოფ-
ლელებთან სასაუბროდ სავლემ მოუხში-
რა ბაზრის მოედანზე სიარულს. საბალა-
ხოს თავკაცს ჩრდილივით დასდევდა
ყველგან ბეჭკვანიერი მეზობელი, ენამძი-
მე და ვიწროშუბლიანი შაქრო.

როგორც ყოველთვის, ამ გაზაფხუ-
ლსაც ეწვიო საბალახოს ძონძროხა ცხე-
ნებში შებმული ფურგონები. სავლე გზა-
შივე მიეგება ქარავანს და ჩამოსულებს
სხვებზე უწინ მოუთხრო სოფლად მომხ-
დარ უცნაურ ამბებზე. მეფის ამაყმა მო-
ხელეებმა ჭირის მოზიარესავით მოუსმი-
ნეს დაღონებულ თავკაცს, სინანულით
შეათვალიერეს დაცარიელებული ბოს-
ლები, დიდხანს უყურეს მთის ჩაღარულ
ფერდსაც და შეპირდნენ გლეხებს, რომ
ახალი წლის დადგომამდე გიშინან საქო-
ნელს გამოუგზავნიდნენ შესასყიდად. იმ
დღესვე, დუქნის წინ, სახელდახელო სა-
სამართლოც შედგა და გახიზნულ ჯანი-
კოს დაუსწრებლად მიესაჯა სამუდამო
კატორღა... ბაზრის მოედანზე ჩვეული
ვაჭრობა გაჩაღდა და მთელი კვირა, შე-
ღამებულზე, კვლავ იმართებოდა მხია-
რული წარმოდგენები. მერე ჩამოსულე-
მა ნავაჭრითა და ბეგართი დატვირთეს
ფურგონები და გრძელი ქარავანი ზღაზ-
ვნით გაუყვა ქალაქისაკენ მიმავალ, ქე-
დებში ჩაკლავნილ გზას.

გაზაფხულის ხშირ წვიმას ერთბაშად
გადაება ზაფხულის ცხელი ამინდი და
საბალახო ისევ ჩაეფლო ერთფეროვანი
დღეების უხალისობაში. მზის გადახრა-
მდე გლეხები მინდვრებში ირჩებოდნენ
და დღისით, სოფლის უკაცრიელ შუკებ-
ში, მხოლოდ სავლე დაეხეტებოდა შა-
ქროს თანხლებით. კარგა ხნის უკან ზარ-
მაცმა შაქრომ თავისი ყანა ნებით შეუე-
რთა სავლეს მამულს და ამის საფასუ-
რად საბალახოს თავკაცი საერთო შემო-
სავლიდან მასაც აძლევდა მცირე ნა-
წილს. მიწის ჩიჩქნას, უქმად ყოფნა ამ-
ჯობინა შაქრომ. ახლა მუდამ კუდივით
დაჰყვებოდა სავლეს, მის სკამჯოხს და-
ათრევდა და მეტისმეტი გულმოდგინე-
ბით უსმენდა სოფლის თავკაცის
ბრძნულ ლაპარაკს. სავლეს რიდით სოფ-

ლელები პატივისცემით ეპყრობოდნენ
ზორბა ტანის შაქროსაც... ეგ წყვილი არ-
ხენიად დასეირნობდა აღმა-დაღმამ, გლე-
ხები კი თავის მამულთან ერთად დაუზა-
რებლად ამუშავებდნენ სავლეს მიწასაც
და დროდადრო მოედანზე აღიოდნენ სა-
ბალახოს წარჩინებულთან სასაუბროდ.

ზაფხულის მშვენიერ საღამოს მინდ-
ვიდან დაბრუნებული, მუშაობით მოღ-
ლილი სოფლელები ბაზრის მოედანზე
შეყრილიყვნენ. მზე გადასული იყო, ოდ-
ონდ ჯერ არ ბნელოდა. შუა მოედანზე,
გაშლილ სკამჯოხზე ამაყად იჯდა სავლე
და გატრუნულ ხალხს დინჯად უყვებო-
და იმხანად წაიკითხული წიგნის შინაარსს,
აღსავსეს ფათერაკებითა და საგმირო სა-
ქმეებით. სოფლის თავკაცს მცველივით
ედგა უკან ბეჭკვანიერი შაქრო. დანტე-
რესებულ გლეხებს მთხრობელისათვის
მიეკერებინათ თვალები. უცებ სავლეს
თავისფერი გაუხდა სახე და სათქმელიც
მოზრდილ ლუქმასავით გაეჩხირა ყელ-
ში. სოფლელებმა ერთიანად გააყოლეს
თვალი სავლეს მზერას და გახევდნენ;
ყველამ დაინახა მთის ფერდზე, ტყის ნა-
ხანძრალ ზოლში დაგორებული უშვე-
ლებელი ქვა. გორის ძირში უზარმაზარი,
საზამთროსავით მრგვალი ქვა შეხტა,
მოედანზე შეყრილთ დაბალზე გადაუფ-
რინა და სწრაფად გაგორდა თავქვე.
გზად გონიერივით გადაახტა ოდებს, თი-
თქოს მობოდიშებით შეირბინა ეზოებ-
შიაც და ბოლოს მდინარეში მოაღინა
ზღართანი. მოლაყლაყებულ ხიდს წყლის
დიდი თაივული მიენარცხა.

სამიოდე წუთით მოედანზე სამარისე-
ბური სიჩუმე ჩამოწვა. გაშეშებული
გლეხები უაზროდ მიშტერებოდნენ მთის
ჩაშავებულ იარას... სხვებზე აღრე სავ-
ლე მოვიდა გონს, ერთხელ კი შეაგინა
ხმამალა გორას და მერე, მისი ასაკი-
სათვის უჩვეულო სიმარდით, უკანმოუ-
ხედავად მოუსვა შინისკენ. თავგზააბნე-
ული სოფლელები ფხვდაფხვ მიჰყვნენ
საბალახოს უგვირგვინო მმართველს. ამ-
ჩატებულმა სავლემ ქარივით ჩაიქროლა

ვლადიმერ სინარულიძე

შინათე მოწვაძე

შუკებში, ჯიხვივით გადაეგლო თავის ეზოს მაღალ ღობესაც და აქლოშინებულ შიშვეარდა ოდაში. დადევნებული გლეხები ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩნენ სოფლის მკვირცხლ თავკაცს და სავლეს ფართო ეზო უმაღლ გაიგსო არეულად მოლაპარაკე სოფლელებით. ლამაზი ცირუნია აივანზე გადმოდგა და გაკვირვებით მიაჩერდა აღგზნებულ ხალხს. შინ მისული სავლე მალე დაშვიდდა. ერთხანს სარკის წინ იტრიალა, აჩაჩული ტანსაცმელი გაისწორა, თმა დაისველა და გულმოდგინედ დაივარცხნა. მედიდური იერიც რომ დაუბრუნდა, მაშინდა გამობრძანდა თავკაცი აივანზე და გაბღენძილი დადგა ქალიშვილის გვერდით.

საბალახო სინელეში ითქვიფებოდა.

— რაშია საქმე? — მკაცრად ჰკითხა სავლემ გლეხებს.

აყაყანებული სოფლელები ჩაჩუმდნენ.

— რაგა გაშბით მოედნიდან, თქვე საცოდავებო?! — ხმა აიმაღლა სავლემ ხანმოკლე ღუმილის შემდეგ. — ვინცხას რომ დენახეთ, კურდღლებად მოეჩვენებოდით, თქვე მართლა კურდღლის ნაშიერებო!

დარცხვენილმა გლეხებმა თავი ჩაქინდრეს.

— ერთმა ქვამ რაგა მოგზაფრათ ასე? — განაგრძო სავლემ. — ახლავე გაყევით შაქროს ბაზრის მოედანზე, დადექით იქ და იმდენი აგინეთ იმ ურჯულო ყაჩაღს, რომ ყველაფრის ხალისი დაეკარგოს... შაქრო, გოუძეხი ამ ბატებს მოედნისკენ!.. მხნედ, მხნედ იყავით, ლაჩრებო! — შეუყვირა ხალხს სავლემ, — ხვალ კი მე მოვუვლი მაგ საქმეს...

დამიდებული სოფლელები მოედანზე ავიდნენ, მთისკენ მიბრუნდნენ და შუალამემდე დაუნდობლად ლანძღეს ფირალი ჭანიკო. გორა ჩუმად იყო; არ ეპასუხებოდა ხალხს უცნაური ყაჩაღი.

სანამ სოფლელები მოედნიდან ჭანიკოს აგინებდნენ, სავლემ არ კარგავდა უქმად დროს: სარდაფში უწესრიგოდ მიყრილი ნივთები გადაქექა, საღდაც შეკუჭულ ზარბაზნის მრავალ ჭურვებს მი-

აგნო და ეზოში გამოალაგა. მერე ნათქმინი ჩვარი დაასველა და ძველებური ქვემეხნი კარგად გაწმინდა.

სავლემ მთელი ქვეყანა დაიხილა და სიბატონით სამეფო არ არსებობდა დედამიწის ზურგზე, იქიდან რაიმე რომ არ ჰქონოდა სამახსოვროდ წამოდებული. მეზღვაურად ყოფნის ქამს, როგორღაც მისი გემი დაზიანდა და ვიდრე ხომალდს შეაკეთებდნენ, სავლეს კარგა ხნით მოუხდა ცხოვრება ერთ შორეულ ნავსადგურში. ის ნავსადგური მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე იყო და სახელიც ქდერადი — სინგაპური ერქვა. ციხე-ქალაქს უამრავი ზარბაზანი იცავდა. ბასტიონებზე ყოველ მეხუთე წელიწადს მოძველებული ქვემეხები ახალი ზარბაზნებით იცვლებოდა და სწორედ ამ შეცვლას დაემთხვა სავლეს იძულებითი სტუმრობა სინგაპურში. ერთ ბოთლ თაფლის არაყში სავლემ ვიღაც ლოთი ოფიცრისაგან ჩამოწერილ ქვემეხთან ერთად ჭურვებიც მიიღო და შეძენილი იარაღი ხომალდზე აიტანა. მაშინ მას პატივისცემი თანამდებობა ეკავა გემზე (კაპიტნის პირადი მზარეული და უახლოესი მრჩეველი იყო) და ქვემეხის შესანახი კუნჭული ადვილად გამოხახა... ასე მოხვდა სინგაპურის ზარბაზანი სოფელ საბალახოში.

მთიდან ქვის დაგორების მეორე დღეს, დილაადრიანად ფართოდ გაიღო სოფლის ყველაზე თვალსაჩინო ეზოს კიშკარი და იქიდან ჯორზე ამხედრებული სავლე გამობრძანდა. ჯორზე გამობმულ ორთვალაზე მოზრდილი ჭურვები ეწყო, ორთვალას ვირი მისდევდა, რომელიც მძიმე ქვემეხს მოათრევდა. სულ ბოლოს ხმალგაშიშვლებული შაქრო, მოაბრტებდა... პროცესია მოედნისკენ მიემართებოდა. გზადაგზა პირქუშ ზარბაზანს უამრავი გახარებული სოფელი აედევნა.

მოედანზე ასული სავლე ჩამოქვეითდა თავისი ჯორი და ვირი გლეხებს მოფარებულში გადააყვანიდა და შაქროს დახმარებით ზარბაზანი საბრძოლოდ გაამზადა. ხეებს აფარებული სოფლელები შიშით უყურებდნენ ყოფილი მეზღვაურის საქმიანობას. სავლემ კარგა ხანს უმ-

ინა მთას და რაღაც ერთ საათში გორის ნახანძრალ ზოლს აყოლებით სთხოვა ათი ყუმბარა. არემარე მტვერსა და კვამლში გაეხვია. გლეხებს თითით დაეცოთ ყურები და კმაყოფილად იღიმებოდნენ.

— ასე ვიცი მე! — მრისხანედ თქვა სავლემ, — ეგ ზარბაზანი აწი აქ იქნება! ქვემეხი ძეგლივით დადგეს შუა მოედანზე და გვერდით ქურვები მიუწყვეს. მაგრამ მხოლოდ ამას არ დაჯერდა სავლე: მთელი ხალხის თანდასწრებით მან გრძელი ჭოგრიტი გაუწოდა დაბნეულ შაქროს და მეთვალყურედ დანიშნა. იმ დღიდან შაქროს ყველაზე მაღალი ოდის სახურავზე დგომა და მთისკენ მოჭუტულის ყურება ევალებოდა. სავლე კი მას შემდეგ მოედანს აღარ მოსცილებია; დღიდან სადამომდე ბოლოს სცემდა ზარბაზნის ირგვლივ და მალიმალ გამომწვევად აშტერდებოდა ჯანიკოს გორას.

სოფლელები სავლეს მიენდვნენ და ოდნავ დაწყნარდნენ.

გავიდა ორი თვე. ყაჩაღი ჯანიკო თავის არსებობას არ ამჟღავნებდა. მდინარის ვადალმა აბიბინებულმა სიმინდმა ჭყინტი ტაროები გამოიბა. შეითვალა მტევნები მაღლარი ვაზისა. ნაყოფით დახუნძლული ხეები მორთულ ჩიჩილაკებს დაემსგავსა. ბაღებში კვლავ იდგა ჯანიკოს ხელით გამართული დაკენკილი, გახუნებული საფრთხობელები.

გლეხები მოსავლის ასაღებად ემზადებოდნენ. გონიერი სავლე და მაღალი ოდის სახურავზე გასული ჭოგრიტიანი მეთვალყურე ფხიზლად დარაჯობდნენ საბალახოს. ფირალის უმოქმედობით დამშვიდებულმა სოფლელებმა თავი დაიარჩინეს. გულში სავლემ ზეიმობდა გამარჯვებას და ის-ის იყო ახალი თანამდებობიდან შაქროს გადაყენებას აპირებდა, რომ უცებ, დღისით, მზისით, მთის წვერიდან ხტუნვით გამოგორდა ვეებერთელა ქვა. გორის მუქ ღარს კვამლივით მოედო მტერის სქელი კორიანტელი. მოედანზე ქვამ თითქოს სხვათაშორის გაკ-

რა გვერდი ზარბაზნის, ვილაცას ბოსელიც მიღეწა, მერე გიგანტური ნახტომებით გადაევიდა საბალახოს და, დგამუნით ჩავარდა მდინარეში. წყლის სუნთქვით ბი მინდვრად მომუშავე გლეხებსაც მიწვდა.

ახმაურდა სოფელი, ატყდა უთავბოლო სირბილი შუკებში. გლეხებმა სამუშაო მიატოვეს და მალე მდინარესთან უამრავი საბალახოელი მოგროვდა. კარგა ხანს სოფლელები უაზროდ უყურებდნენ მღვრიე ტალღებს და მერე ყაყანით მიაშურეს ბაზრის მოედანს.

შუა მოედანზე აყირავებული უხორთუმო ქვემეხი ეგდო: ქვას ზარბაზნისთვის ძირშივე მიემტვრია ლულა, ლულა ქურვს მოხვედროდა. ქურვი ბურთივით ამხტარა და სავლესთვის ორი ნეკნი ჩაუშესხვრევია. არც მეთვალყურე იყო უკეთეს დღეში; დაგორებულს ქვის დანახვაზე დამფრთხალს სულ დავიწყებოდა ოდის თავზე რომ იმყოფებოდა და გაქცევა დაუბრებია. ერთი-ორი ნაბიჯი გადაუდგამს, სახურავიდან გადმოვარდნილა და ფეხი უღრძვია... დუქნის წინ, დაშვებულთა ირგვლივ ქალები ფუსფუსებდნენ. ნამტირალევი ცირტუნის მტვრიანი ლაქებით მოთხუზნოდა სახე. სოფლის ექიმბაში დედაბერი ბანდის არტახს აღებდა საბალახოს თავკაცს.

მზის ჩასვლამდე ხმაგაკმენდილი იჯდა სავლე დუქნის წინ. ჩუმად იდგნენ გლეხებიც. მწუხარე დუმილში სოფელს ღამე წამოეპარა.

როცა მთისკენ მიმავალმა ნიავმა დაუბერა, სავლე კოჭლობით მილასლასდა მოედნის შუაში, წაქცეულ ზარბაზანს დაეყრდნო და ჯანიკოს გორას გამგმირავად მიაყუდა მხერა.

— სულ დაკარგე ნამუსი, შე ურჯულო... აღარც ნაცნობი იცი და აღარც მეზობელი? — ნერვიულად იყვირა სავლემ და ყური მიუგდო.

გოლიათმა მთამ ჩქამიც არ გაიღო.

— დაბადებას დაგაწყევლინებ, შე ღორი და ღორის ტილო!.. შენივე ეზოში

ვლადიმერ სინარულიძე

მეათე მოწეო

ხვალეც ღრმა ორმოს ამოვათხრევივინებ, ჩავდგამ შიგ ყველაზე დიდ ჭურს და ხახავ მერე... არ გეგონოს, შტერო, ღვინისთვის გიმზადებდე ამას!.. დაგიჭერ, ჩავსვამ ჭურში და მთელი ცხოვრება შიმშველ-შშიერს გამყოფებ შიგ! — დაიძახა სავლემ და ხალხს მიუბრუნდა: — ალბათ ჩვენი დახოცვა უნდა ამ უპატრონოს?!

მთა კვლავინდებურად დუმდა.

— ხომ ყავს მაგ დათვების ამხანაგს ცოლი და ახლობელი?!. დევიჭიროთ ყველანი, მაგის სიმამრიც მივაყოლოთ, სიდედრიც... ნათესაეების მეცხრე შტოც რომ აღმოაჩნდეს, ისინიც ჩავსვათ ჭურებში!..— ვითომ ხალხს ეუბნებოდა სავლე, მაგრამ სახე გორისკენ მიეშვირა და მთელი ძალით გაჰყვიროდა

სოფლელებმა ისარგებლეს სავლეს შესვენებით და ნიავს ჯანიკოსთან გინება გაატანეს.

— რაც გააკეთე, ვაჟკაცობა არ გეგონოს, ლაჩარო!.. ყველაზე იოლი გამოსავალია ეგ... თუ უქმყოფილო იყავი რამეზე, ვეთქვა ჩვენთვის, გაგიგებდით, დაგეხმარებოდით და იცხოვრებდი წყნარად... მაგრამ მოკითხე მგელს კაცობა!.. ალბათ, უმი ხორცი მოგენატრა, ნადირო, და ამიტომაც მიაშურე ტყეს, — განაგრძობდა სავლე.

— თუ ჩამევიდა ქვეით და გადავილიტა მუხლისთავები ხვეწნით, ეგება ქეც ვაპატიოთ! — იყვირა ყოფილმა მეთვალყურემ — შაქრომ.

— მაინცდამაინც დიდი ზარალი ჯერ არ მოგიყენებია ჩვენთვის და თუ დაგვიჩოქებ მორჩილად, ვეცდებით შეგიწყალოთ, — ხმა შეარბილა სავლემ.


ბუმბერაზი მთა ძველებურად დუმდა, ხალხი ამოდ ელოდა ყაჩაღის პასუხს.

მოედანზე ბჭობა გაიმართა. გაფირალბულის შესაპყრობად ხალხმა მოინდომა შეიარაღებული კაცების მთაში გაგზავნა. მაგრამ კარგად რომ დაფიქრდნენ სოფლელები, უმალ მიხვდნენ ამ საქმის უაზრობას: მთის ტყით საბალახომ უკანასკნელად ნახევარი საუკუნის წინად ისარგებლა. მას შემდეგ მოსახლეობა შეშისთვის ხეს მდინარესთან ახლოს

ჭრიდა და წყლით სოფლისკენ აცურებდა; ასე უფრო მოსახერხებელი და მომგებიანი იყო ყველასთვის. სოფელზე გადმოკიდებული მთის ტყე უაზრობი წლის განმავლობაში გახშირდა, დაიბარდა და გაუვალი გახდა. ნადირიც მომრავლდა შიგ. ახლა მთაში კაცის წსავლა, თვითმკვლელობას უდრიდა. იფიქრეს, განსაჯეს გლეხებმა და ისევ ჩიხში მოექცნენ... ნირწამხდარი ხალხი გვიანობამდე იდგა მოედანზე და მოქანცული ხმით ავინებდა ყაჩაღს.

სავლეს მითითებით მომდევნო დღეებში ჯანიკოს დაობლებული, მოღრეცილი ოდა სოფლელებმა შეშად აქციეს. მერე მისი ნაცოლარი ჩოლაჯა დათიკოს მიათხოვეს და ფირალის ჯიბრზე ისეთი ქორწილი გადაუხადეს, რომ ტყის დაფეთებულ მოზინადრეებს მთელი ღამე ძილი არ გაჰკარებიათ. საბალახოში სხვა ცვლილებაც მოხდა: დალაქ გაბოს მოწიფულ ასაკიდანვე თვალი ეჭირა ყასბობაზე. ნამეტნავად მაშინ შეშურდა მიხასი გაბოს, როცა სოფელმა საქონელი დაკარგა; იმ ზამთარს ახალი ხორცის საშოვნელად დუქანთან მუდამდღე ირეოდა ზღვა ხალხი და ერთბაშად გამდიდრებული ყასაბი, ქონებით ღამის სავლესაც წამოეწია. თავისი წადილი არასოდეს გაუმხელია ვინმესთვის გაბოს, ახლა კი მიხნის მისაღწევად სასურველი დრო მოიხელთა და სავლეს მალულად შეახსენა ჯანიკოსა და მიხას უწინდელი ამხანაგობა. სოფლის თავკაცის განკარგულებით მალე გაბო დახლში ჩადგა, გაბოროტებულ მიხას კი დალაქის მოვალეობა დააკისრეს. უსარფო საქმე იყო დალაქობა საბალახოში; იშვიათად თუ მოინდომებდა ვინმე გლეხი თმის შეკრეჭასა და წვერის მოპარსევას. აბა როგორ არ უნდა ჩაედო გულში ბოღმა ნაყასბარ მიხას, როცა ხელში სამართებელი და მაკრატელი მიაჩეჩეს?! ჩაიღო კიდევ, ბრაზი ახრჩობდა, ოღონდ უქმყოფილობის ხმამალა გამოთქმას ვერ ბედავდა.

გახურებულ მუშაობაში შეუმჩნევლად გარბოდნენ შემოდგომის გრილი დღეები. სოფლელები შებინდებამდე მიწოდ-



რში საქმიანობდნენ, მერე მოედანზე ამოდიოდნენ, დაელოდებოდნენ ჯანიკოს მთისკენ მინაქროლ ნიავს და შეუბრალებლად ავინებდნენ ყაჩაღს. ლანძღვა-გინებაში დიდად გაწაფულმა ყოფილმა მეზღვაურმა თავისი ცოდნა გლეხებსაც გაუზიარა და ყოველ საღამოს სოფლის უბიწო ქალიშვილები თოფის სასროლზე აღარ ეკარებოდნენ ბაზრის მოედანს. ნაყასაბარი მიხა ცარიელი სადალაქოს ზღურბლზე იდგა ხოლმე და მოწყენილი უსმენდა სავლესა და გლეხების ბილწიტყვაობას... ფირალი ჯანიკო კი დუმდა და დუმდა.

ღვინობისთვის მიწურულში მოსავალი დამწიფდა. გლეხებმა ურმები შეაკეთეს, ქვევრებზეც გამორეცხეს და თანდათან დაიწყეს წირნახულის აღება. სევდიანი ღიღინით ნადი ყანიდან ყანაში გადადიოდა. მუშაობდნენ სოფლელები და თან ეჭვით უშხერდნენ ფერდღაღარულ გორას.

ერთ წყნარ შეუადღეს, როცა სოფლელებთან ერთად გაბოც მინდვრად იყო გასული, მოთმინებადაკარგული ნაყასაბარი შუა მოედანზე დაეყუდა და ბოხი ხმით მიაყვირა მთას:

— ჯანიკო, ძამა!.. დალაქმა გაბომ სახლი დაგინგრია და შენი გინების მეტს აფერს აღარ აკეთებს!

სიტყვა დამთავრებულიც არა ჰქონდა მიხას, რომ თვალის დახამხამებაში გორის ფერდზე კარგა მოდღლეხილი, მრგვალი ქვა ჩამოგორდა და სოფლის თავში, შემალეხულზე მდგარ გაბოს ოღას შიგკეფაში ეძებრა. ერთიანად მოდღლეტილმა თუნუქის სახურავმა ქოლგასავით გადაიფრიალა საბალახოზე, მდინარეზე გადებულ ძველ ხიდს დაენარცხა და მთლიანად ჩაიყოლია წყალში...

მეორე დღესვე, აღრიანად ჰრიალით გაიღო ცნობილი ეზოს მძიმე ჰიშკარი და იქიდან ჯორზე მომჭდარი სავლე გამოვიდა. ჯორი ორთვალას მიათრევდა. ორთვალა გატენილი იყო სქელ-სქელი წიგნებით. ხმალამოწვდილი შაქრო ღინჯად მისდევდა ორთვალას. მხედარს ბაზრის მოედნისკენ ექირა გეზი.

დადგრემილი სოფლელები მოედანზე ელოდებოდნენ საბალახოს თვეკაცს. ჯორმა აუჩქარებლად აიარა აღმართი და დუქანთან გაჩერდა. შაქრომ ეკუთვნის ჩააგო ხმალი, სავლე ბალღივით აიტაცა და ჯორიდან ჩამოსვა. კარის ზღურბლზე ჩამომჭდარი შეშინებული მიხა წამოხტა და სადალაქოში მიიმალა. სავლემ მაღალი მაგიდა მოითხოვა. გლეხები დაფაცურდნენ, სადალაქოში შეცვივდნენ და მიხას სამუშაო მაგიდა გარეთ გამოათორიეს. შუა მოედანზე სავლემ კათედრის მსგავსი რადაც მოაწყო. შაქრომ ურიკიდან მაგიდაზე გადააღაგა დიდტანიანი წიგნები. სავლემ დაიცადა, სანამ ჯანიკოს მთისკენ ნიავი დაუბერავდა და მერე ომახიანად დაიწყო ლაპარაკი:

— თუ ხედავ, ხებრე ყაჩაღო, ამხელა წიგნებს?.. გადმოიხედე, გადმოიხედე!.. მასე შორიდანაც კი დაინახავ იმისსქე და შესანიშნავი წიგნებია... იქნება შენს დღეში არ წაგვიკითხავ არც ერთი წიგნი და იმიტომაც ხარ ასე გამოლენჩებული?!. მაშ იცოდე, შტერო, ზღაპრების გარდა წიგნებში სხვა რამეებიც წერია... ყველაფერი წერია, რაც კი მომხდარა, ან შეიძლება მოხდეს დედამიწის ზურგზე.

— სავლე ოქროსფრად მოვარაყებულ წიგნს ფურცლავედა და თვალს არ აშორებდა მთის წვერს. — აქ უმეტესად აღწერილია კეთილზნისადამიანების ცხოვრება და მართალი, პატიოსნური ქცევის ნორმები... მაგრამ შენნაირი უგვანო და უჭიშო კაცის ფსიქიკაც გულმოდგინედ შეუღწავლიათ ამ წიგნების დამწერებს... ფსიქიკა! ფსიქოლოგია!.. ეს სიტყვების ჩინური არ გეგონოს, უბედურ დღეზე გაჩენილი!.. ფსიქოლოგია მეცნიერებაა და არა გაუგებარი ჩინური... დიდებული მეცნიერებაა!.. ქვეყნიერების ნებისმიერ კუნჭულში მცხოვრები თვითეული პიროვნება შესწავლილი და თავით ფეხებამდე გადახარული ყავს ამ მეცნიერებას... ყოველი ადამიანის შინაგან ბუნებას ისევე ნათლად ხედავს ფსიქოლოგია, როგორც მე მაგ

ვლადიმერ სინარულიძე

მათე მოყვამ




მთას... ამიტომ სულ არაა გასაკვირი, აქ შენზეც იყოს ნახსენები ორიოდ სიტყვა... მაშ გადმოყარე მაგ ვირივით ყურები და კარგად მომისმინე!.. ამ ორ თვეში სულ გადავიკითხე ეს ფსიქოლოგიური წიგნები, ერთი სტრიქონიც არ გამომიტოვებია. მერე ბევრი ვიფიქრე, აუჩქარებლად განვსაჯე ყველაფერი და გამოჩენილი მეცნიერების ნააზრევს მიყოლილი დავასკენი, რომ შენ ამქვეყნად არ არსებობ!.. დიახ, არ არსებობ!.. — საველემ ხანგრძლივი პაუზა ჩამოაგდო, ჯარისკაცივით გაიკიბა და თამამად მიაჩერდა მთას.

განცვიფრებულ გლეხებს თვალები გაუფართოვდათ.

— ასეა, ასე! — განაგრძო საველემ. — სანამ სოფელში იყავი და ბარით მიწას აბრუნებდი, შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრობდი, ნამდვილად არსებობდი... ახლა კი აღარ!.. ვაფირალების შემდეგ ჰირწმინდად წაიშალე ქვეყნიერებიდან! თუ არ გჯერათ, შემიძლია ახლაც დავამტკიცო, — მიუბრუნდა საველე სოფლებს და მერე კვლავ მთას მიაშტერდა. — პირველი: ფიზიკურად არ ჩანხარ და ჩემი არცერთი შეგრძნება არ მანიშნებს შენს არსებობას; ჩამტკიცებულ ნეკნებს არაფრად არ ვთვლი, რადგან მთიდან ქვების დაგორების მიზეზი სულ სხვა მეცნიერების მეშვეობით შევიტყვე: ხომაა ეგ გორაკლიანი?!. კია! ხოლა ამხელა ხანძრის შედეგად ალბათ დასკდა კლდე და დიდი ლოდინები დროდარო თავისთავად მოგორავს ფერდზე. ნახანძრალი ღარი კი უნებურად მთელის დანიშნულებას ასრულებს და სანამ სოფლამდე ჩამოაღწევს ქვა, ამრგვალებს კიდევ საზამთროსავით... ეგაა და ეგ!.. სხვა საიდუმლოება აქ არაფერია!.. გეყურებათ?.. — შეეკითხა საველე გაოცებულ გლეხებს და ისევ განაგრძო: — მეორე: თვითვე სოფელს გამოვიკითხე შენს შესახებ და პასუხად ყველანი ერთიდაიგივეს მეუბნებოდნენ: ჩანიკო იყო ზარმაცი, საწყალი და ჭუჭყიანი გლეხიო. ტყეში გავარდნის წინ ცოლმა მაგრად მიბეგვა და გაექცაო. სამაგიერო რომ

გადეხადა მეუღლისთვის, ~~მეშვენიერად~~ ნიკომ ვერ გაბედაო... ~~მთიანეთში~~ და უფერული ვინმე ყოფილხარ თურმე... აბა როგორ უნდა გაჩერდეს ამდენ ხანს ნადირით საველე ტყეში შენნაირი ლაჩარი კაცი?!. ცეცხლში ჩაგდებული ხმელი ბურბუშელა ხომ უნდა დამწვარიყო, ხალხო? — თხზრა საველემ თანასოფლელებს და მერე ისევ მიიტანა ყაჩაღზე ფსიქოლოგიური იერიში. — **მესამე:** „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!..“ მეოთხე ყველაზე მნიშვნელოვანი დასაბუთებაა და მეორე დასაბუთების გაგრძელებას წარმოადგენს: მიზეზობრივ კავშირზეა დამყარებული ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება!.. და რადგანაც ეს ქეშმარიტებაა, მაშინ ისიც დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მიწის დაბეჩავებული მუშა, უნებისყოფო, ჭიანჭველასავით უსუსური ვერ გაბედავს ტყეში გავარდნას! დამთიდან ამხელა სოფლისათვის ქვების დაშენას... ვერშეხედავს ბატკანი მგელს ცუდი თვალით!.. ამას ამტკიცებენ მეცნიერების უგონიერესი მამები. ერთხმად ამტკიცებენ, ოღონდ თან დასძინენ: ასი ათასში ერთხელ შეიძლება მოხდეს ამდაგვარი შემთხვევაო... შეიძლება მოხდესო, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც არის თავისებური კანონზომიერება: თუ გლახაკი კაცი ერთხელად გავაყვავდა და ტყეში მართო ყოფნას არ შეუშინდაო, იმის გამბედაობაც უნდა ეყოს, სოფელს ერთხელ მაინც დაენახოსო. არ დაენახება და, ესე იგი არ არსებობს ასეთი პიროვნება სინამდვილეშიო... მხოლოდ ხალხის წარმოდგენაში და არა რეალობაში არსებობს ამდაგვარი კაციო... ამას ამბობს სახელგანთქმული სინგაპურელი მკვლევრები... ამასვე გაიძახიან ზანზიბარელი დენ-დენი, შუბლნათელი სოლიფსისტი ნეფხია აშენელი, ევროპელი კრაფტი და ბევრი სხვა მცოდნე, წარჩინებული, მახვილგონიერი მეცნიერი.. ა, ბატონო, ჩვენ ნამდვილად ვდგავართ მოედანზე და თუ შენც მართლა არსებობ, გამოგვეცხადე!..

მამლის ყვილამდე სოფლელები მოე-



დანზე დაბორილობდნენ და ამოდ ელოდნენ ჯანიკოს გამოჩენას. ფირალი რომ ტყიდან გამოეტყუებინა, სავლე შეუსვენებლივ ლაქლაქებდა, მთელი ცოდნა და ნიჭი შეახარჯა, მთა კი მაინც დუმდა. ყაჩაღი ჯანიკოს არსებობაში ოდნავ დაეჭვებული გლეხები გახალისდნენ და მხიარული ქოთქოთით დატოვეს მოედანი.

ნაყასბარი მიხას ჩივილი ჯანიკოსთან შემთხვევით გაუგია რომელიდაც ქალს და მალულად ქმრისთვის გაუმხელია. ეგ ამბავი მყისვე მოედო მთელ საბალახოს. მიხა ვასკვანჩეს და სავლეს ეზოში, მიწაში ჩაფლულ დიდ, აყროლებულ ქვევარში მოათავსეს. საბალახოს თავკაცმა დატყვევებულ ნაყასბარს ყარაულად და ლუკმის მიმწოდებლად იარაღასხმული შაქრო მიუჩინა. დაშინებულმა გაბომ კი უარი თქვა ყასბობაზე, ოდა კრამიტით გადახარჯა და ძველ ხელობას-დალაქობას დაუბრუნდა.

მთიდან დაგორებულმა ქვებმა გაბოს გარდა სოფლის დარბაისელი დედაკაცებიც დააშინა. ცრუმორწმუნე ქალები ავგაროზებს დებდნენ ოდების სახურავქვეშ, გაუთავებლად ჩურჩულებდნენ ერთმანეთში თავსდამტყდარ უბედურებაზე და მიძინებულ ქმრებს ლამდამობით ჩუმად უკითხავდნენ შელოცვებს:

დაგიფაროს შიშისაგან,
შენ სახლში შიმშილისაგან,
აეი კაცის ვალისაგან,
კახბა ქალის შარისაგან,
აღელვებული წყლისაგან,
დაგორებული ქვისაგან...

უხილობა სოფელს ძალიან გაუჭირდა. გლეხები ვერ ახერხებდნენ აღებული ჭირნახულის შინ მიტანას. შეაგვიანდათ ვაჭრებს, რომლებსაც ქალაქიდან საბალახოელთათვის საქონელი უნდა ჩამოერეკათ. უქმად იდგა უხარკამეჩო ურმეები. სიმინდისა და ხილის გორაკები ღია კის ქვეშ, პირდაპირ მიწდვრებში ეყარა. გადაამწიფდა ვაზიც.

ერთხანს სოფლელები კიდევ ელოდ-

ნენ ვაჭრებს, მერე ყურძენიც დაკრიფეს და გოდრებით დაიწყეს ჭირნახულის სკანდალი დახიდვა ეზოებში. შარვალიანი წიქრულები ფოხით გადიოდნენ მდინარეს და ძძიმედ დატვირთულ გოდრებს ოხვრავწყევლით მიათრევდნენ აღმართში. ამხედრებული სავლე წინ და უკან დაარბენინებდა შუკებში ჯორს და ტვირთაკიდებულ, დაბღვერილ კაცებს განუწყვეტლივ ამხნევებდა...

მთელი შემოდგომა ასეთ ჭაპანწყვეტაში გაატარა ხალხმა.

საბალახოს თავკაცის ქალიშვილს — ცირუნიას ბოლო ხანებში ერთი უცნაურობა დაჩემდა; ყოველ დღე ნაირ-ნაირით იმოსებოდა, დილიდან საღამომდე სიმღერით დასეირნობდა ბაზრის მოედანზე და წარამარა მთის წვერისაკენ გაუბობდა ვენებიანი თვალები. სავლე უწყრებოდა, შინ ამოკეტვით ემუქრებოდა... ლამაზი გოგო კი არაფრად აგდებდა მამის მუქარას, კვლავაც მთვარეულივით დაბორილობდა გორის ძირას და ჯიუტად ცდილობდა როგორმე დაენახა ტყეში გავარდნილი ყაჩაღი.

სოფლელებმა დროულად ვერ დაიჭირეს ყველაფრის თადარიგი და ნახევარი მოსავალი გაუფუჭდათ. იმ შემოდგომაზე არც ქორწილი და არც დიდი ქეიფი გაუმართავთ საბალახოში. ამინდის შეცვლისთანავე გლეხებმა შეშა ბლომად მოიმარაგეს, ბუხრები აავიზგიზეს, მაგრამ სუსხისთვის წინდაწინ გამზადებულებს უჩვეულოდ თბილი და უთოვლო ზამთარი ეწვიათ.

ახალი წლის დამდეგამდე, როგორც იქნა, ვაჭრებმა საბალახოში უამრავი საქონელი ჩამორეკეს. ვახარებულმა სოფლელებმა ქვეშაგებში ჩაკერებული ოქრო-ვერცხლით დაიტენეს უბეები და ბაზრის მოედანს სავაჭროდ მიაშურეს. მოედანი სავსე იყო ყოველგვარი პირუტყვით. გაძვალტყავებულ რქოსნებსა და უჭიშო ღორებს ჩამოსულებმა ცეცხლის ფასი დაადეს. აბუზღუნებული გლეხები ჭირვეულ ვაჭრობაში მთელი დღეები

მზადიმიჩი სიხარულიძე
მეათე მოწამი

ბაზრის მოედანზე ტრიალბდნენ.

სადამო ხანს, გახურებული ბაზრობისას, მთის ღარში გრილით დაგორდა ვეება ქვა, გორის ძირში ჯამბაზივით შეხტა, ტანმოორჩილ ხარს ეცა, აიტაცა და გაბოს შეკეთებული ოდის კეფას ბაღლინჯოსავით მიაჭყლიტა. ოდის სახურავის კრამიტი აფეთქებული ყუმბარის ნამსხვრევებივით ვაიფანტა ირგვლივ და რამდენიმე კაცი და ცხოველი მსუბუქად დაჭრა. მრგვალომა ქვამ დალაქის ნალიაც ააყირავა და ძალაგამოცლილი, ბოლოს, შუა ეზოში გაჩერდა.

ბაზრის მოედანზე ალიაქოთი ატყდა. აკივლდნენ დედაკაცები და აბლავლდნენ დაფეთებული ძროხები. გლეხები კისრასტეხით გავარდნენ მდინარისკენ. ჩასუქებული ვაჭრები მყისვე მოახტნენ შეუქაზმავ ცხენებს და მარდად გაქუსლეს სოფლიდან. უპატრონოდ დარჩენილ საქონელს თითქოს ეშმაკი შეუჩინდა; თვალჩასისხლიანებულმა ხარებმა ერთხანს მოედანზე იჭრიალეს, ააყირავეს ღუქანი, სადალაქოც აბურთავეს რქებით და მერე ქალაქელ მხედრებს დაედევნენ. ხარებს კამეჩები მიჰყვნენ, კამეჩებს ძროხები, ძროხებს წვრილფეხა პირუტყვიც გამოეკიდა და მალე არეული ჯოგის დაგუდული თქარათქური შორიდან, ერთმანეთში გადახლართული ქედებიდან მოისმა.

სოფლელები მდინარის ნაპირას იდგნენ და გულისტკივილით უსმენდნენ გაქცეული საქონლის ყრუ, მისუსტებულ ბაგაბუგს. როცა შორეული ხმაური სულ მიწყდა, მაშინდა იაზრა ხალხმა, რომ კრამიტით დაშავებულ გლეხებს დახმარება ესაჭიროებოდათ. აფუსფუსდნენ დედაკაცები. დაჭრილებს ტანსაცმელი შემოახიეს, მიწაზე გააწვინეს და წყლით ფრთხილად მობანეს სისხლიანი იარები. დაკოდილი კაცები საწყალობლად კენსოდნენ... უცებ ერთ-ერთი დაჭრილის მხარბეჭიანმა ძმამ შლეგივით იყვირა და მთელი ძალით სავლეს ღონიერი პანლური ამოჰკრა. ხალხი ჯერ შეცბა, მერე გლეხებს ერთბაშად გაახსენდათ ჩოლახა დათიკოზე საგანგებოდ გა-

თხოვებული ჯანიკოს ნაცოლარი, გაახსენდათ ვაფირალბეულის დაზარალებული ოცა, მუქთად მუშაობაც სახელის მამულში და ხელად დაბოღმილმა სოფლელებმა ავად ვაიწიეს საბალახოს უგვირგვინო მეფისაკენ. სავლემ დროულად აღდლო ალო შექმნილ მდგომარეობას, კურდღელზე უსწრაფესად აირბინა აღმართი და შუკაში გაუჩინარდა.

აღლევებული გლეხები აღარ გამოეკიდნენ სოფლის თევკაცს და იქვე, მდინარის ნაპირას თათბირი გამართეს.

თავის ეზოში შესვლისთანავე სავლემ თვალი წაატანა ქვევრის თავზე ვაჯგიმულ, ხმალომწვდილ შაქროს და ერთი მაგარი ჭიტლაყი უმიზეზოდ უთავაზა. მოულოდნელობისაგან ყარაულს ხელიდან ხმალი გაუვარდა. საბალახოს თავკაცმა კი გაოცებულ შაქროს სილაც გაულაწუნა, მერე მიწაში ჩადგმულ ჭურთან დაიჩოქა და მორიდებით ჩაიხედა სიღრმეში.

— გამარჯობა, ყასაბო მიხა!.. რაფერ ხარ, კაცო? — შეწუხებული ხმით გაელაპარაკა სავლე.

ტუსალს მუხლები ქვევრის კედელზე მიებჯინა და ზეზეულად თვლემდა. ხმან მყისვე გამოაღვიძა, შეშფოთებულმა ზემოთ ამოიხედა და ნაცნობი სახის დანახვისას უფრო ღრმად ჩაიწია ჭურში. ტბილი ღიმილით სავლემ შეკითხვა გაიმეორა. ვაფერმკრთალბულ, დამდნარ პატიმარს დაბალუბით ჩამოუტყურდა დაწვებზე ცრემლი და სლუკუნით ამოილულლულა:

— შავად, დაბეჩავებულად ვარ, ბატონო სავლე... ძან სასტიკი დარაჯი ყოფილა ბატონი შაქრო!

სავლემ ჯიბიდან შაქრის მოზრდბილი ნატეხი ამოიღო, ტუსალს მიაწოდა და მოფერებით უთხრა:

— ტყვილა დაიტანჯე, ჩემო მიხა... ვაგაწამეს კაი კაცი ამ შტერმა სოფლელებმა და ყარაულადაც მართლა სახედარი მივიჩინეს... შაქროსთანა რეგვენი მეორე არ დადის საბალახოში... თუმცა ყველა ერთი ჭკუისაა მაგენი... მომვარდნენ, დამზაფრეს!.. გინდა თუ არაო, ყა-

საბი ჭურში უნდა ჩავსვათო... შენ ყველაზე დიდი ჭური გაქო და ახლავე გაათავისუფლო... მაგრამ აწი ქე ვიცი ჩემი საქმე!.. გინდა, ძამია მიხა, ჩემი მოადგილე იყო?... ისე, რაფრაც აგი უტუ შექრო იყო?

— აბა არ მინდა?— გაუმსხვილდა ცრემლი მიხას. — დამისვი ყმად, ჩემო სავლე უფროსო, მიმსახურე და ავერ ნახავ, თუ შეგარცხვინო.

— საყმო კაცი არა ხარ შენ, ძამია მიხა! — ინტიმური ჩურჩულით შეაქო სავლემ ტუსალი და მერე მობუზულ შაქროს მიუბრუნდა, მკაცრად უთხრა: — მოი ავერ, უგულო მოლაღტე, დეეხმარე ტანჯულ კაცს ამოსვლაში!

„მოლაღტეს“ გაგონებაზე შაქრო მთლად მოიზაფრა და რატომღაც კოჭლობით მიიბრინა ქვევერთან.

— დააგდე ხმალი, რეგვენო, — შეუტია სავლემ. — შენ სისხლისმსმელი ჯალათი ხარ!.. სთხოვე პატიება პატიოსან მიხას, მერე ჩაი ჭურში და ამოსვლაში დეეხმარე!

უფლებაყრილმა ყარაულმა თავის გაართლება დააბირა, მაგრამ ვერ მოახერხა ხმის ამოღება და უმწეოდ ატირდა. სავლემ მუჯლუფუნი მიართყა და ჭურთან ჩაამუხლა. შაქრო გადაიხნიჭა და ღრმად ჩაჰყო სიღრმეში დაკუნთული მკლავი. ნაყასბარი ხელს დაეკიდა და სავლეს ყოფილი მოადგილე უნებურად ქვევრში ჩაითრია. ჭურში დაგუბებული სიმყარლისაგან შაქრომ ერთბაშად დაკარგა გონება და ტუსაღს ტომარასავით გადაეკიდა კისერზე. მიხამ გაიბრძოლა და სწრაფად განთავისუფლდა მძიმე ტვირთისაგან. შაქრო თავით ქვევრის ფსკერს მიენარცხა, წამით გამოფხიზლდა და მერე კვლავ დაუბნელდა აზრი.

— ბოროტმოქმედო ყარაულო, შენისვი მხრებზე შენგან გამწარებული კაცი! — მრისხანედ ბრძანა ზემოდან სავლემ.

— ყარაული ვერაა კარგად, — ამოსძახა ჭურიდან მიხამ. — ბურბუშელასავით დაგრეხილი წვანა და თვალეები დახუჭული აქ.

— მასე მოუხდება მაგას, — თქვა სავლემ. — ძამია მიხა, პაწა ხანს დეიცადე და კიბეს მოგიტან.

სავლე ოდაში შევიდა და მძიმე კაქოთი ლიშვილი შეანჯღრია.

— ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი ჩოხა მომინახე, — ნერვიულად უთხრა სავლემ. — კაი ჩოხა შეარჩიე, დაჩრჩილული არ იყოს... საპონიც ვამეიტანე ეზოში.

ქალიშვილმა წყნარად მოუსმინა მამას და ხმისამოუღებლივ მეორე მხარეს გადაბრუნდა. სავლე აფეთქდა, გაცოფებულნი წედა თმამი ლამაზ გოგოს, საწოლიდან წამოაგდო და ძველებურ, რკინით მოჭედვილ უზარმაზარ სკივრთან მიათრია. შეშინებულმა ცირუნია მორჩილად ახადა სკივრს მძიმე სახურავი.

ვიდრე ქალიშვილი ძველმანებში ფათურობდა, სავლემ მოკლე კიბე მიაბრუნინა ქვევერთან და პატიმარს ჩააწოდა. ზემოთ ამოსული მიხა სუფთა ჰაერმა შეებარბაცა.

— ძამია მიხა, ეილე აგი ხმალი, დადექი აქანე და რაფრაც ამოჰყოფს ჭურიდან თავს მუტრუკი შაქრო, მაშინათვე წააცალე, — უთხრა სავლემ. — მე ავერ ვიქნები, საჭმელსა და ჩასაცმელს გაგიზაადებ.

უხერხული ღიმილით მიხამ ხმალი ჩაბლუჯა და ფეხებგაჩაჩხული ჭურის თავთან დადგა.

როგორც თვითეულ შეძლებულ ოჯახში, სავლეს ეზოშიაც მუდამ ტრიალებდა უამრავი ხალხი. მეუღლე, რომელმაც ცირუნია აჩუქა, სავლეს სადღაც აზიაში ჰყავდა მიტოვებული. წვრილსა თუ დიდ საოჯახო საქმეს საბალახოს თავაკეთთან, ყოველთვის, მეზობლები, ნათესავები და სავლესადმი თაყვანისცემით ვანწყობილი სოფლელები ასრულებდნენ. ახლა ამ ოჯახის ურიცხვი ჯალაბობა სხვა გლენებთან ერთად მდინარის ნაპირას თათბირობდა და საქმეს შეუჩვეველი სავლე გინებით აწრიალდა ეზოში.

ცირუნია შეინდისფერი ჩოხა იპოვა

ვლადიმერ სინარულიძე
მეათე მოწვევა

სკივრში და გასაბერტყად აივანზე გამო-
იტანა.

— აამე გოგო ამ მახინჯ ყასაბს, უთხა-
რი ტკბილი სიტყვა, — ეზოდან შეუბღ-
ვირა სავლემ ხმლიანი ტუსალის დანახ-
ვით გაოცებულ ქალიშვილს.

— გამარჯობა, ყასაბო მიხა! — ნაზად
დაიძახა ცირუნია.

— არაა მაგი აწი ყასაბი, — სავლე
უშველებელ სანადიმო ქვაბს ხენეშით
მიათრევედა ეზოში, — დღეიდან ჩემი
მოადგილე იქნება მიხა.

— შეთხელებულხარ, მიხა, დამშვენე-
ბულხარ!.. — ღიმილით განაგრძო ცი-
რუნია. — ზოგი ჭირი მარგებელიაო,
სწორედ შენზე უნდა თქვას კაცმა... მუ-
ცელიც გააქრა და ჩაბიყვინებული სა-
ხეც დაგიწყნარდა... მეცოდება ახლა შე-
ნი ცოლი; დაგესევინა საბალახოს ქალე-
ბი და აღარ მოგცემენ საშველს.

წამოწითლებულმა მიხამ დაიმორცხვა,
ზელით აიფარა შარვლის დამონძილი
უბე. სავლემ ქვაბი წყაროსთან მიიტანა,
გრძელ ღარს შეუდგა და ნატუსალარს
მიუბრუნდა:

— ჩემო მიხა, მეიძვრე ტანიდან მაგ
ჭინჭები!.. ხელმწიფის ნაქონ ჩოხაში
უნდა გამოგაწყო ახლა.. ოღონდ ჯერ კა-
რგად იბანავე!.. აგერ საპონიც მაქ...
წყალს შევათბობ და მე თვითონ დაგის-
ხამ კოპეთი, — უთხრა სავლემ ჩოფურა
ყასაბს და პალატისკენ გაიქცა.

ღიმილშეყინულ მიხას ხმალი თოფი-
ვით გაედრო მხარზე და დაბნეული თვა-
ლებს აფახულებდა.

— მართლა კაი ჩოხაა, — თქვა ცირუ-
ნიამ და ჩოხა-ახალუხი აივნის მოაჯირზე
გადაკიდა. — მამაჩემმა ინდოეთში ერთ
დატყვევებულ მეფეს გახადა... შენს გა-
ფითრებულ სახეს სწორედ შვინდისფე-
რი მოუხდებდა... ნაყასაბო მიხა, ეგ ხმა-
ლი აწი ძილშიაც თან უნდა გქონდეს;
ნამუსშელახული ქმრების მოსაგერიებ-
ლად დაგჭირდება!

მიხამ ბრიყვულად გაიღმიჭა, ხმალი
ჩამოუშვა და თავისუფლად დადგა. პა-
ლათიდან სავლე გამოვიდა. ცალ ხელში
ცხელი წყლით სავსე მოზრდილი თუნ-

გი ეკავა, მეორეში გრძელი კოპე, საბა-
ლახოს თავკაცი ცუნცულით გაექანა წყ-
როსკენ, თან სხაპასხუპით ეღვინებოდა
ბოდა მიხას:

— წააჭერი უკვე თავი, ძამია მიხა?..
აგერ მეიტანე, ჩამოვაცვათ მესერზე!..
არაა შაქრო იმის ღირსი, თავიც ქონდეს
და ტანიც .. ჯერ გულწასული ისევ ფსკე-
რზე წვანა, ხომ?!.. კაი, ბატონო!.. გადა-
ვაყენებ ამწუთშივე ღარს და მთვარის
ამოსვლამდე მთელი ჭურვი წყლით გეივ-
სება, — სავლემ ჩაიჭირქილა, — მიხა,
მოი აგერ, ძამია!

მიხა შერყეული მხედრული ნაბიჯით
წავიდა წყაროსკენ. სავლემ სანადიმო
ქვაბში წყალი გაანელა, ჯორკოზე შედგა
და კოპე მოიმარჯვა.

— გეიხადე, მიხა! — უთხრა ხატუსა-
ღარს და მერე ქალიშვილს შეუყვია:—
შედი, გოგო, ოთახში!.. არ შეშვენის გა-
სათხოვარ ციცას შიშველი ვაყკაცის და-
ნახვა.

ცირუნია ოთახში შევიდა. მიხამ გაუ-
ბედავად გაიძრო ფალას-ფულასი, სიცი-
ვისაგან კი შეაყრყოლა, მაგრამ ტიტლი-
კანა მაინც გაჩერდა ჯორკოსთან. სავლემ
საპონი მიაწოდა და კოპეთი თბილი წყა-
ლი დაასხა.

მდინარესთან სათათბიროდ შეყრილმა
სოფლებმა კარგა ხანს იმსჯელეს, ხეი-
რიანი ვერაფერი მოიფიქრეს და ცუდი
განზრახვით სავლეს ოდისკენ დაიძრნენ.

საბალახოს თავკაცი ნაპატიმრალს
წყალს უსხამდა, თავზე საპონს უქაფებ-
და და თან გაუთავებლად აგინებდა გლე-
ხებს. სავლეს უჩვეულო ყურადღებით
გაოცებული მიხა მალე დამშვიდდა,
გულდასმით განიბანა დაობებული სხე-
ული და გათამამებულმა ბოლოს გაზინ-
თულ ზურგიც კი მიუშვირა გასახეხად
სოფლის უგვირგვინო ბატონს.

— რავა გაბედა ჩოლახა დათიკომ ჯა-
ნიკოს ნაცოლარის შერთვა?! — გაჯავ-
რებით ამბობდა სავლე, — ჩვენც კი
ვართ პაწა ბრალში, მაგ დაგვაჯულს რომ
მივეცი ამის უფლება... მაგრამ თითონ
რაფერ გაბედა?!. ჭურის ღირსია ეგ უშ-
ნო. შეაცდინა სათნო ქალი და ჩვენზეც

რატომ უნდა გადატყდეს მაგარი ჯიხი?..
ძამია მიხა, მოგვიწვეს მე და შენ ყოვე-
ლივე გამრუდებულის გასწორება. უფ-
როსი და მოადგილე ჩვენ ვართ და აბა
სხვა ვინ გამეიდებს თავს?!. საბალახოში
ლენჩებს გარდა არავინ დეიარება.. ჩე-
ვიცვით, მივიდეთ დათიკოსთან და ახლა-
ვე დავტოვოთ მაგი ხეიბარი ისთევლე
უცოლოდ... დოუბრუნდეს ქალი ჯანიკოს
ოჯახს!.. ახლა, გეიქეცი, ძამია, პალატი-
სკენ!

პალატაში სავლემ პირსახოცი შემოა-
ფარა მიხას, ტაბლაზე ცივი ჰადი, ყვე-
ლი და მუხევე დაუდგა. მერე წვეპლით
ტერფის სიგრძე გაუზომა და ოდის ზე-
მო სართულში ავიდა უძიროებისა და
ჩოხა-ახალუნის მოსატანად.

ნახევრადშიშველი მიხა მადიანად ილ-
უქმებოდა. ზემოდან დაგუბულად ესმო-
და სავლესა და ცირუნის ხმამაღალი სა-
უბარი. მამა და შვილი ქებადიდებით ახ-
სენებდნენ მის სახელს. ჩოფურა მიხა
ყურდაცქვეტილი უსმენდა საამო ლაპა-
რაკს და საკუთარი პიროვნებისადმი პა-
ტივისცემით იმსჭვალებოდა.

შვინდისფერი ჩოხა კარგად მოადგა
ნატუსალარს. არც უძიროები იყო ური-
გო. ჩაცმულმა, გაამაყებულმა მიხამ კმა-
ყოფილებით შეავლო თვალი სარკეს და
ვერცხლის ქამარ-ხანჯალიც მოითხოვა:

— ოქროს აკაზმულობაც ქე გეკუთვ-
ნის, ჩემო მიხა, — მოეფერა სავლე და
მერე ცირუნის მიუბრუნდა: — თუა,
გოგო, ამისთანა საჩინო ვაჟაკი მთელ
საბალახოში?

გაჯგიმული მიხა სარკეში იხედებოდა.

— ასე თუ გაგამშვენეირებდა ჭური,
ადრე უნდა ჩამჯდარიყავი შიგ, მიხა,—
ტკბილად შესცინა ცირუნიამ.

ნატუსალარი სარკეს ველარ შორდე-
ბოდა. სავლემ სავარცხელი მიაწოდა და
გარეთ გავიდა ქამარ-ხანჯლის ჩამოსატა-
ნად. მიხამ ერთმანეთზე გადაზმული, უშ-
ველებელი წარბებიც გადაიფარცხა და
მედიდურად გაიარ-გამოიარა ოთახში.
ლამაზი ცირუნია ჩამუხლულიყო და ჩა-
მქრალი ბუხრის გაღვივებას ცდილობდა.
დოინჯშემოყრილმა ნატუსალარმა ერთ-

ხანს უყურა, მერე დაიხარა და ეშმაკუ-
რი ღიმილით ქალიშვილს რბილ ადგილას
უჩქმიტა. ცირუნია წამოხტა, თვალისდა-
ხამხამებაში წაავლო ხელი დუქს და და-
ყოყონებულ მიხას კბილებზე მიახეთქა.
ნატუსალარმა ნერწყვივით გადაყლაპა
თიხის მოზრდილი ნატეხი. ქალიშვილი
სპილენძის თუნგსაც წვდა, მაგრამ მიხამ
მოასწრო და ტყვიასავით გავარდა ეზო-
ში.

განრისხებული ცირუნია ფანჯარასთან
მივიდა. ქვევართან მიხა იდგა და შესიე-
ბულ ტუჩს წუწნიდა. მკლავზე გადაკი-
დებული ვერცხლის ქამარ-ხანჯლით მა-
ლე ეზოში საბალახოს თავაკიცვი გამო-
ჩნდა. შელახულმა ნატუსალარმა მორი-
დებით თქვა უარი მოკაზმულობაზე, ჭუ-
რთან დაგდებული ხმალი აიღო, მხარზე
გაიღო და სავლეს მორჩილად ამოუდგა
ზურგსუკან. გაკვირვებულმა სავლემ ქა-
მარ-ხანჯალი აივანზე ისროლა, ქვევართან
მივიდა და რაღაც ჩასძახა სიღრმეში. მი-
ხა შორიახლოს ელოდებოდა. მერე უფ-
როსი და მოადგილე აჩქარებული ნაბი-
ჯით გავიდნენ ეზოდან.

მხარდამხარ გამწკრივებული, მოლუ-
შული საბალახოელები მძიმე ნაბიჯით
უახლოვდებოდნენ სავლეს მამულს. ბან-
დახვეულ, დაუძლურებულ დაჭრილებს
ვევრდში კაცები ამოსდგომოდნენ.
თვალკრემლიანი ქალები ჩუმი გოდებით
მისდევდნენ უკან სავლეზე განრისხებულ
გლეხებს. დაჭრილთა ძმები ხარივით
ფშვინავდნენ და მწყრალად ირახუნებ-
დნენ მეკრდზე ვეება მუშტებს.

სავლეს მამულის რკინის ჭიშკარი სო-
ფლელებს ჩარაზული დაუხვდათ. ეზოში
მასპინძელი არა ჩანდა. დაკუნთულმა კა-
ცებმა უხმოდ გაიდეს მხრებზე, იქვე,
ლობესთან მიგდებული უშველებელი
მორი, გაემზადნენ კიდევ ჭიშკარის შესა-
ლევად და ამ დროს, სიჩუმეში ბაზრის
მოედნიდან გარკვევით მოისმა მიხას
ომახიანი ყვირილი:

— გამარჯობა, ძამია ჯანიკო!.. რავა
ხარ, ძამა?

ვლადიმერ სინარულიძე
მიათო მოვზი

სავლეს ეზოსთან შეყრილ გლეხებს წუთის შემდეგ მოედინიდან ქალის შიშნეული ხმაც მიწვდათ:

— ჩემო ჯანიკია, ცოლი ვარ შენი... შენ კაი მკლავზე მოსვენება მომწყურდა!..

განიერ მხრებზე მომჯდარმა მორმა ნახევარწრე შემოხაზა და ცოლის ხმისაგან გახევებული დათიკო სავლეს ეზოს მაღალ ყორეს მიანარცხა, მეორე ფეხიც დაუეკოჭლა.

— საბალახოელო ჯანიკო!.. სოფლელებს შენთან მოლაპარაკება გვინდა! — ქალის კვალდაკვალ მიძახა ფირალის გორას საბალახოს თავკაცმა.

გლეხებმა ფრთხილად დასდეს მორი ძველ ადვილას, უხერხულად გადახედეს ერთმანეთს, აკნაველებულ დათიკოს ერთი მაგრად შეუყურთხეს და სირბილით გავარდნენ ბაზრის მოედნისაკენ.

...გათენებამდე ხალხი ბაზრის მოედანზე იდგა და იმედიანად უყურებდა მაღალ მთას. მიხასა და ჯანიკოს ნაცოლარს ბევრი ყვირილით ხმა ჩაეხლიჩათ. მკვერმეტყველებდა სავლეც, სოფლელებიც იჭაჭებოდნენ, ყაჩაღი ჯანიკო კი მაინც არ გაშორნდა. ბოლოს სავლემ კრამიტით დაჭრილი გლეხის ბეჭვაშლილი ძმა მაგრად დააბუბნინა მიხას და დანაღვლიანებული ხალხი ნელა-ნელა გაიკრიფა ბაზრის მოედნიდან.

უღიმღამო ახალი წელი დაუდგათ საბალახოელებს. სოფელი სასოწარკვეთაში იყო ჩავარდნილი. გლეხები კვლავ დარჩნენ უპირატყვეოდ. მხოლოდ ათიოდე ოჯახმა მოასწრო ვაჭრებისაგან საქონლის შესყიდვა. დამფრთხალი ვაჭრები აღარ დაბრუნებულან საბალახოში. მიხამ ისევ ჩაიბარა რქებით დაკაწრული დუქანი, ოღონდ უწინდებურად ვედარ შოულობდა ხორცს. სოფლელებს წელი დაუწვრილდათ ბოსტნეულისა და ხმელაჭადის ჰამით. მნელად იტანდნენ საბალახოელები უმწვადობას, მაგრამ ამაზე მეტად გამუდმებულ შიშში ცხოვრება უძნელდებოდათ. შეშფოთება ძილშიაც

მიჰყვებოდა გლეხებს; საზარელი სიბმარეული ჩვენებების შემდეგ დალით უღონოდა და მოთენთილად გრძობდნენ თავს. შიშს აასკეცებდა ყაჩაღის ხმები ყოფნა. ყოველ საღამოს საბალახოელები ბაზრის მოედანზე ადიოდნენ და მუდარით უხმობდნენ ფირალს. ჯანიკო კი არ პასუხობდა.

სოფლელებს ნერვიულობა დაეტყოთ. ქვევრში შემთხვევით ჩავარდნილი შაქრო აღარ გაათავისუფლა სავლემ და თვითონვე დაუდგა დარაჯად. ცნობისმოყვარე სოფლელები ხშირად აკითხავდნენ საბალახოს თავკაცის ეზოს და ზემოდან ინტერესით ათვალეირებდნენ ქუთრში გამომწყვდეულ ტუსას. გლეხები ჯერ ტუსას დახედავდნენ, მერე დალაქის საკარმიდამოს მიადგებოდნენ და კოჭებში მომტვრეული ნალიის გვერდით დადებულ მრგვალ, ზორბა ქვას დიდხანს უყურებდნენ ხოლმე. ისხდნენ სოფლელები დალაქის ეზოში და დიდმნიშვნელოვნად აკანტურებდნენ თავს; ხმაშალლა უქებდნენ ჯანიკოს ქვისმთლელის ოსტატობასა და არაჩვეულებრივ მიზანს.

ყველა საბალახოელი დარწმუნებული იყო, რომ მიხას დასმენით ფირალი სამაგიეროს უხდიდა ყასაბზე ძვირის მთქმელ გაბოს. როცა მის ოდას მეორეჯერაც წააცალა მრგვალმა ლოდიანმა სახურავი, დალაქს ბევრი აღარ უფიქრია, ოჯახის ავლა-დიდება ურემზე დააწყაო, ხარის მაგივრად შეება უღელში და ახლობლების თანხლებით მდინარესთან ჩავიდა. საყანე მინდორზე გაბომ, ყავრით, სახელდახელოდ შემოჭედა პატარა ფიცრული და იქ დასახლება გადაწყვიტა. დროებით დალაქობაზეც აიღო ხელი და მშვიდი დღეების დადგომამდე ოჯახის რჩენას მათხოვრობით აპირებდა.

ჯანიკოს საამებლად საბალახოში ბევრი რამ შეიცვალა: მისი ნაცოლარი ისევ მამისეულ ოდაში გადაბარგდა, ჩოლახა დათიკოს მეორე ფეხიც დაუეკოჭლა, გაბო ველად გაიხიზნა, მუტრუჯი შაქრო ქუთრში იჯდა და ყასაბი მიხაც სავლეს მოადგილედ ითვლებოდა. ყველაფერი გადასხვაფერდა სოფელში, მაგრამ ფი-



რალი უწინდებურად ღუმდა. არ გადიოდა ჯანიკოსთან არც ცოლის მუდარა, არც მიხას მეგობრული თხოვნა, სავლეს მკვევრმეტყველებაცა და გლეხების წუწუნიც.

დრო მიდიოდა და ჯანიკოს ღუმილით გაღიზიანებული სოფლელები რატომღაც საბალახოს თავკაცზე იბოდმებოდნენ. სავლე გრძობდა გლეხების მტრულ განწყობილებას და საღამოობით, ბაზრის მოედანზე ჯანიკოს ხოტბა-დიდებას უმატა.

სოფლელები დანგრეული ხიდის აღდგენას აპირებდნენ. ეგ საქმე სავლემ დაწამორებისთანავე დაავალა საბალახოს ყველა ღურგალს. ღურგლები ნამუსიანად გაისარჯნენ და მალე ნახიდართან კაკლის ხის უამრავი მორი მიატურეს. მორები ფიცრებად დახერხეს და მზა მასალა მდინარის ნაპირზე დააწყვეს.

საბალახოს თავკაცისა და მისი მოადგილის განკარგულებით ხიდის ასაგებად განკუთვნილი ხე-ტყე ღურგლებმა ჯანიკოს ეზოში გადაზიდეს და ნასახლარზე ახალი ოდის აშენებას შეუდგნენ. საქმე მარღად მიიწვედა წინ. მშენებლობას თვით სავლე და გაუფროსებული ყასაბი ხელმძღვანელობდნენ. გახარებული სოფლელები ხალისით ეხმარებოდნენ ღურგლებს და ცისმარე დღეს უკვე კარგად დაიმედებულები უხმობდნენ ყაჩაღს.

ეშხიანი ცირუნია დღისით ბაზრის მოედანზე ხეტიალს განაგრძობდა. ერთი ცხვარივით გრძელბეწვიანი, ფეხმოკლე ძაღლი ჰყავდა და ვითომ იმას დაასვირებდა. სინამდვილეში კი ფირალს ებრუნებოდა გემრიელი გოგო. სავლე შეეგუა ამ უცნაურობასაც და ქალიშვილი ნებაზე მიუშვა.

ჯანიკოს ოდა შენდებოდა, სოფლელები კმაყოფილებით აედგნებდნენ თვალს ღურგლებს და შებინდებულზე, ბაზრის მოედნიდან ფირალთან ერთად დათვებსაც აქებდნენ. სუსხიანი ნიავი მთისკენ უბერავდა და გლეხების ტკბილი მუსიათვი ჯანიკოსთან მიჰქონდა... გორა გაქვავებული გოლიათივითი ჩუმად გადმოჰყურებდა საბალახოს.

ილეოდა თებერვალი. სოფლელებს ვეწინაგარიშებული ჰქონდათ დუცხლდენე რომ ნახანძრალ ღარში ლოდინი გორდებოდა ყოველ ორ თვეში ერთხელ, გორდებოდა უზუსტესი თანამიმდევრობით. ქვის მთიდან უკანასკნელად ჩამოვარდნის ორი თვის თავი ახლოვდებოდა. საბალახოს უფროსმა და მოადგილემ ჯანიკოს ოდის მშენებლობაზე სოფლის თვითეული მამაკაცი გაამწესეს. სახლი ჯადოსნური სისწრაფით მაღლდებოდა. თებერვლის ოცდაშვიდში ოდა გადახურეს და ფირალთან დაზავების ნიშნად სახურავზე თეთრი დროშა აღმართეს.

— შენია აგი ოდა, ძამია ჯანიკო — საღამოს მოედნიდან უყვიროდა გორას მიხა. — სოფლელებმა მოგართვეს საჩუქრად... გაახალისე აწი შენი სევდიანი ცოლი, ააბოლე მიძინებული კერია...

ყაჩაღი არ გაეპასუხა საბალახოს. ჯანიკოს ნაცოლარი ახალ ბინაში გადასახლდა.

თვის უკანასკნელი ორი დღე უსასრულოდ გაიჭიმა. სოფლელები ლანდივით უხმოდ დადიოდნენ შუქებში. ირგვლივ გარინდება სუფევა. საბალახო ფანდურზე გადაჭიმული სიმღვივით დაიძაბა.

ოცდაცხრაში, ნასამხრალს მთის ღარში ხმაურით დაგორდა მთეარისხელა ქვა, მენახირე კაციას ოდას ეტაკა, მოპირდაპირე კედლები გაანგრია, მერე შუკაში სავლეს კამეჩი მიასიკვდილა და ყრუ გასროლასავით ჩაყვინთა მდინარეში.

სიმი გაწყდა. თითქოს ტანსაცმელზე ცეცხლი მოსდებიათო, ზარდაცემულმა სოფლელებმა ვიშვივით დაირბინეს საბალახოს შუქები და დაღლილები ბოლოს მენახირეს ეზოსთან შეგროვდნენ. მოპირდაპირე კედლებში ორი დიდი, მრგვალი ნახვრეტი მოჩანდა და გადაბრეცილი ოდა ვეება შამფურით დაჭრილს დამსგავსებოდა. ქვის მიხეთქებისას, ბედად, შინ არავინ ყოფილა, კაციას გაფითრებული ახლობლები ახლა ჭიშკართან

ვლადიმერ სინარულიძე
მეათე მოწვევა

იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ ოდის დაბზარულ კედლებს. თვითონ მენახირე უზომოდ მთვრალი იყო, ცარიელ ბოსელში იწვა და არხეინად ხვრინავდა.

— შენ უნდა გტაკებოდა აგი ქვა, — ლანძღავდა ყასაბი მიხა მძინარეს, — იცის ჯანიკომ, ვის ოდას მოარტყას ლოდინი... დემსახურე ალბათ და ქვეც მოგართვა საკადრისი... როცა იქნება, ხომ გამოფხიზლდები, ლოთო?!. პირდაპირ ჭურში ამოგაყოფინებ თავს...

მიხამ გული იჭერა მთვრალი მენახირის გინებით და მერე ხალხს ბაზრის მოედნისკენ გაუძღვა. ყველა მამაკაცი გაპყვა ყასაბს, მხოლოდ საბალახოს თავკაცი არსად ჩანდა. ბაზრის მოედანზე მიხამ აღარ დაუტადა ფირალის მთისკენ მიმავროლ ნიავს, ღარის წვერს მიაჩერდა და მთელი ძალით აყვირდა:

— ჯანიკია, ძამია!.. ნუ იზამ მაგას!... ქე ვიცი კაი მიხანი რომ გაქ, მაგრამ ქვას არ გააჩნია ჭკუა, მრგვალია და ეგება მეც კი მეცეს თავში... გინდა, ძამია, გავფუიკო ფეხები?!. თქვი, ჯანიკო, ერთი სიტყვა!.. რომელი საბალახოელი გინდა ჩავსვა ჭურში?..

— სავლეს ჭურში ჩაყუდება გაუხარდებოდა ჯანიკოს, — უთხრა ყასაბს კრამტი დაჭრილი გლეხის ძმამ. — მისი კამეჩი ლავაშივით გაბრტყელებული გდია შუქაში... ალბათ განზრახ მოარტყა ქვა.

მიხა დიდხინით ჩაფიქრდა. ყასაბის გასაგონად გლეხები ჩუმად აგინებდნენ საბალახოს თავკაცს.

— არ გახსოვს რაფერ აგინებდა ჯანიკოს?!. ოდაც დაუნგრია, მისი ცოლიც გაათხოვა ჩოლახა დათიკოზე... არც შენ გცა პატივი, ჭურში გამოყოფა კაი ხანი ნახევრად ტიტლიკანა... ჩემზეც სულ ტყვილობრალოდ გამოგაქსია... შენც კი შეგერჩა ხელისგულზე კოყრები მის ყანაში მუქთად მუშაობისაგან... — აღიზინებდა გლეხი ყასაბს.

— სწორია მაგი! — უცებ აფეთქდა მიხა. — დაგვაქცია ამ ურჯულო სავლემ, ძამია ჯანიკო!.. შუაგულ ზამთარში დატანჯული კაცი პირდაპირ ეზოში, წყა-

როსთან მამანავა... მერე ცივი ჭადი ძლივს გეიმეტა ჩემთვის... არც ქამერ-ხაჩი ნჯალი მომცა, მაგ წუწქმა... ჩვენი უნდა ვაბედლოს ამდენი? ვითომ იმიზა, ძან ლამაზი გოგო რომ ყავს?.. ვითომ იმიზა, სინგაპურში მეფედ ნამყოფი რომაა?.. აქანე არაა სინგაპური, აქანე საბალხია!.. ეყოს მაგას ამდენი ფარფუში!.. ჩაჯდეს ჭურში და იმეფოს იქანა... ახლავე ამევიყვანთ მოედანზე და შენს წინაშე აგოს პასუხი ყველაფრიზა... ვქნათ ასე, ძამია ჯანიკო?

ყაჩადს ხმა არ გაუღია.

მიხამ რამდენიმე გლეხი სავლეს მოსაყვანად გაგზავნა და ფირალთან ლაპარაკი განაგრძო:

— გოუკითხავად არავის დავტოვებ, ჯანიკია!.. ვინც კი გაწყენინა ოდესმე, უეჭველში დეისება... ოღონდ ქვას ნუ დაგორებ, ნუ იზამ მაგას!.. თითონ მე ჩავაჭურებ ყველას!.. პაწა ხანს დეიცადე, ძამა, ამწუთშივე შევადგენ დასასჯელთა სიას.

ყასაბმა კაცებს დუქნიდან მაგიდა და სკამი გამოატანინა, დაჯდა და ირგვლივ უხუცესი საბალახოელები შემოიკრიბა. ვილაკამ ბატის ფრთა და ქალაღი დასდო მაგიდაზე. მიხამ ფრთა მოიმარჯვა, ქალაღი ხელით გააუთოვა და მერე-ღა გაახსენდა, რომ წერა არ იცოდა... საბალახოელებმა ბჭობა გამართეს.

სავლეს მოსაყვანად მივლენილი გლეხები საბალახოს თავკაცის ეზოს მიადგნენ. ჭიშკარი ღია დაუხვდათ. ერთხანს უძახეს მასპინძელს და როცა არავინ გაეპასუხათ, სოფლელებმა გულდასმით მოათვალიერეს ეზოსა და ოდის ყოველი კუნჭული. სავლე და მისი ქალიშვილი შინ არ იყვნენ. ეზოში, მიწაში ჩაფლულ ჭურში შაქრო იჯდა, ჭადს ჭამდა და ცირუნისაგან მომადლებული დოქიდან ღვინოს აყოლებდა. საბალახო თავკაცს ყოფილმა მოადგილემ არ იცოდა, სად იყვნენ მასპინძლები. გლეხებმა ერთხელაც მოიარეს სავლეს კარმიდამო და ხელცარიელნი მიბრუნდნენ მოედანზე. შაქრო ქვევრში დარჩა და ჭამა განაგრძო.



ბჭობა და ფირალთან ლაპარაკი მოედანზე მალე დამთავრდა. დასასჯელი კაცები სოფლელებმა ერთმანეთს გადააბეს და ცხვრებივით წარეკეს სავლეს ეზოსკენ. ცხრა დამნაშავესთვინ ცხრა დიდი ქვევრი იყო საჭირო. ამ ზომის ამდენი ქვევრი საბალახოში მხოლოდ სავლესთან ეგულებოდათ გლეხებს.

სოფლელებმა მიამტკრიეს საბალახოს ყოფილი თავკაცის ღია ჭიშკარი და ღრინანცელით შეცვივდნენ მარანში. სიგრძე-სიგანით სავლეს მარანი საქორწილო დარბაზს წააგავდა. ერთ კედელზე სამკაულებივით ეკიდა ყანწები და უამრავი სხვადასხვანაირი სასმისი. ხის ნიჩბებით გლეხებმა თიხა გადაფხიკეს და ქვევრებში ჩაიხედეს. ყველა დიდი ქვევრი პირამდე სავსე იყო ღვინით. ცხრა დამნაშავე ეზოში იდგა, სასჯელს ელოდებოდა და სოფლელები საგონებელში ჩავარდნენ. მიხამ მოზრდილი თასი ჩამოხსნა კედლიდან, ქვევრიდან ღვინო ამოხაბა და სულმოუთქმელად შესვა. სავლემ კარგი ღვინის დაყენება იცოდა. ყასაბმა მოწონებით ააწკლაპუნა ენა და თასი ხელმოვრედ ჩაჰყო ქვევრში. მიხას სხვებმაც მიბაძეს. სასმისებით მოფენილი კედელი ერთბაშად გამოიშვლდა.

ცხრა უზარმაზარი ქვევრის გამოცლას სოფლელებმა ოცი დღე-ღამე მოაწოდნენ. ღვინოს ჭურმისჯილებიც სვამდნენ. სვამდა შაქროც, რომელიც ისევ ჭურში იჯდა; მთვრალი, გულაჩვილებული კაცები ხშირ-ხშირად აწვიდნენ ტუსალს ღვინით სავსე დოქს. ღრეობა გადაბმულად გრძელდებოდა. სოფლელები იქვე იძინებდნენ; სავლეს ოდის ოთახებში, მარანში, ბოსელშიც და სასიმინდშიც რიგრიგობით ეყარნენ გაღვივებული გლეხები. ადგილ-მამულის პატრონი კი არსად ჩანდა. გადაკარგული იყო ლაშაზი ცირუნიაც.

სოფლელებს სიმთვრალეშიაც არ ავიწყდებოდათ ტყეში გაგარდნილი ყაჩაღი. ყოველდღიურად, საღამო ხანს გლეხები ბარბაცით ადიოდნენ ბაზრის მოედანზე, ღვინოში ამოვლებული ხმით უხმობდ-

ნენ ჯანიკოს და მერე კვლავ მარანში ბრუნდებოდნენ.

ღვინო მალე ამოიწურა. ხალხმა, დაცლილი ქვევრების ეზოში გადაჯანა მოიწადინა, მაგრამ პირველივე ამოთხრილი ჭური კარში ვერ გაეტია. გლეხებმა თავი აღარ შეიწუხეს და მისჯილები მარანშივე, გამოუტრეცხავ ქვევრებში ჩაყარეს. ერთი ჭურიღა დარჩა თავისუფალი; უცნაური სატუსალო საბალახოს ყოფილ მმართველს ელოდებოდა.

— მოვა ამის ღროც, — ეუბნებოდა სავლე ცირუნისა და ჭოგრიტით სოფელს ათვალიერებდა. — არ შერჩებათ მაგ ლოთებს ჩემი ვაჰამბულება!.. რავა ორ შაურად გამყიდა იმ მახინჯმა ყასაბმა?! ისე, ქე მოველოდი... საითკენაც დოუბერავს ქარი, იქითკენ მიფამფალობენ შტერი საბალახოელები... ყოველთვის დოუჯერე, გოგო, მამაშენს!.. წინდაწინ იცის სავლემ, სეით უნდა დოუქროლოს ქარმა... იცის, და ქეც ტოვებს ყველას პირდაფჩენილს, — სავლემ ჩაიღიმა, გამარჯვებულოვით გადახედა ქალიშვილს, — სხვებივით რეგვენი რომ ვყოფილიყავი; ვიქნებოდი ახლა ჩაყუდებული ჩემივე ჭურში და თან, აღბათ, მიხასნაირი ვინცხას სიმამრიც ვიქნებოდი, — სავლემ ჭოგრიტი დაუმიზნა ბაზრის მოედანზე დუქანთან მდგარ მიხას და გესლიანად ჩაიჩურჩულა: — ვერ მოგართვეს შემწვარ-მოხრაკული, მუტრუკო ყასაბო!..

იდგა მარტის რუხი და ჩუმი დილა. სავლე და ცირუნია ტყეში, ტოტები-საგან დაწული კარვის წინ ისხდნენ და ზემოდან დაჰყურებდნენ სოფელს. ტყე-ტყე ხეტიალით, უხეირო ცხოვრებით გამწარებული ქალიშვილი ავად უყურებდა მამამისს. აზიზ-მაზიზად გაზრდილი უცებ შელახულიყო, უწინდელი ემზი დაკარგოდა და თითქოს ამოშრობოდა ოდესლაც ნამიანი თვალები. სავლე კი ცო-

ვლადიმერ სინარულიძე
მეათე მოწევა

ცხლად, ცქვიტი ბიჭივით გამოიყურებოდა, იმედით სავსე წარამარა ამხნევებდა ქალიშვილსა და ჰოგრიტით დილიდან ღამემდე საბალახოს ზვერაჲდა. ღამის სიწყნარეში სოფლიდან ტყეში გლეხების ხმებიც აღწევდა და მამა-შვილმა ყველაფერი იცოდა, ყველაფერი, რაც კი საბალახოში ხდებოდა.

— ნუ მეიწყენ, ცირუნია, — განაგრძობდა სავლე. — ერთი თვე ხომ მეითმინე?! კიდევ ამდენიც გაუძელი, გოგო, და მერე აღრინდელზე უკეთესად ავაწყობთ საქმეს... ჯანიკია არაა სხვასავით ლენჩი!.. მაგას მივხვდი მე... ისე იოლად არ დაანებებს თავს ქვების სროლას ჯანიკია... ერთი თვედა დარჩა და მიართმევს კიდევ ლოდიანს საბალახოს... მოზოლადა იცის მაგან ქვის დაგორება დარში... ეტყობა, უყვარს სიზუსტე და წესრიგი... დააგორებს ქვას და მერე ჩევიდეთ სოფელში, მერე ვთქვათ ჩვენი სიტყვა. — სავლემ სოფელზე მოაცურა თვალებზე მიბჯენილი ჰოგრიტი.

შუკაში ნელა მიდიოდნენ თავჩაქინდრული ქალები, ხელში პატარა ხურჯინები ეკავათ.

— შეხედე, გოგო, ჰირისუფლებს ჰადი და ყველი მიაქვთ ტუსაღებისთვის, — უთხრა სავლემ და ქალიშვილს ჰოგრიტი გადასცა.

ხურჯინიანი ქალები საბალახოს თავკაცის ეზოში შევიდნენ.

— რავე უბოდიშოდ შეალაჯეს ჩემს მამულში? — გაიწმატდა სავლე, — ბაზრის მოედანზე გონიათ თავი ამ თავხედებს... სულ გამიპარტახეს შვილივით მოვლილი ეზო... არ ვაპატიებ ამდენ შეურაცხყოფას!.. რაფერ გავავსო აწი ამხელა ჰურები? — უცებ გაახსენდა სავლეს სოფელელთა ღრეობა და სახე დაედრია, — ათი წლის მოსავალი ოც დღეში შეხრტუპეს მაგ ლოთებმა!.. ოცი წელი მუქთად გამუშავებთ, მუტრუკებო!.. კაცი არ ვიყო, ასე თუ არ ვქნა!.. ცხრა ჰურის მაგივრად, ას ჰურს გავავსებინებთ თქვენთვის ხელით... კინკრისომღე გავაპიპინებინებთ ღვინით!.. დაჯდები მერე და მარტო ვიქვიფებ ყოველ დღე... ას

წელს ვიქვიფებ... ცირუნისაც ვაღვეხნი ქორწილს... იმდენ ღვინოს გამოგწურავთ, რომ ყველაფერზე შეყოფს... ასე ვიცი მე! — მძვინვარებდა სავლე.

ყარაულად დაყენებულმა გლეხმა სავლეს მარანს ბოქლომი შეხსნა და ჰირისუფალი ქალები ქვევრებთან მიუშვა.

— შაქრომ თავი ამოყო ჰურებიდან, რაცხას ეუბნება ყარაულს, — აღნიშნა ცირუნია.

წვერმოშვებული შაქროს თავი კარგად მოჩანდა ჰოგრიტში; სხვებისაგან განცალკევებით, იგი კვლავინდებურად იჯდა ეზოს შუაგულში ჩამარხულ ჰურში.

— ჰამა უნდა ალბათ, — უთხრა გოგოს სავლემ, — შაქრო ვირს არ ყავს ჰირისუფალი... მაგ რეგვენის ბრალია ყველაფერი, — მოულოდნელად გაცხარდა სავლე — მაგან დააქცია საბალახო... არაა შაქრო დაპურების ღირსი!..

ყარაული მარანში შევიდა და მალე, საჭმელთან ერთად შაქროს ღვინით სავსე პატარა დოქიც მიუტანა. ვახარებულნი შაქრო უმაღ ჩაძვრა ქვევრში.

— ღირსნი ხართ ჰურში ყოფნის, — ქოთქოთებდა სავლე, — შენც, მენახირე კაცია!.. შენც, დალაქო გაბო!.. შაქროზა სამიღღემჩიოდ მიჩუქნია მაგი სამოსახლო! — სავლემ ჩაიხიბიხითა, — ყველა საბალახოელი ღირსია, ჰურში რომ იჯდეს... ჩემდა რომ გაქვთ ჰური, იქინე მახინჯი ყასაბი უნდა ეგდოს... თლად ზედგამოჭრილია მაგიზა ეგ ადგილი!..

ცირუნია ერთხანს თავის ეზოს დაჰყურებდა და ჰოგრიტის თვალი მერე ჯანიკოს მთისკენ გააპარა. სავლე ქოთქოთს განაგრძობდა.

ჰაერი ცივი და უძრავი იყო. უძრავი იყო მდინარის გადაღმა ველზე, ნაყანარზე დაფენილი სიფრიფანა ბურუსიც. ერთფრად გადააგლეხილი ციდან და გაყუჩებული ტყიდან თითქოს სიჩუმე იღვრებოდა საბალახოში. დუქანთან რამდენიმე გლეხი იდგა და ფირალის გორას უმზერდა. იქვე იდგა ყასაბი მიხაც. შუკეში, აქა-იქ, ბაზრის მოედნისკენ მიმავალი სოფლელები გამოჩნდნენ. სავლეს



ეზოში ბოლთას სცემდა ტუსადთა ყარა-
ული.

— ვითომ, განგებ დოუმინა ქვა ჩენს
კამეჩს ცირუნია? — შინარევი ხმით
იკითხა სავლემ.

ცირუნია ჭოგრიტით ჯიუტად ქექავდა
ჯანიკოს ტყეს.

— არ დოუმინებდა, — თვითონვე
დასკვნა სავლემ, — თუ ჩემი ჯინი ჭი-
რდა ჯანიკოს, პირდაპირ ოდას მიმინგრე-
ვდა... დოუმინაო, საბალახოლები იძა-
ხიან... მეიგონეს მაგი ამბავი... ყასაბმა
მეიგონა... ეტყობა, უფროსობა მეინდო-
მა მაგ მუტრუკმა!..

სავლეს შიში შეეპარა და გასამხნევე-
ბლად კარვის დაწულ კედელზე მიყუ-
დებული თოფი და ხმალი აისხა. ქამარ-
ხანჯალიც შემოირტყა და ოდნავ დამ-
შვიდებულმა სოფელს გადმოხედა.

სავლეს მარნიდან ქალები გამოვიდნენ
და მორიდებით შეგროვდნენ ყარაულის
ირგვლივ. ორღობეში წითელი ძროხა მი-
ჩანჩალებდა. ჭალაში, მდინარის ნაპირზე
გამორიყულ ძაღლის ლეშს ყვავები კორ-
ტნიდნენ. ხეობაზე ძერა ლივლივებდა.
ჯანიკოს ნაცოლარი ახალი ოდის აივანზე
გადმომდგარიყო და თითით ითვლიდა
ეზოში მომრავლებულ შინაურ ფრინ-
ველს.

ცირუნამ ჭოგრიტი მოაშორა ფირა-
ლის გორას, მწყურალად შეხედა შეიარა-
ღებულ სავლეს და უხმოდ შეძვრა კარა-
ვში.

— მეც ქი მომინდა ქვის დაგორება, —
ოცნებით თქვა სავლემ. — ყასაბის დუ-
ქანს...

„დავლენავდიო“ — უნდა ეთქვა საბა-
ლახოს ნაუფროსალს, მაგრამ გრუხუნ-
მა შეაწყვეტინა ოცნება.

ვადაზე ერთი თვით ადრე ჯანიკოს
მთის ნახანძრალ ღარში გრუხუნით მო-
გორავდა ვეება ლოდიანი.

სავლეს თვალმა წამში ამოკენკა სოფ-
ლის გაყინული სურათები: ბაზრის მოე-
დანზე გარინდული გლეხები; ორღობეში
გახევებული წითელი ძროხა; ჯანიკოს ნა-
ცოლარი, ქათმისკენ გაშვებული ხელით;
ველზე გაწოლილი უძრავი ბურუსი და

ცის გუმბათზე თითქოს **დაჩქვდული**
ფრთავაშლილი ძერა... **შეზღირითა**

მრგვალი ლოდიანი მსუბუქად შეხტა
ბაზრის მოედანზე და ზემოდან დაეცა
ვილაცის ოდას. გარინდული სივრცე ჭა-
ხანმა გაბზარა. თავჩატეხილ ოდას თით-
ქოს მუხლი მოეკვეთა, ჩაიჩოქა და გა-
დაიბრიცა. ქვამ კედელი გაანგრია,
ტყრუშულიც ჩაზილა მიწაში და მერე
მძიმედ გაგორდა მდინარისკენ.



— გამარჯობა, ბატონო ჯანიკო!.. რა-
ვა გიკითხო, გენაცვალე! — მოესმათ სა-
ვლეს ხმა ბაზრის მოედანზე შეყრილ სა-
ბალახოლებს.

ყასაბი, რომელიც ხალხის შუაგულში
იღვა და ფირალს უხმობდა, ერთბაშად
ჩაჩუმდა. სოფლელები ბნელი შუკისკენ
მიბრუნდნენ. შუკაში მხნედ მოაბიჯებდა
იარაღსმული სავლე და შორიდანვე
ომხანანად ესალმებოდა ყაჩაღს. გლეხე-
ბში მორიდებულმა ჩურჩულმა დაიბრი-
ნა. სავლემ მწყურალი იერით ჩაურა სოფ-
ლელებს, ფირალის გორასთან ახლოს
მივიდა, იარაღი შეიხსნა, მიწაზე დაავდო
და ზემოთ, მთის კენწეროს ახედა.

— კიდე გამარჯობა, ჯანიკო ბატონო!
— იყვირა სავლემ. — საქმიზა მევედი
შენთან... ტყუილად არც მოგებდავდი
მოსვლას, არ გავთავხედდებოდი ასე...
უგუნურობით, ჩემო ჯანიკია, ათასი ცო-
დვა ევიკიდე... ქე ვარ დასასჯელი, ამდენ-
ნი დანაშაულისათვის ხეზე ფეხებით ჩა-
მოკიდებაც კი მეკუთვნის შენგან... მაგ
პატიოსან მთას მე დოუმინე ზარბაზანი,
სალანძლავი სიტყვაც გაკადრე... ზოდის
დანგრევაცა და შენი ნაცოლარის გათ-
ხოვებაც ჩემი მოფიქრებული და ჩაწყო-
ბილი საქმეა... ახლა გეახელი შორჩი-
ლად, გულწრფელად მინდა ცოდვები
მოვინანო... ახია ჩემზე ყველაფერი,
რაც მოგესურვება, იგი მიყავი... თუ გი-
ნდა, დაავორე ქვა... მთის ძირში, ღარის
ბოლოში დავდგები, რომ პირდაპირ თა-

ვლადიმერ სიხარულიძე
მათი მოწამი

ვში ძეტაკოს... გაფშევილი ქალიზა თუ გამაუთოვებ, იყოს მასე, ჩემო ბატონო!.. შენი ნაცოლარი კაკლის დასაბერტყ კოლოკად გამოდგება მხოლოდ. ხორცი მავას არა აქვს და ფერი... ერთხელ შარაზე მიკუნტრუშობდა, უკნიდან დევინახე და მეგონა, ვინცა საფრთხობელას მიათრევდა ყანაში დასადგმელად... გეტყობა იცოდი, ვისთანაც გქონდა საქმე და იმიტომ მეიშორე თავიდან... ჭკვიანი ხარ და გონიერულადც მეიქეცი... გამიმეტებ ვითომ თევზივით თვალგამოლენჩებულ ქალიზა ამ მოხუც კაცს?!. არ იზამ მაგას, შენი!... შეგნებული ხარ და იმიზა!.. იმიზა, რომ სიმამრს არ მოკლავ საკუთარი ხელით! — აქ საველე მნიშვნელოვნად გაყუჩდა, გლეხებს ქედმაღლურად შეავლო თვალი და მერე კვლავ მიუბრუნდა მთას: — გეიგე, რა ვთქვი, ჯანიკო?.. თუ მიკადრებ, დამოყვრება მიწნდა შენთან... დაადნო კოხტა ცირუნია შენდამი სიყვარულმა... აღარც ჭამა ახსოვს და აღარც სმა, საწყალ გოგოს... არ გეცოდება, ბიჭო, შენი საცოლე?!. ჩამოი და დეიფარე ლამაზი ქალიშვილი გულსისხლიანი საბალახოელებისაგან!... გაგვტანჯეს მამა-შვილი სოფლელებმა... ოდაც წაგვართვეს, თქვენი ქორწილიზა გადნახული ღვინოც შესვეს მთლიანად... ტყეში გაგვრეკეს ამ ურჯულოებმა... აღარ დაგვედგომება საბალახოში შენს საცოლესა და სასიმამროს... ჩამოი და გვიპატრონე, ჯანიკია!.. ახლა მოვრჩები თუ არა ლაპარაკს, მიმყავს ცირუნია შენს ოდაში.. იჯდეს შინ და ელოდოს ვაჟკაც საქმროს... მეიმარჯვე ქვა და თუ გადაგველობება წინ ვინმე, ქვეც გააპე მაგ ლოდიანიო!

სავლემ ლაპარაკი მოათავა. ისევ აისხა იარაღი, უხმოდ ჩაუარა დამფრთხალ სოფლელოთა რიგებს და ორღობეში მიიპალა.

ჯანიკოს ნაცოლარი იმდამესვე დაუბრუნდა მამამისის ოჯახს. ახალ ოდაში შესახლებული ცირუნია შინაურულად აფუსფუსდა დიდრონ ოთახებში. სავლემ მეორე დღესვე შეიძინა აკვანი, ქალიშვილს ნისლივით თხელი საქორწინო კა-

ბა შეუყერა და ადგილობრივ თერძს სავსიძოსთვისაც გაამზადებინა მგერფასე ჩოხა.

საბალახოელები ჯანიკოს დაბრუნებას ელოდებოდნენ. მყისვე აღსდგა უწინდელ უფლებებში სოფლის უგვირგვინო მმართველი. გლეხებმა დროებით გაათავისუფლეს ტუსალები, ქვევრები გამორეცხეს და თავიანთივე ღვინით შეავსეს სავლეს უშველებელი ჭურები. საბალახოს თავკაცის კარმიდამოს უცბადვე დაეტყო დაბრუნებული ჯალაბობის გამრჯეხელი; დასუფთავდა ეზო, შეკეთდა ჭიშკარი და გაიხეხა ოდის დატალახიანებული იატაკი. სოფლის ყველაზე თვალსაჩინო მამული აღრინდელივით დამშვენდა.

ხალხი მოუთმენლად ელოდა ფირალს. ჯანიკოს დაბრუნებას გულისფანცქალით უცდიდა ტუსალი შაქროც, რომელიც ისევ იჯდა სავლეს ეზოში ჩამარხულ ქვევრში და რაიმე ცვლილების მოლოდინში ვადაბმულად ლოთობდა.

ყაჩაღი კი არ ჩანდა.

მიჩუმებული და შეშფოთებული მიხაიშვითად გამოდიოდა დუქნიდან. ვერბედავდნენ ბაზრის მოედანზე გამოჩენას ის გლეხებიც, რომელთაც სავლე ნავინებო და გალანძღული ჰყავდათ. სოფლის თავკაცი დოინჯშემოდებული დაიარებოდა შუკებში და შეუბრალებელი შურისგებით ემუქრებოდა სასოწარმეულ საბალახოელებს.

ძველებული ეშხით გამოანათა განბანილმა და კოხტად მორთულმა ცირუნია. ლამაზი ქალიშვილი გედივით დაცურავდა ბაზრის მოედანზე და მორცხვად აპარებდა მთისკენ შავად გაჩირაღდნებულ დიდ თვალებს. საბალახოს ყმაწვილები გულში იკლავდნენ ვნებას და მოწიწებით უმზერდნენ ფირალისთვის განკუთვნილ, მაღიან საპატარძლოს.

...ერთი კვირა გავიდა მთიდან ქვის უკანასკნელად დაგორების შემდეგ, რომ უცებ, დილაადრიანად ნახანძრალი ღარიტ სოფლისკენ კვლავ გამოქანდა ბუმბერაზი ლოდიანი. ბაზრის მოედანზე ორმოს ძვიდემ მიმართულება შეუცვალა და



ქვა გვერდზე გახტა, სადალაქო ყასაბის დუქანს შეატაფა, მერე მრგვალი ლოდინი აუჩქარებლად გაგორდა ორლობეში, სავლეს კარმიდამოსკენ გაუხვია და მისი ეზოს შუაგულში, ზუსტად ქვევრის თავზე გაჩერდა.

მძინარე შაქრო მიწის ყანყალმა გამოაფხიზლა. ლოდინი ხუფად ედო ქვევრს. ნამთვრალევე შაქროს ისევ ღამე ეგონა და მშვიდად მიხუტა თვალი.

შუადღეს, როცა ათრთოლებული საბალახოელები ჩუმად იდგნენ სავლეს ეზოში და ჯერ კიდევ ათვალეირებდნენ დილას დაგორებულ ქვას, სოფელზე კვლავ გადაირბინა მთიდან ჩამოვარდნილმა ლოდინმა.

იმედგადაწურულმა კაცებმა აღარ დააყოვნეს, ხელად აიკიდეს ზურგზე ოჯახის სარჩო-საბადებელი, სასლობა წინ გაირეკეს და სირბილით მიაშურეს მდინარის გადაღმა ველს.

დაბნელებისთანავე ჯანიკოს მთის ღარში ერთხელაც დაგორდა ქვა. ნაყანარზე გაყუჩებული გლეხები ჩაღამებულ სოფელს უყურებდნენ და უსმენდნენ, როგორ ანგრევდა უჩინარი ლოდინი საბალახოს დაცარიელებულ ოდებს. დღემდე ფხიზლად იყვნენ მინდორში სოფლელები და თვალს არ აშორებდნენ მთვარით განათებული გორის ჩაღარულ ფერდს.

მეორე დღეს უფრო აირია საქმე. ყოველგვარი რიგისა და თანმიმდევრობის გარეშე, გარიყრაყიდანვე, მთიდან უშველებელი, მრგვალი ქვები მოხტოდა და სადამოსთვის, შეფერდებავზე გაშენებული ლამაზი სოფელი საბალახო უხეში კალმით მრავალჯერ გადახაზულ რუქას დაემგვანა.

მდინარის ნაპირთან მესვერე შედგა თათბირი. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ დასუსტებულმა სოფლელებმა ფირალთან მოსალაპარაკებლად სავლე და ყასაბი მიხა წარგზავნეს.

— გვიჩუქნია შენთვის, ჯანიკო, ავი სოფელი, — ბაზრის მოედნიდან საწყალობლად ეუბნებოდა საბალახოს თავკაცი ყაჩაღის გორისკენ მიწაქროლნი-

ავს, — რაფერც გინდა, ისე შეიძლება ძამა... ჩვენ ქე ვიცხოვრებთ მდინარის გადაღმა, კარვებში.. თუ მარტო ყოფნა გირჩევნია ამხელა სოფელში, იყავი მარტო ბატონო!.. ახალი ოდა კი გაქ, საკმელ-სასმელს ულევად მოგართმევთ... სულ არ შეგაწუხებთ საბალახოელები!.. თუ შეგვირიგებ ოდესმე, ხომ კაი, არადა რაფერც ბრძანებ, ისე იქნება!..

— ჩეხუტე, ეშხიანი ცირუნია... იმეფე საბალახოში, ძამია ჯანიკო! — ჩაუბრთო ჩოფურა ყასაბამაც.

ნაყანარზე, მდინარის გასწვრივ გამწვრივებული გლეხები გაუძმრევლად მისჩერებოდნენ მთის წვერს და ყურს უგდებდნენ შიკრიკთა მუდარით გაქლენთილ ხმას. სავლემ ზემოდან მოწყენით გადახედა თავის ვრცელ კარმიდამოს, დაღეწილ ოდებს და მდინარის გადაღმა ჩარიგებულ ხალხს. შუბლშეკუმუნენილი მიხა ძარღვიანი სათქმელის დასაძახებლად ემზადებოდა და ამ დროს, უცებ იქუხა ფირალის გორამ:

— არ მინდა მე თქვენი სოფელი!

მეხდატეხილ სავლეს წვრილი კისერი ვიწრო მხრებში ჩაუვარდა. ადგილს მიელურსმა შიშატანილი ყასაბი. ვახევდნენ მინდორში მღვარი საბალახოელებიც. ერთბაშად ჩამოვარდნილ მღუმარებაში ათასი თვალი ჩაეკიდა თითქოს გაცოცხლებულ და წამით ჩაჩუმებულ გორას. სადღაც ყვავმა დაიჩხავლა... სადღაც უილაჯოდ შეიყეფა ძაღლმა...

— არ მინდა მე თქვენი სოფელი!.. აფერი აღარ მინდა! — ხელმეორედ გადაძოგორდა მთიდან რიხიანი ხმა და საბალახოზე გადაბრეცილი კედელივით გადაძოკიდებული გორა ისე გაყუჩდა.

რამდენიმე დღე მონუსხული გლეხები ვერ ბედავდნენ შინ დაბრუნებას, დღე და ღამე ნაყანარზე დაბორილობდნენ და შიშით ელოდებოდნენ ღარში ლოდინის გამოჩენას. მაგრამ ხანი გავიდა, ჩაღარულ ფერდზე ზორბა ქვები აღარ დაგორებულა და გულამღერებული სო-

ვლადიმერ სიხარულიძე
მეათე მოწიგ

ფლელეები უეცრად მიხვდნენ, რომ უწინდელი სიმშვიდე იბუდებდა საბალახოში... ჯანიკოს მთა სამუდამოდ დაწყნარდა.

● მოისვენა გამუდმებული შიშით გადაღლილმა სოფელმა. შელახული ოდები და გადათელილი ტყრუშულები ორიოდ თვეში შეკეთდა. გაზაფხულისათვის ახალმა ხილმაც გადააბიჯა მდორე მდინარეზე. წიშალა ავი ქვების ნაკვალევი და საბალახოელთა ცხოვრება ჩვეულ ღარში ჩადგა. სიმშვიდემ და უშფოთველობამ დაიბუდა ეიწრო შუკებში, გულმოდგინედ დაგვილ ეზოებში და მყუდრო, წყნარ ოდებში.

გამხიარულებული შეხვდა ხალხი ძონძროხა ცხენებში შეკაზმულ მძიმე ფურგონებს. ქალაქელებმა უთვალავი საქონელი ჩამორეკეს და ბაზრის მოედანზე ერთი კვირა გრძელდებოდა გაცხოველებული ვაჭრობა. ახლებური ეშხით უყურებდნენ საბალახოელები მთვარის შუქზე გამართულ ლაშაზ წარმოდგენებს. მერე ჩამოსულებმა ბეგარა აკრიფეს და მომავალ გაზაცხულამდე დაემშვიდობნენ დაწყნარებულ სოფლელებს.

საბალახოს უგვირგვინო მმარაველი ბალში ჩხირკედელაობას შეეჩვია, გლეხებთან სასაუბროდ აღარ აღიოდა ბაზრის მოედანზე და სოფლის თავკაცის პატივით თანდათან ყასაბი მიხა შეიმოსა. მიხას კუდივით დასდევდა ყველგან ბეჭვანიერი შაქრო. იმ არეულ დღეებში შაქრო ბეწვზე გადარჩა დაღუპვას; ყველასაგან მივიწყებულს სული შეეხუთებოდა, ყასაბს რომ არ ეაზრა და დროულად არ გადაეგორებინა ქვევრზე ხუფივით მორგებული ზორბა ქვა.

გადარჩა შაქრო. გადარჩნენ შურისგებას შერისხული გლეხებიც. მენახირე კაცის კვლავ დაჰყავდა სამოვარზე სოფლელთა საქონელი. ცარიელ დუქანში ისევ იჯდა თვალმინაბული გაბო და ამოდ ელოდა თმააჩიჩილ მუშტრებს. კაჩაღისათვის აშენებულ ოდაში ჯანიკოს ნაცოლარი და ჩოლახა დათიკო ჩა-

სახლდნენ. დაწუნებული პატარძალი ცირუნია, რალაცნაირად მუდუნებულად ჩათქვირებული და დამძიმებული იყურებოდა.

თითქოს ყველაფერი მოწყობიდა საბალახოში, შემოდგომამაც უხვი მოსავლით დაასაჩუქრა გლეხები, მაგრამ ზამთრის პირას სოფლელებმა ისე მწვავედ იგრძნეს უხალისობა და მოწყენა, რომ უმიზეზოდ ჭინჭყლი, აყალმაყალი უჩვეულოდ გახშირდა პირველი ფიფქით გადპენტელ შუკებში. ჯანიკოზე მომეტებულად ალაპარაკდა ხალხი. ყოველივე ცუდი ფირალმა თითქოს თან გაიყოლა; ჯანიკოს აღარავინ ახსენებდა გინებით, გარდასულ მძიმე დღეთა მოგონებისას სოფლელებს უცნაურად სასიამოვნო კრუანტელი უვლიდათ.

დრო მიდიოდა. კიდი თ კიდედგე გადაკიმულმა ზამთრის სითეთრემ გააათკეცა სოფლის ერთფეროვანი დღეების სიმდორე. მთებს შორის ჩაყინული საბალახო მიჩუმდა და გაინაბა. უმოქმედობით აღტკინებული გლეხები ნერვიულად წრიალებდნენ თბილ ოდებში, მალი-მალ თვრებოდნენ და შეზარხოშებულებს რატომღაც ბაზრის მოედანზე მიუწევდათ გული. მუდამდღე რომელიმე ნასვამი გლეხი გახევებული დადგებოდა ხოლმე სადალაქოს წინ და კარგა ხანს გამოლენჩებულებით აშტერდებოდა მაღალ, ფერდღაღარულ გორას.

ერთხელ, შუაგულ ზამთარში დალაქი გაბო დუქანში ესტუმრა მიხას და ტკბილ მუსაიფში საღამომდე ორივენი უზომოდ გამოთვრნენ. გონებაამჩატებულმა მიხამ უცებ ნაჯახს მოავლო ხელი და თავისი დუქანი დაუზოგავად დაჩხა. გაბო არ ჩამორჩა თანამეინახეს და მალე მოღრეცილი სადალაქოც თოვლში გაწვა. ღვინითა და ნგრევით აღგზნებული გლეხები მოედნის შუაში მიბანცალდნენ, კედელივით აყუდებულ მთას მიაჩერდნენ და ხრინწიანი ხმით მიხამ თეთარ გოლიათს მიაყვირა:

—გამარჯობა, ჩემო ჯანიკია!.. რაფერ ხარ, ძამა?

გორის ფართო ღარში თოვლი ოდნავ შეინძრა და აჭავლებული წყლის ზედაპირივით აიბურძგნა.

— ძამია ჯანიკო, სოფლელებს შენთან საუბარი მოგვინდა! — დაიძახა გაბომაც. მთა დუმდა.


მთვრალმა გლეხებმა ერთხანს კიდევ უძახეს ფირალს ბაზრის მოედნიდან და მერე ხელგადახვეულები, არეული სიმღერით, გვიანობამდე დაეხეტებოდნენ საბალახოს უკაცრიელ შუკებში .

სოფლელები ბუხრებთან ისხდნენ. გარედან ყასბისა და დალაქის მონჯღრეუ-

ლი ხმები ესმოდათ. აღრენილი საბალახოელები ყურს უგდებდნენ უსიამო სიმღერას, მომცრო ჭიქით ღვინოს წრტუვებდნენ და მქრქალი ტკივილივით გრძობდნენ, რომ ველარ შეეგუებოდნენ უწინდელ დუნე ცხოვრებას. მძიმე ფურგონებში შეშმული ვეება ცხენების ჩამოსვლამდე, გაზაფხულის დადგომამდე რაიმე მნიშვნელოვანსა და გამაცოცხლებელს ითხოვდა უკვე მათი აფორიაქებული სული...

ჯერხანობით კი სოფელი იზმორებოდა.. ბაზრის დაცარიელებულ მოედანზე ბეწვგაქუცულ ძუენას უხმოდ დასდევდა გაქაფული ძალლების ჭრელი ხროვა.





ქ ე ბ უ ჯ ე ბ ი

ის იყო გათენდა, საბანაო ჯიხურის ჩრდილში ისევ იღო ნამი, ჯერ კიდევ ცივი და ბლანტი იყო ქვიშა, მაგრამ პლაჟზე ნემსი არ ჩავარდებოდა; საითაც არ გაიხედავდი — მარჯვნივ თუ მარცხნივ — ხალხით იყო სავსე, ზღვა კი ბრწყინავდა და ამომავალი მზის სხივებზე დამაბრმავებლად ლაპლაპებდა, მლაშე ჰაერი გრილი და სურნელოვანი იყო.

ქაბუკები პლაჟზე გამოვიდნენ და გაეშურნენ ნაპირის გასწვრივ, აქეთ-იქით ქალებსა და გოგონებს ათვალიერებდნენ, თან მზაკვრულ ხუმრობას და შენიშვნებს არ აკლებდნენ მათ და ზანტად შეექცეოდნენ ხილის ნაყინს.

ამასობაში ამოიჩჩიეს ადგილი და გახდას შეუდგნენ.

შორიახლოს ბადმინტონს თამაშობდნენ და მსუბუქი, ნაჩვრეტებიანი კალათი სტვენით დაფარფატებდა ჰაერში, ნაპირის გასწვრივ გიჟებივით დაჰქ-

როდნენ ფლისერები; მსუქანი, ჯანღონით სავსე მამაკაცი სამ შუახნის ქალს აჩვენებდა კარტის მარტივ ფოკუსებს, ქალ-ვაჟი უხერხულად მოაბიჯებდა სილაზე ფარფლებით, უკუსვლით შედიოდნენ წყალში. ნაპირზე კი, ზღვისკენ პირმიბრუნებული ისხდნენ ქალიშვილი და ყმაწვილი და საუბრობდნენ.

— მითხარით, — ხითხითით ეკითხებოდა ყმაწვილი, — ახლა თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ყინვა, თოვლი და სხვა ასეთები? ერთი თვის შემდეგ მოსკოვში უკვე ქარბუქი იქნება და ჩვენ ყურებიანი ქუდებით ვივლით.

— ბრ! — უპასუხა გოგონამ. — კანზე ეკლებივით დამაყარა სიცივემ, რატომ ლაპარაკობთ ასეთ საშინელებას?

— ყვაილები თუ გიყვართ? — შეეკითხა წვერიანი ყმაწვილი. — მე, ძალიან მიყვარს.

— ღიახ, — უპასუხა გოგონამ. მას

და ლურჯი თვლები ჰქონდა, საბანაო კოსტუმი კი — ყვითელი. გოგონას ფერხითი თვლემდა მისი მეგობარი, სახე პირსახოცით დაფარა.

— რგავთ და ახარებთ კი ყვავილებს?
— არა.

— მაშ, არ გყვარებიანთ.

მეგობრები წყალში შევიდნენ და აღარ გაუგონიათ ამ საინტერესო საუბრის გაგრძელება, რომელიც ასე სავსე იყო შეკითხვებითა და პასუხებით.

შუადღემდე ისინი გიჟებით დარბოდნენ პლაჟზე. ხან ფეხბურთს თამაშობდნენ, ხან ნავით დასეირნობდნენ, ბანაობდნენ, ყვინთავდნენ, ანცობდნენ — ერთი მათგანი გაეჯიბრა მოხალისეებს, ყველაზე ღრმად ჩაყვინთა, რისთვისაც მსაჯმა — გოგონამ დიდი, გადამწიფებული მსხლით დააჯილდოვა. ილანძობოდნენ მზეზე, ისევ ბანაობდნენ, ნაპირზე გამოათრევდნენ ხოლმე მზეზე დამდნარ, დუნე, ზღვის სიღრმეში აქოთებულ მედუზას და ქალებს ესროდნენ, ეშვებოდნენ ზღვის ფსკერზე აქვალანგისტებთან ერთად. ერთი სიტყვით, არ იკლებდნენ არავითარ სიამოვნებას, ამ თექვსმეტწლიანთათვის ქვეყანა იყო შესანიშნავი და ბრწყინვალე. ეს მართლა ასე გახლდათ...

შემდეგ ისაუბმეს პატარა, ნათელ პავილიონში, შემდეგ ზანტი მოძრაობით შეარხიეს დაკუნთული, ძლიერი მხრები, გადაყრდნენ დახლს და გამყიდველ ქალს მიმართეს:

— რატომ ხართ ასე სევდიანი?

— გაიარეთ, გაიარეთ, თუ ღმერთი გწამთ! — უპასუხა ქალმა და უფრო მაგრა გამოისვენა თავსაფარი.

— რა მიუჟარებელი ხართ! — უთხრეს ბიჭებმა, მაგრამ მალე გაეცალნენ, რადგან გამყიდველი ქალი მათზე უფროსი იყო.

ბიჭები ფიქრობდნენ, შემდეგ რა გავაკეთოთ, მზე კი სულ მაღლა იწევდა და მათ ისევ დაინახეს ის ლურჯთვალე გოგონა და მისი მეგობარი. ერთ-ერთი მათგანი ჩაცუცქდა და ჰკითხა ლურჯთვალეებს:

— მითხარით, გეთაყვა, მხოლოდ გულახდილად, ყვავილები გიყვარებათ? გოგონას გაუკვირდა. ამას რომ დიდი ხნით შეეკითხნენ, მაგრამ მაინც უპასუხა:

— დიახ.

— რგავთ და ახარებთ კი მათ?

— არა! — უპასუხა გოგონამ, კიდეც უფრო მეტად გაკვირვებულმა.

— მაშ, არ გყვარებიანთ, — და ბიჭმა ჩაიხიოთხიოთა იმ ყმაწვილივით, დილით რომ ელაპარაკებოდა გოგონას. სიღზზე, გოგონას წინ ჩამოჯდა და გააგრძელა:

— მითხარით, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ახლა თოვლი, ცივა და სხვა ასეთები? და თითქოს ჩვენ ყველას ქურქები გვაცვიო?

არაჩვეულებრივად დაინტერესებულმა ლურჯთვალემა ჰკითხა:

— მითხარით, საიდან იცით ეგ?

— რა ვიცი?

— ყვავილების შესახებ, — გოგონამ ხელიც კი მოჰკიდა ხელზე, ცნობის-მოყვარეობით შეპყრობილმა, — მითხარით!

— არ გეტყვი.

ლურჯთვალემა კიდეც უფრო გოცუნა, მისმა მეგობარმა თავი გამოჰყო პირსახოციდან და კრიტიკულად შეათვალიერა ისინი:

— ალბათ ყურს უგდებდნენ. შესაძლოა, აქ ასეთი წესი იყოს.

— ვინ იყო ის თხისფეხება კაცი?

— არავინ. მოვიდა. გამოგველაპარაკა და წავიდა.

— ჰქუით იყავით, თორემ ვიეჭვია-ნებთ.

პირსახოცმოხვეულმა გოგონამ ჩაიფხუქუნა, ლურჯთვალემა კი ცნობის-მოყვარეობით ათვალისწინებდა ახალ-გაზრდებს.

— თქვენ ვინა ხართ? — ჰკითხა მან.

— ჩვენ — ყმაწვილები.

მერე ერთად იბანავეს და მზეზეც ერთად გაილანძნენ, კარტი ითამაშეს და, რაც შეიძლებოდა, ერთად ატარებდნენ

ზორის ანდრონიკაშვილი
მამუკაძე

დროს, ლურჯთვალეებს მეგობარი სულ პირსახოცში ეხვეოდა, დროდადრო წყალში ასველებდა, ლურჯთვალეებს კი მზე აცხუნებდა და თითქოს ამას ვერ ამჩნევდა, სანამ ერთ-ერთმა ყმაწვილმა არ მოუტანა ჩალის ქუდი, კაცმა არ იცის, ვისი იყო იგი.

გოგონებს მოეწონათ მაღალი, ტანადი, მარჯვე და მედიდური, დარდიმანდი და დაუდეგარი ბიჭები, ზრდილნი, თავაზიანნი, რომლებიც ზედმეტს არაფერს კადრულობდნენ. შემდეგ მობეზრდათ პლაჟი, ჩაიცვეს და გავიდნენ შარავზაზე.

— ჩანჩქერი არ ვინახულოთ? — შესთავაზეს ბიჭებმა.

— ჩანჩქერი? მე არასოდეს არ ვყოფილვარ იქ.

— ჰოდა, წავიდეთ.

— შორსაა?

— არა, სულ ახლოსაა.

— წავიდეთ თუ არა? — შეეკითხნენ გოგონები ერთმანეთს.

— რასაკვირველია, წავიდეთ! — მათ მაგივრად გადაწყვიტეს ბიჭებმა. შეცვიდნენ ავტობუსში, მაღაზიასთან გადავიდნენ, იყიდეს ღვინო და ქალაქგარეთ გავიდნენ. მერე ბოთლებამოღლიავე-ბოთლები მიძვრებოდნენ მთაზე, მიძვრებოდნენ გვიმრებსა და სხვა ტროპიკულ მცენარეებს შორის. ბიჭები ცდილობდნენ გოგონები ხელმკლავით წაეყვანათ, მაგრამ ისინი არ ანებებდნენ.

ჩანჩქერი ძალიან ლამაზი იყო და გოგონები ალტაცებისაგან ტაშს უკრავდნენ, მათი მხლებლები ამ ალტაცებას ცოტათი ეკვისთვალით უცქეროდნენ, მოთმინებით უცდიდნენ, სანამ ისინი დაკმაყოფილდებოდნენ ამ სანახაობით. ბიჭები ხრამის პირთან უბიძგებდნენ ხოლმე გოგონებს, სადაც წყალი დულდა, ქაფდებოდა და ამით ერთობოდნენ, მაგრამ ესეც მობეზრდათ და ტყისკენ მიიწვიეს გოგონები, ღვინის დასალევად. გოგონებმა თქვეს: მოდი, აქ დავსხდეთო, მაგრამ ბიჭებმა უპასუხეს: აქ ნოტიოაო, და მართლაც აქ სინესტე

და სიცივე სუფევდა, რადგან ჩანჩქერის წყალი ყინულივით ცივი იყო.


მათ ამოარჩიეს მშრალი სტანა და იქ მოკალათდნენ, გარშემო მარწყვი წავრობდა. ბიჭებმა დალიეს და გოგონებს ხელის მოხვევა დაუპირეს, მაგრამ გოგონები არ იკარებდნენ და უცბად, ჩურჩულით თქვეს, უკვე შინ წასვლის დროაო. არაფერია საჩქაროო, — უმტიციებდნენ ბიჭები და უფრო უხეშად ეხვეოდნენ. სადაც, ქვემოდან ისმოდა მანქანების ხმა. გოგონები უძალიანდებოდნენ ბიჭებს, მერე უცბად გასხლტნენ და გაიქცნენ ქვემოთ, ფერდობისაკენ. ბიჭები ქვებს ესროდნენ და უსტივენდნენ, ქალაღზე კი ეწყო გოგონების მიერ მოკრეფილი მარწყვი. შეშინებული და ატირებული გოგონები გამოცვიდნენ შარავზაზე, ზემოთ კი ბიჭები ღვინის მოსათავებლად დარჩნენ. გზაზე ნელა მიდიოდა ურემი, ზედ ხნიერი მეურმე იჯდა, გოგონებმა უამბეს, რაც თავს გადახდათ. გაბოროტებულებმა „აზიელები“ უწოდეს თავიანთ შეურაცხყოფელებს. მეურმემ თქვა:

— აზიელები აქ არაფერ შუაშია. ყოველ ხალხს ჰყავს თავისი იდიოტები. თქვენ კი ნუ დაწანწალებთ უცნობებთან ერთად აღმა-დაღმა.

ლურჯთვალემა ვერაფრით ვერ დაწყნარებულყო, სლუკუნებდა და მისი ნათელი თვალები მავედრებელი სევდით შეჰყურებდა მეურმეს, თითქოს მას უნდა აეხსნა მისთვის კიდევ რაღაც, რასაც თავად არ შეეძლო მიმხვდარიყო, რაც სტანაჯავდა ყველაზე მეტად.

ამ ამბებამდე დიდი ხნით ადრე გაიღო სამხედრო ნაწილის ალყაფის კარი და იქიდან მკვირცხლად გამოფრინდა შეღებილი სამხედრო ოთხთვალა.

„ფრთხილად, ქაჯებო!“ — უყვირა გვერდზე გამხტარმა მორიგემ. ოთხთვალამ მოუხვია და თვლების რახრახით გაქანდა ზღვის გასწვრივ, გზაზე. ზღვა კი იყო მშვიდი და ლურჯი, ცაც იყო ლურჯი და სუფთა. მხოლოდ ჰორი-



ზონტზე უძრავად ეკიდა ორი ჰირვეული, ვარდისფერი ღრუბელი.

ზაფხულის შესანიშნავი მზიანი დღე იყო, გარშემო ყველაფერი — ხილისა და ევკალიპტის ხეები, პალმები, სიმინდის ყანები, ბოსტნები და მთები გამჟღავნებულ იქნა მინდორის ბურუსში იყო გახვეული. ღამის წვიმით განბანილი — ყველაფერი მშვენიერი იყო, მწვანე და ხასხასა. მაგარი, ღონიერი ცხენები მზეზე მზიანად გავით, ვაშლილი კუდითა და ამოხეჩილი კისრით ადვილად მიაქროლებდნენ ოთხთვალს გუდრონის გზატკეცილზე, კოფოზე კი ისხდნენ სერჟანტი და რიგითი ჯარისკაცი. სერჟანტი ცოცხლად ატრიალებდა თავს აქეთ-იქით და ცხენებს მართავდა. ჯარისკაცი კი ფეხებგაჭიმული იჯდა, პილოტურა ჩამოფხატა.

— აბა, — წარმოთქვა სერჟანტმა მხნედ, — ამინდმა, მგონი, არ გვიმტყუნა. — წვიმაში კი ასეთ რამეს ვერ დაინახავ, ყველაფერი ამწვანებულია, სუფთაა, ყოველ ქვიშის მარცვალს ხედავ, წვიმა კი თბილია, ორთქლიანი, ყველგან ატანს, ჯიბეებსაც კი ვერ გადაირჩენ... შენ რაზე ფიქრობ? ხომ არაფერი გაგახსენდა?

— არა.

ჯარისკაცი მართლაც არაფერზე არ ფიქრობდა. უბრალოდ ტკბებოდა იმით, რომ მიდიოდა სწორ და სუფთა გზაზე.

ოთხთვალა მშვიდობით ჩავრიალდა ქალაქში, მხოლოდ ერთხელ შეჩერდა სერჟანტისათვის ნაცნობ ადგილას, სადაც ისინი თითქმის ერთი საათი დაძვრებოდნენ ღარტაფში, მაყვლის ბუჩქებში, სანამ სულ არ გაკრთვეს ნაყოფი და შედებულ მარაში პირველი ტვირთი გაჩნდა — მაყვლით სავსე არმიული კარდალა. ქალაქში ჩაუარეს ბაზრის მოედანს, რომელიც სავსე იყო მანქანებით, ხალხითა და ცხენებით, თან სერჟანტი ხმამაღლა და ცხარედ ესროდა აქეთ-იქით გამვლელებს მხიარულ რეპლიკებს. საწყობში ისეთი სისწრაფით შევიდნენ, თითქოს იერშით შეუ-

ტიესო; გულშეებმა ძლივს მოასწორეს შლაგბაუმის აწევა. სერჟანტი და მისი კაპიტანი და წამოხტა და კაპიტანს ჩაეხუტა, რომ ყაზარმის შებათქმებული, დაღვრემილი კედლებიც კი თითქოს გამოცოცხლდა.

— თავისუფლად!!! — სერჟანტს ხმა შეუწყო და ისე უპასუხა კაპიტანსაც და ახლოს მივიდა, ჯარისკაცი კი გაჯვიმული იდგა ოთხთვალს მეორე მხარეს.

— აბა, რას იტყვი? — შეეკითხა კაპიტანი. — ცხენები კარგი გყავთ?

— შესანიშნავი, ამხანაგო კაპიტანო!

— ხედავ, რა კული აქვთ! ფარშევანგიც ვერ მიწვდება, პირმა კი წაიღოს.

— ჰუ-ჰუ! — თქვა სერჟანტმა, — რომელი ფარშევანგი?

— განა ცოდონი არ არიან სამეურნეო საქმეებისათვის?

— პირველად შევაბით, თორემ დიდი ხანია, უსაქმოდ დგანან ამხანაგო კაპიტანო.

— მსმენია ამ ცხენების შესახებ, — თქვა კაპიტანმა, — აბა, შევუღებთ!

საწყობში სიგრილე იყო, გამგეს თბილი კურტაკი ეცვა; იგი თვლემდა და თან რაღაც აქტებს აფორმებდა.

სერჟანტმა გამგეს ისე დაარტყა ბეჭებზე ხელი, რომ მას ქული მაგიდაზე ჩამოუვარდა.

— ფხიზლად!

— გამოგვეცხადე, გადარეულო? — უთხრა საწყობის გამგემ.

— ეს რა შეგიძენია?

— რა?

— შეხედე, რა არაჩვეულებრივი დღურბინდია! ახალია?

— დადე თავის ადგილზე.

— თანამედროვე დღურბინდი, — განაგრძობდა სერჟანტი, როდესაც საწყობის გამგე ქალაღლებით გაერთო, — აუცილებლად უნდა იყოს სამ ან ოთხლულიანი და უსათუოდ ფერადი. ერთ მილში ხედავ ზღვას და მთებს, პეიზაჟს და ხედებს, მეორეთი — მოცეკვავე და მომღერალ ცოგონებს, მესამეთი —

გორის ანდრონიკაშვილი
ბაბაშაბი

კინოს და მეოთხეთი კი — ტალი როგორ თამაშობს ჭადრაკს. გადააბრუნებ მილებს და ყველაფერს ხედავ. ნუთუ არ გაგიგონია ასეთი დურბინდის არსებობა?

— არც გამიგონია და არც მინდა გავიგონო, — უპასუხა საწყობის გამგემ.

— ეჰ, გაუნათლებლობა, სიბნელე, — წარმოთქვა სერჟანტმა, — მხოლოდ ქალღღებების შრიალი იცი. ას მეტრზე სირბილიც კი დავავიწყდა ალბათ?

— ეს შენი საქმე არ არის, — გაუტრიზავა საწყობის გამგემ.

ჯარისკაცი შესასვლელთან იჯდა, უცდიდა, როდის დაიძახებნენო.

მიიღეს საქონელი, ხელი მოაწერეს სადაც ჯერ არს და ისევ ალაყაფის კარით გაიარეს.

— თქვენი საწყობის გამგე პესიმიზმითაა შეპყრობილი, — უთხრა სერჟანტმა კაპიტანს. — მთლად ჩამყავდა ბიჭი. საჭიროა ას მეტრზე სირბილი დროებით.

— უმჯობესია მიპასუხე, შენი ქალბატონი რასა იქმს? — ჰკითხა კაპიტანმა.

— თქვენ საიდან იცით? — გაოცდა სერჟანტი.

— დავინახეთ ერთხელ, ნაყინს რომ შეექცეოდით... კარგი გოგონაა თუ... ისე...

— მარტოხელაა, ამხანაგო კაპიტანო.

— რას ნიშნავს მარტოხელაა?

— როგორ რას? მარტო ცხოვრობს, არც შეილი ჰყავს და არც ქმარი.

— რა საოცრად ივარცხნის თმას. პარკი მანხერია მგონი, ხომ?

— სწორედ ასეა. რაც შეეხება ვარცხნილობას — დროებით მოვალევი ნებთ.

— ნუ აწყენინებ, — თქვა კაპიტანმა, — რახან მარტოხელა ყოფილა, ისე მოიქეცი, რომ პირიქით გაუხარდეს.

— მესმის, ამხანაგო კაპიტანო.

— რა ჰქვია სახელი?

— ნინკა... ნინა ივანეს ასული, — გაასწორა სერჟანტმა.

ოთხთვალა ეზოდან გავიდა. ნინკასთან მიგრიალდნენ კიდევ უფრო თავ-

მომწონედ, მიადგნენ კარს და უნდა გენახათ, როგორ აენტო ნინკა, სახე გაუბრწყინდა, სერჟანტმა მაყვლიანი დალა გაუწოდა და ამხანაგს უთხრა:

— გამოიარე! დალახვროს ეშმაკმა, — გაუწერა ბომბორა კატას, რომელიც მათ დანახვაზე მძიმედ ჩამოხტა მავიდიდან.

— იყოს, იცოცხლოს, — მხიარული ხმით უპასუხა ნინკამ, რომელიც სამზარეულოში რალცას ახმაურებდა.

ნინამ ცერად გახედა ჯარისკაცს, რათა გამოეცნო — ჩვენი კაცია თუ არაო.

— რატომ დავაგვიანდა შემოვლა?

— სამსახურის ბრაღია.

— დარჩით ტელევიზორის საყურებლად...

— ენახოთ.

მაგიდას შემოუხსდნენ, ჯარისკაცებმა საყელო გაიხსნეს, ნინამ კი მაგიდაზე შემოდგა საუკეთესო კერძი — ქონში მოხრაკული კარტოფილი, პური დიდ ნაჭრებად დაჭრა, პამიდორს მარილი მოაყარა. ჯერ ერიდებოდათ ერთმანეთის, შემდეგ კი გათამამდნენ ჯარისკაცები და ხიშტის ამბავსაც კი მოყვნენ. ეს მთელ ლეგიონში ცნობილი ამბავი იყო. ერთხელ სასწავლო ჩათვლა ჰქონდათ ცურვაში, რასაკვირველია, მთლიანი ჩაცმულობით, ხელში შამხანები ეჭირათ. სინიცინი (რიგითი ჯარისკაცი), რომელიც ზუსტად ჩაეტია ნორმატივში, რიყეზე სველი გამოვიდა; ასეულის მეთაურმა ყურადღება მიაქცია მის შამხანას, მას ხიშტი აღარ ჰქონდა.

— სანამ ხიშტი თავის ადგილზე არ იქნება, აქედან ფეხს ვერ მოიცივლით, — უთხრა კაპიტანმა.

მთელი ასეული დაიყო ხუთეულებად და შეუდგნენ ხიშტის ძებნას წყალში, კაპიტანი კი იჯდა ნაპირთან და იცდიდა. თვითონ სინიცინი თითქმის სულ არ ამოდებოდა ზედაპირზე, მაგრამ ამას არავინ არ აფასებდა, ისე იყვნენ გაბრაზებულები. ამ ამბის მთელი გემო და ლაზათი ის იყო, რომ ის დაწყევლილი ხიშტი თვითონ სინიცინმა იპოვა. როდენ-

საც წყლიდან ამოვიდა, თვალები ყაყა-
ჩოსავით დაწითლებული ჰქონდა. შემ-
დეგ, ღამლამობითაც კი წამოვარდებო-
და, რათა დაეხედა, ადგილზე იყო თუ
არა მისი ხიშტი.

ყვებოდნენ სხვა მხიარულ ამბებსაც
არმიული ცხოვრებიდან, ნინა კი ხან
რალაც შეკითხვებს აძლევდა, ხან რო-
გორღაც შეაჩერებდა და თავად ლაბა-
რაკობდა, რათა მისი არსებობა არ და-
ვიწყებოდათ სტუმრებს.

შემდეგ ნინა ჩაის დასადგმელად წა-
ვიდა. სერჟანტი იცავდა სამხარეულოში
და ფრთხილად და ნაზად მოეხვია, რა-
თა ქალი მიმხვდარიყო, რომ მას უყვარს
იგი, ნინა წუთით მიეკრა მის მკერდს
ლოყით, მადლიერებით გაბრწყინებუ-
ლი თვლებით ახედა და იმწუთსავე და-
ბრუნდნენ ოთახში, დასხდნენ თავთა-
ვიანთ ადგილებზე, კმაყოფილები, რომ
უყვარდათ ერთმანეთი.

ასე ისხდნენ, ყველაფერი მშვენიერი
და კარგი იყო, და სამყაროც ნამდვი-
ლად უსასრულო და სუფთა, რადგან იქ
და მათ გულშიც არსებობდა სიყვარუ-
ლი და მეგობრობა და ამ საღამოს მე-
ტი არაფერი არ უნდოდათ, მეგობრო-
ბისა და ურთიერთგაგების გარდა.

ამასობაში ჩვენი მხიარული ჭაბუკე-
ბი ქუჩაში მოდიოდნენ და ხმამალა
იციინოდნენ დღევანდელი თავგადასავ-
ლის გამო, ლურჯთვალემა გოგონასა და
მის მეგობარზე და კიდევ ვინ იცის რა-
ზე. ისინი კმაყოფილები იყვნენ საკუ-
თარი თავითა და ცხოვრებით, შესმუ-
ლი ღვინითა და მარწყვით, ქუჩაში მო-
დიოდნენ ფეხების ფრატუნით და ხარ-
ხარით. აქ მათ შენიშნეს სამხედრო
ოთხთვალა. შეჩერდნენ და თვალთრე-
ბა დაუწყეს. — შეხედე, — თქვა ერთ-
მა, — რა გაფუტებული კულებია!

— ჰო, — უბასუხა მეორემ, — აი
მესმის კულები!

ღობის გადაღმა მარტო იდგა კარგად
გამოწყობილი ნინკას მეზობელი გოგო-
ნა და მხესუმზირას აკნატუნებდა.

— რაო? — თქვა მან, — საინტერე-
სოა?

— ეს ვისი კულებია? — შეეკითხნენ
ისინი.

— იმისი, — ანიშნა მან ნაბეჭადი
თებული ფანჯრებისაკენ.

— სამხედროსია, ხომ?

— აბა რა სამხედროებია? ჩვეულებ-
რივი ჯარისკაცები არიან.

— რასაკვირველია, გენერლები ასეთ
ოთხთვალაზე არ დაჯდებიან. — თქვა
ერთმა, მეორე კი შეეკითხა მეზო-
ბელს: — შენ რა გქვია?

— გალია. მერე რა იყო?

— მაკრატელი გაქვს, გალია?

— მაქვს, — უბასუხა გოგონამ, თით-
ქოს ვერ მიხვდა, რისთვის უნდოდათ.
იგი სიბნელეში გაუჩინარდა და მალე
მობრუნდა ბაღის მაკრატლით ხელში.

— მხოლოდ ასეთი მაკრატელი მაქვს,
— თქვა ცბიერად. — მაინც რად გინ-
დათ?

— გაჩუმდი, ხმა არ ამოიღო, გალია,
თორემ შენ მოგაჭრით რამეს, — უთხ-
რეს ბიჭებმა, თან სიცილით იგულდუ-
ბოდნენ, — იკვრიდიდან მიდი, გვერდი-
დან!

ნინას ფანჯრიდან ხმამალალი სიცი-
ლი გაისმა.

— მალე შეჭერი. მალე უფრო მე-
ტი სიცილის გუნებაზე დადგებიან.

ბიკოვი, სინიციანი და ნინა ძალიან
მხიარულად იციინოდნენ, თუმცა თით-
ქოს არაფერი სასაცილო არ მომხდარი-
ყო. ნინამ თქვა:

— ახლაც, როგორც შარშან, ლი-
ქიორს მოვადულებ ვარდისაგან. მე ორი
ხარისხის ვარდი მაქვს — „ყაზანლიკის“
და „გარუზო“, მაგრამ „ყაზანლიკის“
უკეთესია.

— ჩვენ გავვიმასპინძლები? —
ჰკითხა ბიკოვმა, თან სინიციანს მხარი
გაჰკრა.

— რასაკვირველია, — უბასუხა ნი-
ნამ.

— მეც? — ჰკითხა სინიციანმა და ბი-
კოვს უბოძგა.

გორის ანდრონიკაშვილი
მამუკაძე

— რასაკვირველია, თქვენც. თქვენ ხომ ახლა ჩვენი მეგობარი ხართ.

გაიცინეს. ამ დროს ფანჯარაზე გალიამ მიაკაკუნა.

— რაო, ნინკა, საპარიკმახერო ახლა სახლში გახსენი? — შეუძახა მან. — ისიც ცხენების, მალე ალბათ ძაღლებსაც გაკრეჭავ!

ბიკოვი და სინიციანი გამოვიდნენ სახლიდან და ოთხთვალასთან მიიბრინეს, დამახინჯებული ცხენები კი წრიალებდნენ, აბრიალებდნენ სისხლჩამდგარ თვლებს. ოთხთვალასთან სხვა მეზობლებიც იდგნენ და გალიას სულელურ ფრაზას, გახსნა თუ არა ნინამ სახლში საპარიკმახერო, წამდაუწუმ იმეორებდნენ, გულს იოხებდნენ. ხალხმა გზა მისცა ჭარისკაცებს. ბიკოვი კულებს მივარდა, სინიციანმა კი ცხენებს აღვირში მოჰკიდა ხელი, თითქოს შეეშინდა, რომ ცხენები ყოველივე ამის შემდეგ სადღაც გაქანდებოდნენ. ცხენების ძუა გარშემო ეყარა, გალია აგროვებდა და სიმაგრეს უსინჯავდა.

— ვინ ჩაიდინა ეს? — იკითხა გაცეცხლებულმა ბიკოვმა.

— ჩვენ არ დაგვინახავს, არაფერი არ ვიცით. — აყაყანდნენ ირგვლივ. — აი იმან დაინახა; ჩვენ ისიც არ ვიცოდით, რომ აქ თქვენი ცხენები იყო.

— ვინ ჩაიდინა ეს? — მოუბრუნდა ბიკოვი გალიას.

— ვინ იქნებოდა, — დათაფლული ხმით უპასუხა მან. — ვინმე ნინკასი იქნებოდა... მოგესხენებათ, ახლა კავალრები როგორი ეჭვის თვალით უყურებენ ერთმანეთს.

— ტყუის! — იკვილა ნინამ. სინიციანმა ეჭოსავით გაიმეორა.

— ტყუი! გაფითრებულმა და გაბრაზებულმა ბიკოვმა გარშემო მიმოიხედა, კუნთები აუთამაშდა, შემდეგ შეხტა კოფოზე და სადავეები მოზიდა. ნინკამ მეორე მხრიდან შემოუარა და შეეკითხა:

— დაგვიან ამისათვის, ალიომენკა?

მისი თვალები კი ამოზნექნილი არაფერ შუაში ვარ, მითხარი რამე გამომშვიდობებისასო.

უფრო დამფრთხალმა შეეკითხა: — მოხვალთ ვარდის ლიქიორის მოსადუღებლად?

სერჟანტმა უცებ მოიშორა.

— უმჯობესია ის მითხარი, როგორ გამოვცხადდე ნაწილში, რა მოვახსენო უფროსს?

— ნუ ყვირი! — უთხრა შეშინებულმა ნინამ, თან ნაზად დაუმატა:

— ნუ გამიჯავრდები, ალიომენკა, მე ხომ არაფერ შუაში ვარ...

— ჭირმა წაგიღოთ ყველანი! — მიახალა გაბრაზებულმა ბიკოვმა და სადავეები მოქაჩა. ცხენები ადგილიდან მოწყდნენ. სინიციანი გაიქცა კოფოსაკენ, შემდეგ ნინასთან, ტაში შემოკრა; აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, მერე დაეწია ოთხთვალას, ძარაზე ახტა.

დანარჩენები დიდი ხანია გაჩუმებულიყვნენ. აღარ ხუმრობდნენ, მიხვდნენ, რომ ჭარისკაცებს უფროსების წინაშე პასუხი უნდა ეგოთ, ამხანაგების დაცინვა აეტანათ, შესაძლოა ჰაუტტეახტშიც ჩაესვათ იმისათვის, რომ ვერ მოუარეს სამხედრო ქონებას; ანდა რა იყო აქ სასაცილო, პირიქით, ცოდვანი იყვნენ, გუნებაწამხდარნი წავიდნენ. მხოლოდ მეზობლის გოგონა არ ცხრებოდა და იგესლებოდა.

— საყვარლები! — მიძახა მან ჭარისკაცებს და გამარჯვებულივით შეხედა ნინას, რომელიც შეწუხებული შებრუნდა ოთახში.

ჭაბუკები კი მიდიოდნენ გზატკეცილზე, ნაპირის ივასწვრივ და სიცილით იგულებოდნენ, იგონებდნენ ხან ამას, ხან იმას, როგორ ჩამოსრიალდნენ გოგონები მთიდან, ცხენებს, პლაცის თავდადასავალს. ისინი ძალზე კმაყოფილები იყვნენ გატარებული დროით და მიღებული სიამოვნებით.



დმიტრი პავლიჩკო

ლენინის კაბინეტში

კრემლში, ვ. ი. ლენინის კაბინეტში, სამუშაო მაგიდის ახლოს, თაროზე დევს ბ. გრინენკოს უკრაინულ-რუსული ლექსიკონი

მე ვიდექ მასთან —
 უჩინო და თავისუფალი,
როგორც გლობუსთან —
 პაწაწინა ხორბლის მარცვალი.
რუსეთის ზეცა...
 გახელილი, მოუქუფრაგი...
უკრაინული,
 მშობლიური სიტყვის მარტვალი...
რომ დაენახა ტარასს აგრე
 ეს ყველაფერი —
გაიღიმებდა კმაყოფილი,
 გულის მოგებით,
ხოლო ლენინი მეკითხება:
 „აბა, საქმენი
რარიგ მიდიან,
 რა გახარებთ,
 რითი ღონდებით?“
და მე ვიხსენებ ჩემი ხალხის
 ბედის მოტირილს,
შეუწყვეტელი ჭირ-ვარამის გამო ვუყვები,
და ვფიქრობ ჩემთვის:
 „კომუნიზმი — პოლიგლოტია,
და ყველა კილო ესმის უკლებლივ“.
მე მაგონდება ერთი ზანგი,
 ხანმოთუელი,
სწავლობდა რუსულს,
 და შეიცნო ენა თავისი,



და უკვე იცავს დედაენას,
 და უჩვეულოდ
 ებრძვის მოძალეს,
 ყოველ ტყვიას ებრძვის ხალისით!
 ვით ჯარისკაცი,
 მოკლე პატაკს მოგცემთ,
 ვეცდები

ამ მიწისმიერ,
 ამ ცისიერ გზათა ჩვენებას...
 შენ, კამენარო,
 სათარიღო წერე ლექსები,
 ტარას,
 მშობლიური ჩამოდვენთე
 სიტყვა ჩქერებად!

არ დაბინდულა,
 არ ჩამქრალა მისი თავანი,
 ვერ მოერია
 ელვარებას
 ყინვა ძლიერი,
 და დღეს ყველანი მასთან ერთად
 ვდგებით თამამად,

რომ ყველა ენა,
 ყველა კილო
 იყოს ხმიერი!
 სადაც ოთახი, როგორც ქოხი მამისეული
 გაიხსნა ჩემთვის
 და გაიხსნა
 ქვეყანა მთელი,
 უკრაინული ლექსიკონის ტომი ვრცეული
 მე
 სიყვარულით
 გამოვართვი
 ვლადიმერ
 ლენინს!

შენ,
 ვალუევის¹
 ნაშიერო,
 ამ მტკიცე ხელით
 ვითარცა სილა,
 მსურს გაგაწნა
 სიმძიმე წიგნის,
 ვინემდის უნდა მოძვრებოდეს
 მგესლაგი გველი —
 ჩვენი მამულის კედლების შიგნით?
 ჩემს ალალ ენას

¹ ვალუევი — შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე III-ის კარზე, უკრაინული ენის ამკრძალველი.



ერთი წაკვლაც
არ ასცდენია,

არ ასცდენია

სიძულვილი

განაწირისად,

და შენ გინდოდა გაგეყიდა,

ვითარც გრევევია, —

არგებდი მარყუჟს აბრეშუმის თეორიისა.

შენ ამბობ:

„ძმებო,

ჩვენი შერწყმის

დამდგარა ჟამი!“

მე გეკითხები:

„ვით შეირწყმის

წყალი და სისხლი?“

ვოლგას რად უნდა

ბუგის წყალი,

ან დნებრის წყალი,

დახველის სისხლმა ვით იმღეროს

სიმღერა სხვისი?

სიკვდილის ცელით მოგცელავენ შვილები მალე;

ამაოდ ელტვი,

რომ მოსკოვთან

წაგვეკიდო მყისვე,

აღარ იქნება კომუნიზმი

რუსეთის გარე,

აღარ იქნება

საქართველოს გარეშე,

ვიცი,

თუ კი შევჩვენო კვლავ შევჩვენო

არ იქნა ისევ,

თუ რაინისი

აღარ იქნა კვლავ რაინისი.

მე წყვედიადიდან მოვდიოდი

სამასი წელი,

მე მოვდიოდი,

როგორც ხმალი

ამოფრენილი,

უკრაინული

ლეჟსიკონი

მიჭირავს ძველი

და

ვეძებ სიტყვას,

დაეძებდა რასაც

ლენინი.

თარგმანა მურომან ჯგუჯურია



ვთქვათ და დაგბრმავდი, უკრაინავ,
 ვთქვათ და დაგბრმავდი.
 შევეძლებ ცხოვრებას
 უნახავად შენი კორდების?
 შევეძლებ!
 თუმც ნატვრა თან გამყვება
 კუბოს კარამდის
 და შენი დნეპრის ოქროს ნაპირს
 ვერ მოვშორდები.

ჩემს სიბნელეში,
 ისე, როგორც სიმართლის ძახილს,
 შენი ტყეების ბულბულის ხმას
 გავიგონებდი,
 გამინათებდა ბულბულის ხმა
 გზებს, ღამით დაღლილს
 და განათებულს

ძველებურად ჩაგიკონებდი.
 საშინელება სულ სხვა რასე
 არის, მანულო,
 დაჰკარგო სმენა —
 ვერც იფიქრებ უფრო ამაზრუნეს,
 რადგანაც ქვეყნად
 არვინ მღერის უსიყვარულოდ,
 შენს სიმღერაშიც სხვა დარდია,
 სხვა სილამაზე.
 თვალი მიჭირავს
 ყვავილებით საესე მოლისკენ,
 კარგია მზერა
 შენი დნეპრის, შენი კორდების,
 მაგრამ დიდებულს, შენს სიმღერას
 თუ ვერ მოვისმენ,
 გარწმუნებ, დედა უკრაინავ,
 უმაღ მოგკვდები.

პიგალი კოროვიჩი

პ ი ე ვ ი

არ არის ალბათ ქვეყანაზე
 მართალი სიტყვა,
 რომელიც პოეტს
 სიყვარულით შენთვის არ უთქვამს.
 შენ რომ დაანთე —
 ის ბრიალა კოცონი მიყვარს,
 მას რომ აჩაღებს —
 ვენაცვალე იმ ქარის სუნთქვას.

ჩემი ოცნების მდინარენი
 ჩადიან დნეპრში
 და ნაპირებზე არყის ხე და
 ტირიფი ტირის.
 ყოველ წელიწადს
 ანთებული წაბლის ხე ფრთებს შლის
 და ცრემლებს უშრობს
 ცხელი კოცნით მტირალა ტირიფს.

შენ საჭირო ხარ
 ჩემი ყოფნის ტირისა და ღხინში,

ძმა და ერთგული რომ გიწოდო,
 მომეცი ნება.
 შენა ხარ ჩემი —
 და სიყვარულს შენსას ნუ მიშლი,
 შენა ხარ ჩემი.
 ხარ სიცოცხლე და უკვდავება.

დღეს შენს ბალებში,
 ყმაწვილები სიყვარულს მუდმივს,
 ღამაზე გოგონებს უმტკიცებენ
 გულწრფელი სიტყვით.
 საღამოს
 ცისთვის შეუღეკავს
 ფულეები ხურდა
 და შენი ცისქვეშ თვალებს ნაბავს
 სითბო და სიტკბო.

მე შენს ქუჩებში დავაბიჯებ
 მთვარისით, მზისით,



შენთან ვმუშაობ,
შენთან ვცხოვრობ
და შენით ვსუნთქავ.
ნათესავია ჩემი —
შენი ღრუბელიც, ნისლიც
და შენი ქუჩა ჩემი ძმაა —
ნაღდი და სუფთა.
იღიდოს შენი სიყვარულით

ბავშვმა და კაცმა,
მოედინება ჩემი დნებრი
დინჯად და მდორედ,
თან მიაქვს
ძველი ტკივილების
ტანჯვა და ჯვარცმა
და მე ვუყურებ
მომავალის მშვენიერ შორეთს.

თავდაპირველად

თავდაპირველად შენ არ იყავი,
იყო წუხილი და სიხარული,
იყო მშვიდობა, იყო ქალაქი
და მე ვცხოვრობდი გაურიყავი —
სიზმრებისა და ბედის ხმაურით.

უცებ მოხვედი და ყველაფერი —
ცა, ვარსკვლავები, ერთად წამართვი...
ერთად წამართვი ფიქრი ცხრაფერი,
ოცნება, წყარო და მისამართი,
სუყველაფერი ერთად წამართვი.

ადამიანებს ველარ ვამჩნევდი,
ველარ ვხედავდი ცეცხლსა და მწვერვალს,
ეს დედამიწაც თითქოს გაჩერდა
და დაეკიდა მზეს ბედისწერად.

ხელაპყრობილი, როგორც წარმართი
ვდგავარ და შენი ნახვა მწყურია...
სუყველაფერი ერთად წამართვი,
ახლა მარტო ვარ,
მარტო, სრულიად.

თარგმანა ჯანსუღ ჩარაჰვიანმა

ი ვ ა ნ ღ რ ა ჩ ი ი

ქ ა ხ ვ ე ლ ი

მე შევიწოვე მათრობელა და სქელი წვენი
ყინულის მწკლარტე მტევენებიდან,
მე შევიწოვე ოქროსფერი და ტკბილი წვენი
მზით გაბრუებულ ოქტომბრებიდან,

მე შევიწოვე ცხარე წვენი ფოთოლცვენისა,
კბილის მომჭრელი შემოდგომისა,
სატრფოს ბაგისა
და დედობისა.



და ჩემს კბილებზე მწუსხარება ღრჭიალებს ახლა.

დაშაქრებულია ჩემი ნერწყვი
და გამთიშველი წლების გადაღმა
მიედივარ მისკენ.

ჩემი ცახცახა და ცხელი ხელი
ფრთხილად ეხება მის გრილ ძუძუებს.
მაგრამ ის გულზე მარტყამს მარჯვენას
და სიამაყით მარიდებს სხეულს
ფესვებდამსკლარი არისტოკრატი, —
რადგან ჩემს ფეხებს,
ახალმოდური

ფეხსაცმელებით რომ შემოსილან, —
ვერ მიუგნიათ ძველი კვალისთვის.

ფ რ თ ე ბ ი

სახალწლო ბალადა

მოისწრაფოდა ახალი წელი
და საჩუქრები მოჭქონდა ჩვენთვის:
ვისთვის — ჩიბუხი
და ვისთვის — ქუდი,
ვისთვის — ბარაქა
და ვისთვის — ქარი,
ვისთვის — ჭალარა
და ვისთვის — ღინღლი,
ვისთვის — მარილი კართოფლისთვის...
კირილესთვის კი ფრთები მოჭქონდა.

ჩვეულებრივი დღე იყო თითქოს,
მაგრამ უეცრად, როგორც დანები,
ამოეზარდნენ კირილეს ფრთები,
გამოჭრეს მისი ბამბის პერანგი
და ჩაისუნთქეს ხარბად ჰაერი.
ათრთოლებულნი სიხარულისგან
მზეზე გაბრწყინდნენ ცისფერი ფრთები,
ცას და სინათლეს მონატრებულნი.
სამაგიეროდ ძია კირილე
დაღონდა ძლიერ.

(ვინ ბედს ეწია,
ვინ მზე იხილა,
ვინ — სიქალწულე
და ვინ — სიკვდილი,

ხოლო კირილემ,
ღმერთო, შემინდე,
ცისფერი ფრთები).

ცოლი ბრაზობდა: ჩვენს გარდა ყველას
ბედი კალთაზე აქვს გამოზმული:
ვის ფოცხი შეხვდა,
ვის — ტკბილი აბი,
ვის — საცხეველი
და ვის — კოპტონი.
ხოლო ამ მახინჯს,
ღმერთო, შემინდე,
ჩემხველა ფრთები.

მაშინ კირილემ იხმარა ჭკუა
და თავისუფლად რომ ეგრძნო თავი,
აიღო ხელში ბასრი ნაჯახი,
მორზე დააწყო ბრჭყვიალა ფრთები
და მოიკვეთა.
მაგრამ როდესაც აყვირდა ჭოტი
და მოეფინნენ ცას ვარსკვლავები,
დამცინავად რომ უთვალთვალეზდნენ
ძია კირილეს, —
ისევ ამოჭრეს ფრთებმა პერანგი
და გაიშალნენ ზამბარებივით.

მაგრამ კირილეს ჰქონდა ნაჯახი,
გამდიდრდა კიდეც მისი წყალობით:
მოჭრილი ფრთებით დახურა ქოხი
და შემოღობა დიდი ბოსტანი.
შესციცინებდა იმ ფრთებს ესთეტი,
ხოლო პოეტებს მიჰქონდათ ჩუმად,
რომ მათ მუზასაც ჰქონოდა ფრთები.
ხოლო მოჭრილი ფრთები სიზმარში
ზეცას ხედავდნენ.

(ვინ მზით აივსო
და ვინ — სიბილწით,
ვის პური ერგო,
ვის — ნაპურალი...
ხოლო კირილეს, —
არ გაუმართლა —
ცისფერი ფრთები).



ო, გაკატია!

ჯერ ადამის ძეს ეს არ უნახავს,
ეს არ სმენია ჯერ ადამის ძეს:
ერთი ხასხასა თვითმფრინავი
ცას მოსწყდა უცებ
და ზედ საფლავეზე წარგო თავი
მიწის სუროში...

ამოიმშრალა თვითმფრინავმა თვალები ფრთებით,
ქათქათა ფრთებით იმშრალებს თვალებს
და გმინავს, კვნესის...

ლამაზი ცხვირი მოთხვრია მიწით
და უგუგუნებს გრიგალი მკერდში.

განმბანე, გვედრი, კამკამა წყალში --
ცისფერო სუროვ!..

ეს არ სმენია ჯერ ადამის ძეს,
ჯერ ადამის ძეს ეს არ უნახავს...

ო, მაპატიე, მაპატიე,
ლურჯთვალა სუროვ!..

თარგმნა გივი ძნელაძე

მიქოლა ვინგრანოვსკი

მ ო ქ ღ ვ ა რ ს

კონსტანტინე გამსახურდიას

მოდღვართ, დაჰკრა ჟამმა, როცა პირისპირ დადგნენ
შენი სიბრძნე და ჩემი სიმხნე ახალგაზრდული...
მდინარე ბორგავს, ფერს უკარგავს მიმწუხრი საგნებს,
მთიდან კი ღვარად მოქუხს დილა და გაზაფხული.
ხორევის ჟღერის, დავითის ხმის გამოძახილი
ყოველ ჩვენგანში იგუგუნებს აწ და მარადის...
გულში ზარივით ჩამორეკავს ჟამი ახალი,
ჩვენთა სულთა დრო — უკუნისად არწარმავალი.
საკუთარ თავის ფასი ვიცით დიდი ხანია,
ჩვენი ხმა სუნთქავს და გულები მეტყველებს კვლავაც,
მთათა სიმძიმე ხშირად ზურგით აგვიტანია



და ჩვენს თითებში არასოდეს ეძინა კალამს.
 ჭალარასავით შერევიდა სიყვარულს სევდა,
 მაგრამ ჩემს გრძნობას ვერ წარხოცავს ვერასდროს ნისლი.
 აჰა, ესერა, დღეს სადგურზე გამოსულს გხედავ
 და მღიმიარ ბაგეს ეწვევთება ტიტათა სისხლი.
 იარე ასე! ჩემს ნაწილად მოიქეც ჩემში!
 გემშვიდობები... რაც მიყვარდი, ყოფილა ცოტა...
 დე, შენს სიყვარულს დავეწაფო მარადის პეშვით,
 არ დავაქციო, არ დავშრიტო, არ ხელვეყო ოდნავ!

შპარინულიდან თარგმნა ნინა აბასაძემ

ჰიქმეთის ღაბრუნება

ძრწოდე, თურქეთო! ის მოდის შენსკენ,
 შუალამისას დაამსხვრია თავისი კუბო.
 მწვანე წყვილიაღში ხელის ცეცებით
 ის მოდის შენსკენ, რადგან პოეტი
 სამშობლოს უხმობს სიკვდილის შერეც.
 ის მოდის შენსკენ მრავალი ფესვით,
 მრავალი ქვეყნის მრავალი ფესვით,
 კაცობრიობის მრავალი ფესვით,
 შავი ზღვის ზევით,
 შავი ზღვის ქვევით
 ის იდაყვებით მოცოცავს შენსკენ,
 მოცოცავს მუხლებგადაგლეჯილი,
 შენი პოეტი, გესმის, სამშობლოვ,
 შენი პოეტი მოცოცავს შენსკენ!..

შემინდე, რომ ვთქვი შენი სირცხვილი
 და როცა ძილი მოგერია, ხმა ავიმალღე,
 რომ ვქვითინებდი და არ ვმღეროდი,
 რომ ქედმოდრეკილს სახეში გცემდი,
 რადგან ბრმა იყავ და გთელავდა ჩექმა
 ფაშისტის

და ხერხემალი გქონდა რეზინის.
 შემინდე-მეთქი ჩემი საკანი
 რომ მაწამებდნენ, რომ მალპობდნენ,
 რომ მაფურთხებდნენ,
 რომ ვარსებობდი, შემინდე-მეთქი!
 შემინდე? მართლა? იყავ წყეული!
 მაშინ შენ მე ვარ. მე ვარ თურქეთი!
 მე ვარ თურქეთი და ის თურქეთი,

რომელსაც ჰქვია თავისუფლება!
ო, თურქეთებო! ძრწოდეთ და ძრწოდეთ!
ქვეყნად პოეტი არასოდეს არის თხუნულა.
სამშობლოს თვალი იმზირება პოეტის თვალით.



იაროსლავნას ტირილი

ივან ღრანს

სიცოცხლე გაქრა. სიკვდილია ჩემი ბუნაგი.
მე მე არა ვარ. ჩემი სულის მიუსაფრობა
დღეს იქ ქვითინებს, დედამიწა სადაც ბრუნავდა
და სადაც კაცი იცინიდა, იქ უდაბნოა.

ო, ივანოჩკა! აღარ ცხოვრობს კაცი მომავლით,
არც სევდით, აღარც სიხარულით, აღარც ხუნდებით.
მხოლოდ წყვედიადი გადაშლილა წყალბადოვანი...
შენ ვენერიდან წამოსული სად დაბრუნდები?!

მე რომ ვტიროდი, ივანოჩკა, როგორც გუგული,
ის დრო წავიდა, ჩემი ქარი აღარ ფრიალებს,
დამწვარა დნეპრი. ხმაა ჩემი გადაბუგული,
დავეხეტები და დავყურებ სიცარიელეს.

სად გადაგორდა დედამიწის ვეება ბურთი!
იაროსლავნას უპეებზე ცრემლები უთრთის...
ო, ივანოჩკავ, ივანოჩკავ! საით წახვედი...
კოსმოსის მკერდზე მე ვარ სრბოლა თავბრუდამხვევი...

თარგმანა გივი გაგუაქორმა

ცამეტი ბალბა

სარკმელთან მზეზე ზიმზიმებდა ცამეტი ბალბა,
მეთოთხმეტე კი...

მეთოთხმეტე ფეთქავდა თეთრად...

ცამეტი ბალბა

ცამეტ ზღაპარს ჰყვებოდა ალბათ, —
ის ერთი — თეთრი — სადღაც გაჰქრა
და აღარ ფეთქავს.

ცამეტი ბალბა

სარკმლის გასწვრივ ბურუსში ყვინთავს,

ცამეტი კენესა
გულსაკლავად ასკდება კარებს...
შორს,
ჰორიზონტზე,
რუსი ფარა გამოჩანს ზვინთა
და სისხლი მზისა
ყვითლად ღებავს არეს და მარეს.

ცამეტი ბალბა, —
ცამეტი წვა,
ცამეტი ფეთქვა;
ცამეტი ბალბა, —
ზენაართან ჩურჩული წუხვით...
თავგანწირული ტოქობა და ჭიდილი ფერთა:
წითელს — ყვითელი შთანთქავს,
ყვითელს — ერევა რუსი.

ნათელი ხატი, —
ღამღამობით მომზირი შავად;
ნეანდერტალურ ხეთა რიგი
ტაძართა გასწვრივ;
ხელები თეთრი
და თითები — მსუნთქავნი წყნარად —
ო, დღემდე,
დღემდე ჩაუქრობლად მინთია თვალწინ...

მე ვტირი...
სითეთრეა ირგვლივ.
მე ბრმა ცრემლებით ვტირი...
აღარ ძალმიძს სიტყვის დაძვრა, —
სიტყვები აღარ მყოფნის და... ვტირი.

თარგმნა გივი ძნალაძე

ბოკის ოლქი

ისტორიაში ბევრ დამპყრობელს ახლაც აქებენ,
მათი სასტიკი სახელები სად არ ისმოდა!
დრომ გამოორიყა სარკოფაგები,
როგორც ლამაზი ნიჟარები მარადისობის.
ჩვენმა დროებამ უკუაგდო ძველი ღმერთები,
ლომ-არწივები მოაშორა დროშებს და ღერბებს,
მაგრამ ზოგიერთ სახელმწიფოს რა ემართება,
ქედს რატომ უხრის ახლებურად სხვა, ახალ კერპებს.

სდუმან სფინქსები
მრავლის მთქმელი მკაცრი პროფილით
და ამ დუმშილში უთვალავი დრო გატიალდა.
ნეტავ ვიცოდე,

მონები რომ არ ყოფილიყვნენ,
იარსებებდა ქვეყანაზე მოდგმა ტირანთა?

თარგმნა შოთა ნიზნიაიძემ



ციკლიდან „წრძი“

მთვრალი სვიატოსლავის თავის ქალა
მოუყუდებია ფხიზელ პაჭანიკს — ღვინოს ეწაფება.
მაკოლა ზეროვი

თქვენ — თვალეში რომ ჩაგდგომიათ სიწმინდე დიდი,
თავისუფლებას რომ მონებთ და ემსახურებით,
ალესილ ხმლებით ბოროტებას შუაზე ჭრიდით,
ხშირად აბჯარი არა გცმიათ ტანზე სრულებით.

გათრობთ სიწმინდე საკუთარი და გენისლებათ
გონება, ბედის ბნელ სასწორზე თამამად დგებით...
იღიმებიან მორიდებით ამ დროს ფხიზელები:
„დიდება გმირებს, მათთვის ჯვრებად დავთალოთ ქვები“.

და წრეს მიყვება ყველაფერი,
წვიმა ცვლის ქარებს,
წლებს წლები მისდევს და განგების სრულდება ნება.
მთვრალს ავიწყდება — ბრძოლის ველზე წაიღოს ფარი,
ფხიზელი კაცი სულ სხვა გახლავთ — არასდროს ცდება.

თარგმნა ემზარ კვიციანიძემ





საქართველოს მწერთა კავშირი

რამდენიმე სიტყვა უკრაინული ახალგაზრდული პოეზიის შესახებ

„შემოქმედეს არა აქვს მკაცრი ნორმები, ის თვითონაა ნორმა, თვითონ ქმნის საკუთარ სტილს.“

ასე განაცხადა თავისი სამახსოვრო დებიუტის დროს ივან დრახმა მთელი იმ პოეტური თაობის სახელით, რომელმაც უკრაინულ პოეზიაში მოიტანა პრინციპულად ახალი სიტყვა და დიდი, შიშვეული სინდისი.

ი. დრახმა და მის თანატოლებს ყველაზე ნაკლებ აკმაყოფილებდათ საკრთო ჰუმორისტებიანი, ერთ წერტილზე გაყინული წარმოდგენები, ინერტული მგრძობელობა. თაობა, რომელსაც ბევრი რამ ასწავლა ისტორიის მწარე გამოცდილებამ, განსაკუთრებით მწვეველ გრძობდა უმცირეს წინააღმდეგობასაც კი სიტყვასა და საქმეს შორის, მიზანსა და საშუალებებს შორის. არავითარი ფრთხილი შემრიგებლური „საშუალო ხაზი“ აზროვნების მიმართულებით! აქედან — მწვავე, შეურიგებელი და უაღრესად მკაფიო პოზიცია პოეტი-მოქალაქისა; 60-იანი წლების უკრაინულ პოეზიაში ამ პოზიციის ყველაზე ნათელი გამოვლინებაა ვასილ სიმონენკოს შემოქმედება. ამ თაობის პოეზიას აქვს ის თავისებური ხასიათი, რომელსაც კრიტიკოსები „ინტელექტულობას“ უწოდებენ. მაგრამ ეს არ არის მშრალი რაციონალიზმი: პოეტის აზრს ფრთას ასხამს საყვარელი თუ სიძულვილი, რისხვა თუ სევდა და აზრის ფილოსოფიური დაძაბულობა შერწყმულია არაჩვეულებრივად ძლიერ ემოციურობასთან.

დრახის პოეზიას ახასიათებს დრმა, ჰუმორიტი დრამატიზმი, მსოფლადქმის „კოსმიური მასშტაბები“. რომლებიც უკრაინულ პოეზიაში ჯერ კიდევ 20-იან წლებში მეტისმეტად აბსტრაქტულად, პირობითად ქდებოდა.

თანამედროვე უკრაინულ პოეზიას ვერ წარმოვიდგენთ ი. დრახის პოეტური სამყაროს გარეშე, ასევე ვერ წარმოვიდგენთ მიკოლა ვინგრანოვსკის გარეშეც. ისინი ლიტერატურაში ერთად მოვიდნენ (თითქმის ერთდროულად გამოვიდა დრახის პირველი კრებული და ვინგრანოვსკის „ატომური პრელუდიები“), მაგრამ ძნელი იქნებოდა მოვეყებნა ორი პოეტი — ტალანტით ასე განსხვავებული.

ვინგრანოვსკის პოეზია სტიქიაა, რომელშიც სრულიად არ შეინიშნება რაიმე წინასწარ გამიზნული მოტივი. ჩვენ ვესწრებით პროცესს, როდესაც პოეტის გრძობებისა და აზროვნების მფეთქავი სისხლიდან სასწაულებრივ იბადება პოეზია — ეს არის სასწაული, სადაც ყველაფერი საოცრად ბუნებრივია, ორგანული, ცოცხალი და პარმონიული.

დრახთან და ვინგრანოვსკისთან ერთად მოვიდნენ ლიტერატურაში ლინა კოსტენკო თავისი დრმა ფილოსოფიური და ნერვულ-დაძაბული ლექსებით; მკაცრი და ჩაფქვრებული, რამდენადმე რაციონალური ვიტალი კოროტინი, უკომპრომისო და ხალასი რომანტიკოსი თავის საუკეთესო ნაწარმოებებში — ბორის ოლენიკი. არ შეიძლება დუმილით გვერდი აუფართოთ ნაადრევად წასულ ვასილ სიმონენკოს შემოხვებულ ტალანტსაც.

უკრაინულ ახალგაზრდულ პოეზიაზე მცდარი წარმოდგენა შეგვექმნება, თუ ორიოდ სიტყვას მაინც არ ვიტყვით იმ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა ამ პოეზიაში 60-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული. „60-იანელთა“ პოეტიკა თავისი წარმოშობის მომენტში იყო სამყაროს ახლებური, ლირიკულ-რომანტიკული ათვისების ორგანული, ეფექტური საშუალება. თავისი დროისათვის იგი უდაოდ პროგრესული იყო და არსებობდა (ხოლო საუკეთესო ნიმუშებში უფლებამოსილია არსებობდეს დღესაც)

არა თავისთავად, არამედ აქტუალურ ცხოვრებისეულ პრობლემებთან კავშირში. კოსმიური ხატოვნება წარმოშვა ახლადმოჩენილმა, მოახლოებულმა კოსმოსის შთაბეჭდილებებმა, ურბანისტული მოტივები მოიტანა ახალმა არქიტექტურამ, მთელმა ტექნიკურმა პროგრესმა; ინტელექტუალიზმი ბუნებრივი მოვლენა საუკუნისა, რომელსაც სოციალისტური სისტემის ძირითადი კანონია ინფორმაციის ფართო გავრცელება; ასოციაციურობა იქცა თანამედროვეობის იმ დროსათვის დამახასიათებელი რომანტიკული აღქმის თავისებურ გამოვლინებად.

ღრთა განმავლობაში ეს პოეტიკა თანდათან ეპიკონომის ატრიბუტად იქცა. მას შემდეგ, რაც იგი „დაწერდა ნორმად“ გადაიქცა, რომელსაც საშუალო პოეზია ჰქვამდა რიტ პოეზიად დაესესხა, ინტელექტუალიზმი დაედა გამოვლილ აბსტრაქციებამდე. ასოციაციურობა — ნაწვალე, ხელოვნურ ქიმიკებამდე, კოსმიური მასშტაბურობა — იმავე „ზოგად“ ფრაზებამდე, რომელთა წინააღმდეგ ოდესღაც გამოვლენდა „სამოციანული“ ზოგჯერ იგრძნობოდა აკრეფე მდარე, დაქვეითებული გემოვნება მკითხველებსა, უკრიტიკო მისწრაფება „აქრძალული ხილით“ დატკობისაკენ, რამაც სულ შალე შექმნა კმაყოფილებას ილუზია.

ახლა, როცა დაცხრა პირველი შთაბეჭდილებების ვნებათღვლენი, კრიტიკა მიუთითებს „სამოციანელობის“ ერთადერთ ფსიქოლოგიურ აბსტრაქტულობას: თანამედროვე ადამიანის ღირიული მოდელი შეტისმეტად ბუნდოვანი, შეტისმეტად განზოგადებულა, იგი რომანტიზმის ობიექტური პირობითობის მატარებელია.

ამრიგად, ახალგაზრდა უკრაინელმა პოეტებმა სცადეს „თანამედროვე“ წესის ათვი-სება. ეს მათ რამდენადმე მოახერხეს სამყაროს საერთო სედვის, ჩვენს საუკუნის გარეგანი ნიშნების ასახვის თვალსაზრისით. ამჟამად უკრაინული პოეზია დგას თანამედროვე ადამიანის შინაგანი სამყაროს ჰქვამდა რიტის ასახვის პრობლემის წინაშე.

აქ შეიძლება გამოვყოთ პოეტთა ძიების ორი ძირითადი მიმართულება. ერთ-ერთ მთავარ ჯერ კიდევ უ. სიმონენკომ მიუთითა. მან თავისი პოეზიის უზენაეს კანონად „დედამიწის მიზიდულება“ გამოაცხადა, კონკრეტული ადამიანები, მათი „მიწიერი“ განცდები გააპოეტურა. ამ გზით პოეტმა გადალახა წინააღმდეგობა ფსიქოლოგიურ სიღრმეს, ცხოვრებისეულ სიმაართლესა და „კოსმიური“ მსოფლშეგრძნების აბსტრაქტულ მასშტაბურობას შორის. მის პოეტურ ნაწარმოებთა უმეტესობაში ერთმნიშვნელოანდება და ერთმანეთს კლასიკურად ერწყმის, პარმონიულად უერთდება ის ელემენტები, რომლებიც სხვა პოეტების შემოქმედებაში კვლავ ანტაგონისტური დარჩა.

სამწუხაროდ, ვასილ სიმონენკო ჩვენგან წავიდა თავისი გზის დასაწყისში. მასთან ერთად „უკრაინულმა ახალგაზრდულმა პოეზიამ დაკარგა ახალი კლასიკის ოქროს ძაფი, დაკარგა ცოცხალი ნიშუში პარმონიული მოძრაობისა თანამედროვეობის ესთეტური იდეალისაგან ცოცხალი კონკრეტული ეპოქისაკენ“ (ა. შაკაროვი).

ამ გზით — აბსტრაქტული კოსმიურობისაგან განდგომითა და „მიწიერი“ სიმაართლისაკენ სვლით — წავიდნენ ბორის ოლენიკო, ვიქტორ კორვი, რომან ლუბკოვსკი, ვალენტინა ოტროშჩენკო (განსაკუთრებით ადრეულ შემოქმედებაში) და სხვები.

ზოგიერთმა (ყველაზე ახალგაზრდა) პოეტმა აირჩია სხვა გზა — ეგრეთწოდებული „ფსიქოლოგიური ღირიის“ გზა. ისინი, მთლიანად თავის შინაგან სამყაროში ჩაფლულები, ცდილობენ თავის სრულიად განსხვავებულ გრძნობათა ყველა წახნაგს, ყველა ელფერის ასახვას. პოეტები, რომლებიც ცხოვრებას შეიცნობენ ღირიკული თვითანალიზის სიღრმის წვდომით, გვაოცებენ არაჩვეულებრივად ნატიფი და ზუსტი დაკარგვებებით ადამიანის სულის რთულ პროცესებზე. უკრაინული ახალგაზრდული პოეზიის ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან იგივე ვალენტინა ოტროშჩენკო, ვასილ გოლობოროდკო, ვასილ რუბანი, ვიქტორ კორდუნე, ნადია კირიანი, ბორის ნეჩერდა და სხვები.

მაგრამ „დედამიწის მიზიდულობაშიც“ და „ფსიქოლოგიურ ღირიკაშიც“ ასახულია ერთი წამყვანი ტენდენცია. პოეზია თავის ძირითად პრობლემად აღიარებს თვითუკუნების არსებობას, ხოლო თავის ძირითად ამოცანად ისახავს თავის თავში „ადამიანის“, ანუ ინდივიდუალობის აღზრდას.

უკრაინული პოეზია ამჟამად ახალი, დიდი ვარდაქმნების ზღურბლზე დგას. თვითონ განზორციელებდა ეს ვარდაქმნები, როგორც განვითარების კანონზომიერი ეტაპი, თუ მათ მოუსვენართა ახალი თაობა განანორციელებს, ერთი რამ ცხადია: ეს ვარდაქმნები მიანიჭებს მოხდენა, რამეთუ

„შემოქმედს არა აქვს შკაცრი ნორმები,

ის თვითონაა ნორმა,

თვითონ ქმნის საკუთარ სტილს“.

უბედურება

რომანიხას ძროხა გაუხდა ავად. პირუტყვი ჩალაზე იწვა და დიდრონი რუხი თვალებით ნაღვლიანად იმზირებოდა. ნესტოები უცახცახებდა, ტყავი ეწმაცნებოდა და ხურვებიანივით ძაგძაგებდა. ეწამებოდა უენო, საშინელი ტანჯვით. ასეთ დროს საქონელი განსაკუთრებითაა შესაბრალო, არ ძალუძს დაგელაპარაკოს და შემოგჩვილოს.

— ჩანს, აღარაფერი ეშველება, იქნება კიდევ გვეშველა, ხურვება რომ სჭირდეს... უთუოდ ვილაცამ გათვალა, აგრემც თვალები დაესებია იმას, ახლა. კი საშველი არაა...

— დიახ, — განავრძო ექიმბაშმა. — ნამდვილად თვალი ჰკრეს.

— თი, ილაშკო, ჩანს, მართლა მელუბება ძროხა. ნეტავ მეც მაგასთან ერთად მომეღოს ბოლო. მთელი ცხოვრება ძროხას მოვანდომე. უკაცოდ დავრჩი, შვილი სალდათად ყოფნის დროს მომიყვდა. მე კი ვწვალობდი, დღედაღამ ვშრომობდი, მოგეხსენება, ზამთრის გრძელი ღამეები, მე კი გათენებამდე ვქსოვდი, იმდენს ვქსოვდი, რომ თითები მისივდებოდა, თვალებიც ისე მებრუებოდა, თითქოს სილით მქონდა ამოტენილი. არავენ იცის, რა წვალეებით ვადებდი კაპიკს კაპიკზე, სანამ ძროხა არ ვიყიდე.

-- ეგ ყოველთვის აგრეა, ლარიბს

მუდამ ასე ემართება, ხელები იდაყვებამდე რომ დაიცვითოს შრომით, მაინც ვერას გახდება. ოღითგან ასე ყოფილა და რას იზამ. თავის გატანა კი საჭიროა...

— არც კი ვიცი რა ექნა, რა ვიღონო.

— იქნება ღმერთმა მოიღოს წყალობა, თუკი მიენდობით, — თქვა ილაშმა და წავიდა.

რომანიხამ ძროხასთან ჩაიმუხლა, ცდილობდა ტანჯვა რითიმე შეემსუბუქებინა მისთვის. საუკეთესო საკვებს სთავაზობდა, არწყულებდა, მაგრამ ძროხა პირს არაფერს აკარებდა. მხოლოდ ნაღვლიან, გატანჯულ მხერას არ ამორებდა მოხუცს.

— ჩემო კარგო, რა გტკივა, რა გაწუხებს, ნუ მოაკლებ ბებერს რძეს, ოდნავ მაინც გამახარე.

თან ძროხას ხელს უთათუნებდა შუბლზე, კისერში, ვიშვიშებდა და დამარმალებდა.

— სადლა, სადლა ვიშოვი მეორისთვის ფულს? ხელები აღარ მემორჩილება, ძაფის ასაგებად ნემსის ყუნწს ველარ ვხედავ. ამ სიბერეში სადლა შემიძლია ძროხის ყიდვაზე ფიქრი?

პირუტყვი ცახცახებდა, რომანიხამ

ტყაპუჭი გადაახურა. თუმცა გვარიანად ყინავდა, გვერდიდან არ სცილდებოდა ძროხას. მერე მთლად გაითოშა, კბილს კბილზე აცემინებდა, მაინც არ იცვლიდა ფეხს.

— იქნება ღმერთი მსჯის და ცოდვამ მიწია? რადგან შენი გულისთვის რამდენჯერმე შევცოდე! ერთი ორჯერ სხვისი მიჯნა მოგაძოვე, რამდენჯერმეც სხვისი გოგრა მოვწყვიტე და ნორჩი ყლორტები დავამტვრიე. მაგრამ რძე არასოდეს დამიშურებია. თუკი სადმე ბავშვი ავად გახდებოდა, ან ქალი მოილოგინებდა, ყველგან მიმქონდა სავსე ქოთანნი. ხაჭოსაც ყოველთვის ვუნაწილებდი. ღმერთო, შენი სახელის ჰირიმე, ნუ დამსჯი, შენს რისხვას ნუ დამატებს. შემეცოდე უბედური ქერივი, აღარასოდეს წავეკარები სხვისას, ოღონდ ძროხა შემარჩინე.

გვიან ღამემდე ვიშვიშებდა რომანიხა. ძროხას ნაკურთხ წყალს ასხურებ-

და, მაგრამ არაფერი შველოდა. ძროხა გაიჭიმა, გომურში აღარ ეტეოდა. ფერდები უთრთოდა და ბლაოდა. მოხუცი კფერებოდა, ეხვეოდა, ეხუჩხუტებოდა, მაგრამ შველა არ შეეძლო.

გომურს კარიდან შემოსული მთვარის შუქი ანათებდა და დედაბერი პირუტყვის ყოველ მოძრაობას ხედავდა. უცებ ძროხა წამოიმართა, ფეხზე დადგა, მზერა მიმოატარა, თითქოს ყოველ კუთხე-კუნჭულს ემშვიდობებო. მერე ჩალაზე დაეცა და სიმივით გაიძგიფარომანიხამ დაიჩოქა და ძროხას ჩალის პატარა კონით დაუწყო ზელა, თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა. მერე ძროხამ ხმამაღლა დაიბღავლა და გახელებული ფეხების ქნევას მოჰყვა. რომანიხას წამოახურა, თვალთ დაუბნელდა, დაეცა და სისხლი წასკვდა. ძროხა დედაბერს ფეხებსა და რქებს სცემდა და ნაკურთხად ფლეთდა. ორივენი სიკვდილს ებრძოდნენ.

პ ო რ ტ რ ე ტ ი

ისე ჩანდა, თითქოს მის თავს ზემოთ თეთრმა მტრედმა ღუნღულა ფრთები გაშალა და ამ ფრთათა შორის ჭიატობდა ლურჯი ზეცა.

მაღალსავარძელში მოხუცი იჯდა. თავი ქარისაგან დარწეული ტოტივით უტოკავდა, განუწყვეტლივ, თანაბრად. რაღაცას ლეჭავდა. ხელები უკანკალებდა, არ ემორჩილებოდა.

„სულ გამომელია ძალა... სითბო გამეპარა. სიცივე გამიჯდა ძვლებში. ჩემი დროც დადგა. მიწის სურნელი ასდის ზემს სხეულს, მიწისაკენ მიილტვის...“

ჩიბუხი ჩაუქრა. ძალა მოიკრიფა და ხელახლა გააჩაღა. ხელი გადაუდგა. თითქოს მისი არც ყოფილიყო, თვითნებურად ამოძრავდნენ თითები. ხელი გაურბოდა, აღიზიანებდა. ტანსაცმელზე ფერფლი დაეყარა. ნაპერწკალი გამოკრთა და უმაღვე ჩაქრა. ჩიბუხი

გაჩაღდა, მაგრამ ახლა ძლივსძლივობითლაიკავებდნენ ტუჩები.


მდინარის ჩქარ დინებას მინდობილ შემოდგომის ფოთოლს ჰგავდა.

მხოლოდ სავარძელი იდგა მყარად. ვით ღონიერ, ახალგაზრდა ფრინველს თავის ფრთებზე მოეგდო მოხუცი.

„სამარადისო არდავიწყება, უფალო შეიწყალე, და ორმო. გათავდა ყველაფერი...“

მზის წითელმა სხივებმა ფანჯარა შემოტეხეს. პორტრეტი და ფორტეპიანო წითლად აღაპლაპდნენ. მზერა მათზე გადაიტანა და ციებინივით აცახცახნდა. სავარძელი ჭრიალებდა, ძლივს იმაგრებდა.

„შორს, ძალიან შორს... მარტოდ მარტო... ვეღარ ვნახავ. ოი, ველარასოდეს. ერთხელ მაინც მაჩვენა, მხოლოდ წუთით... როგორი ლაღი იყო...“



ბებრული უძღურება არყვედა, თითქოს სავარძლიდან გადმოგდებას უპირებსო.

სავარძლის სახელურებს ჩაეჭიდა, წყალწაღებულებით იბრძოდა. გრძელ, შავ როიალს მიაშტერდა.

„მამა, მე დაუჟკრავ ამ როიალზე, ვითარცა ლომს, მოვათვინიერებ. ხან ვავაშმაგებ და ხალხს ძრწოლა აიტანს. ცივი ოფლით დაეცვარებათ შუბლი. ხან სათუთად გადავუსვამ თავზე ხელს და ერთგული ძაღლივით ფერხით გამიწვება... ხალხს კი ეგონება, რომ ლომი

თვითონ დაიმორჩილა... მერე კი მათთვის სიმღერას დაუჟკრავ. ახლა მათ მოეჩვენებათ, რომ ყვავილოვან ველსა და აბიზინებულ მწვანეზე სერიზობენ... და ეს ისეთი სიმღერა იქნება, რომ სიკეთე და სიხარული აავსებს მათ გულებს. ოი, მამიკო, მამიკო, ნახე როგორ დაუჟკრავ!“

„აი, ასე ამბობდა, სწორედ ასე. ლალი იყო... შორს, ძალიან შორსაა. თუნდაც ერთი წუთით რომ მაჩვენა...“

იგი ერთხელ კიდევ შეეცადა ხელიდან გაქცეული ჩიბუხის გაჩაღებას.

მიხაილო კოხიუჰინსკი

მივიწყებულ ნინაპართა ა რ რ ღ ი ლ ე ბ ი

ნაწყვიტი რომანიდან

ივანე არაერთხელ ყოფილა ოჯახური წუხილისა და უბედურების შემსწრე. რაც თავი ახსოვს, მათ ქოხთან უკვე ორჯერ ააყვირეს ბუკი. ორჯერ აუწყეს მთებსა და ხეობებს სიკვდილის ამბავი. პირველად მაშინ, როცა ძმა ოლექსო ხემ დაიტანა. მეორედ — ძმა ვასილი მოსისხლე გვართან შეტაკებისას ნაჯახით რომ დაჩეხეს. დიდი ხანია მტრობა ჩამოვარდნილიყო ივანეს გვარსა და გუტენიუკებს შორის. თუმცა პალიიჩუკებს სიმამაცით განთქმული ოჯახი ჰქონდათ და სძულდათ ეშმაკის ნაშიერი გუტენიუკები, მაინც არავის შეეძლო ბიჭისთვის წვრილად ეამბნა, როდიდან დაედო სათავე ამ შუღლს. ივანეს ერთი სული ჰქონდა, შურისგებაში თვითონაც დაედო წილი და საბრძოლველად შემართულს, არაერთხელ უტაცნია ხელი მისთვის ჯერ კიდევ კარგა მძიმე მამისეული ნაჯახისათვის.

მხოლოდ თქმით ამბობდნენ, პალიი-

ჩუკების ოჯახში ივანე მეცხრამეტე, ხოლო ანიჩკა მეოცე შვილიაო. სინამდვილეში მათი ოჯახი დიდი არ იყო — ორი მოხუცი და ხუთი ბავშვი. დანარჩენი თხუთმეტნი კი ეკლესიასთან, სასაფლაოზე განისვენებდნენ.

პალიიჩუკები ღვთისმოსავნი იყვნენ. უყვარდათ ეკლესიაში, განსაკუთრებით კი ხატობებზე სიარული. იქ საშუალება ეძლეოდათ მეზობელ სოფლებში გაფანტული შორეული ნათესავები მოენახულებინათ, ანდა პალიიჩუკების არაერთხელ დადგრილი სისხლისთვის სამაგიერო მიეზღოთ.

სკივრებიდან საუკეთესო ტანსაცმელს ამოალაგებდნენ ხოლმე; ახალთახალ წითელ შარვლებს, მოქარგულ ტყავუკებს, სარტყელებსა და მხარსაკიდ ჩანთებს, სირმით ქობადაქარგულ

მიხაილო კოხიუჰინსკი

მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები

ვახტანგსა თუ წითელი აბრეშუმის თავშე-
ლებს. და აუცილებლად, ღუნღულა თო-
ვლივით ქათქათა სვიტკასაც, მერე დე-
დას ჯოხზე გადაკიდებული დიდი სიფ-
რთხილით რომ მოჰქონდა ხატობაში.
ივანესაც ერგებოდა ახალი ჭილის ქუ-
დი და ტყავის დიდი ჩანთა.

ცხენებს კაზმავდნენ და შემოღობილ
მთიან ბილიკებსა და ამწვანებულ ქე-
დებს შორის ნებისად მიემართებოდა
მწვანე ბილიკებს ყუაჩოებზევით შესე-
ული დიდებული ქარავანი.

მთებზე, მინდვრებსა და მალღობებზე
ნელა მიიზღაზნებოდა საზეიმოდ მორ-
თული ხალხი. მღელღობზე ახლად წა-
მოზრდილი ბალახი ძალუმად ხასხასებ-
და. ჩერემოშას ხალხის ჭრელი ნაკადი
გასდევდა და სადღაც მალღა, სოჭის
ტყეთა შავ მერდინზე მცხუნვარედ ენ-
თო აღრიან მზეზე აელვარებული გუ-
ცულური წითელი ქოლგა.

სულ მალე ივანემ საკუთარი თვალით
ინილა მოსისხლე გვარების შეხვედრა.

გუტენიუკები უკვე ეკლესიიდან ბრუ-
ნდებოდნენ. ივანეს მამა ნასვამი იყო.
მოულოდნელად ციცაბო წარაფებსა და
მდინარე ჩერემოშას შორის გამავალ
ვიწრო გზაზე პირისპირ შეეჩხენენ სა-
ზიდრები, ცხენოსნები და ქვეითნი, მა-
შაკაცები და ქალები. წუთით შედგნენ
და მუშტივით შეიქრნენ. მაშინვე შემ-
ზარავი კივილი გაისმა და არავინ უწყ-
ის საიდან, ელვის სისწრაფით იძვრეს
ნაჯახები და ერთმანეთს ცხვირწინ აუ-
თამაშეს. როგორც ტალ-კვესი, ისე
დაეტაკა ორი გვარი — გუტენიუკებისა
და პალიიჩუკებისა. სანამ ივანე გონზე
მოსვლას მოასწრებდა, მამამისმა ნაჯა-
ხი მოიქნია და ვილაცას სიბრტყევ თავ-
ში ჩასცხო. განეთქილი თავიდან სისხლ-
მა იჩქეფა, სახეზე, პერანგსა და სა-
უცხოო კაბაზე გადმოდინდა. ქალებ-
მა შეჰკვივლეს და გასაშველებლად მიც-
ვივდნენ, მაგრამ თავპირდასისხლიანე-
ბულმა კაცმა მტერს უკვე თვითონ მო-
უქნია ნაჯახი. მოჭრილი სოჭივით შე-
ტორტმანდა ივანეს მამა. ივანე ჩხუბში
ჩაეარდა. ანგარიშმიუცემლად მოქმედე-

ბდა, რაღაცა ძალა უბიძგებდა, მაგრამ
უფროსებს ფეხებში გაებლანდა და
ხელჩართულ ჩხუბში ვერაფრით შეაღ-
წია. გაცეცხლებული საზიდართან ატუ-
ზულ, შიშით აცახცახებულ პატარა
გოგოს მიუხტა. აჰა! ეს უთუოდ გუტე-
ნიუკების გოგოა! და ბევრი აღარ უფ-
იქრია, სილა გასცხო. გოგონას სახე მო-
ექცა, პერანგი ჩაბლუჯა. გულზე მიიკ-
რა და მოჰკურცხლა. ივანე მდინარეს-
თან მოეწია, დაიჭირა, სახელოში სწვდა
და პერანგი ჩამოახია. გოგონას უბიდან
ახალთ-ახალი ბაფთები გადმოუცვივდა,
შეჰკვივლა და ბაფთები ჩაბლუჯა, არ
უნდოდა დაეთმო. მაგრამ ივანემ ბაფ-
თები გამოსტაცა და წყალში გადაუყა-
რა. გოგონამ შავი, დაბინდული თვალებ-
ში მიანათა და თქვა:

— მერე რა... სხეებიცა მაქვს... ამით-
ზე უკეთესი...

თითქოს თქმულთ ივანეს დამშვიდე-
ბას ცდილობსო.

გოგონას თვინიერებით შეცბუნებული
ბიჭი ღუმდა.

— დედამ ოქრომკედით ნაქარგი კა-
ბა მიყიდა... ჭრელი წინდებიც... კი-
დევ...

ივანემ არ იცოდა, რა ებასუხა.

— ლამაზად მოვირთვები და ქალიშ-
ვილს დავემგვანები...

ივანეს შემურდა:

— მე სალამურზე დაკვრა ვიცი.

— ჩვენმა თედორემ ისეთი კარგი
სალამური გამოთალა... და ისე უკ-
რავს...

ივანე გაიბუტა:

— მე ეშმაკი ვნახე.

გოგონამ ურწმუნოდ გამოხედა:

— შენ რაღა გაჩხუბებდა?

— მაშ საზიდართან რად იდექი?

გოგონა წამით ჩაფიქრდა, არ იცოდა
რა ეთქვა. მერე უბეში რაღაცას და-
უწყყო ძებნა.

ბოლოს კამფეტი ამოაძვრინა:

— შეხე!

ნახევარი მოკბიჩა, მეორე ნახევარი
გულდანდობილად ივანეს გაუწოდა:

— აიღე!

ოვანე შეყვამანდა, მაგრამ მაინც გამოარტყა.

ახლა ისინი ერთად ისხდნენ, ბრძოლის გზისი და მდინარის გაბრაზებული ხმაური გადავიწყნოდათ, გოგონა კი ივანეს უამბობდა, რომ მას მარიჩკას ეძახიან, უკვე სამწყემსურში დადის და ვიღაც ხელმრუდმა მარცინოვამ ფქვილი მოჰპარათ... ეს ამბები ორივეს აინტერესებდა და იზიდავდა, რადგან მათთვის ვასაგები და ნაცნობი იყო. ხოლო მარიჩკას შავ, დაბინდულ თვალთა სხივი, წელიწად მიიკვლევდა გზას ივანეს გულისაკენ...

ბუკმა ქვეყნიერებას ამცნო, რომ ქაჩალ გორაზე განმარტოებით მღვარ ქოხს მესამეჯერ ეწვია სიკვდილი: შეტაკების მეორე დღეს მოკვდა მოხუცი პალიჩუკი.

ივანეს ოჯახს მძიმე დროება დაუდგა. მამის სიკვდილის შემდეგ ყველაფერი აირ-დაირია. ქონება გაჩანაგდა. საქონელიც ისე გააღია, როგორც მთებზე დაფენილი თოვლი გაზაფხულის დამდეგს.

მაგრამ ივანეს ხსოვნას მამის სიკვდილი იმდენ ხანს არ შერჩენია, რამდენ ხანსაც გოგონასთან შეხვედრა, რომელსაც სულ ტყუილ-უბრალოდ აწყენინა, გოგონამ კი ერთი კამფეტი შუაზე გაუყო და მორჩილად გაუწოდა. დიდი ხნის უმიზეზო სევდას კიდევ ერთი ახალი ნაკადი შეერთო. ეს სევდა შეუცნობლად მთებისაკენ ეწეოდა ივანეს, ახლომახლო ფერდობებსა, ტყეებსა და ხეობებში დაახეტებდა: იქნება სადმე გადაპყროდა მარიჩკას. ბოლოს შეხვდა კიდევ: მარიჩკა ბატკნებს მწყემსავდა.

მარიჩკა ისე შეხვდა, თითქოს დიდი ხანია ელოდა, დღეიდან ივანე მარიჩკასთან ერთად მომწყემსავს ბატკნებს. მართლაც და რა კარგი იქნება! თაფლამ და ტრედამ თავიანთი ეყვნები ტყეში აწყარუნონ და იბღავლონ, თვითონ კი მარიჩკას ბატკნებს მოუღებდა.

მერედა რა დიდებულად მწყემსავდნენ!

თეთრ ბატკნებს სოჭის ჩრდილში

თავი მოეყარათ და ბრიყვულად მისიერებოდნენ, როგორ კუნტრუშობდნენ ბავშვები ხავსიან მდელოზე. სიჩუმეში მათი ხალისიანი კისკისი ზარიანად ალებდა. ტყეში გამეფებულ მარადიულ სიჩუმეში ბავშვები ისეთ სითბოს, სიმარტოვესა და ძრწოლას გრძნობდნენ, რომ საკუთარი სუნთქვაც კი ესმოდათ. ყური გაფაციცებით იჭერდა და აათყეცებდა ყველა იმ ბგერას, ტყე რომ გამოსცემდა.

— გესმის, ივა? — ჩურჩულებდა მარიჩკა.

— როგორ არა, მესმის.

ორივემ იცოდა, რომ ტყეში უხილავი ცული დახეტილობს, კოდალასავით უკაქუნებს ხეებს და მოღლილი მკერდით მძიმედ ქშინავს.

შიში მდელოებისაკენ ერეკებოდა ბავშვებს, სადაც მდინარე მღორედ დიოდა. მერე ორივენი ტანთ იხდიდა და ტყის პატარა მხეცებივით ჭყუმბალობდნენ. არც ერთმა არ იცოდა, რა იყო სირცხვილი.

პირველად მარიჩკას შეამცივნებდა, ისიც სირბილს მოჰყვებოდა.

— სდექ, — უყვიროდა ივანე და გაქცეულ მარიჩკას მანამდე დასდევდა, სანამ არაქათვამოცილოები, მაგრამ გახურებულები მომძლავრებულ ბალახში არ ჩაცვივდებოდნენ.

თამაშში გართულებს არაერთხელ დაუკარგავთ ბატკნები.

როცა წამოიზარდნენ, გასართობებიც უკვე სხვაგვარი ჰქონდათ.

ახლა ივანე სოჭივით ძლიერი და ტანადი ჭაბუკი იყო, კულულებზე ქონს ისევამდა და ბრტყელ ქამარსა და საუცხოო ჭილის ქუდს ატარებდა. მარიჩკაც ნაწინაებში შალის ბაფთებს იწნავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქალიშვილი გასათხოვრად ემზადებოდა. ახლა ისინი ბატკნებს ერთად აღარ მწყემსავდნენ. ერთმანეთს მხოლოდ დღესასწაულებზე და კვორა დღეებში თუ ნახავდნენ. ხვდებოდნენ ფარუ-

მიხაილო კოტინაინსკი
მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები

ლად, ეკლესიასთან ან საღმე ტყეში, რათა მშობლებს არ შეეტყვოთ, როგორ უყვართ ერთმანეთი ორი მოსისხლე გვარის შვილებს.

მარიჩკა უკვე დიდი ხანია, რაც ივანეს ეკუთვნოდა, ჯერ კიდევ ცამეტი წლიდან. და არც გასაკვირი იყო. სამწყემსურში ხშირად უნახავს როგორ ესიყვარულებოდა ვაცი დედალ თხას, მამალი ცხვარი — ბატკანს — ყველაფერი უბრალოდ, ბუნებრივად ხდებოდა, ოღითგან არსებობდა და არც ერთ უკეთურ აზრს არ აუშმღვრევია. მისთვის გული. მართალია, ყოველივე ამის შემდეგ თხები და ცხვრები თიქნებსა და ბატკანებს შობდნენ, მაგრამ ადამიანებს მისანი შევლოდა. მარიჩკას არაფერი აკრთობდა. შიშველ ტანზე შემოკრულ ქამარში მისანი ქალის შელოცილი ნივრის კბილი ედო, და იმ დღიდან მოყოლებული სჯეროდა, რომ ვერა რა ძალა ავნებდა. ამას რომ იგონებდა, საკუთარ თავს ეშმაკურად უდიმოდა, თან ივანეს ეხვეოდა:

— სანატრელო ივანკო, ხომ დავწყვილდებით?

— ღმერთი მოწყალეა, ძვირფასო.

— ეჰ, არა მგონია. ჩვენმა მშობლებმა ერთმანეთის სამუდამო მტრობა ჩაიდეს გულში, უბედურება არ ავცდებდა.

მაშინ ივანეს მზერა ენისლებოდა და ნაჯახს ღრმად არჭობდა მიწაში.

— მათი თანხმობა არცა მჭირდება, რაც უნდათ, ისა ჰქნან. მაინც ჩემი იქნები...

— რას ამბობ, ივანკო, რას...

მაგრამ ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც ივანე ფიქრობდა. მეურნეობა დიითილდე ჩანაგდებოდა. შემოსავალი

ალარ ყოფნიდათ და საჭირო გახდა ენის მეს მოჯამაგირედ დასდგომოდა.

— მწყემსად უნდა დავდგე, მარიჩკა, — წინასწარ დარდიანდებოდა ვაჟი.

— რა გაეწყობა, წადი, ივანკო, — მორჩილად ეთანხმებოდა მარიჩკა. — ალბათ ასეთი ბედი გვქონია...

სევდამოძალეული ივანე დუმდა.

— მომიგონებ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, მარიჩკო.

— ნუ დარდობ, — ამშვიდებდა ვაჟს ქალიშვილი. — როგორც კი წახვალ, თივის ზვინის დადგმას დაეიწყებ, მაღალ, ძალიან მაღალ ზვინს დავდგამ, მერე ზედ ავძვრები ხოლმე და საძვრებს გამოვხედავ, შენ კი ბუკით შემეხმიანე, იქნება ხმა მომაწვდინო... წვიმების ალო რომ დადგება, დავჯღები და მეც ავტირდები, რადგან შენზე არაფერი მეცოდინება. აღარც უშენოდ ვიმღერებ...

— რატომ? იმღერე მარიჩკო, ნუ დაკარგავ ხალისს, მე მალე დავბრუნდები.

მარიჩკა სიმღერით აქარვებდა განშორების წუხილს. გული სწყდებოდა, მყუდრო ტყეში კარგა ხანს რომ ვეღარ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ეხვეოდა ნიჯნურს, ქერათმიან თავს ლოყაზე მიაკონებდა და ნაღვლიანად უმღეროდა...

ივანე უსმენდა ქალიშვილის წკრიალა ხმას და ფიქრობდა, რომ მარიჩკამ უკვე დიდი ხანია, რაც მთებში გააბნია თავისი სიმღერები, და ამ სიმღერებს მღერიან ტყეები და სათიბები, ცალ ბტყორცნილი მწვერვალები და მინდვრები, მოიმღერიან ნაკადულები და ამ სიმღერებს მღერის მზე... მაგრამ დადგება დრო, ივანე მობრუნდება, მარიჩკა კი ისევ შეკრებს თავის სიმღერებს, საქორწილოდ შეჰკრებს ყველას...

შპრანიშლიდან თარაგნა

ჯაბა ასათიანმა.





ივანე კოტლიარეცის

(დაბადების 200 წლისთავის გამო)

მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უკრაინელი ხალხის სახელოვან შვილს ივანე კოტლიარეცის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ უკრაინულ ლიტერატურას.

ივანე ფრანკოს თქმით, კოტლიარეცის შემოქმედება ახალგაზრდა უკრაინული ლიტერატურისათვის იყო „ანთებული კოცონი“ და ეს კოცონი კი არ ჩაქრა, უფრო გაღვივდა და აგვიზვიზდა, რათა ჩვენთვის „სითბო მოეფინა“.

თვით პოეტი კი ფრანკო ადარებს „თოვლიან მწვერვალზე მჯდარ მედიდურ არწივს, რომელიც ფრთის ერთი მოქნევით ახვეტავს ნამქერს და აიჭრება ლაქვარდში.“

კოტლიარეცის შემოქმედებას ვერ შევადარებთ მეტეორის გაფლვებას. ეს შემოქმედება არ ჩამქრალა ლიტერატურის ცარგვალზე და ახლაც, 170 წლის განვლის შემდეგ, უქუთუვარსკვლავით ციმციმებს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ უკრაინის ეროვნული კულტურა მისი „ენეიდის“ XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისის უკრაინის საზოგადოებრივი ცხოვრების ენციკლოპედიის გარეშე, მისი „ნატალა პოლტავას“ — ამ ადამიანური, წმინდა სიყვარულის ჰიმნის გარეშე.

კოტლიარეცის სახელი საქვეყნოდ არის ცნობილი. პოეტი ახლაც მონაწილეობს ჩვენს მჩქევნარე ცხოვრებაში, „შავ დღეს აყრის“ ყველას, ვინც აფერხებს ახალი ცხოვრების წინსვლას და ხობტას ასხამს მათ, ვინც თავისი შრომით აღიდებს და „ასახელებს სამშობლოს“.

კოტლიარეცის დაიბადა 1769 წლის 9 სექტემბერს, პოლტაველი მოსამსახურის პეტრე ივანეს ძის ოჯახში. სწავლობდა სკოლაში, საიდანაც არც თუ ისე დიდი ცოდნა გამოჰ-


ყოლია. შემდეგ მუშაობდა კანცელარიაში, ემსახურებოდა მემამულეებს, რომ მამის სიკვდილის შემდეგ ოჯახისთვის ლუკმაპური გაეჩინა. პოლტავედან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში: მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში და 1812 წლის სამამულო ომში. პოლტაველიდანვე გაემგზავრა პეტერბურგს, რომ რამე სამუშაო ეშოვნა. აქ დაუახლოვდა მწერლებს და მთლიანად მიენდო ლიტერატურულ მუშაობას.

პეტერბურგმა ცივად მიიღო უკვე ცნობილი პოეტი და მამაცი ოფიცერი, რომელიც ორდენებით და წარჩინების სხვა ნიშნებით იყო დაჯილდოებული. კოტლიარეცის ვერ შეეგუა აქ გამეფებულ ბიუროკრატიზმს, კარიერისმასა და მექრთამეობას და ისევ მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. აქ იგი მუშაობს ღარიბ ბავშვთა თავშესაფარში, ხელმძღვანელობს უკრაინის ბირველ თეატრს, წერს მისთვის პიესებს; მეგობრობს დეკაბრისტებთან, მწერლებთან, მსახიობებთან.

კოტლიარეცის შემოქმედებითი მემკვიდრეობა არ არის დიდი — პოეტმა სულ ორი დრამატული ნაწარმოები, ვრცელი ეპიური პოემა და რამდენიმე ლექსი დაგვიტოვა, მაგრამ განუზომლად დიდია ამ ნაწარმოებების ლიტერატურული ღირსება.

კოტლიარეცის ცხოვრობდა ბატონყმობის გაფურჩქენის პერიოდში, იმ დროს, როცა მილიონობით ადამიანის ღირსება უსინდისოდ ითვლებოდა ფეხქვეშ.

პოეტის დამსახურება, მისი ფასდაუდებელი ღვაწლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმ მცირერიცხოვან მოღვაწეთა შორის, რომელთაც შესწევდათ ადამიანობა, ნიჭი, უნარი, ჩასწვდომოდნენ



ხალხის სულს, მის გრძობებს, აზრებს, მისწრაფებებს, მისი იმედების დაუშრეტელ წყაროს. კოტლიარევსკიმ შექმნილია ხალხისადმი ქედმაღლური, ამპარტავნული დამოკიდებულება. ეს იყო დიდი ნაბიჯი გადადგმული ინტელიგენციის ხალხთან დაახლოების გზაზე. „ენეიდა“ პოეტის ეპოქალური ქმნილებაა, იგი სარკეა, რომელშიც აისახა XVIII-XIX სს. უკრაინის ცხოვრება. ეს გახლავთ პრიზმში დანახული ცხოვრება უკრაინულ ტანსაცმელში გადაცმულ ოლიმპოს ღმერთებისა და გმირებისა. ვინ არ იცნობს ზევსში, რომელიც:

...ყლურწავდა არაყს და ზედ ქაშაყს ატანდა; შვიდი ჭიქა შესვა და

ბოთლიდან კიდევ ისხამდა ნარჩენს, — უკრაინელ პანს ან კახკ მამასახლისს, რომელთაც უყვარდათ მძღრისად სმა-ქმა, დროსტარება, ქაღალდის თამაში და არას დაგიდევდნენ, თუ ამ თამაშის დროს რამდენიმე ათეულ ყმას, ძაღლს ან ცხენს წააგებდნენ.

ან რაზე მეტყველებენ თუნდაც ასეთი სტრიქონები:

ბატონებს იქ მიტომ აწამებდნენ და გვერდებს მიტომ უხრუკავდნენ, რომ ხალხს შეღავათს არ აძლევდნენ, პირუტყვებად მიიჩნევდნენ. ყველა უფროსს განურჩევლად — ბატონებს, მოურავებს თუ ლაჭიებს ჯოჯოხეთში შავ დღეს აყენებდნენ საკუთარი დამსახურებისამებრ.

ან: დავიღუპეთ... მოამზადეთ კისრები უღლის დასადგმელად, ჩვენი ზოხოლური ბედი გვეავლებს, თხასავით ან ყოჩივით კი არა — ხარივით ვმუშაობდეთ — მუდამ გუთანი ვათრიოთ, ან ლუღხანაში შეშას ვეზიდებოდეთ.

ორივე ნაწყვეტი ასახავს უკრაინელი ხალხის მიმემ შრომას, მის მონურ ყოფას, გაუხარელ ცხოვრებას.

ნეპტუნში ყველა იცნობს მარის უეიცი ჩინონკის, უგულოსა და მექრთამეს, რომელიც „მუდამ იყო წამგლეჯი“ და „აბაზიანიც დიდ რამედ უღირა“.

მე ნეპტუნს აბაზიანს ჩაეჩრი ხელში, ოლონდ კი ზღვაზე ღელვა დააწყნაროს.

აგერ მოხუცი სივილა, რომელიც ენეის ჯოჯოხეთში მიაცილებს. მას არ შეუძლია, ქრთამი არ აიღოს.

მოგვხსენება — მხოლოდ სულელი არ იღებს ჩვენთან, ვისაც კი გონება და იცის, რაა ცხოვრება, საკუთარ მამასაც გააძრობს ტყავს!

რა ბოროტად დასციინის კოტლიარევსკი ვანათლების მთელ სისტემას, გამცემ-გამყიდველთა ლარობას, საზოგადოების მაღალი წრეების გარყვნილობას! სამღვდლოებას!

მაგრამ „ენეიდაში“ ყველაფერი სისაცილო და სახუმარო როდია. როცა სიტყვა საშობლოს, ხალხს ეხება, პოეტის ხმა მრისხანედ, მამაცურად სუქვს, როგორც ეს ქეშმარიტ პატრიოტს შეეფერება. მას აწუხებს საშობლოს ბედ-იღბალი და მოუწოდებს ყველას, სიცოცხლის დაუზოგავად დადგეს მშობლიური მიწის სადარჯოზე.

როცა საერთო საქმე გეძახის, დაივიწყე მამა, დაივიწყე ღედა — იჩქარე, მოიხადო ვალი შენი.

ან: სადაც საშობლოს სიყვარული სუფევს, იქ მტრის ძალა ვერ იმძლავრებს; იქ მკერდით შეეხვდებით ზარბაზანს.

კოტლიარევსკი წინააღმდეგია ომისა, რომელსაც მშრომელებისათვის სიკვდილი, სიღატაკე და განადგურება მოაქვს, ომის გამჩაღებლებს კი სიმიღირეს უხევეს. აი, რას ამბობს იგი:

ომი სისხლიანი მოსასხამია, მას მოაქვს ჭრლობები, სიკვდილი, დასახიჩრება.

უღმერთობა და არაადამიანურობა ამ მოსასხამის კუდს მიათრევენ.

პოეტი მკაცრად აფრთხილებს ომის გამჩაღებლებს, ყველა ჭურის ინტერვენტებს:

ჩვენ გიჩვენებთ, მტარვალებო, როგორ უნდა

ქვრივების ხოცვა, ქალწულთა შეცდენა, სხვათა მიწების მითვისება, სხვათა ბაღების წარყვანა!

საბჭოთა მეცნიერმა ა. ბელცკიმ კოტლიარევსკის „ენეიდას“, „ველური, თავშეუყავებელი სიცილის“ სიმფონია უწოდა. ასე იცინიან ტროცკები, ესე იგი, კახაკები — უბრალო ხალხი. ბელცკი პოემას ადარებს რეპინის სურათს: — „ზამოროეიელები წერენ წერილს თურქეთის სულთანს“. ვ. სტასოვისადმი მიწერილ წერილში რეპინი ამბობდა: „საოცარი ხალხია, მთელ ქვეყანაზე ასე ღრმად არავის აქვს ჩანერგილი თავისუფლების, თანასწორობისა და ერთობის გრძნობა“. რეპინის „საოცა-

რი ხალხი“ ენათესავება კოტლიარევსკის ტრო-
ელებს. ტროას ჯარი ეს უკრაინელი ხალ-
ხის წარმომადგენლებია — ჯანსაღი და მძლე
ხალხისა, რომელთაც შესწევთ ძალა საკუთარი
მხრებით მთები აზიდონ.

კოტლიარევსკიმ გვიჩვენა ხალხის უჩვეულო
ძალა, მისი ლტოლვა სიცოცხლისადმი. ეს ძა-
ლა ხვდებოდა მას სოფლებსა და ქალაქებში,
ბრძოლის ველზე თუ ხალხის გენით შექმნილ
გმირთა სახეებში.

წელს სრულდება 150 წელი პოლტავის თე-
ატრის სცენაზე პიესის — „ნატალკა პოლტავ-
კას“ დადგმიდან. ამ პიესას კარგად იცნობს საბ-
ჭოთა მაყურებელი და ჩვენ ისღა დავგრჩენია,
უკრაინელი დრამატურგის, უკრაინის ნაციონა-
ლური თეატრის ერთ-ერთი კორიფეს ი. ტო-
ბილევჩინის სიტყვები გავიმეოროთ. როცა ტო-
ბილევჩინს ჰკითხეს, რაში მდგომარეობს პიესის
ძალა, მისი ამაღლებელი სილამაზეო, მან
უპასუხა: „მის უჩვეულო უბრალოებაში, ჰუმ-
მარიტებაში და, რაც მთავარია, ხალხისადმი
მის სიყვარულში. ივან პეტროვიჩი ზემოდან კი
არ დასცქერის ხალხს, არ დასცინის მას, იგი
მათ გვერდით დგას, მთლიანად ერწყმის მის
სულს და გვაძლევს დიდებულ ნაწარმოებს,
ხალხური პოეზიის ნიმუშს, მოქცეულს დრამა-
ტულ ჩარჩოებში“.

აი, რატომ არის დღემდე დაუვიწყარი

ი. კოტლიარევსკის სახელი, მისი ნაწარმოებ-
ები დიდი ტირაჟით გამოდის მრავალ ენაზე. პო-
ეტის სახელს ატარებს სოფლები, კოლმეცხო-
ნოებები, ბიბლიოთეკები, სკოლები, მწერალ-
ბი, მხატვრები, მოქანდაკეები და კომპოზიტო-
რები კიდევ და კიდევ უბრუნდებიან კოტლი-
არევსკის, მისი უცვლადი ნაწარმოებების გმი-
რებს.

პოლტავა ემზადება სახელოვანი თანამემამუ-
ლის იუბილესათვის. ამ თარიღთან დაკავშირე-
ბით რესტავირებული იქნება მწერლის სახ-
ლი, მოხდება მუზეუმის რეექსპოზიცია, გამო-
იყვამ კოტლიარევსკის ნაწარმოებები, ბუკლეტე-
ბი, პლაკატები, მედლები, სამკერდე ნიშნები,
პოეტის სახელი მიენიჭება ტექნიკუმებს, ინს-
ტიტუტებს, კულტურის სახლებს, კინოთეატ-
რებს, დაიდგმება მემორიალური დაფები პოლ-
ტავაში, ჩერკასკში, ბელორუსიაში, მოლდავეთ-
ში, და სხვ. მოეწყობა მხატვრული გამოფენა,
სადაც მონაწილეობას მიიღებენ მხატვრები და
მოქანდაკეები. პოლტავაში, შემდეგ კი კიევსა
და მოსკოვში მოეწყობა უკრაინის მეცნიერე-
ბათა აკადემიისა და შემოქმედებითი ორგანი-
ზაციების გამსვლელი სესია.

პოლტავა გულთბილად შეხვდება სტუმრებს.

ქ. პოლტავა.



ქარლ სენდბერგი

სიკვდილი ცხვირში ხელს წაავლებს გულამაყ კაცს

სიკვდილი უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა მთავრობა ამ ქვეყანაზე: მთავრობები ადამიანები არიან, ადამიანები იხოვებიან, ხოლო სიკვდილი ხითხითებს: „დღეს არიან, ხვალ აღარ არიან“.

სიკვდილი უფრო ძლიერია ვიდრე ყველა გულამაყი კაცი ამ ქვეყანაზე: სიკვდილი ცხვირში ხელს წაავლებს გულამაყ კაცს, ჩამოუგორებს წყვილ კამათელს და ეუბნება: „წაიკითხე და ღვარე ცრემლები“.

სიკვდილი ყოველდღიურად გადასცემს რადიოგრამას: „როცა მომეპრიანება, თავს დაგაცხრებით“, და მართლაც ერთ მშვენიერ დღეს, მოადგება კარს გასაღებით ხელში, დაუკითხავად შემოვა შინ და გვეუბნება: „წაფიდეთ ახლა“.

გრძელმკლავება ძიძა სიკვდილი! „ნუ გეშინია, არაფერს გატკენ, უკვე დროა, ახლა შენ უნდა დაიძინო ხანგრძლივი ძილით, ჩემო პატარა, განა ძილს რამე სჯობია ქვეყნად?“

პირველი კლასის ექსპრესი

მე მივყვები პირველი კლასის ექსპრესს, ჩვენი ქვეყნის ერთერთ უსწრაფეს მატარებელ-თავანს:

პრერიებში მიჰქრის და მიაპობს ცისფერი ბურუსით მოცულ სიბნელეს ფოლადის ორ-მოცდაათი: ვაგონი ათასამდე მგზავრითურთ.

ეს ვაგონები ბოლოსდაბოლოს ჯართად იქცევიან, დაჟანგდებიან, ვაგონ-რესტორანში და საძილეებში მოხარხარე ქალებისა და მამაკაცების ძვალცი აღარ დარჩება.

თამბაქოს მოსაწევ ვაგონში ვეკითხები კაცს, საით მიდის და იგიც მპასუხობს: „ომიპა“.



ჩემში სახლობს შველი... ბასრი ბრჭყალები აქვს ტყავის დასაგლეჯად. წითელი ვინაჟი უმი ზორცისთვის... ცხელი სისხლისთვის... — მე ვინახავ მგელს, რადგან იგი უდაბნომ მომცა, უდაბნო მას ვერ შეეღევა.

ჩემში სახლობს მელა... რუს-მოვერცხლისფერო მელა... მე ვყნოსავ გარემოს... ქარსაც კი გამოვრჩები რაღაცას... სიბნელეში გამოვჩხრიკავ მძინარე არსებას, შევახრამუნებ და ვმალავ ბუმბულს... ვხაზავ წრეებს, ვნასკვავ ყულფებს, ვიგონებ ხრიკებს...

ჩემში სახლობს ტახი... დინგი და მუცელი... ჭამის, ღრუტუნის მექანიზმები... მზეში გაწოლის, ტკბილი ძილის მექანიზმები, — ესენიც უდაბნომ მომამალა, უდაბნო მათვერ შეეღევა.

ჩემში სახლობს თევზი... ვიცი, რომ მოვედი მლაშე და ცისფერი წყლის მორევებიდან... დავსრიალებდი ქაშაყებთან ერთად დარნებში... წყალს ვაშხეფებდი დელფინებთან ერთად... სანამ მიწა შეიქმნებოდა... სანამ წყალი გადავიდოდა... ნოეზე ადრე... დაბადების პირველ თავზე ადრე.

ჩემში სახლობს ანთარი¹... ფეხმარდი... ძაღლისსახიანი... შიმშილით აყმუვლებული... ბანჯგვლიანი იღლიები აქვს. აქ არიან მიმინოსთვალეზა, ვნებაატეხილი მამაკაცები... ქერთმიანი, ცისფერთვალეზა ქალები... აქ მათ სძინავთ მოკუნტულებს, ელიან რაღაცას... მზად არიან საღრუნად, კაცისკვლად... მზად არიან სამღერად, საძიძაოდ... ელიან რაღაცას... მე ვინახავ ანთარს, რადგან უდაბნო ასე მიბრძანებს.

ჩემში სახლობს არწივი, სახლობს ჩიტიმანჭია... არწივი დაფრინავს ჩემი ოცნებების კლდოვან ქედებზე, იბრძვის ჩემი განსაცდელის პიტალო კლდეებზე... შუადღისას, როდესაც ცვარი შრება ბალახზე, ჩიტიმანჭია ტკარცალებს ჩემი იმედების დაბალ ბუჩქნარში, დაფრთხილებს ჩემი სურვილების ცისფერ ბორცვებზე — მე მყავს არწივი, მყავს ჩიტიმანჭია — უდაბნოსაგან მომადლებულნი.

ასე რომ მთელი ზოოპარკი მყავს, მთელი სამხეცე, ამ ჩემს ნეკნებქვეშ, ამ ჩემს მყიფე ზაფხისქალაში, ამ ჩემს წითელსარქვლიან გულში; ჩემს დედაკაცურ, ბავშვურ გულში; ჩემშია მამა, ჩემშია დედა, ჩემშია მიჯნური: ესენი მოვიდნენ — ღმერთმა უწყის საიდან, მიდიან — ღმერთმა უწყის საით, მე ვარ სამხეცეს პატრონი, მე ვამბობ „ჰოს“, ვამბობ „არას“, მე ვკლავ კაცს, ვმღერი, ვმუშაობ: მე თანაზიარი ვარ ამ სოფლის, მე უდაბნოდან მოვედი.

¹ ანთარი — მაიმუნია ერთგვარი.

De aegypto¹.

მე ვარ, ეს მე ვარ, მე ვუწყვი გზანი, ცად აღმავალნი,
ქარია სხეული ჩემი.

მე მინახავს ასული „ცხოვრება“,
მე ვარ, ეს მე ვარ, მე დავფრენ მერცხლებთან ერთად.

რუხია და მწვანე მისი ტალავარი.
ქარი შლის შრიალა კალთებს.

Manus animam pinxit².
კალამი მიჭირავს ხელში,

რათა დავწერო სიტყვა სანუკვარი...
ბაგენი ჩემნი მღერიან უწმინდეს პანგებს.

ან ვისი ბაგენი იტყვიან
კუმური ლოტოსის პანგებს?

მე ვარ, ეს მე ვარ, მე ვუწყვი გზანი ცად აღმავალნი.
ქარია სხეული ჩემი.

მე ვარ მზის გულში გზნებული ცეცხლი.
მე ვარ, ეს მე ვარ, მე დავფრენ მერცხლებთან ერთად.

შუბლზე მაქვს ნათელი მთვარე
და ჩემს ბაგეებში ბუღობენ ქარნი.

მთვარე ვეება მარგალიტია საფირონის წყალში.
მე მის ნაკადში ვიგრილებ თითებს.

მე ვარ, ეს მე ვარ, მე ვუწყვი გზანი ცად აღმავალნი,
ქარია სხეული ჩემი.

კველბური სიბრძნე ანუ პოსემიური

სო შუს დაესიზმრა,
რომ იგი ხან პეპელა იყო, ხან ფუტკარი და ხანაც ჩიტი,
მას ვერ გაეგო, რად უნდა ეგრძნო თავი სხვაგვარად და
არა ისე, როგორც ეს სამი არსება გრძნობს თავს.
აქედან: მისი თვითკმაყოფილება.

1 ეგვიპტისათვის.

2 ხელი სულს ხატავს.

ე კ ი ტ ა ფ ი ე ბ ი

ფუ ი

ფუ ი-ს უყვარდა ცა ღრუბლიანი და გორაკები,
საუბედუროდ, ალკოჰოლმა იმსხვერპლა იგი.

ლი აო

ლი პოც ნასვამი დაიღუპა, —
იგი მთვარეს გადაეხვია
ყვითელ მდინარეში.

კ უ ნ კ უ ლ ი ტ ბ ა გ ე

ო, ღმერთო! ო, ვენერა! ო, ქურდების მფარველო მერკურო!
ისმინეთ ჩემი ვედრება, მაღირსეთ თამბაქოს პატარა ფარდული,
კოხტა, ბრჭყვიალა ყუთები,
თაროზე გაწყობილნი ლამაზად,
სურნელოვანი თუთუნის ფილები,
ქისებში — ბურნუთი.

კოხტა ვირჯინია,
შუშის ბრჭყვიალა კოლოფების ფონზე გაბადრული,
კარგად გაწმენდილი სასწორი,
მეძაგები, სტუმრად მოსულნი,
(ტკბილი სიტყვის თქმა, თმაზე ხელის გადასმა ნაზად...).
ო, ღმერთო! ო, ვენერა! ო, ქურდების მფარველო მერკურო!
მომაქირავეთ თამბაქოს პატარა ფარდული,
ან მომიჩინეთ სხვა რამ ხელობა,
ოღონდ მარიღეთ მწერლის დაწყევლილი ხელობა,
რომელიც ითხოვს ტვინის მუშაობას დღედაღამ.

მოდით დავდეთ პაქტი, უოტ უიტმან,
საკმაოდ დიდხანს უარყოფდი მე სახელს შენსას,
ახლა კი მოვედ უკვე შენთან, როგორც მოზარდი,
რომლის მამასაც ღორის თავი აბია მხრებზე.
უკვე საკმაოდ მოხუცი ვარ მე სამეგობროდ,
შენ ხომ პირველმა გააშენე ეს ახალი ტყე,
ჟამია უკვე მოწვევისა, ჟამი იცვალა,
მე და შენ ფსვი საერთო გვაქვს,

წვენიც საერთო

მოდით, გაჩაღდეს კომერცია მე და შენს შორის.



ქველი ეგვიპტური მითები

პირველი ცივილიზაციები ალბათ იქ წარსახა, სადაც ხალხმა გამოცდილება შეიძინა, ვარკვეული საზოგადოებრივი ფორმაცია შექმნა და აღამიანებს მოვალეობის გრძნობა შთაუწერა. არსებობისათვის ორგანიზებულმა ბრძოლამ, ყველა სხვა ცოცხალ არსებაზე გაბატონებამ, აღამიანი უფრო თამამი, გონიერი და აქტიური გახადა, მაგრამ ამჭევრყნად მისთვის მაინც იმდენი რამ იყო ბნელით მოცული და ხიფათით საესე, იმდენად რთული იქნებებოდა მისგან დამოუკიდებელი სამყაროს სტრუქტურა, რომ შიშისა და უმწეობის გრძნობას თავი ვერ დააღწია. საჭირო იყო რაღაც ისეთის მოგონება, რაც მას საშუალებას მისცემდა გარეთ გამოეტანა, როგორღაც გამოეხატა საკუთარი სიხარული და მწუხარება, იმედი და უიმედობა, საზოგადოების სხვა წევრებისადმი და გარე სამყაროსადმი დამოკიდებულება. მასალა უკვე ხელთ ჰქონდა — მანამდე მან შეჰქმნა სიმბოლოები, რიცხვისა და აზრის გამომხატველი ნიშნები, საღებავები, საკულტო ზნეჩვეულებანი და ამიტომ აღარც იმის შექმნა გაჭირვებია, რასაც ხელოვნება უწოდა და მთელი თავისი სულიერა სამყაროს გამოხატვა დააკისრა. ერთი ძველი ლეგენდის მიხედვით, შეყვარებულმა ქალიშვილმა კედელზე სატრფოს ჩრდილი დაინახა და ისე მოუწადა მისი გამოხატვა, მისი გამოსახულები შენარჩუნება, რომ ნახშირი აიღო და შემოხახა. ღმერთმა იცის, როგორი იყო პირველი პორტრეტი, პირველი პირობითი გამოსახულება, მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო შეყვარებული ქალიშვილის მძრუდე ხანებმა კედელი აამტყველა. ქვეყნად გაჩნდა რაღაც ისეთი, რაც მანამდე არ არსებობდა.

ძველი ეგვიპტური მითები იმ ხალხის წარმოდგენის ნაყოფია, რომელმაც შეიძლება პირველი ნაბიჯი გადადგა ცივილიზაციისაკენ და ოფლითა და სისხლით შექმნილი გამოცდილება უკვლიდა რომ არ გამქრალიყო, გადაწყვიტა შექმნა მატერიალური და სულიერი ფასეულობანი. დაიწყო სასახლეების, ტაძრებისა და პირამიდების მშენებლობა, ძერწვა, ხატვა. თხზვა. ფერებმა, ბეგრებმა, ხაზებმა განზოგადოებული მნიშვნელობა შეიძინეს და უძველ-

სი ხალხის სულიერი კულტურა ჩვენ დრომდე მოიტანეს.

გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა წინ მიიწევედა, გაუგებარსა და მარადიულს ებლატუქმბოდა. მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ წვდებოდა და იძულებული ხდებოდა, შეექმნა ისეთი სამყარო, რომელიც მისთვის უფრო ახლობელი და გასაგები იქნებოდა, რომელსაც თავიც ექნებოდა და ბოლოც. ასე თუ ისე, თავმოპოვული ცხოვრება რომ ქაოსსა და აღრუელობას არ წაეღეკა, აღამიანებმა დაიწყეს ვარაუდი, ავისა და კარგის დაპირისპირება, გაუგებრობისა და სიძლიერის გაღმერთება, ერთი სიტყვით, მითების შექმნა. პრიმიტიული თქმულებები თანდათან რთულდებოდა, საყოველთაო მნიშვნელობას იძენდა და თემის ან ტომის საკუთრება ხდებოდა. ძველი ეგვიპტური მითები და რელიგიური მოძღვრებები ისეა გადახლართული ერთმანეთში, რომ მათი გამოცალკევება არაფრით არ ხერხდება. მითებისა და რელიგიის შერწყმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ხალხი ცალკე თემებად ცხოვრობდა, ხოლო საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, როცა ეგვიპტეში ცენტრალიზებული ხელისუფლება შეიქმნა და დაქსაქსული. კუთხური რელიგიური მოძღვრებები სახელმწიფოებრივმა რელიგიამ შეცვალა. იმ დროიდან ფარაონი მარტო უზენაესი მმართველი კარ იყო, არამედ ღვთაებაც. მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ ტაძრებში ქურუმები ხალხს მეფეებისა და ღმერთების შიშს უნერგავდნენ და სანამ ეს უშუალოდელი იყო, მორალური დოგმებით ზღუდავდნენ.

მრავალღმერთიანობა თითქმის ყველა ახალ ფეხადგმულ რელიგიას ახასიათებდა, მაგრამ ეგვიპტელებს იმდენი ღმერთი ჰყავდათ, რომ მათი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. თავის ღმერთი ჰყავდა ბუნების ყოველ მოვლენას, ყოველ ქალაქს, ყოველ ნომს, ყოველ მდინარეს. ამიტომ ღმერთების საზოგადოებაც ისევე იყო დიფერენცირებული, როგორც აღამიანებისა. აღამიანებს შორის უზენაეს ხელისუფლად ფარაონი ითვლებოდა, ღმერთებს შორის კი მზის ღმერთი — ამონ-რა. ვაზირებო ერთსაც

ჰყავდა და მეორესაც. ღმერთები დიდად არც სხვა მხრივ განსხვავდებოდნენ ადამიანებისაგან. ჰამა-სმა მათაც სჭირდებოდათ, ჰყავდათ მტრები და მოკეთებები, იღლებოდნენ და ხუცდებოდნენ. მხოლოდ ეს იყო, რომ ტრეტემიზმს მამინ მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ადამიანთა შეგნებაში და მთავან განსხვავებით, ღმერთებს უნარი შესწევდათ მტაცებელ მხეცებად ან ფრინველებად გადაქცეულიყვნენ. იყო დრო, როცა ეგვიპტელები სამყაროს შექმნასაც ცხოვრებებს აწერდნენ. ძროხას რომ მზე არ ეშვა, ქვეყანა ბნელი იქნებოდა მოცული, მაგრამ მღვდელთა განმავლობაში ეგვიპტელების კოსმოგონიური შეხედულებები შეიცვალა, ბევრი რამ გადაფასდა და ბოლოს ისინიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სამყაროს პირვანდელი მდგომარეობა ქაოსი იყო. პელეოპოლური თქმულების მიხედვით, ღმერთი ქაოსიდან ამოვიდა, თავის თავი თვითონვე შექმნა და შემდეგ სამყაროსა და ადამიანების შექმნა დაიწყო. თითქმის ყველა მითის მიხედვით ღმერთი სამყაროს მიწიერი სუბსტანციის მეშვეობით ჰქმნის, მაგრამ არის ერთი მემფისური თქმულება, რომლის მიხედვითაც ღმერთმა სამყარო გულისა და ენის მეშვეობით შექმნა, ე. ი. გრძნობისა და აზრის მეშვეობით. ამ მითში ეგვიპტელებმა უპირატესობა ემოციასა და ინტელექტს მიანიჭეს და ეს ორი ფენომენი მიწიერ სუბსტანციას დაუპირისპირეს.

ეგვიპტური მითები იმდენად დატვირთულია ემოციურად, რომ ცხადად ასახავენ სახელომწიფოს აყვავებისა და დაცემის პერიოდებს. ზოგ მათგანში ენერჯის მოზღვაება, იმედიანი განწყობილება იგრძნობა, ზოგში კი ქვეყნის არეულდარეულობით გამოწვეული სევდა და დაღლილობა. რაც უფრო გვიანდელია მითი, მით უფრო მუქფეროვანია. ამგვარი განწყობილებას შექმნას ისიც უწყობდა ხელს, რომ ათეული საუკუნეების მანძილზე ძველ ეგვიპტეში ერთობლივად საზოგადოებრივი წყობა, უცვლელი წეს-ადათები, გაქვავებული პრინციპები იყო გაბატონებული და ცხოვრების უძრაობამ, ერთადგილზე გაყინვამ დაღლილობისა და პასიური უქმყოფილების გრძნობა გამოიწვია. ამ მხრივ საინტერესოა მითი „აკატა მოდგმის ამოწყვეტა“. დაღლილმა, დაბერებულმა ღმერთმა გაიგო, რომ ადამიანები აუჯანყდნენ და აკატა მოდგმის ამოწყვეტა გადაწყვიტა. ღმერთებთან თათბირის შემდეგ, მან ადამიანების წინააღმდეგ ქალღმერთი ხატორი ვაგზუნა, რომლის მძინვარებას ზღვარი არ ედო. ხატორმა მუსრი გააკო უღაბნოში გაიხსნულ ადამიანებს, ხოლო ისინი, ვინც მის რისხვას გადაურჩნენ, ნილოსის სათავეებისაკენ გაიქცნენ. ბოლოს ღმერთს თითქოს შეებრაღა გამოქვაბულებში შეხიზნული ადამიანები, მაგრამ სინამდვილეში ვერ შეძლო მათი ამოწყვეტა და მელანქოლიით

შეპყრობილი დაღლილობას უჩივის. ამ მითში ცხადდაა დაპირისპირებული შემოქმედისა და შექმნილის ურთიერთდამოკიდებულება. ადამიანმა თავის თავი იმ დღიდანვე შეიქმნა, რადღესაც გაჩნდა და დამორჩილება თუ არა სხვის ნებას, ეს უკვე მისი საქმეა. ძველი ეგვიპტელები გუმანით გრძნობდნენ, რომ ღმერთს ადამიანთან მტრობა არ გამოადგება, რადგან ამქვეყნად ყველაფრის საზომი მინც ადამიანია.

ძველ სამყაროში ღმერთების სესხება-გასესხება ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ეგვიპტის უამრავ ღმერთთაგან მხოლოდ ერთი გასცდა მის საზღვრებს და თითქმის ყველა ცივილიზებული ხალხის რელიგიაში დამკვიდრდა. ერთს ერქვა ისიდა, მეორეს ოსირისი. ქალღმერთი ისიდა ნილოსის ველს ანსახებრებდა, ოსირისი კი მის გამანაყოფიერებელ მდინარეს — თეთი ნილოსს. დროთა განმავლობაში მათი კულტა მთელ ეგვიპტეში გავრცელდა, ორივეს ფუნქცია-მოვალეობა ვაფართოვდა, ქალღმერთმაც და ღმერთმაც მრავალი სახე და მრავალი არსი შეიძინეს. ისიდაზე უფრო პოპულარული ქალღმერთი ძველ სამყაროს არ ახსოვს. მის სახელს სხვა ქვეყნის ხალხები ან თეიანთი ნაყოფიერების ქალღმერთთან აიგივებდნენ (ბერძნები დემეტრასთან) ანდა უცვლელად სესხელობდნენ და სათაყვანებელ ქალღმერთად სახვებდნენ (წინა აზია, შუამდინარეთი, რომი). ისიდა როგორც ეგვიპტეში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც უგონიერეს ქალად ითვებოდა. იცოდა მკურნალობა, შელოცვა. დიასახლისობა და მოსავლის აღება. მის სახელთანაა დაკავშირებული ქორწინების დამკვიდრება, ოჯახისა და მისი კერის შექმნა. ეგვიპტის უძველეს ტაძრებში, პირამიდებში, სასახლეთა ნანგრევებში ისიდას იმდენი ქანდაკება იპოვეს, რომ მისი პოპულარობის დასადასტურებლად ეს შედეგარებაც კმარა. ყოველი მოქანდაცე მას იმდევადებდა სახავდა, როგორ ფუნქციასაც ადგილობრივი ტაძარი აკისრებდა. პლასტიკურ ხელოვნებაში ისიდა პირველი ქალია. ვისაც კალთაში ჩვილი ყრმა — ჰორი უზის და მომავალს იმედიანი თვალი შეჰყურებს. ასე გავრცელდა მსოფლიოში ღვთისმშობლის გამოსახულება ჩვილი ყრმით ხელში ან კალთაში.

ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში ყველაზე ფართო გავრცელება ოსირისის კულტმა პოვა. ეგვიპტეში იგი ისეთივე პოპულარული და ზაყვარელი ღმერთი იყო, როგორც დონისეც ძველ საბერძნეთში. მის თვით ოსირისის შესახებ ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. მის შესახებ ყველაზე ვრცელ ცნობებს გვაწვდის ბერძენი მწერალი პლუტარქ ბერონელი, რომელიც ცხოვრობდა II საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით. მან ალბათ შეკრიბა, ერთ ამხალ შეკრა

ძველი ეგვიპტური მითები

და ლიტერატურულად დაამუშავა ისიდასა და ოსირისის შესახებ ეგვიპტის სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული თქმულებები. რელიგიურ ტრაქტატში „ისიდა და ოსირისი“ იგი თხრობას რეალური ცხოვრების აღწერით იწყებს და შემდეგ ფანტასტიკური ელემენტებით ამდიდრებს. ძველამოსილი ოსირისი ორივე ეგვიპტის ტახტზე ავიდა და თავის ცოლთან, ისიდასთან ერთად ბრძნულად შუუდგა უზარმაზარი სახელმწიფოს მართვას. მომთაბარე ხალხები მან ნილოსის გასწვრივ დაასახლა. დაარსა სოფლები, ქალაქები. სოფლებში მისი ხელშეწყობით დაიწყეს არხების გაყვანა, ხეხილისა და საქონლის მოშენება, ორი მოსავლის მოყვანა. ქალაქებში კი განვითარდა ხელოვნება, ექიმობა, წარმოება. შემდეგ ოსირისმა აზია დასაშტრა და ბევრი ქვეყანა დაიპყრო. ავტორი აქ ხაზს უსვამს ერთ გარემოებას. ლაშქრობის მიზანი მხოლოდ მიწების შემომტკიცება კი არ იყო, არამედ აზიური კულტურის შეთვისებაც, მისი ეგვიპტეში გადმოწერვაც. სანამ ოსირისი აზიაში ლაშქრობდა, მისი შინ დარჩენილი ძმა სეთი ტახტის მიტაცების გეგმებს აწყობდა. აზიიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ოსირისს ხალხი ზემოთ შეეგება. გაიმართა ლხინი, მეფეს საჩუქრები მორთვეს. სეთმა საიდლანაც არნახული სიღამაზის სკიფრი მოიტანა, შუა დარბაზში დადგა და ხამაილა განაცხადა: ეს სკიფრი იმას დარჩება, ვინც შიგ გაიმართებაო. ოსირისი არ მოელოდა ძმისგან ღალატს და სკიფრი ჩაწვა. მაგრამ სეთმა სკიფრს თავი დაახურა, მაგრად დაქუდა და ნილოსში გადააგდო. წყალმა კუბოში ცოცხლად ჩასვენებული ოსირისი ფინიკიის ქალაქ ბიბლოსის ნაპირებთან გამოიჩია. აქ სკიფრს ირგვლივ მანანა შემოეხია და თავის გულში მოაქცია. ფინიკიელთა მეფე იმ დროს სასახლეს აშენებდა, ამიტომ ხე მოჭრა და სვეტად გამოიყენა. ისიდა დიდხანს ეძებდა დაკარგულ ქმარს, ბოლოს როგორც იქნა, მიადგო ბიბლოსამდე, სასახლეში დაბინავდა და უფლისწულის აღზრდა იღვა თავს. ერთხანს მონღომებით მალავდა საკუთარ ვინაობას, მაგრამ როცა მეფის ნდობა მოიპოვა, ყველაფერში გამოუტყდა და სვეტად აღმართული მანანა გამოთხოვა. ისიდა სამშობლოში დაბრუნდა. სეთის შიშით სკიფრი დამწყვდეული ოსირისი საგულდაგულად დამალა, მაგრამ სეთმა მიაგნო ოსირისის კვალს, თოთხმეტ წაწილად დაეკა და მისი ნაყოფები მთელ ეგვიპტეში მიმოხანია. დამწუხრებულმა ისიდა დიდის ვიავგლახით შეკრიბა ოსირისის უხრწნელი ნაკეთები, ერთმანეთს მოარგო და დაასაფლავა.

ოსირისის სიკვდილის შემდეგ დედამიწა გაეკრანდა, მცენარეულობა დაქვა, ყოველი სულდგმლის არსებობას საფრთხე შეექმნა. ეტყობა, ოსირისი ოდესღაც ნაყოფიერების ღმერთი იყო და ქვეყანაზე სიცოცხლე რომ არ

გამქრალიყო, ხალხმა ღუმილის სამყაროში გადასული ღმერთი სიკვდილს დაუბრძინა, მკვდრეთით აღდგინა. მიუხედავად ამისა, ოსირისმა აღარ ისურვა ამქვეყნად დაბრუნება და სამუდამოდ დარჩა ქვესენლის მუდგულ ღმერთო, როცა ადამიანებს ეჭვი ეპარებოდათ ღმერთების ყოვლისშემძლეობაში და სამართლიანობაში, მაგრამ ოსირისის კულტის გაბატონების შემდეგ უფრო ცხადდ გამოიკვეთა ბოროტისა და კეთილის, საიქიოსა და სააქაოს, წარწყმედისა და ცხოვნების ცნება. საიქიომო ოსირისი სასწორის ერთ მხარეს მიცველებულის გულს დებს, მეორე მხარეს კი სამართლიანობის ქალღმერთის ქანდაკებას და ცოდვილთ ჯოჯოხეთში აგზავნის, უცოდველი კი — სამოთხეში. ეგვიპტელებისათვის ოსირისი სიკვდილზე გამარჯვების, სამართლიანობის, ჰუმანურობის სიმბოლო იყო და ყოველ ამქვეყნიურ საკეთეს მის მრავალსახოვან, მრავალი არსის შემცველ ბუნებას მიაწერდნენ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორფეოსის ჰადესში ჩასვლას და უკან დაბრუნებას, ქრისტემდე ოსირისი ერთადერთი ღმერთი იყო, რომელიც სიკვდილის შემდეგ აღსდგა, ცოცხალი არსების ფუნქციადიბრუნა. თუმცა ოსირისი დიდად განსხვავდებოდა ქრისტესაგან, არც ეგვიპტელების წარმოდგენით შექმნილი ჯოჯოხეთი და სამოთხე ჰგავდა ქრისტიანული რელიგიის ჯოჯოხეთსა და სამოთხეს, მაგრამ ოსირისის აღდგომა, სააქაომო და საიქიომო, ავისა და კარგის სასწორზე აწონვამ დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანულ რელიგიაზე. საერთოდ, ოსირისის კულტი ყველა დროისა და ყველა ხალხის მიერ შექმნილ კულტს შორის ერთერთი ყველაზე სანატრესო და ძნელადამოსახსნელი მოვლენაა.

ძველ ეგვიპტურ მითებს ჯერ კიდევ ანტიკურ საუკუნეებში მიაქციეს ყურადღება ბერძნებმა და რომაელებმა, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესი მათ მიმართ პტოლომეებმა გამოიჩინეს. ბევრი რამ სწორედ პტოლომეების დროს აღინუსხა და ჩაიწერა. შემდეგ ეგვიპტური მითები სათვის აღარავის ეცალა, მაგრამ თრი უქანასკნელი საუკუნის მანძილზე კვლავ გაღვივდა ინტერესი მათ მიმართ. ამოიკითხეს იეროგლიფები, აღმოაჩინეს ახალი სამარხები, პაპირუსები, კედლის მხატვრობა და ქანდაკებები. პლასტიკური ხელოვნების ნიმუშებმა დიდი დახმარება გაუწია მკვლევარებს მითების ბუნდოვანი აღვილების გაგებასა და მათი შინაარსის დაზუსტებაში. დღეს ძველი ეგვიპტური მითები თითქმის ყველა კულტურული ხალხის ენაზე თარგმნილი და მათ შესახებ მრავალი გამოკვლევა იბეჭდება.

ძველი ეგვიპტური მითების შესწავლისა და თარგმნის მრავალი გარემოება ართულებს: სრული სახით თითქმის არც ერთ მითს არ მოუღწევია ჩვენამდე. ბევრი რამ დაიკარგა, ბევ-

რი კი დაზინდა. დაზინებულია ტაძრის კედლები, სარკოფაგები, პირამიდებზე ამოკვეთილი წარწერები, თიხის ფილები და ამიტომ ზოგი ადგილი მეტისმეტად ძნელი გასაგები და ბუნდოვანია. გარდა ამისა, ძველი ეგვიპტური ყოფა ისე დაშორებულია ჩვენი დროისაგან, რომ სპეციალური შესწავლის გარეშე ყოფაცხოვრებითი დეტალების გაგება ჭირს. და კიდევ ერთი, ეგვიპტურ იეროგლიფებს მთელ მსოფლიოში მხოლოდ სპეციალისტები კითხუ-

ლობენ, დანარჩენები კი თარგმანით იფარგლებიან.

ძველ ეგვიპტურ მითებს, რა თქმა უნდა, საქართველოშიც გამოუჩნდება ერთდროულად, კვალიფიციური მთარგმნელი. ჩვენი მოსახლეობისა, რომ ქართველ მკითხველს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გავაცნოთ, რამაც შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას უძველესი ხალხის სულიერ კულტურაზე.

გივი ბაღულარი

სამყაროს შექმნა

მე ვარ ის, ვინც არს იქმნა ვითარცა ხებრა, ვარ ვიქმენ მე და არს იქმნა ყოველი არსი. მას შემდეგ, რაც არს ვიქმენ მე, არს იქმნა ყოველი არსი და გადმოვიდა ბავთვთაგან ჩემთა უამრავი არსება.

მანამდე არ არსებობდა არც ცა, არც მიწა, არც პირი მიწისა და არც გველი ადგილსა ამას.

ისინი მე შევქმენ იქ ნუნისაგან, არარსობისაგან.

ახლა კი ადგილი ვერ ვიპოვე იქ, რომ დაეშდგარიყავ.

მე ჩემსავე გულში გავიზარე ყველაფერი, საკუთარი სხის წინაშე ჩავიდებოდე ყველაფერი, რადგან ვიყავ განუყოფელი და ჭერ კიდევ არ მქონდა ამორწყეული შუა და ამონთხეული ტეფნუტი და არ არსებობდა არაფერი, ვისაც ჩემთან ერთად შეეძლო შექმნა.

მე ჩემსავე გულში ჩავიდებოდე და არს იქმნა ათასგვარი არსება არსებულთა მსგავსის შობისა და შობილთა შობის გზით.

მე შევეურთდი ჩემსავე მუსტს, შევერწყე ჩემსავე მკლავს და შთავარდა თესლი პირსა ჩემსა.

და მე ამოვწიე შუა, ამოვანთხიე ტეფნუტი და მითხრა მამაჩემმა ნუნმა: „გაუმარჯოს მათ“. ხოლო მას შემდეგ, რაც ისინი დამშორდნენ მე, მათი მფარველი სამარადამოდ შეიქმნა ოკო ჩემი.

მე ვარსებობდი, როგორც განუყოფელი ღმერთი და აი ჩემს გვერდით სამი ღმერთია.

მე უკვე ვიყავ ამქვეყნად, როცა შუ და ტეფნუტი ამოვიდნენ ნუნიდან, რომელიც მათ შე-

იცავდა და მას შემდეგ, რაც შევიკრიბე მე ნაკვთნი ჩემნი, მათ მომიყვენს ოკო. მაშინ ვადრქვიე მე მათ ცრემლი და ჩემ თვალთაგან გადმოდენილი ცრემლებისაგან წარმოიშვენ ადამიანები. ხოლო როცა მოვიდა იგი და ნახა, რომ მის ადგილას მე შევქმენ სხვა, შევიცავა იგი იმდებულთი, ძლიერ განმირისხდა. მაგრამ მე შევიდგი იგი თავზე და მას შემდეგ ივია მბრძანებელი ამა ქვეყნისა.

სამყაროს შექმნა

აზრი ატუმის სახით იშვა ჩემს გულში, ენამ ატუმის სახით გამოთქვა აზრი. დიდი და უკიდვანოა ბტახი, რომელმაც ძალა შემკვიდრობით მიიღო ყველა ღმერთისა და მათი სულებისაგან ამ გულის მეშვეობით, რის გამოც ჰორი იქცა ბტახად, ამ ენის მეშვეობით, რის გამოც თოთი იქცა ბტახად.

მოხდა ისე, რომ გული და ენა ამოდნენ ყოველ ნაკვთზე, რადგან მათ შეიცნეს, რომ ბტახი ყოველ სხეულშია, ყველა ღმერთის, ყველა ადამიანის, ყველა ცხოველის, ყოველი ცოცხალი არსების პირშია. იგი აზროვნებს და მბრძანებლობს ყოველ საგანზე, რომელზე მბრძანებლობასაც კი მოისურვებს. მისი ცხრა ღმერთი მისთვის იგივეა, რაც კბილები და ბავებები. ეს არის თესლი და ხელები ატუმისა, რადგან ცხრავე ღმერთი იშვა მისი თესლიდან და მისი თითებიდან. ხოლო ბტახის ცხრა ღმერთი მისი კბილები და ბავებია, რომელთაც სახელი შეარქვეს ყოველ საგანს და რომელთაგან გადმოვიდნენ შუ და ტეფნუტი. ცხრავე ღმერთმა შექმნა მხედველობა, ყურთა სმენა, ცხვირთა სუნთქვა და ყველაფერი აცნობეს გულს, რადგან მხოლოდ იგი იძლევა ყოველგვარ ცოდნას, ხოლო ენა იმეორებს იმას, რაც გულს ჩაუფიქრებია.

ასე, სიტყვის მეშვეობით, შეიქმნა კას სულები და გაათვისთავადნენ ხემსუტის სულები, რომელთაც შექმნეს ყოველგვარი სარჩო.

ძველი ეგვიპტური მითები

1. ნუნი — პირველად არსებული ქაოსი, რომლისაგანაც წარმოიშვა მზის ღმერთი რა.
2. შუ — ჰაერის ღმერთი, რას შვილი.
3. ტეფნუტი — ღმერთი ტენიანობისა, შუს და ცოლი, რას ქალიშვილი.
4. ოკო — რას ყველაზე საყვარელი ქალიშვილი.

და მიეცა სიცოცხლე კეთილისმყოფელს და სიკვდილი ბოროტსმკმნელს. და შეიქმნა ყოველგვარი სამუშაო, ყოველგვარი ხელოვნება, შრომა, ხელოსა, სიარული ფეხისა, მოძრაობა ყოველი ნაკვთისა და ეს ყოველივე შეიქმნა იმ ბრძანების თანახმად, რაც ჩაიფიქრა გულში, რაც გამოთქვა ენამ. რაც დანიშნულებას ანიჭებს ყოველ საგანს.

და მოხდა ისე, რომ ითქვა ბტახზე: „ის, ვინც შექმნა ატუმი და წარმოქმნა ღმერთები“. ეს ტა-ნენმა შექმნა ღმერთები, გადმოვიდა მისგან ყოველი სავანი, საქმელი და სასამელი, ღმერთების საყვები და მრავალი სხვა მშვენიერი საგანი. ასე აღმოჩინეს და სცნეს. რომ მისი ძალა ბევრად აღემატება სხვა ღმერთების ძალას.

და შეიქმნა ბტახი კმაყოფილი მას შემდეგ, რაც შექმნა ყოველი საგანი და ყოველი სიტყვა ლეთვისა.

და მან შვა ღმერთები, დააარსა ქალაქები და ნომები, დადგა ღმერთები მათსავე საკურთხეველში, დააწესა მათთვის მსხვერპლო, ააგო ტაძრები და მათ სხეულებს ზუსტად ისეთი ფორმა მიანიჭა, როგორც მათ გულს სურდა. და გადასახლდნენ ღმერთები თავიანთ სხეულებში მიწიდან, მცენარეებიდან, ქვებიდან, ყოველი თესლიდან, ყოველი საგნიდან, რომლებიც მათზე იზრდებოდა და რომლებშიც მათ საკუთარი სახე პოვეს. და შეიკრიბა მის ირგვლივ ყველა ღმერთი და მათი კა.

კაცთა მოღვმის ამოწყვეტა

ღმერთი, რომელმაც შექმნა საკუთარი თავი, განუეთხხავად ბატონობდა ღმერთებზეც და ადამიანებზეც.

მაგრამ ადამიანებმა ბოროტი ზრახვა ჩაიდეს გულში. ამასობაში მისი უდიდებულესობა მოხუცდა — დე იყოს იგი მარადის დღეგრძელი, ჯანმრთელი და სეებედნიერი. მისი ძმელები ვერცხლად იქცა ნაკეთები — ოქროდ, თმა ნამდვილ ლაქვარდად.

და გაიგო მისმა უდიდებულესობამ — დე იყოს იგი მარადის დღეგრძელი, ჯანმრთელი და სეებედნიერი, რომ ადამიანებმა მის წინააღმდეგ ბოროტი ზრახვა ჩაიდეს გულში.

მაშინ უთხრა მისმა უდიდებულესობამ იმათ — დე, იყოს იგი მარადის დღეგრძელი, ჯანმრთელი და სეებედნიერი, ვინც თან ახლდა: „იხმეთ, მომიყვანეთ ოკო ჩემი, შუ, ტეფნუტი, გეზი, ნუტი, მათი დედები და მამები, ყველა, ვინც ჩემთან იყო მაშინ, როცა ჯერ კიდევ ნუსხე ვეკუთვნოდი. უთხარით, მოვიდნენ თავიანთი ამალით, მოვიდნენ ფარულად, ისე რომ ადამიანებმა ვერ დაინახონ, ისე რომ ადამი-

ნებს გულები არ დაუხეტოქონ. შემოიყვანეთ დიდ დარბაზში და გამოსთქვან, დავიანთ, აზრი. ამის შემდეგ მე ამოვალ, ნუჩიღარ და გავალ იმ ადგილას, სადაც ვიშვი, მოგვბრუნებ ყველა ღმერთი!

მოვიდნენ ღმერთები და განერთხნენ მისა უდიდებულესობის წინაშე. და მიმართა მან უხუტესთა უხუტესს, იმას, ვინც შექმნა ადამიანები, ვინც მეუფეა დიდებულთა. მაშინ შექცადრეს მათ მის უდიდებულესობას: „გეთხარ და ჩვენ ყურად ვიღებთ ყველაფერს“.

მაშინ მიმართა რამ ნუნს: „ღმერთო უხუტესო, რომლისაგანც ვიშვი მე, წინაპარო ღმერთებო, ადამიანებმა, რომლებიც ჩემივე ტრემლებისაგან შევქმენ, ბოროტი ზრახვა ჩაიდეს გულში. რას იღონებდით თქვენ მათ წინააღმდეგ?“

„მე მოთონებით აღვიტურვე, არ მინდოდა ამოწყვიტა კაცთა მოღვმა მანამდე, სანამ თქვენ აზრს არ მოვიხმენდი“.

მაშინ უთხრა ნუნმა მის უდიდებულესობას: „შვილო ჩემო რა, ღმერთო უფრო დიდებულთა არიან, ვიდრე მათი შემქმნელი. მტკიულა ტახტი შენი და ყველას დიდი შიში აქვს შენი. გავგზავნოთ ოკო ბოროტმზრახველთა წინააღმდეგ“.

მაშინ თქვა მისმა უდიდებულესობამ: „ხედეთ, ადამიანებმა უღანდეს შეათარეს თავი, გულში შიში ჩასდგომით“.

უპასუხეს მის უდიდებულესობას ღმერთებმა: „გავგზავნოთ ოკო და ამოწყვიტოს ბოროტმზრახველნი. ოკოს ვარდა არავის შეუძლია, აღსდგეს მათ წინააღმდეგ, რადგან ადამიანებს მხოლოდ იგი ევლინება ხატორის სახით“.

წავიდა ქალღმერთი და ამოწყვიტა ადამიანები უღანდოში. მაშინ უთხრა მისმა უდიდებულესობამ ქალღმერთს: „წადი, იარე ქვეყნად, შენ ჰქმენ ის, რაც ჩემს გულს სურდა“.

უპასუხა ქალღმერთმა მის უდიდებულესობას: „მარად ცოცხალ ხარ ჩემთვის. მე დავმარცხე ადამიანები და ნეტარება ჩამუსახა გულში“.

მაშინ თქვა მისმა უდიდებულესობამ: „მე ამოწყვიტე კაცთა მოღვმა და ძლიერი ვარ ისე, ვითარცა მეფე“.

მაგრამ ის ღამე სოხმეტმა იქ გაატარა, სადაც ადამიანები ამოწყვიტა და მოყოლებული ნენი-ნისუტიდან, მათი სისხლი ფეხით გათვალა.

მაშინ ბრძანა რამ: „უხმეთ მალემსროლოთ, დაე გაფრინდნენ იქ, ვითარცა აჩრდილნი სხეულთა“.

მისივე უხმეს მალემსროლოთ.

ბრძანა მისმა უდიდებულესობამ: „გაფრინდნენ ელეფანტიწიში და მომიტანონ ბევრი დილი“.

1. დილი — წითელი მინერალი.

და მოუტანეს ბევრი დიდი.
მაშინ მისცა მისმა უდიდებულესობამ ჰელე-
ოპოლელ მეწისქვილეს მოზიდული დიდი, ხო-
ლო მოახსლებმა დაღერდეს ქერი ლუღისათვის.
შემდეგ ჩაყარეს დიდ ქვაბში და ადამიანის
სისხლს დაამსგავსეს.

ბოლოს მოადუღეს შვიდი ათასი ქვაბი ლუღი.
მაშინ მოვიდა მისი უდიდებულესობა, მეუ-
ფე ზემო და ქვემო ეგვიპტისა და მოსვა ლუ-
ღი. ეს სწორედ იმ დღით მოხდა, როცა ქალ-
ღმერთმა ადამიანები ამოწყვიტა, ხოლო ვადარ-
ჩენილნი ნილოსის სათავეებისაკენ გაიქცნენ.

მაშინ თქვა დიდებულმა რამ: „ო რა-მშვენი-
რი სასმელია, ამით მე ვიხსნი ადამიანებს“.
და ბრძანა დიდებულმა რამ: „მიიტანეთ ეს
ქვაბები იქ, სადაც ხატორმა ადამიანები ამო-
წყვიტა“.

მაშინ ამოვიდა მისი უდიდებულესობა, მე-
უფე ზემო და ქვემო ეგვიპტისა, ღამის სიმშვე-
ნიერიდან და გასცა ბრძანება, დაეცალათ ქვა-
ბები იმ ადგილას, სადაც ადამიანები ამოწყვი-
ტეს.

და მისი უდიდებულესობის სურვილისამებრ,
მინდვრები ყოველმხრით სითხით აღივსო.

მაშინ მოვიდა ქალღმერთი, ნახა გადაცე-
ბული მინდვრები და გული სიხარულით
აღევსო.

დაიწყო სმა და გული სიტკობებით აღევსო.
წავიდა მთვრალი და ველარ იცნო ადამი-
ანები.

მაშინ უთხრა მისმა უდიდებულესობამ ქალ-
ღმერთს: „წადი, იმიატო, იარე ქვეყნად!
და წარმოიშენნ ქალაქ იმა-უში მზეთუნახა-
ვები.“

შემდეგ კი უთხრა მისმა უდიდებულესობამ
ქალღმერთს: „მოიტანონ ადამიანებმა დღესას-
წაულზე იმდენი ქვაბი ლუღი, რამდენიც მო-
ახლე“.

და მოიტანეს ადამიანებმა ხატორის დღესას-
წაულზე იმდენი ქვაბი ლუღი, რამდენიც მო-
ახლე იყო.

მაშინ თქვა დიდებულმა რამ: „ეარსებობ,
მაგრამ ჩემი გული უზომოდ დაიღალა მათთან
ყოფნით. არ უნდა დამეწყო მათი ამოწყვეტა,
თუ მთლიანად ვერ მოვსობდი“.

მაშინ უთხრეს მის უდიდებულესობას ღმერ-
თებმა: „ნუ იჩივებ დაღლილობას, შენ ძლევ
ველაფერს, რის ძლევასაც კი მოისურვებ“.

მაშინ მიმართა დიდებულმა რამ ნუნს: „ნაკ-
ვთნი ჩემნი პირველად მოიღალენ, მაგრამ მე
მაინც ვერავის მივცემ უფლებას, მძლიოს“.

უპასუხა დიდებულმა ნუნს: „შვილო ჩემო,
იყავ შემწე მამისა შენისა, დაიფარე იგი, ხო-
ლო შენ ასულო ჩემო ნუტ, ასწიე იგი“.

მაშინ იკითხა ნუტმა: „ვიითარ შეეძლო ეს მა-
მაჩემო?“

და მოხდა ისე, რომ ნუტი ძროხად იქცა და
შეაჯდა ზურგზე დიდებული რა.

მოვიდნენ ადამიანები, დანახეს რა ძროხა
ზურგზე და უთხრეს: „დაგვიბრუნდი და ჩვენ
შევმუსრაეთ შენ მტრებს, მოვსაბოთ ყველას,
ვინც ავს ამბობს შენზე“.

მაშინ გაემგზავრა მისი უდიდებულესობა ქა-
ლაქ ხეტ-იხოტში და ღმერთებიც თან გააყვინეს.
დედამიწა ბნელით იყო მოცული. როცა ინა-
თა, მოვიდნენ მშვილდისრებით შეიარაღებულ
ადამიანები და აღმართეს ხელი რას მტრებზე.

მაშინ თქვა დიდებულმა რამ: „შემინდვია
ცოდებები. ჩემი მტრები რომ მოსპეთ, ამით
თქვენ იხსენით კაცთა მოდგმა ამოწყვეტისა-
გან“.

შემდეგ კი მიმართა ნუტს: „რადგან შეგვქმ
შენს ზურგზე, კვლავ აღვსდებები“.

შემდეგ თქვა: „ღმწვიდდეს მინდორი დიდი!“
და წარმოიქმნენ სიმშვიდის მინდვრები.

და თქვა მისმა უდიდებულესობამ: „დაიფა-
როს მინდვრები ლერწმით!“

და დაიფარა მინდვრები ლერწმით.
და დასძინა დიდებულმა რამ: „ლერწმის მინ-
დვრებში მე შევქმნი ათასგვარი სახის საგანს“.
დადგა ყამი მწუხრისა.

ნუტი აკანკალდა, რადგან ძალიან მძლავ იყ-
ვენენ.

მაშინ თქვა დიდებულმა რამ: „შვილო ჩემო
შუ, ამოუღეკი ქვემოლან ჩემს ასულს ნუტს.
შეიღვი თავზე და გვიპიროს ასე“...

შემდეგ კი უთხრა დიდებულმა ღმერთმა
თოთს: „იხმე დიდებული ღმერთი გები, წადი,
მომიყვანე უმალ“...

და მოგვარეს დიდებული გები.

მაშინ უთხრა მისმა უდიდებულესობამ გებს:

„დაე მოისრან გველნი, რომლებიც შენში არ-
სობენ. სანამ ამქვეყნად ვარ, მათ მუღამ ექნე-
ბათ ჩემი შიში. შენ ხომ იცი მათი მონუსხვა.
წადი იმ ადგილას, სადაც მამაჩემი ნუნია და
უთხარ, ერიდოს გველებს წყალში და მიწაზე,
შემდეგ კი აღუწერე იმ გველების ბუდე, რომ-
ლებიც შენში არსობენ და უთხარ, ფრთხილად
იყავით, არავის არაფერი ავნოთ. მათ იციან მე
რომ მივიღივარ, მაგრამ მაინც არ მოვიშლი
ბრწყინვას მათ თავზე. ხოლო თუ მათ სურთ
ჰყავდეთ მამა, ამაღამ შენ იქნები მათი მამა.“

მოერიდნენ შემლოცველთ, რომელთაც იციან,
რას ამბობენ. აი ჩემი შლოცვა ვერავის გაი-
ზიარებს ჩემთან ერთად იმ დიდებს, რომელიც
ჩემამდე არსებობდა. მე დავუმორჩილე მათ
ჩემს შვილს ოსირისს, დაიკავენ მათ ზავშეებს
და მორჩილ იქნებიან თავადთა გულები იმ თი-
ლისმის წყალობით, რომელსაც თავიანთი სურ-
ვილით ავრცელებენ მთელ დედამიწაზე, იმ შე-
ლოცვის ძალით, რომელსაც ფლობენ.

ამბავი უზენაესი ღვთაებისა, რომელმაც შექმნა საკუთარი თავი, ცა, მიწა, წყალი, ღმერთები, ადამიანები, მხეცები, საქონელი, მატლები, ფრინველები და თევზები — ღმერთებისა და ადამიანების მეუფისა, განუყოფელისა, მრავალი სახის მფლობელისა, უკუნაღვისა, ვისი გზაც ყოველთვის უცნობია, ვისაც ღმერთებიც კი არ იცნობენ.

ისიდა ჰქვიანი ქალი იყო და აი მან გულა აიკრუა მირიადობით ადამიანზე, გამოიგონა მირიადობით ღმერთი, შთასახა მირიადობით სული.

და მან ისევე შეიცნო ყველაფერი ცაზე და დედამიწაზე, როგორც რამ.

შემდეგ კი გადაწყვიტა გაეგო ღიღებულო ღმერთის სახელი¹.

რა ყოველ ღღე გამოდიოდა საბრძანებლიდან, წინ მოუძლოდა თავის რაზმს და ჯდებოდა ორივე პორიონტის ტახტზე.

და აი მოხუცდა ღმერთი, ტუჩები აუქანაღღდა, მისი პირიდან გადმოდენილი ნერწყვი დედამიწაზე იღვრებოდა, მიწაზე იღვრებოდა ისიც, რასაც იგი ამოანთხევდა. ისილამ ღვთის ნერწყვი და მტვერი ერთმანეთში აურიო, ხელის გულზე მოზილა და შეჭქმნა ისირისმაგვარი საშინელი გველი, რომელსაც ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ გაეჭქეოდა.

ისილამ გველი იმ გზაზე დასვა, რომელზედაც გამოდიოდა ღმერთი, რათა თვალი გადაეგო როგორ მიწისათვის.

და აი გამოუძღვა წინ ღიღებულო ღმერთი ღმერთებს, ვითარცა ფარაონი. დე იყოს იგი მარადის ღღეგრძელი, ჯანმრთელი და სვებედნიერი. და როგორც ყოველღღე, ახლაც გამოჰყვა უჯან ამაღა.

და უბინა უეცრად ღიღებულ ღმერთს საშინელმა გველმა. დაიწყო დენა ცეცხლმა გველის სხეულიდან და მოშხამა ის, ვინც სოჭის ტევრში ცხოვრობდა.

მაშინ გახსნა ბავენი ღიღებულმა ღმერთმა — დე იყოს იგი მარადის ღღეგრძელი, ჯანმრთელი და სვებედნიერი, და მისმა ხმამ ზეცა შეარყია.

„რა არის ეს? — იკითხა ცხრავე ღმერთმა ერთად.

„რა დაგემართათ?“. ჰკითხეს ღმერთებმა. მაგრამ მას ძალა არ შესწევდა პასუხი გაეცა. ყბები უქანაღღებდა, ყოველი ნაკვთი უთრთოდა და შხამით ისე იესებოდა მისი სხეული, როგორც მიწა ნილოსის წყლით.

¹ ძველი ეგვიპტელების აზრით, ადამიანის არსებობის ერთი ნაწილი მის სახელშია დაფარული. კაცი, რომელიც მეორე ადამიანის ნამდვილ სახელს ვაიგებს, მასზე ბატონობის უფლებასაც იძენს.

ბოლოს გაიმაგრა გული ღიღებულმა ღმერთმა და მიმართა იქ მყოფთ: „მოლოთ, ვაძმოსულნო ჩემი სხეულიდან, ღმერთებო, მოხილნო ჩემგან. მინდა ვიამბოთ, რაც ენაში შევექმნითხვა. იცის გულმა ჩემმა, რამე დაუცემნი მიქმინა, მაგრამ თვალმა ვერ შეძლო მისი დანახვა, ხოლო ხელმა მისი დაქერა. არ ვიცი რამ მიკბინა, მაგრამ ამგვარი ტკივილი არასოდეს მიგვქმინა და არც არსებობს ტკივილი ამაღავარი. მე ვარ შველი მეუფისა, მეუფე ყოველისა და სახელი მამაჩემმა შემარქვა. მაქვს მრავალი სახელი, ვარ მრავალი არსის შემცველი და ჩემი სახელი ყველა ღმერთშია, სახელი შემარქვეს ატუმმა და ჰორაქვენუმ, ხოლო დედამ და მამამ მითხარეს, შენი სახელი შენშია დაფარულიო. ჩემი სახელი დაბადების დღიდანვე ჩემშია დაფარული და ჩემზე არ ჰკრის ჯადო“.

„მე გამოვედი საბრძანებლიდან, მინდოდა თვალი გადამეგლო იმისათვის, რაც შევექმენ და როცა გზად მივდიოდი ეგვიპტეში, მიკბინა გველმა, რომელიც მე არ შემიქმნია. რა არის ეს? ცეცხლი თუ წყალი? ჩემი სხეული თრთის, ნაკვთები ძლიერ მტკივა, გულს ცეცხლი ეკიდება. მომიყვანეთ შველები, ღმერთები, რომელთაც ციან შელოცვა, რომელთა ძლევა მოსილება ის წვდება.“

მოვიდნენ ღმერთები და ატირდნენ.

მოვიდა ისილაც და მოიტანა თილისმა. მისი ბავებები სიცოცხლით სუნთქავდნენ. მისი შელოცვა უკაბქევედა ყოველგვარ ავადმყოფობას, მისი სიტყვები სიცოცხლეს უბრუნებდა ყველას, ვისი ყელიც დახშულია.

და მიმართა ისილამ ღიღებულ რას: „რა დაგემართა, რა დაგემართა, მამა ღიღებულო, გველმა ხომ არ გიკბინა, შენივე ქმნილებამ ხომ არ აღლოთ თავი შენს წინააღმდეგ? მე მას უენებელუკყო, იძულებულს ვავხდი დაგიბრუნოს თვალთა სინათლე“.

მაშინ თქვა ღიღებულმა ღმერთმა: „მე გზად მივდიოდი, მინდოდა შემომეგლო მთელი ეგვიპტე, თვალი გადამეგლო იმისათვის, რაც შევექმენ. და უეცრად მიკბინა გველმა, რომლის მსგავსი არასოდეს მინახავს. რა არის ეს, ცეცხლი თუ წყალი? მაგრამ მე წყალზე უფრო ცივი ვარ და ცეცხლზე უფრო მხურვალე. თვალთ დამიხნელდა, ველარ ვხედავ ცას, ოფლი ისე მასკდება სახეზე, როგორც პაპანაქება სიცხეში“.

მაშინ უთხრა ისილამ რას: „მითხარი სახელი შენი ო, მამაო, ო, ღვთაებე ჩემო. ჯერ კიდევ ცოცხალია არსება, რომელსაც შეუძლია წარმოთქვას საკუთარი სახელი“.

მაშინ თქვა ღიღებულმა რამ: „მე შევექმენ ცა და მიწა, შევექმენ მთები და ყველაფერი, რაც მათზე იზრდება“.

„მე შევექმენ წყალი, შევექმენ მეხ-ურტი, შევექმენ სხეული დედამისისა, შევექმენ სიტკობება“.

მე ვარ ის ქალი, ვისაც ეტრფის მისივე ძმა,
მე ვარ მეუღლე შენი, შენი და დედის მხრიდან.

დამიბრუნდი უმალ,
მწყურია ხილვა შენი,
დიდი ხანია არ მინახიხარ.
რა თუმცა ცაშია,
მაგრამ ეს ქვეყანა ჩემთვის მაინც ბნელითაა
მოცული,

მცირდება მანძილი ცასა და დედამიწას შორის,
მიწის პირს ჩრდილი დაეპატრონა.
ცეცხლი მომიკიდა შენმა სიშორემ,
და თუმცა არაფერი დამიშავებია,
შენ მაინც იბრუნე პირი ჩემგან
და ახლა ჩემს გულში ცეცხლი გიწვავს.
ო, მოდი ჩემთან,
მცირდება მანძილი ცასა და მიწას შორის,
მიწის პირს ჩრდილი დაეპატრონა,
ჩამოიქცა ცა დედამიწაზე.
ო, მოდი ჩემთან!

გეძებენ ღვთაებას მოქალაქენი,
გეძებენ ღვთაებას მიწაზე მოარულენი,
ო, მოდი ჩემთან!
ჩამოიქცა ცა დედამიწაზე,
ო, მეუფეო სიყვარულისა,
მოდი ჩემთან,
მოდი, მბრძანებელო ჩემო!
შენი ხილვა მსურს,
მოდი უმალ და კვლავ შეგავლენ თვალს.
ჩემი ზელები შენკენაა გამოწვდილი,
ჩემი მკლავები შენს დასაცავადაა აღმართული,
დაუბრუნდი ამ ქვეყანას, მოდი შენს
მეუღლესთან,
ჩემი გული თრთის შენი სიყვარულით.

ჰორის დაბადება

ქარი წივის. ღმერთებს გულში შიში ჩასდგო-
მიათ.

იღვიძებს ისილა. იგი ღეხმძიმედაა მისი ძმის,
ოსირისისაგან. ქალღმერთი დგება და მორბის
მისკენ ქალი.

ზეიმობს ქალღმერთის გული. იგი ღეხმძი-
მედაა მისი ძმის ოსირისისაგან. ო, ღმერთებო,
მე ვარ ისილა, და ოსირისისა, დღენიდაც მტრ-
რალი ღმერთების მამის, ოსირისისათვის, რო-
მელმაც მშვიდობა ჩამოაგდო ორ მიწას შორის.
მისი თესლი ჩემს საშოშია. ღმერთის სახე მე
კვერცხში ჩავსახე, ჩავსახე ძე უკვდავ ღმერთთა
წინამძღოლისა და იგი იქნება მეგვიდრე გების,

ძველი ეპიკოსური მიმთხი

სიყვარულისა, შევქმენ ცა, შევქმენ საიღუმ-
ლოება ორივე ჰორიზონტისა და ჩავსახლე
შათში ღმერთთა სულელები. როცა თვალს ვხუ-
ჭავ, დედამიწა წყვილიადით იმოსება, როცა ვა-
ხელ — ნათელი ეფინება. მე ვარ ის, ვინც
ბრძანებს და წყალუხვი ხდება ნილოსი და არ
იციის არც ერთმა ღმერთმა ჩემი სახელი. მე
შევქმენ საათი, შევქმენ დღეები, დავაწესე
დღესასწაულები, შევქმენ დინება, შევქმენ ცე-
ცხლი, სიცოცხლე და საქმე ყოველი.“
„დილით ვარ ხეპრა, შუადღეზე რა, საღა-
მის ატუმი“.

მაგრამ შხამი მაინც არ გადმოიღვარა მისი
სხეულიდან და დიდებულმა ღმერთმა ვერ იგ-
რძნო შეება.

მაშინ უთხრა ისილამ რას: „არ არს სახელი
შენი იმ სახელთა შორის, რომლებიც ჩამოა-
ვალე. მითხარ სახელი შენი და გადმოიდგრება
შხამი შენი სხეულიდან. ჯერ კიდევ ცოცხალია
არსება, ვისი სახელიც არ წარმოთქმულა“.

შხამი თანდათან ძლიერდებოდა, სულ უფრო
ღრმად ეჭრებოდა სხეულში და სიმხურვალით
ცეცხლის ალს აღებატებოდა.

მაშინ თქვა დიდებულმა რამ: „გამჩხრიკოს
ისილამ და გადავა ჩემი სახელი მის სხეულში
ჩემი სხეულიდან“.

და განშორდა მისი უდიდებულესობა ღმერ-
თებს და გაფართოვდა მისი ნავის ნავსაყუდელი
მილიონი წლით.

ხოლო როცა ამოვიდა გული მისი, ისილამ
უთხრა თავის შვილს ჰორს: „იგი ღვთის ფი-
ციით შეიკრავს თავს და მოგცემს საკუთარ
თვალს“.

ბოლოს გაამზილა დიდებულმა რამ თავისი
ნამდვილი სახელი, ხოლო დიდმა მისანმა ისი-
ლამ თქვა: „გადმოიდვარე შხამო, გადმოიდვარე
რას სხეულიდან. თვალო ჰორისა, ამოსულა
ღვთის სხეულიდან, ოქროდ იქეც მის ბაგეებ-
ზე. მე შევქმენ შხამი და მევე ვაიძულე მას
გადმოიდვაროს მიწაზე, შხამი დამარცხებულა!

„აი მცნობა მან უკვე თავისი ნამდვილი სა-
ხელი! იცოცხლოს რამ და მოკვდეს შხამი, მოკ-
ვდეს შხამი და იცოცხლოს რამ! იცოცხლოს მა-
ვანმა, იცოცხლოს მავანის შვილმა და მოკვდეს
შხამი!

შემდეგ კი თქვა ისილამ, დიდმა მისანმა,
ღმერთების ქალბატონმა: „ახლა მე უკვე ვი-
ცნობ რას, რადგან ვიცი ნამდვილი სახელი მისი“.

ამ ამბავს მოგვითხრობს წარწერა, რომელიც
ამოკვეთილია ატუმის, ჰორ-ჰეკენუს, ქალბატო-
ნი ისიდას და ჰორის გამოსახულებათა ზემოთ.

მეუფე ამა ქვეყნისა, მოიხსენიებს მამას და-
ლუპულს და მოკლავს სეთს — მტერს მამამი-
სის, ოსირისისა.

მოდით, ღმერთებო, დაიფარეთ საშო ჩემი.
გულით იგრძნობთ, რომ იგია თქვენი მბრძანე-
ბელი. იბადება ღმერთი, რომლის ღვთაებრივი
სახე კერცხში ჩავსახე, იბადება მბრძანებელი
ყველა ღმერთისა. დიდი და მშვენიერია იგი და
ორმაგი ლაყვაროვანი ფრთები ასხია.

„ქემშარიტად ასეა, — თქვა ატუმმა, — დამ-
შვიდდეს გული შენი“.

ქალი: „რატომ გვინათ, რომ კერცხში
მბრძანებელი, უკვდავი ღმერთების მემკვიდრე
ჩასახეთ?“

ისიდა: „მე ვარ ისიდა, უფრო ნეტარი, ვიდრე
სხვა ღმერთებია, უფრო ლამაზი, ვიდრე
სხვა ღმერთებია და ღმერთი ჩემს საშოში ოსი-
რისმა ჩასახა“.

ატუმი: „ამ უმაწვილმა ქალმა ნაყოფი ფა-
რულად ჩასახა და ღმერთებს სურთ, რომ იგი
იშვას, იშვას მემკვიდრე ოსირისისა. იგი ვერ
უნდა იბოვოს, ვერ უნდა გასრისოს მტრმა,
მკვლელმა მამამისის, ოსირისისა. დაე დაიცვას
იგი ყველაზე დიდმა მისანმა. ღმერთებო, უს-
მინეთ ისიდას!“

ისიდა: „ატუმმა ბრძანა, დაიცვან ჩემი შვილი
ჩემსავე საშოში, მფარველ ეყვნენ ჩემს შვილს
ჩემსავე საშოში, რადგან იცის მან, რომ იგია
ოსირისის მემკვიდრე. დაიცავეთ შევარდენი,
რომელიც ჩემს საშოშია ჩასახული!“

ატუმი: „გამოდი დღის სინათლეზე ღმერთე-
ბის მბრძანებელი! მიჩუქნიხარ ამ ქვეყნისათ-
ვის. ქებას შეგასახავენ მამაშენის, ოსირისის
მხლებლები და თან გამოგყვებიან. სახელს კი
მე შევარქმევ. შენ მისწვდები ჰორიონტს და
მიხვალ „სახელდაფარულის სახლის კედლებ-
თან“ 1. ძალა ეცლება ჩემს ნაკვეთებს, დალი-
ლობა ეპარება ჩემს ნაკვეთებს“.

და შეიპყრო იგი დალილობამ და მოიხარა
წელში. ხოლო ბრწყინვალე ჰორი გაფრინდა
და გზა თვითონ გაიკვლია. და დაჯდა იგი
ღმერთებს შორის მრჩეველთა საკრებულოს
თავში.

ატუმი: „ო, მშვენიერო შვილო ჩემო, შენ
დაიბრუნებ მამის მიწებს, დაჯდები ოსირისის
ტახტზე და გერქმევა სახელად „შევარდენი სა-
ხელდაფარულის სახლის კედლებზე“. გვედრე-
ბო, იყავ სამარადეთამოდ ნავის ჰვიენტზე რა —
ახუტის მხლებელთა შორის აწ და მარადის!“

ისიდა: „ო, ღმერთებო, შეხედეთ, შეხედეთ
ჰორს!“

ჰორი: „მე ვარ ჰორი, შევარდენი სახელდა-
ფარულის სახლის კედლებზე. უკვე მივფრინდი
ჰორიონტამდე. შორსაა ჩემი სამყოფელი მამა-
ჩემის, ოსირისის მტრის, სეთის ადგილსამყო-

ფელიდან. მივფრინავ მაღლა, სულ უფრო მაღ-
ლა მივიწევი ფრენით. არ არს ღმერთი, რომელ-
საც შეეძლოს იმის შექმნა, რისი შექმნაც მე
შემიძლია. დავამარცხებ მამაჩემს! ოსირისის
მტრის და სანდლებით შევდგები სულ მე ვარ
ჰორი, მე შვევა ისიდამ და ჩემი სამყოფელი
შორსაა ღმერთებისა და ადამიანების სამყო-
ფელიდან. მე ვარ ჰორი — შვილი ისიდასი“.

ოსირისის აღდგომა

(ფრაგმენტები)

ო, ოსირისო, გაუხსენ გული ჰორს,
დალია გული შენი,

გაპოხილია ბაგენი შენი.

ო, ოსირისო, ღმერთო ძლიერო,

არ არსებობს ღმერთი შენდარი.

გებმა მოგაყვანა შვილები

და აღგამაღლეს მათ,

გებმა მოგგვარა ღმერთები,

რომ თან გამოგყვნენ

და გმორჩილებდნენ.

ო, ოსირისო, ჰორია შენი მფარველი,

მოდის ჰორი და გხსნის სუღარას,

ამხვრევს ბორკილებს,

შენი ძალა ხომ მასშია ჩასახლებული.

ო, ოსირისო, გებმა მოგგვარა ჰორი,

დავიცავს იგი...

ჰორმა მოგვა საკუთარი თვალი,

შეკრიბა ნაკვთი შენი

და ახლა არაფერი გაკლია.

თითმა შეიპყრო მტერი შენი,

მოჰკვეთა თავი მასაც,

მის მონა-მორჩილთაც და არავინ დაინდო.

წამოდექ! გაუწოდე ხელი ჰორს,

წამოიწიე!

ო, ოსირისო ეს მე ვარ, ჰორი,

მოვედი შენთან ძე შენი.

ო, ოსირისო, შენ ხარ უფროსი ვაჟი გებისა,

მისი პირმშო, მისი მემკვიდრე.

ცხრა ღმერთთა შორის ყველაზე ძლიერი

შენა ხარ.

მოიცილე სახიდან სილა,

წამოიწიე მარცხენა მკლავზე,

დაეყრდენ მარჯვენას,

საწიე თავი

და იხილე, რაც შენთვის შეექმნენ.

ეს მე ვარ ჰორი, ძე შენი,

მემკვიდრე შენი.

მოვიწიე შენთვის ისლი,

მოგხანა ქერის მინდვრები.

გაიღვიძე, ოსირისო,

გაიღვიძე, დალილო ღმერთო!

წამოიწია ღმერთი,

მოერთა საკუთარ სხეულს,

ამოდის ოსირისი,

მაღალია მგლობელი ჰემშარიტებისა.

1. სახელდაფარულის სახლის კედლები —
იგულისხმება ოსირისი.



ჯანაშუა რედაქციის

გრიგოლძე და პირველი რუსული გაზეთი კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი

(„ტიფლისკი ველომოსტი“ გამოსვლიდან 140 წლისთავისათვის)

დეკაბრისტების მარცხის შემდეგ, რაქციის ბატონობის წლებში, როდესაც რუსეთში სულ რამდენიმე პროვინციული გაზეთი გამოდიოდა, თბილისში საფუძველი ჩაეყარა პირველ რუსულ გაზეთს კავკასიაში „ტიფლისკი ველომოსტი“. გაზეთის ქართულ ვარიანტს („ტიფლისის უწყებანი“) წინამორბედი ჰყავდა — ქართული პრესის ისტორიაში პირველი პერიოდული გამოცემა „საქართველოს გაზეთი“. „ტიფლისკი ველომოსტი“ დაარსება განაპირობა საქართველოში იმხანად შექმნილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ. გაზეთი დაარსეს, არა იმდენად იმისათვის, რომ ამიერკავკასიის ხალხები რუსულ და ევროპული კულტურისათვის ეზიარებინათ, რამდენადაც წმინდა პრაქტიკული მოსაზრებით: გაზეთს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ოპერატიულად უნდა მიეწოდებინა ცნობები თურქეთთან ომის მიმდინარეობის შესახებ და ამ გზით, ხალხის გონება სასურველი მიმართულებით წარემართა.¹

„ტიფლისკი ველომოსტი“ გამოცემის ორგანიზება დაეკისრეს საგანგებოდ შექმნილ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ჩინოვნიკები: ნ. ფალავანდოვი (ფალავანდიშვილი) და პ. სანკოვსკი, მთარგმნელი, პოლკოვნიკი ბეზუხოვი, შტაბს-კაპიტანი სუმბათოვი და პორტუჩიკი ს. ჭილაევი (ჭილაშვილი). გაზეთი უნდა გამოსულიყო თბილისის სამხედრო გუბერნატორის ნ. სიბიაგინის ხელმძღვანელობითა და „მკაცრი ზედამხედველობით“. ხოლო ქალაქში მისი არყოფნის დროს გაზეთზე ზედამხედველო-

ბა ეკისრებოდა მის კოლეგას სამოქალაქო საქმეებში რ. ხოვენს.

რუსული გაზეთის რედაქციის წევრები თავდაზნაურთა წარმომადგენლები იყვნენ და ერთგულად ემსახურებოდნენ რუსულ ადმინისტრაციას, ერთგულობდნენ შესაბამის კლასობრივ იდეოლოგიას. მაგრამ მთავარმართებელმა ი. პასკევიჩმა მაინც ჩათვალა საჭიროდ რედაქციისათვის მიეწერა, რომ გაზეთი შორს დაიჭერდა თავს ყოველგვარი პოლიტიკისაგან და გამოაქვეყნებდა მხოლოდ ოფიციალურ მასალას, სხვადასხვა განცხადებებს, ადგილობრივი მოსახლეობისათვის საინტერესო ახალ ამბებს, ყველაფერს იმას, რის გამოქვეყნებასაც მთავრობა მოისურვებდა.

„ტიფლისკი ველომოსტი“ პირველი ნომერი 1828 წლის 4 ივლისს გამოვიდა. გაზეთის მთავარი რედაქტორის მოვალეობა დაეკისრა პ. სანკოვსკის, რომელიც ამ დროისათვის უკვე აღარებული ყურნალისტი იყო. მას ჰქონდა კერძო გამომცემლის თითქმის განუსაზღვრელი უფლებები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ მაინც მკაცრად მიუთითა, რომ ფანაშრომლებად არ ჰყოლოდა ის პირნი, რომლებსაც მთავრობა ეკვის თვალთ უყურებდა.

ასეთმა კატეგორიულმა მოთხოვნამ ვერ შეუშალა ხელი სანკოვსკის და მან თავის უახლოეს თანამშრომლებად გაიხიდა იმ დროის მოწინავე ადამიანები: ს. დოდაშვილი (ქართული გამოცემის დარგში რედაქტორის მოადგილე) და ვ. სუბორტოვი (რუსული გამოცემის დარგში რედაქტორის მოადგილე).

„ტიფლისკი ველომოსტი“ პირველი ნომერის შინაარსიდან ჩანს, რომ გაზეთი ცდილობდა

¹ „Акты“. ტ. VII, დოკ. № 34, გვ. 18.

საკითხთა ფართო წრეს შეხებოდა. ადგილობრივ ხელისუფალთა შიშველ პრაქტიციზმსა და რევოლუციის შექმნულ წევრთა კლასობრივი ინტერესების საპირისპიროდ, ვაზეთი იხილავდა მამინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მრავალ არსებით პრობლემას. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ „ტიფლისკიე ვედომოსტიში“ აქტიურად თანამშრომლობდნენ კავკასიაში გადასახლებული დეკაბრისტები — ა. ბესტუჟევი-მარლინსკი, ე. სუხოზოვი, ე. ლაჩინოვი, ი. ბურცოვი და სხვანი, რომლებიც აქვეყნებდნენ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებს. ეს წერილები ხშირად ხელმოუწერელი, ზოგჯერ კი ინიციალებითა და ფსევდონიმებით იბეჭდებოდა ვაზეთში. ვაზეთის მისი მალაქი დონე აიხსნება იმითაც, რომ თბილისის პირველი რუსული პერიოდული გამოცემის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ა. გრიბოედოვმა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივ ცხოვრებასთან, ჭერ თავის სამსახურობრივი მდგომარეობით, ხოლო შემდეგ კი ალექსანდრე ჭავჭავაძესთან დანათესავებით.

სათანადო საარქივო მასალების უქონლობის გამო ძნელია „ტიფლისკიე ვედომოსტის“ დაფუძნებაში ა. გრიბოედოვის როლის სრულად გარკვევა. მაგრამ ძნელად დასაშვებია, რომ პოეტი, რაგინდ დატვირთულიც არ უნდა ყოფილიყო იგი თავისი სამსახურობრივი საქმეებით, განზე იდგებოდა ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენისაგან. პირიქით, ყველა საფუძველ გვაქვს ეიფიქროთ, რომ მისი მონაწილეობის, და თანაც მისი აქტიური მონაწილეობის ვარაუდ არ გადაწყვეტოდა საქართველოში რუსული ვაზეთის დაარსების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ ა. გრიბოედოვი ხშირად და ზოგჯერ ხანგრძლივადაც არ იმყოფებოდა საქართველოში, ზოგიერთი მისი ბიოგრაფიული მონაცემები და, ნაწილობრივ, თვით ვაზეთის მონაწილეობის, რომ პოეტი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე უშუალოდ მონაწილეობდა მის დაფუძნებაში.

1828 წელს ა. გრიბოედოვი პეტერბურგიდან თბილისზე ვაგლით გაემგზავრა ირანში ელჩის თანამდებობის დასაკავებლად. თბილისში პოეტი ჩამოვიდა „ტიფლისკიე ვედომოსტის“ პირველი ნომრის გამოსვლას მეთორე დღეს. მისი ჩამოსვლის თაობაზე ვაზეთმა მეთორე ნომერში, თვალსაჩინო ადგილას მისცა ცნობა. ვაზეთის 1828 წლის 11 ივლისის ნომერი იუწყობდა: „ამ ივლისს აქ ჩამოვიდა სპარსეთის კარზე რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი სტაკსკი სოვეტინიკი გრიბოედოვი“ („ტიფლისკიე ვედომოსტის“ 1828 წ. № 2, გვ. 1). არსებობს ფაქტობრივი მასალა, რომელიც მოწმობს, რომ ვაზეთის პირველი ნომრის გამოსვლამდე გრიბოედოვი აქტიურად მონაწილეობდა „ტიფლისკიე ვედომოსტის“ დაარსებაში. უფრო მეტიც, ჩვენ ვეფიქ-


რობთ, რომ ერთგვარად, ხოლო შემდეგ კი პასკევიჩის მოხელეებიდან თუ კი ვისმეს გუხნდებოდა საქართველოში რუსულმა გარეგნობრივ არსების იდეა, ეს უპირველესად ა. გრიბოედოვი უნდა ყოფილიყო. ჩვენ შევეცდებით ეს ფაქტობრივი მასალით დავასაბუთოთ.

ა. გრიბოედოვის პროფესიული ინტერესი, რასაკე პოეტი ირინდა ბეჭდვითი სიტყვის მიმართ, საერთოდ და განსაკუთრებით კი ახალი პოლიტიკური ინფორმაციისა და რუსული მხატვრული ლიტერატურის მიმართ, აუცილებელს ხდოდა, მწერალს ყოველთვის ხელთ ჰქონოდა პერიოდული ლიტერატურა.

მეგობრებისადმი მიწერილი წერილები ცხადყოფს, თუ რა დიდ ინტერესს იჩენდა პოეტი რუსული და საზღვარგარეთული პერიოდიკისადმი. ეს ინტერესი განპირობებული იყო იმითაც, რომის ძალზე შორს იყო რუსეთის ცენტრებისაგან და რეგულარულად ვერ იდებდა მისთვის საინტერესო ყურნალ-ვაზეთებს. ა. გრიბოედოვი თავის წერილებში ხშირად თხოულობდა, თბილისში გამოეგზავნათ პერიოდული ლიტერატურა. მისი მეგობრები შესაძლებლობისდაგვირად უსრულდებდნენ თხოვნას. ხშირად, როცა ა. გრიბოედოვი თბილისში არ იყო, კორესპონდენტებს გზავნიდნენ კავკასიის ცალკე კორპუსის მუშების უფროსის გენერალ ველიამინოვის მისამართით, უფრო ხშირად კი სამოქალაქო გუბერნატორას რ. ხოვენიის სახელზე, რომელთანაც გრიბოედოვს ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

თბილისში ჩამოსვლის პირველსავე წლებში გრიბოედოვმა შექმნა რუსეთში თავის კორესპონდენტთა ფართო წრე. ს. ბეგიჩევისადმი ვაზეთის წერილიდან (1818 წ. აგვისტო) ჩანს, რომ პოეტს მისი მსგავსი კორესპონდენტები ბევრი ჰყავდა. ის სხვათაშორის წერდა, რომ თუ ს. ბეგიჩევი შეივლიდა გამოცემულ გრენიანს, გამოეწერა მისთვის ყურნალი („სინ თტერესტევა“); ამასთან ერთად სთხოვდა, რომ გამოეწერა მისთვის პეტერბურგის თეატრების სარეპერტუარო აფიშები, ხოლო თუ ს. ბეგიჩევი პეტერბურგიდან წავიდოდა, ეს საქმე კატეინისა ან ჟანდრისათვის მიეღო. ყურნალ-ვაზეთების დაგვიანების შემთხვევაში გრიბოედოვი შესწოდა თავის პეტერბურგელ მეგობრებს. ირანში გამგზავრებული (1828 წლის სექტემბერში) კვლავ ჩივის, ყურნალებს დროზე არ ვეძებულობ. ბულგარინისადმი მიწერილ წერილში ა. გრიბოედოვი ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ ხშირად უხდებდა მისი შეწუხება მომთბებრებელი დავალებებით — გამოეწეროს, იყიდოს, გამოუგზავნოს პერიოდული გამოცემები.

ა. გრიბოედოვმა და მისმა მეგობრებმა შეინაცვერ უზრუნველყვეს რუსეთიდან თბილისში პერიოდულ გამოცემათა რეგულარულად გამოგზავნა და, ვეფიქრობ, ესეც უწყობდა ხელს თბილისში რუსული ვაზეთის გამოცემა ა. გრიბოედოვის ზრუნვის საგანი გამხდარიყო. ვაზეთში გამოქვეყნ-



ნებულ პოლიტიკურ ინფორმაციას, ახალ ლიტერატურას უნდა დაეკმაყოფილებინა ა. გრიბოედოვის, როგორც მწერლის, დიპლომატისა და მოქალაქის ცნობისმოყვარეობა და ინტერესი. ცხადია, თბილისური გაზეთი ვერ შეცვლიდა იმ ქურნალ-გაზეთებს, რომლებსაც ა. გრიბოედოვი რუსეთიდან იღებდა. აქ მოქმედებდა კიდევ სხვა ინტერესი. მისი აზრით, „ტიფლისივე ვე-ლომოსტი“ დაარსება ხელს შეუწყობდა ქვეყნის წინსვლას. ამ საკითხზე კი გრიბოედოვი საერთოდ ბევრს ზრუნავდა.

საქართველოში რუსული ქურნალისტის ჩასახვის აზრი ა. გრიბოედოვს შეეძლო გასჩინოს ჩამოსვლისთანავე, როცა მის დროს თბილისში დაიწყო გამოვლა „საქართველოს გაზეთის“. კონკრეტული საბაბი იმისა, რომ თბილისში „საქართველოს გაზეთის“ გვერდით გამოსულიყო რუსული გაზეთი, შეიძლება ისიც გამხდარიყო, რომ 1819 წელს იანვარში გაზეთ „რუსკი ინვალიდის“ წინააღმდეგ გამოვიდა ა. გრიბოედოვი. მისი წერილი „ისინი ოტჩენსტვას“ გამომცემლისადმი თბილისიდან 22 იანვარს (1819 წ.) მეტად სინტერესოა, რადგან აქ კარგად ჩანს ავტორის დამოკიდებულება პრესისადმი, მისი დამწულვებისა და მოვალეობისადმი.

ა. გრიბოედოვი სხვათაშორის მიმართავდა „სინ ოტჩენსტვას“ გამომცემელს. „ინებთ შენიშნით, ინვალიდის“ რედაქტორს, რომ ყოველგვარი თურქული მონაჭორი კი არ უნდა დაიჭრონ და, თუ ეს მხარე (საქართველო — ჯ. ვ.) ბატონო პეტერბურგელებო, სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს თქვენგან მივიწყებულად, მასინ დასაშვებია მხოლოდ მისი ასეთად მიჩნევა, მაგრამ მასზე ყოველგვარ უაზრობათა გამოგონებებსა ან გამეორებებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს“. ამ სტატიის მიუღწიათ მთელი მიყვევართ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს აუცილებლად სჭირდებოდა თავისი რუსული პერიოდული ორგანო, რომელსაც დაეკისრებოდა ადგილობრივ და მახლობელ აღმოსავლეთის საქმეებში რუსეთის პერიოდულ გამოცემათა ინფორმირება. საესეებით შესაძლებელია, რომ ამ საჭირო საქმეს — რუსული გაზეთის დაარსების იდეას ყურადღება არ მიუქცია ა. ერმოლოვმა, რომელიც ნაკლებად იყო დაინტერესებული (განსაკუთრებით მისი მმართველობის ბოლო წლებში) კავკასიის სამოქალაქო საქმეებით. გაზეთის შექმნის იდეა რეალურ ნიდაგზე დადგა მას შემდეგ, რაც მისი განხორციელება ერმოლოვის შემკვიდრის, ყოფილი შემქმნელ მერდოვის, გრიბოედოვის ახლო ნათესავის, ი. პასკევიჩის მხარდაჭერაზე გახდა დამოკიდებული.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მწერლისა და პასკევიჩის ნათესაობამ გარკვეული როლი შეასრულა გრიბოედოვის სამსახურებრივ დაწინაურებაში, მაგრამ, სამაგიეროდ, იმავე ნათესაობის შედეგად მზაფარმართველმა დაიახლოვა ერთ-

გული და საიმედო, ჭკვიანი და გამოცდილი მრჩეველი. ა. გრიბოედოვი მას გამოადგა „არა მარტო აღმოსავლეთის ქვეყნებთან დამოკიდებულების ურთიერთობაში, არამედ ყოველდღიურ საქმიანობაშიც. განსაკუთრებით სამოქალაქო მმართველობის დარგში.

მეტად ფართო იყო იმ საკითხთა წრე, რომელიც ვათვალისწინებელი ჰქონდა გრიბოედოვს სამოქალაქო მმართველობის გარდაქმნათა დარგში. ქვეყნის სამრეწველო განვითარების საკითხები, კერძოდ, იმ დროს თბილისში შექმნილი აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკასა და გორის მანრაში შუშის ქარხნისათვის დახმარების აღმოჩენა, „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის“ გიმნაზიად გადაქცევის პროექტი, თბილისის განაშენიანებისათვის სახსრების გამოძებნა და სხვა მრავალი საკითხი იქცეოდა ა. გრიბოედოვის ყურადღებას. ამ საკითხთა შორის, ჩვენი აზრით, მწერალს ყველაზე მეტად აინტერესებდა რუსული გაზეთის დაარსება თბილისში. ამ გაზეთის გამოსაცემად მუშაობა დაიწყო ალბათ, თვით გრიბოედოვის უშუალო მონაწილეობით, რადგან გაზეთის დაარსების საქმე გადიოდა მთავარმართებლის დიპლომატიურ კანცელარიაში, რომელსაც ამ დროს გრიბოედოვი მეთაურობდა.

გრიბოედოვის მონაწილეობა „ტიფლისივე ველომოსტის“ შექმნაში ჩვენი აზრით გამოიხატებოდა არა მარტო იმით, რომ მას უნდა დაეყოლებინა პატივმოყვარე პასკევიჩი მიწერ-მოწერად დაეწყო პეტერბურგის სათანადო დაწესებულებებთან გაზეთის დაარსების თაობაზე, არამედ, იმაშიც, რომ თვით ამ მიწერ-მოწერას ამ თვითმწერალი, ამ მის მონაწილეობით სხვები აწარმოებდნენ. ანგარიშსასაწევია ამ მხრივ ვ. შადურის დაკვირვება, რომლის აზრით, „საყურადღებოა ერთი ასეთი ფაქტი: პასკევიჩის რამორტის გრავ დიბიჩისადმი „თბილისში პერიოდული გამოცემის დაარსების შესახებ“ ე. ი. თხოვნა იმისა, რომ ნება დაერთოთ გამოცემა „ტიფლისივე ველომოსტი“, დაიწერა ქარაბაბთან ბანაკში 1827 წლის 31 ივნისს, გრიბოედოვის დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, რომელიც აბას-მირზასთან იყო წასული დაზავების თაობაზე მოსალაპარაკებლად“¹.

არანაკლებ სინტერესოა მეორე მკვლევარის ცნობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ გრიბოედოვი არ შეიძლება გულბრილად ყოფილიყო განწყობილი საქართველოში პირველი რუსული გაზეთის დაარსების საკითხისადმი. „უნდა ვიფიქროთ, — წერს ი. ენკოლოფოვი, — რომ გაზე-

¹ ვ. შადური „დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართველი საზოგადოებრიობა“. 1958 წ.

ჯუანუზი ვაითივილი

ბრძოლადიმი და პირველი რუსული გაზეთი
ტაშკანში

თის გამოცემის ინიციატორებს შუამდგომლობა, რაც ქართული საზოგადოების მოწინავე ადამიანებს აზრს გამოხატავდა, წინააღმდეგობას შეხვდა პეტერბურგში, რადგან იქიდან დიდხანს არ მოდიოდა ოფიციალური თანხმობა. მხოლოდ 1825 წლის აპრილის ბოლოს, როცა გრიბოედოვი პეტერბურგში იმყოფებოდა მოვიდა უმაღლესი თანხმობა „ტიფლისკიე ვედომოსტის“ გამოცემის თაობაზე“¹. მკვლევარის ეს შენიშვნა გვაფიქრებინებს, რომ გრიბოედოვის პეტერბურგში ყოფნა გავლენას მოახდენდა გაზეთის გამოცემის შესახებ დადებითი დადამყვეტილების მიღებაზე. ასეთი მოსაზრება საფუძველმოკლებული არ არის. საქმე ის არის, რომ რუსული გაზეთის დაარსებას მაშინ ცდილობდნენ, როდესაც ა. გრიბოედოვმა წამოაყენა იდეა ე. წ. „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის დაარსებისა“, რომლის სპეციალური პროექტი მან პ. ზავილესისთან ერთად შეიმუშავა. როგორც ცნობილია, კომპანიის დაარსების იდეას პეტერბურგში მხარი დაუჭირა მრავალმა მაღალი თანამდებობის პირმა, მათ შორის ფინანსთა მინისტრმა კანკერინმა. საფიქრებელია, რომ როცა პეტერბურგში ა. გრიბოედოვი ასახულებდა საქართველოში რუსული გაზეთის გამოცემის აუცილებლობას, საბუთთა შორის ისიც მოჰყავდა, რომ გაზეთს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საქართველო საზოგადოებისათვის, კერძოდ, ამ საზოგადოების პროდუქციის რეკლამისათვის, ამ პროდუქციის ვაჭრობისათვის და ა. შ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსული გაზეთის დაარსებისა და საქციონერო საზოგადოების შექმნის პროექტებს შორის ბევრი რამ არის საერთო, ადვილი აქვს ინტერესთა დამთხვევას. მათ ერთი მიზანი ამოძრავებდა. საფუძველი გვაქვს ვიფიქრობთ, რომ ეს ორი ორგანიზაცია — გაზეთი და კომპანია, მოწოდებულნი იყვნენ შეეცნათ ურთიერთი, ურთიერთთან კონტაქტში ყოფილიყვნენ.

სათანადო ფაქტიური, მასალა მოწმობს, რომ გრიბოედოვი სიკვდილამდე იჩინდა ამ გაზეთთან მიმართ ინტერესს. კერძოდ, ფაქტები მეტყველებენ, რომ ის ცდილობდა ახლად შექმნილ გაზეთში გამოქვეყნებული მასალის პოპულარიზაციას. ასე, მაგალითად, „ტიფლისკიე ვედომოსტის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ერთ თუ დიდი კორესპონდენცია რუსეთის ჯარის პირველ დიდ გამარჯვებაზე თურქებთან ომში — ყარსის აღებაზე. ეს კორესპონდენცია ფაქტიურად პასკევიჩის ოფიციალური რეალაცია იყო, რომელიც მეფეს გაეგზავნა საგანგებო შეიკრივის ხელით. კორესპონდენციის დასკვნაში ნათქვამია, რომ „ეს ცნობა (ყარსის აღების შესახებ — ჟ. ვ.) ჩამოიტანა ბატონ კორპუსის მეთაურის ადიუტანტმა გვარდიის კაპიტანმა ოპერმანმა, რომელ-

მაც გზად გაიარა თბილისზე და წაუღო მისთვის ნება მის იმპერატორობით უდიდებულესობას“². ამავე კორესპონდენციაზე ა. გრიბოედოვი წერდა წერილში, რომელიც 1828 წ. ვიქტორსკის წიგნში გარინს გაუგზავნა ელადიკავკასიდან, სადაც გავლით იმყოფებოდა. ის პეტერბურგიდან ირანში მიემგზავრებოდა ელჩის პოსტის დასაკავებლად და აქ გაიგო სასიამოვნო ამბავი ყარსის აღების შესახებ. ა. გრიბოედოვმა ფ. ბულგარინს მისწერა: „ჩემი სურვილი და წინასწარხედვა ახდა, ყარსი იერიშით იქნა აღებული. წაიკითხე რეალაცია და იქადაგე საქვეყნოდ“ (ამხ წინა წერილში ა. გრიბოედოვი სტავროპოლიდან სწერდა ფ. ბულგარინს, (1828 წ. 27 ივნისს), რომ თუ მის ირანში ჩასვლამდე პასკევიჩი ყარსს აიღებდა, მაშინ ამით ის მის ელჩობას დიდ სარგებლობას მოუტანდა. იხ. ა. გრიბოედოვი, თხზულებანი, 1940, ლენინგრადი, გვ. 562-563). ბულგარინისადმი მიწერილ ამ წერილის გამოცემელმა შენიშვნაში აღნიშნა, რომ „ბულგარინის წერილს ა. გრიბოედოვმა თან აახლა „წერილი თბილისიდან „სევერნაია პეელას“ გამოქვეყნელს, რომელიც როგორც ჩანს, ეკუთვნოდა პასკევიჩის ადიუტანტ ოპერმანს. და პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ 1828 წ. № 1 (4 ივლისს)“.

ოპერმანის მიერ თბილისში ჩამოტანილი რეალაცია გაზეთში გამოქვეყნდა 4 ივლისს სათაურით „ყარსიდან 23 ივნისი“³. ამ თარიღიდან 30 ივნისამდე, როდესაც ა. გრიბოედოვმა წერილი მისწერა ფ. ბულგარინს 7 დღეა. ოპერმანი 7 დღეს მოუნდებოდა ყარსიდან თბილისზე გავლით ელადიკავკასიში ჩასვლას. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ყარსის აღების ცნობა ა. გრიბოედოვს ოპერმანმა მიაწოდა. საფიქრებელია, რომ გრიბოედოვმა იმავე წყაროდან გაიგო მისთვის სასიამოვნო სხვა ამბავიც, კერძოდ, რომ თბილისში მზადდებოდა „ტიფლისკიე ვედომოსტის“ პირველი ნომერია, სადაც უნდა გამოქვეყნებულიყო ცნობა ყარსის აღების შესახებ. ალბათ ამის გამო უფრო დიდი კმაყოფილებით ურჩევდა ა. გრიბოედოვი ფ. ბულგარინს, საქვეყნოდ ექადაგებინა ყარსის აღების ამბავი. და ეს ცნობა დასათაურა „წერილი ყარსიდან „სევერნაია პეელას“ გამოქვეყნელს“. შენიშვნის ავტორი მართალია, რომ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ გამოქვეყნებული რეალაცია იდენტურია წერილისა „ყარსიდან „სევერნაია პეელას“ გამოქვეყნელს“ მაგრამ არ არის მართალი, როდესაც ამ წერილის ავტორობას ოპერმანს მიაკუთვნებს. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ცნობა პასკევიჩის კანკელარის თანამშრომელთა კოლექტიური თხზულება იყო. თბილისის რუსულ გაზეთთან ა. გრიბოედოვის ურთიერთობის ახალი ეტაპი ალბათ მაშინ დაიწყო, როდესაც მწერალი ირანში ჩავიდა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ „თბილისში დაარსებული პერიოდული გამოცემის პროექტი“ წინდახედულად ითვალისწინებდა, რომ

¹ ი. ენიკოლოფოვი, „გრიბოედოვი საქართველოში“, 1954 წ., გვ. 38.

„სპარსეთიდან ცნობები შეიძლება მიიღოს (გა-
ზეთმა) იმის შემდეგ, რაც იქ აღსდგება რუსეთის
მისია, რომელმაც შესაძლებელია მიაწოდოს (რე-
დაქციას) აგრეთვე ცნობები აღმოსავლეთ ინ-
დოეთის ამბებზეც“.

1828 წ. 14 სექტემბერს ჰამალუდან პასკევი-
ჩისადმი გაგზავნილ წერილში ა. გრიბოედოვი
წერდა, რომ ირანში რეგულარულად მიეღო
ეურნალ-გაზეთები „მატივი დამდით, თქვენო
ბრწყინვალეება, — სწერდა ა. გრიბოედოვი პას-
კევიჩს, — დაავალეთ თქვენს კანცელარსა, რომ
გროგორც კი დაგროვდება გაზეთების რამდენიმე
ნომერი, ან ორ კვირაში ერთხელ, დაუყოვნებ-
ლივ გამოგზავნონ შიკრიკები. გარდა სამინისტროს
კონვენტებისა, მე ჩემს ახლანდელ მდგო-
მარეობაში არ შეიძლება დიხანს დავრჩე ისე,
რომ არ ვღებულობდ პოლიტიკურ ცნობებს
ევროპიდან“¹. იმ გაზეთთა შორის რომელთა
გაგზავნას თხოულობდა ა. გრიბოედოვი აუცი-
ლებლად იქნებოდა „ტიფლისკი ვედომოსტი“.
ამ დროს ეს გაზეთი უკვე რეგულარულად გამო-
დიოდა და იმდროსა საგარეო პოლიტიკაზე სა-
მარ საუბრეკლიან ინფორმაციას².

1828 წ. დეკემბერში ა. გრიბოედოვი თავრი-
ზიდან წერდა პასკევიჩს, რომ მისი თხოვნა ურ-
ნალ-გაზეთების რეგულარულად გაგზავნის შესა-
ხებ დიდი გულმოდგინებით სრულდება. წერ-
ილში მსჯელობდა რუსეთის საგარეო პოლიტიკა-
ზე. მასალა მას აღებული აქვს რუსული და საზ-
ღვარგარეთული პერიოდული გამოცემებიდან.
ასე, მაგალითად, ის ეკამათებოდა პასკევიჩს რუ-
სეთ-ინგლისის წინააღმდეგობათა შესახებ და
სწერდა: „მე ბოლომდე არ ვიზიარებ თქვენს
აზრს, რომ ინგლისელებს ჩაფიქრებული აქვთ
ჩვენი აშკარა მტრობა. მათ აწეწილი საქმეები
ისედაც ბევრი აქვთ... მხოლოდ ერთი მაწუხებს
ამოკითხული ჩემს მიერ „კურიერიში“, რომე-
ლიც მოგვხსენებთ, სამინისტროს ეურნალია,
სახელდობრ, იქ ნათქვამია, რომ რუსეთმა უარი
თქვა სამი სახელმწიფოს ტრაქტატზე და ახორ-
ციელებს თავის დაპყრობით მიზნებს. თუ ამ
ზამთარს ზავი არ იქნა (თურქეთთან ჯ. ვ.) მა-
შინ, ვფიქრობ, რომ ავსტრია საზღვარზე თავს
მოუყრის დიდძალს ჭარს და გვაიძულებს ჩვენც
იგივე გაუაქეთოთ მის მიმართ. თუმცა ეს ჩვენ-

გან დიდ ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ ამით კი
დამთავრდება ყველაფერი“³.

ამ წერილში ერთი ფრაზა, რომელიც დიდი
მნიშვნელობა აქვს „ტიფლისკი ვედომოსტი-
თან“ მწერლის ურთიერთობის ამოსაჩვენებლად:
„თან ვურთავ (წერილს) რამოდენიმე სტრიქონს
თბილისური გაზეთებისათვის, თუ თქვენს მოიწო-
ნებთ“⁴. ეს ფრაზა ექვევარეშე აყენებს იმას, რომ
ა. გრიბოედოვი თანამშრომლობდა თბილისის
რუსულ გაზეთში, რაც ერთგვარად მისი მოვა-
ლუბაც იყო, თბილისში დასაარსებელი პერიო-
დული გამოცემის პროექტის⁵ შემოთავაზონი
ამონაწერის მიხედვით. რაც შეეხება იმას, რომ
თბილისური გაზეთი მრავლობით რიცხვშია მოხ-
სენებული, აქ, ჩვენი აზრით, გარდა რუსული
გაზეთისა, იგულისხმება მისი ქართული პირიც.
გრიბოედოვს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა,
რომ პასკევიჩს შეავგებინეს და რუსულ გაზეთს
დაურთავს იდენტური ქართული გაზეთი.

შეიძლება დავუშვათ, რომ „ტიფლისკი ვედო-
მოსტისათვის“ ირანიდან გამოგზავნილი კორეს-
პონდენციები რეგულარული ხასიათისა იყო, და
სრულიად შესაძლებელია, ყოველთვის არ ეკუთ-
ვნოდა პოეტის კალამს. აქედან გამომდინარე, შე-
იძლება ავსნათ ის, თუ რატომ იყო სპარსეთის
სახელმწიფოზე „ტიფლისკი ვედომოსტი“ გა-
მოქვეყნებული მეტად საინტერესო მასალა, უმე-
ტესად ხელმოუწერელი. ირანის შესახებ „ტიფ-
ლისკი ვედომოსტი“ დაბეჭდილი უხვი მასა-
ლიდან შეიძლება გამოვყუთოთ ორი წერილი, რომ
ლებიც ალბათ ა. გრიბოედოვს ეკუთვნის: „არ-
ღების მერეთის აღწერა“, სადაც მოთხრობი-
ლია აღმოსავლეთში ცნობილი შეიხ სოფი ედი-
ნის მერეთის შესახებ და სტატია, რომელშიც
გადმოცემულია ყაჯართა დინასტიის ისტორია⁷
ამ მოსაზრების საბუთი ის არის, რომ სპარსეთი,
დინასტიის დაწერის დროს ისტორია რუსეთის
საელმოს თანამშრომელთაგან შეიძლება სცოდ-
ნოდა მხოლოდ ა. გრიბოედოვს. მან თავის
დროზე დრმად შეისწავლა ირანზე არსებული
მთელი ლიტერატურა, მათ შორის საზღვარგარე-
თულიც. ამას ადასტურებს ისიც, რომ არსებობს,
რომელიც თავის დროზე არ ყოფილა გამოქვეყ-
ნებული. ამ წერილში ისტორიული ფაქტების
ზუსტი დაცვით გადმოცემულია გილანის მმარ-
თველთა შთამომავლობის ისტორია. აქაც ირანი-

1 საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქი-
ვი, ფ. 16, ს. 3893, ფ. 5.

2 ა. გრიბოედოვი, თხზულებანი, გვ. 57.

3 როცა ა. პუშკინი იბრძოდა, „ლიტერატურ-
ული გაზეთის“ დაარსებისათვის მას არ აძლევ-
დნენ პოლიტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების
უფლებას. 1830 წ. 10 აგვისტოს ეანდარმთა შე-
ფის ბენკენდორფისადმი მიწერილი წერილის
შავ პირში პოეტი ჩამოთვლიდა რუსეთის იმ გა-
ზეთებს, რომლებსაც ეს უფლება ჰქონდათ. ამ
გაზეთთა შორის დასახელებული იყო „ტიფლის-
კი ვედომოსტი“...

4 ა. გრიბოედოვი, თხზულებანი, გვ. 576.

5 იქვე, გვ. 579.

6 იხ. „ტიფლისკი ვედომოსტი“, 1898 წ.
№ 14, გვ. 4.

7 იქვე

ჯუანხარ ვათიუხვილი
გრიბოედოვი და პირველი რუსული გაზეთი
კავასიაში

სა და მისი ამ მიმდინარე პროცესის გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკის, შაპის ნაცვლების ტირანული მმართველობის ისტორიის ღრმა ცოდნა ჩანს¹.

ა. გრიბოედოვას წარმოდგენით „ტიფლისკიე ვედომოსტი“ ისეთივე „სამინისტრო ვაზეთი“ ე. ი. ოფიციალური ბუქვდითი ორგანო იყო. მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობისა და ისე როგორც ინგლისური „კურირი“, მმართველი წრეების ინტერესებს ასახავდა. ამიტომ იყო, რომ ის თავის კორესპონდენტულ ფუნქციებს „ტიფლისკიე ვედომოსტი“ მიმართ ცენზურის ანგარიშგაწეით ასრულებდა. ცენზორის როლი კი ამჟერად საუკეთესოდ შეიძლება შეივსურებინა მის ნათესავსა და საქართველოში უმაღლესი თანამდებობის პირს — პასკევიჩს. ამით აიხსნება

„ გრიბოედოვის სიტყვები „თუ თქვენ მოიწოდებთ“. ა. გრიბოედოვის ეს წერილი შეიცავს კიდევ ერთ საინტერესო დეტალს, რომელიც პირდაპირ არის დამოკიდებული „ტიფლისკიე ვედომოსტი“ ისტორიასთან და გვიჩვენებს რა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მწერალი იმ ადამიანებთან, რომლებიც რუსული გაზეთის ირვლევი იყვნენ დაჭეუდებულნი. ცნობილია, რომ „ტიფლისკიე ვედომოსტი“ გამოცემის კომიტეტში სხვებთან ერთად შედიოდა თბილისის სამხედრო გუბერნატორის ადიუტანტი პორუჩიკი სერგეი ჭილაევი (ჭილაშვილი), რომელიც ამავე დროს თბილისში არსებულ „საქართველოს მეურნეობის კომიტეტის“ წევრი იყო. ჭილაშვილი თბილისის გაზეთის რედაქციაში დანიშნეს 1827 წლის ბოლოს, როცა შეიქმნა „კომიტეტი“, დაახლოებით ამავე დროს სიბაიგინთან მსახურობდა მისი უფროსი ძმა ეგორ (იაკობ) ჭილაშვილი, რომელიც იმ დროის საქართველოში საკმაოდ შესამჩნევი პიროვნება იყო. მან მძებთან ერთად პეტერბურგში მიიღო განათლება, თბილისში 1820 წელს ჩამოვიდა. აქ ის დანიშნეს იმ დროისათვის მეტად პასუხსაგებ თანამდებობაზე — საქართველოს უმაღლესი მთავრობის პრეკურატორად. ამავე დროს იყო ერმოლოვის მიერ დაარსებული კომიტეტის წევრი, რომელსაც ვახტანგ მეფის კანონების რუსულად თარგმანე ვეკლებოდა. 1827 წელს, ი. ჭილაშვილი, ვიდრე სიბაიგინთან გადავიდოდა, მთავრობის შესაბამისი დაწესებულების დავალებით, საქართველოს „ფინანსიურ მიმოხილვას“ ახორციელებდა. როგორც ჩანს, მაშინ ვაცხოველდა ჭილაშვილის ურთიერთობა ა. გრიბოედოვთან, რომელიც „რუსეთის ამიერკავკასიის პროექტზე“ მუშაობდა. ი. ჭილაშვილი არა თუ მხარს უჭერდა გრიბოედოვის პროექტს, არამედ როგორც ი. ენკოლოფოვი ამტკიცებს, ამ კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მონაწილე იყო² ცხადია, ძმებს ჭილაშვილებს გრიბოედოვთან საქმიანი

ურთიერთობა ჰქონდათ, რადგან ისინი თავიანთი მოღვაწეობით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული „ტიფლისკიე ვედომოსტი“ გამოცემასა და რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის დაკავშირებასთან. საფუძვრებელია, რომ ეს საქმიანი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდებოდა, განსაკუთრებით შას შემდეგ რაც ა. გრიბოედოვმა ნინო ჭავჭავაძე შეერთო — ჭილაშვილები ჭავჭავაძეებისათვის შინაურები იყვნენ. ამ მოსახრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ თავისი შრავალიცხოვანი მეგობრებიდან, ალ. ჭავჭავაძის ოჯახის შრავალი ნათესავისა და მახლობელიდან ა. გრიბოედოვი პასკევიჩთან უშუალოდლობს მხოლოდ ა. ოდოევსკიზე და ი. ჭილაშვილზე, რომელმაც სიბაიგინის უეცარი სიკვდილის შემდეგ სამსახური დატოვა.

ა. გრიბოედოვის ვრცელი წერილის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკი იყო სამსახურეობრივ ამბებზე, არის თხოვნა ი. ჭილაშვილის შესახებ. პოეტი სთხოვდა პასკევიჩს: „მიიღეთ თქვენს მფარველობაში ნადვორნი სოვეტნიკი ჭილაევი, რომელიც იღებდაც იყო თბილისის პრეკურატორი, შემდეგ კი სიბაიგინთან იყო. ის მე ამას არ მთხოვს, მაგრამ ჭერ კიდევ თბილისში ჩემი ყოფნისას სურვილი გამოსთქვა, რომ პირადად ყოფილიყო თქვენი ბრწყინვალეებისათვის ცნობილი. მას ყველა იცნობს, როგორც ყველაზე კეთილგანწყობილს და მარჯვ კაცს, რომელმაც იცის კანონები და, დასასრულს, ევროპული განათლებისა და წინეობის ქართველს როგორსაც მე ცოტას შევხვედრივარ, ამასთან მშაბტით ადამიანური სისუსტე. ნინოც (ა. გრიბოედოვის მეუღლე) მოგმართავთ თქვენ მასზე თხოვნით და ვერ ბედავს რა ეს უშუალოდ გააკეთოს, ჩემთან დგას და მიძულდება მთელი მონდომებით, რომ მე თქვენთან ვიშუამდგომლო“³.

ამგვარად, ყველაფრიდან ჩანს, რომ „ტიფლისკიე ვედომოსტი“ გამოცემის შემდეგ ა. გრიბოედოვი გაზეთთან კავშირის განმტკიცებას ცლას არ აკლებდა. ეს გამოიხატებოდა არა მარტო იმაში, რომ უშუალოდ მონაწილეობდა გაზეთის მუშაობაში, როგორც მისი ფარული კორესპონდენტი სპარსეთში, არამედ გაზეთთან დაახლოებულ ადამიანებზე მზრუნველობაშიც.

თავის მხრივ, გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტი“ რედაქციაც იჩენდა ა. გრიბოედოვისადმი, მისი დიპლომატიური, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობისადმი სათანადო ყურადღებას. ამასთან ერთად, გაზეთს უყურადღებოდ არ რჩებოდა პოეტის პირადი ცხოვრებაც. შეიძლება ეს ინტერესი მადლიერებას გრძნობითაც იყო გამოწვეული, იმ დახმარებუ-

1 ი. ენკოლოფოვი, ზემოთდასახელებული წიგნი, გვ. 30.

2 ი. ენკოლოფოვი, ზემოთდასახელებული წიგნი, გვ. 76.

3 ა. გრიბოედოვი, ზემოთდასახელებული წიგნი, გვ. 579.

სათვის, რომელიც თავის დროზე მწერალმა გავითის დაარსების საქმეს გაუწია. ასე, მაგალითად, გარდა ცნობისა, 1828 წლის 5 ივლისს პეტერბურგიდან თბილისში გრიბოედოვის ჩამოსვლის თაობაზე, გაზეთის მეთერთმეტე ნომრის ქრონიკაში მოთავსებული იყო ინფორმაცია, სადაც მოთხრობილი იყო ორი მეჭლისის შესახებ, რომელიც ერთ კვირასი მოეწყო თბილისში, და რომელზედაც ცამოვნებით დაესწრებოდნენ ჩვენი ორი დედაქალაქის ლამაზმანები. „ერთი მეჭლისი, უფრო სწორედ სადილი ცეკვებით მოაწყო 1828 წ. 24 აგვისტოს ჩვენმა სრულუფლებიანმა მინისტრმა სპარსეთში ა. ხ. გრიბოედოვმა, თავადის ასულს ა. ჰაქევაძესთან დაქორწინებასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე ბრწყინვალე მეჭლისი მოაწყო თბილისის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალ-ადიუტანტმა ნ. სიბიავინმა 26 აგვისტოს“.

გაზეთის მუწუ სტრიქონებს თბილისის ამ მნიშვნელოვან ამბავზე, რამდენადმე ავსებდა ნაწყვეტები ა. გრიბოედოვის თანამშრომლის, სპარსეთში რუსეთის დესპანის მეორე მდივნის კ. ადელუნგის წერილებიდან. კ. ადელუნგი წერდა: „ამ ქორწინების მიმართ მთელი თბილისი ცოცხალ ინტერესს ამუღავნებს. ის (გრიბოედოვი) ყველას უყვარს და მას ყველა პატივს სცემს უფლებივით. თავადის ასული კი არის ძალზე საყვარელი და კეთილი ქმნილება“. შემდეგ კ. ადელუნგი აღნიშნავდა, რომ „პარსიკებს, 24-ში გრიბოედოვმა გააწყო სადილი ასი კაცისათვის, ყველაფერი იყო ბრწყინვალე, როგორც მეგამომცემი (თვით ადელუნგი ავადმყოფობის გამო სადილზე არ იყო), სადილის შემდეგ 6 საათზე დაიწყო ცეკვები, მხიარულობდნენ თერთმეტ საათამდე. კვირას კი გუბერნატორმა სიბიავინმა მოაწყო მეჭლისი ახლადდაქორწინებულთა პატივსაცემად. მეჭლისი დაიწყო სიბიავინმა პოლონეთში. ეს პოლონეზი მან გრიბოედოვის მეთუღლებთან ერთად ციკვა, რომელიც იმ საღამოს მეტად მომხიბვლელი იყო“ 1.

საქორწინო ზეიმის შემდეგ, ა. გრიბოედოვი, მიუხედავად იმისა, რომ ავად იყო, მაინც აჩქარდა ირანს გამგზავრებას. ეს გამოწვეული იყო სამსახურებრივი საქმეებით. აღმოსავლეთ სპარსეთში შექმნილი სიტუაცია მის ირანში ყოფნას მოითხოვდა. 9 სექტემბერს ა. გრიბოედოვი ცოლთან ერთად ექიმისა და მთელი რუსული მისიის თანხლებით თბილისიდან გაემგზავრა. ჰამამლუდან, რომელიც თავრიზისკენ მიმავალ გზაზეა, გრიბოედოვმა პასკევიჩს მისწერა: „ჩემი ჩანმრთელობა ჭერ კიდევ არ მამძლედა საშუალებას გამგზავრებულთაყვი თბილისიდან. მაგრამ ბოლო ცნობები, რომლებიც მე სპარსეთიდან მივიღე არ მამძლევდნენ დაყოვნების ნებას. იტყობინებთან, რომ სახელმწიფოს აღმოსავლეთ

მხარეში სულ უფრო იზრდება აჯანყება და რამდენადაც სამსახურებრივმა მოვალეობამ, ამდენადვე ცნობისმოყვარეობამ მაიძულეს დეტალურადვე ცნობი მნიშვნელოვანი მოვლენის თაობაზე სიბიავინის წყალობით მე მყავს ექიმი, რომელიც ერენამდე გამყვება. იქიდან წაიყვან სხვა ექიმს თავრიზამდე. სხვათაშორის, გზა თბილისი და მირანის. თავს უკეთესად ვგრძობ, ვიდრე თბილისში“ 2.

„ტიფლისკი ველომოსტი“ რედაქციამ სათანადო ინტერესი გამოიჩინა გრიბოედოვის გამგზავრებისადმი. გაზეთის 1828 წ. № 19 განყოფილებაში „სახელმწიფოებრივი ამბები“ დაიბეჭდა ცნობა, ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ელჩი კარგად ჩავიდა თავრიზში. „თავრიზი, 17 სექტემბერი. ამას წინათ ამ ქალაქში ჩამოვიდა ოპარსეთის კარზე რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი სტატსკი სოვეტნიკი გრიბოედოვი“ 3.

გარდა იმისა, რომ გაზეთი აქვეყნებდა ცალკეულ საინფორმაციო მასალას გრიბოედოვის საქართველოში ცხოვრების უქანსკენელ ხანასა და მის ირანში გამგზავრებაზე, „ტიფლისკი ველომოსტი“ და მწერალს ურთიერთან აკავშირებდათ „რუსეთის კავკასიის კომპანიის პროექტი“, რომელიც ა. გრიბოედოვმა და პ. ზავილეისკიმ შეადგინეს. პროექტზე მუშაობა ძირითადად ა. გრიბოედოვის ირანში გამგზავრებამდე დამთავრდა. ეს, კერძოდ, ჩანს პასკევიჩისადმი 1828 წ. 6 სექტემბერს ვაგზავნილ წერილიდან, სადაც ნათქვამი იყო, „ხვალ თქვენი ბრწყინვალეობა ჩემგან და ზავილეისკისაგან მიიღებს განსახილველად კომპანიის გეგმასა და წერილს. გთხოვთ, ინებოთ და ჩვენი შრომა და სასარგებლო წამოწყება თქვენი მოწყალებითი ყურადღების ღირსი გახადოთ“ 4.

როგორც ცნობილია, ა. გრიბოედოვის და პ. ზავილეისკის „პროექტმა“ ვერ განაწყო მის სასარგებლოდ პასკევიჩი. ხელისუფლების მოყვარულ პასკევიჩს მოეჩვენა, რომ კომპანიის დამფუძნებელმა მიერ მოთხოვნილი ფართო უფლებები და პრივილეგიები შეზღუდვადნენ მის ერთმმართველობას. ის თავის არაკეთილსამყოფელ დამოკიდებულებას „პროექტის“ მიმართ ასაბუთებდა სახელმწიფოებრივი მოსახრებებით. მათ შორის იყო არც თუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ „პროექტის“ ავტორების მიერ გათვალისწინებულ ამერიკაეკასიის საწარმოო ძალებს განვითარება ცარიზმის კოლონიური ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა. მთავარმართებელმა ისარ-

- 2 ა. გრიბოედოვი, თხზულებანი, გვ. 569-570,
- 3 „ტიფლისკი ველომოსტი“, 1828, № 19, გვ. 2.
- 4 ა. გრიბოედოვი, თხზულებანი, გვ. 567-568.

ჯუანხერა მათეოზილი

ბრნიშნულადმი და პირველი რუსული გაზეთი კაბასასიანი

1 „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ ა. გრიბოედოვი, 1946.

გებლა იმით, რომ მისმა ხელშეწყობით ი. ბურ-
ცოვმა და მ. ქუჯოვსკიმ „პროექტზე“ უარყოფი-
თი აზრი გამოთქვეს და სრულიად უარყო ის.
ასეთ პირობებში, ცხადია, „პროექტს“ არ გამოა-
ქვეყნებდნენ „ტიფლისკი ველომოსტიში“, მიუ-
ხედავად იმისა, რომ მასში ჩამოყალიბებული
იდეები უცხო არ იყო არც რედაქტორისა და
არც რედაქციის ზოგიერთი წევრისათვის. ამას-
თან ერთად, „პროექტის“ იდეებს იზიარებდა
გაზეთის თანამშრომელთა და მკითხველთა გან-
საზღვრული წრეც¹.

როგორც გაზეთიდან ჩანს, მისი რედაქცია არ
იყო პროექტის „პროექტის“ ბედის მიმართ.
გაზეთი წერდა: „ბატონ მინისტრთა კომიტეტს
დასკვნით ა. წ. იანვარში (1831 წ.) მოვიდა უმა-
ღლესი... ნებართვა, რომ თბილისში დაარსებუ-
ლყო ამიერკავკასიის საჯარო კომპანია“².

აქ აღმარაგია ა. გრიბოედოვისა და პ. ზაველე-
ისკის პროექტის სახეშეცვლილ, გადამუშავებულ
ვარიანტზე, რომელიც მისი ახალი შინაარსის
თანხმად, ნაცვლად „რუსეთის ამიერკავკასიის
კომპანიისა“ იწოდებოდა „ამიერკავკასიის საჯარო
კომპანიად“. ამის შესახებ განცხადების ტექს-
ტი „ს. პეტერბურგის სენატის უწყებების“ შემ-
დეგ გამოქვეყნდა „ტიფლისკი ველომოსტიში“.
რედაქცია განსაკუთრებულ შენიშვნაში ხაზს
უსვამდა, რომ საყოველთაო ცნობისათვის ნე-
ბა ეძლეოდათ ეს სტატია ყველა უწყებაში და
ქურნალში გადაებეჭდათ³.

„განცხადებიდან“ ჩანს, თუ როგორი ცვლი-
ლება განიცადა პროექტმა მწერლის სიკვდილის
შემდეგ. მასში ნათქვამი იყო, რომ პროექტის ღრმა
კრიტიკულმა განხილვამ და სიფრთხილემ კომ-
პანიის დაარსების შეჩერება გამოიწვია. როდუ-
საც „პროექტი“ ნაწილ-ნაწილ განიხილეს — წერ-
და გაზეთი, — იმ დასკვნამდე მივიდნენ, „რომ
ყველაზე უტყუარი და დაუბრკოლებელი მხარე
მისი ის ნაწილია, საკუთრივ ვაჭრობას რომ ეხ-
ება“⁴.

ამიერკავკასიის პროგრესული გარდაქმნის
გრიბოედოვისეული პროექტის ცალმხრივი გა-
გების შედეგად მისი ოპონენტები აქცენტს ილ-
ვებდნენ მხოლოდ პრაქტიკულ სარგებლობაზე-
ზე. ასეთ იხედებს კი ამიერკავკასიის საჯარო
კომპანიის დაარსება იძლეოდა. გაზეთი წერდა:
როგორც რუსეთის ისე, ადგილობრივ ფაბრი-
კანტებს სურთ, აზიაში რუსეთის საქონლის გასა-
ღება ვანტიციდეს. კომპანიას კარგად ესმის, რომ
საჭიროა დაეხმაროს ადგილობრივ ვაჭრებს და
იყოს ღირსეული შუამავალი და ნდობით აღ-

ჭურვილი რუსეთსა და ამიერკავკასიის ვაჭრებს
შორის. ამ ამოცანების განხორციელებაში მნიშ-
ვნელოვანი როლი უნდა შეეწოდებინა ადგი-
ლობრივ ვაჭრებს: „განცხადების“ ბოლოს ნათქ-
ვამი იყო, რომ „გაზეთებში აქციების დანა-
წილების, ფულის შეტანის ვადების და კომპა-
ნიის აქციების გაყენის შესახებ ცნობები დრო-
ულად იქნებოდა გამოცხადებული“⁵.

იმისდა დამოუკიდებლად, თუ შემდგომში
როგორ ართმევდა თავს, ვაჭრთ „ტიფლისკი ვე-
ლომოსტის“ რედაქცია მასზე დაკვირვებულ ამ-
გვარ მოვალეობას, მან, უდავოდ, პრინციპულო-
ბა გამოიჩინა, როცა გრიბოედოვისა და ზაველე-
ისკის კოლექტიური შემოქმედება დადებითად
შეაფასა და მას „გოლიათური წამოწყება“ უწო-
და. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ ამ
დროს პასკევიჩი თავის დიდების მწვერვალზე იმ-
ყოფებოდა.

შემდგომში, ის ვითარება, რასთან დაკავშირე-
ბითაც ვაჭრებმა გრიბოედოვის სახელი კვლავ
მოიხსენია, პოეტის ტრაგიკული სიკვდილი იყო.
პოეტის სიკვდილის მიზეზების კვლევა ჩვენი სტა-
ტიის მიზანი არ არის, მაგრამ ოქტომბრის რე-
ვოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის
ფონდებში ჩვენ მივაკვლიეთ საინტერესო დო-
კუმენტს, რომელიც რამდენადმე უჭეს ფენს ირ-
ანში შემქმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელ-
მაც ხელი შეუწყო (თუ კი არ განაპირობა) რუსე-
თის ელჩის მკვლელობას. არქივში გაეცანით
სპეციალურ საქმეს, რომელიც სხვა მსგავს საქმე-
ებთან ერთად ბენკენდორფის უწყების საქმეებ-
ში ინახება. საქმეში ყანდარმთა კორპუსის თა-
ნამშრომლების და მესამე განყოფილების ინ-
ფორმატორთა მოხსენებებია დაცული. საქმე და-
სათურებულია ასე: „ცნობები სტატსკი სოვეტ-
ნიკ გრიბოედოვზე“. საქმეში, სხვათა შორის,
ინახება ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი—
„სხვადასხვა მომსახურებები და ხმები გრიბოედო-
ვის ახლო მეგობართა შორის. 6 დოკუმენტი შემ-
დეგი ფრაზით იწყება: „საბრალო გრიბოედოვის
თავრიზიდან პეტერბურგელ მეგობრებისადმი მი-
წერილი უყანასკნელ წერილში არის შემდეგი
სტრიქონები“⁶. და შემდეგ მოდის ამონაწერი ამ
წერილიდან. როგორც დავადგინეთ ეს წერილი
ვ. მიკლაშვიჩისადმი. იყო მიწერილი. დოკუმენ-
ტში მოტანილია წერილის დასკვნითი ნაწილი,
რომელიც იწყება 1828 წ. 17 დეკემბერს ეჩმია-
ჩინში, სადაც ირანს მიმავალი ა. გრიბოედოვი
გზად იყო შეჩერებული. წერილი დასრულებუ-
ლია იმავე წელს 3 დეკემბერს თავრიზში, საინ-
ტერესოა, რომ წერილის აქ მოტანილი ტექსტის
ზოგიერთი ადგილი რამდენადმე განსხვავდება
ორლოვის რედაქციით 1940 წელს გამოცემულ

1 იხ. ი. ენიკოლოფოვი, შემოთვალსახელებუ-
ლი წიგნი, გვ. 72-78.

2 „ტიფლისკი ველომოსტი“, 1831, № 14,
გვ. 105.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 112.

5 იქვე.

6 ორცისა, თ. 109 I ექსპედიცია, 1829, ს.
147, ფ. 5.

თხზულებათა ერთობიანობაში გამოქვეყნებული ამ წერილის ტექსტისაგან. წერილში ა. გრიბოედოვი მეგობრებს მოუთხოვრებს მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე სპარსეთში და იმ სიმტკიცეზე და ხანაიის გაუტყუებლობაზე, რასაც ის, როგორც რუსეთის ელჩი იჩენდა სპარსეთის მთავრობის წინაშე. მოხსენების ავტორი-ინფორმატორი კომენტარებს უკეთებდა გრიბოედოვის ამ წერილს და წერდა: „აი ზოგიერთი ახსნა იმ სიძულვილი-სა, რაც აღდგა გრიბოედოვის მიმართ სპარსეთის კარსა და ჩინოვნიკებს, რომლებსაც სურდათ გადაევალებინათ კონტრიბუციის გადახდა, არ მიეცათ ვადმოხვეწილათვის (იხანელი სომხებისათვის) კონება და ეწინააღმდეგებოდნენ კიდევ მათ თავისუფალ გადასახლება რუსეთში“. შემდეგ მესამე განყოფილების საიდუმლო ინფორმატორი იტყობინებოდა, ა. გრიბოედოვი ერთ-ერთ პეტერბურგელ მეგობართან მეტად საინტერესო საუბარი ჰქონდათ. ეს იყო პეტერბურგიდან საქართველოში გამოგზავრების წინ. „გრიბოედოვის ერთი მეგობარი, — ნათქვამია დოკუმენტში, — რომელიცაა მას არ ჰქონდა არავითარი დაფარული და საიდუმლო და თავის აზრსა და გრძნობას ანდობდა, ხშირად საუბრობდა მასთან სპარსეთის საქმეებზე. აი რა მოიხმინა მან გრიბოედოვიანგან მისი გამოგზავრების წინ“. თითქმის ექვსგაბრუნება, რომ გრიბოედოვის ეს მეგობარი, არის ფ. ბულგარინი, რომელსაც მწერალი პეტერბურგში უკანასკნელად ყოფნისას ხშირად ხელობდა და რომელიც ამავე დროს მჭიდროდ იყო დაკავშირებული მესამე განყოფილებაში და მის ხელმძღვანელ ბენკენდორფთან. აქ არ უნდა გამოირიცხოს ისიც, რომ, შეიძლება, ეს მოხსენება თვით ფ. ბულგარინის მიერ იყოს დაწერილი მესამე პარში. ამ უკანასკნელსა და ა. გრიბოედოვს ბოლო დროს ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, რომ მწერალს სრულიად თავისუფლად შეეძლო განდობოდა ფ. ბულგარინს ირანში თავისი მომავალი სამსახურის თაობაზე, შაჰის კარზე მისთვის არახელსაყრელი პოლიტიკური გარემოს შესახებ. დოკუმენტის ავტორი ამას შემდეგნაირად აღწერს: „აბას-მირზას წინააღმდეგ არსებობს ძლიერი პარტია, რომელსაც სურს მისი მოცილება ტახტის მემკვიდრეობისაგან. ამ პარტიას ეწინაა, რომ რუსეთი არ მფარველობდეს აბას-მირზას და ამიტომ ცდილობს და ყოველთვის ეცდებოდა ცუდად განაწილოს მის მიმართ რუსეთის სამეფო კარი. სპარსეთში (რუსეთის) დესპანად აბას-მირზას მეგობრის, ან ისეთი ადამიანის დანიშვნა, რომელიც კარგად იცნობს კარის ინტრიგებს, ამ პარტიისათვის არ იქნებოდა სასიამოვნო და ის შეეცდებოდა შეძლებისდაგვარად ავნოს ელჩს. მაგრამ, რადგანაც სპარსელები ლარები და სულმდაბლები არიან, მაშინ მათთვის ლაგამის ამოდება მხოლოდ სიმტკიცით შეიძლება. აი რას ამბობდა განსვენებულ გრიბოედოვი“¹.

მოხსენების დასასრულს ანონიმური ინფორმატორი კიდევ ერთ საინტერესო ამბავს უყვება ამგვარადვე წყაროდ ზემოხსენებულ მეგობარს ასახელებს. „სპარსეთში ინგლისის ჯაღლას ერთი წევრი, რომელიც თითქმის გრიბოედოვთან ერთად გაემგზავრა პეტერბურგიდან (ეს უნდა იყოს მაქნალი — ჯ. ვ.), ეუბნებოდა მას მეგობრის თანდასწრებით: „უფროსილილი! თქვენ ვერ გააპტიებენ თურქმანჩაის ზავს“². და ასე ბევრი ფიქრობს, რომ გრიბოედოვი იყო პოლიტიკური ინტრიგის მსხვერპლი“.

ამავე საქმეში დატულია აგრეთვე მეხუთე განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ ექიმუჩენიკოვის მოხსენება ქალაქ თბილისიდან. „თბილისის მოსახლეობის აზრი ბ-ნ გრიბოედოვის მკვლელობაზე“³. მოხსენებაში, რომელიც მესამე განყოფილებას წარუდგინეს. 1829 წლის 19 აპრილს, მოთხრობილია იმ შფოთზე და მითქმა-მოთქმაზე, რაც გუბერნიამი მოხდა სპარსეთში რუსეთის ელჩის მკვლელობასთან დაკავშირებით, მაშინ როცა თბილისის მოსახლეობა, ვიდრე „ტიფლისკი ვედომოსტიმ“⁴ არ აცნობა გრიბოედოვის დაკრძალვა არ იყო ოფიციალურად ინფორმირებული თეირანში მომხდარი ტრაგედიის შესახებ. ცნობა გრიბოედოვის დაკრძალვის თაობაზე გაზეთში გამოაქვეყნდა 1829 წლის 19 ივნისს, თუმცა უკვე თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში თბილისში ხმები დაიბრუნა, თეირანში რუსეთის მთელი მისია ამოწყვეტეს, ამ ხმებით შემფოთებულმა კახეთის მოსახლეობა რუსეთის უფროსმა გენერალ-მაიორმა ნ. რავესკომ პასევიჩის მოახსენა: — „დადესტანში გავრცელებული ხმები რუსეთსა და სპარსეთს შორის ურთიერთობის გაწყვეტისა და თეირანში ჩვენი დესპანის მკვლელობის შესახებ. მე ჭერ კიდევ არ ვიცი, ეს ხმები შემთხვევით გავრცელდა თუ შეგნებულად გავრცელდეს მოლებმა და ხოჯებმა. მე ბევრს ვცდილობ ეს ჭორები მოვსაო ჩვენი ჯარის სახლვარს იქით ლაშქრობის წინ (თურქეთში — ჯ. ვ.) რათა მან არ შეუშალოს ხელი ლეკებში მოლაშქრეთა მოკრებას“⁴.

ამ დროს თბილისში ადგილობრივი მთავრობის ინფორმაციის წყაროები და მათ შორის „ტიფლისკი ვედომოსტი“⁴ არაფერს ამბობდა. გა-
1 იქვე, ფ. 6.
2 აქ მინიშნებაა იმაზე, რომ 1828 წ. 22 თებერვალს რუსეთსა და სპარსეთს შორის დადებული ხელშეწყობილება მთლიანად გრიბოედოვმა მოამზადა.
3 ორცა, ფ. 109, ფ. 7.
4 „რუსკაია სტარინა“. 1879, ტ. 6, გვ. 170.

ჯუანოზო ვათიანოვილი
გრიბოედოვი და პირველი რუსული გაზეთი კავკასიაში

ზეთი არ აქვეყნებდა ცნობას ამ ამბავზე თვით პასკევიჩის განკარგულებით.

ერთ-ერთ თავის ჟურნალში „მიმართვაში“, პასკევიჩი გრაფ ჩერნიშოვს სწერდა ადგილობრივი ბეჭდვითი ინფორმაციის მექანიზმის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ ამ მექანიზმის რეგულირებას თვითონ მთავარმართებელი ახდენდა. კერძოდ, აცნობდა რა ადგილობრივი მოსახლეობისათვის საომარი მოქმედების ინფორმაციის მიწოდების წყაროებს, მათ შორის თბილისის რუსული გაზეთის მეშვეობით, პასკევიჩი აღნიშნავდა: „რადგან ჩემი მოხსენებები ხელმწიფე იმპერატორისადმი სამხედრო მოქმედებათა შესახებ ყოველთვის შეიცავდნენ თვით მოვლენების არს და დაფუძნებულობა იყვნენ მკაცრ ქმედობრივებაზე და ჩემის აზრით, არ შეიცავდნენ არაფერს ისეთს, რაც უნდა დაგვემალა აქაური ხალხისათვის, ამიტომაც მე ვუბრძანებდი „ტიფლისკი ველომოსტი“ იგივე ვითარება გამოეყვეყნებინათ, როგორც იყო გადმოცემული ზემოაღნიშნულ მოხსენებაში, მაგრამ თუ ხელეობდა ისეთი ამბები, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკურ ვითარებას, მაშინ მე ვუბრძანებდი ისინი სრულიად არ მოეხსენებინათ.

ამგვარად, თბილისის გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული სპარსეთში ჩვენი დესპანის სიკვდილის ცნობა, აგრეთვე ცნობები ამ სახელმწიფოსთან, სასაზღვრო შემთხვევებისა და ზოგიერთ სხვა გარემოებათა შესახებ, რომელთა გამოქვეყნებასაც მე ვთვლიდი უადგილოდ¹.

ამრიგად, პასკევიჩის მომეტებული სიფხიზლის შედეგად „ტიფლისკი ველომოსტი“ დიდხანს არ აქვეყნებდა ცნობას გრიბოედოვის დაღუპვის შესახებ. პირველად მცირე შენიშვნა ამის შესახებ გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა 1829 წლის 10 მაისს. კორუსპონდენციაში „თბილისი, 9 მაისი“, სადაც ნათქვამი იყო შემდეგი: „ჩვენი ქალაქი გართულია სპარსეთის პრინციის ჩამოსვლით. მისი უდიდებულესობა ხოსრო-მირზა, სპარსეთის ტახტის მემკვიდრის აბას-მირზას შვილი, მისი უდიდებულესობა შაჰ ფათალიის დავალებით იმ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, რაც შეემთხვა თეირანში რუსეთის იმპერატორს მისიან, თბილისში ჩამოვიდა 7 მაისს, ამერ ნინაშის (რეგულიარული ჯარის მთავარი უფროსის), მემკვიდრისა და მრავალრიცხოვანი ამაღლის თანხლებით“².

ხოსრო მირზას თბილისში, მოსკოვსა და პეტერბურგში ყოფნაზე, მის პატივსაცემად გამართულ მიღებებსა და რაუტებზე „ტიფლისკი ველომოსტი“ რეგულარულად აქვეყნებდა საფუძვლიან ინფორმაციას. მაგრამ ამჟერად აბას-ხელეგნა რუსეთში ირანის ტახტის მემკვიდრის შვილის ჩამოსვლის მიზეზს.

მხოლოდ 1829 წლის ივლისის მეორე ნახევარში, როცა „ყველა საქარანტინო ვადები დაკლქიქნა“, როგორც აღნიშნავდა „ტიფლისკი ველომოსტი“, გაზეთში დაიბეჭდა ოფიციალური ცნობით დაბეჭდილი კორესპონდენცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ სიონში გადაიხადეს პანაშვილი და მთაწმინდაზე დამარხეს ა. გრიბოედოვი, აქ ეს კორესპონდენცია: „სპარსეთში რუსეთის განსვენებული სრულუფლებიანი მინისტრის სტატუსი სოვეტნიკი გრიბოედოვის ნეშტი, რომელიც თეირანიდან ყველა იმ პატივით ჩამოასვენეს, რაც ეკუთვნოდა მის თანამდებობას, ყველა საქარანტინო ვადების დაცვის შემდეგ 17 ივლისს გადასვენებული იქნა თბილისის კარანტინიდან სიონში, და დასვენეს მისთვის საგანგებოდ გაკეთებულ დიდებულ კაბაფალაზე. მეორე დღეს მისი უდიდებულესობა თბილისის სამხედრო გუბერნატორი, მთელი გენერალიტეტი, სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკები შეიკრიბნენ ტაძარში. საღმრთო ლიტურგიის შემდეგ მისმა უმაღლესმა უწმინდესობამ საქართველოს ეგზარქოსსა სიტყვა წარმოთქვა და ჩამოთვალა განსვენებულის ყველა წარჩინება, რითაც ისეთი დიდი გავლენა მოახდინა მსმენელებზე, რომ დამსწრეთ ღრმა მწუხარებისათვის განეწყობა უფრო ასეთი დიდებული ადამიანის დაკარგვის გამო. ჩვეულებრივი წესების შესრულების შემდეგ აღუქსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვის ნეშტი, მისი უმაღლესი უწმინდესობის საქართველოს ეგზარქოსისა და ყველა დამსწრის თანხლებით გადაასვენეს წმინდა დავითის მონასტერში და დაკრძალეს იქ, რადგან ასეთი იყო განსვენებულის სურვილი სიცოცხლეში“³.

შემდეგში გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ მოიხსენიეს ა. გრიბოედოვი და ყოველთვის მწერლისადმი გაზეთის უდიდესი სიმპათია გამოსატყობდა. ასეთი რიგის ერთ-ერთ მასალაში, კერძოდ თ. ხომიაკოვის მოსაგონებელ წერილში, რომლის ავტორი „ტიფლისკი ველომოსტის“ რედაქტორი პ. სანკოუსკი იყო, ხაზგასმულია ა. გრიბოედოვის საუკეთესო პირადი თვისებები პ. სანკოუსკის აზრით, მწერლის ცხოვრება სანიმუშო და მისაბაძი იყო. პ. სანკოუსკი გადმოცემდა გარდაცვლილ თ. ხომიაკოვის ბიოგრაფიულ მონაცემებს და წერდა, რომ ხომიაკოვი დანიშნული იყო მისი ბრწყინვალეების საქართველოს მთავარმართებლის მდივნად დიპლომატიურ ნაწილში ნაცვლად აღუქსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვისა. რაც უფრო მაღალია აზრი წინამორბედზე, მით უფრო საქნელია მისი ვალდებულებების თავზე აღება.

ამდენად, ძნელად შეიძლება უყეთ განსაზღვრო წარმოდგენა განსვენებულ თედორე სტეფანეს-ძე ხომიაკოვის ღირსებებზე, ვიდრე ის, რომ მოკლულ დროში მან აქ დამისახურა უფრო-

¹ აქტები, ტ. VIII. 34, გვ. 17-28.
² „ტიფლისკი ველომოსტი“, 1829 წ., № 19, გვ. 29.

³ „ტიფლისკი ველომოსტი“, 1890, № 99, გვ. 1.

სების ნდობა და კეთილგანწყობა და საუკეთესო-სო აზრი ყველა იმისა, ვინც მას იცნობდა“¹.

ა. გრიბოედოვის გარდაცვალების ორი წლის შემდეგ გაზეთმა გამოაქვეყნა მასალა, საიდანაც ჩანდა, როგორ ეთაყვანებოდნენ უდროოდ გარდაცვლილ მწერლის ხსოვნას. ეს წერილი ხელმოუწერელი და დასათურებელია „გრიბოედოვის საფლავი, წერილი თბილისიდან სანქტპეტერბურგში 1830 წ. 16 მაისს“². როგორც ჩანს, ავტორი ცუდად იცნობდა თბილისს, ის წერდა, რომ ა. გრიბოედოვის საფლავზე ძეგლი არ დგას, საფლავს არა აქვს წარწერა. ამას წერილის ავტორი მწერლის უპატივცემულობად თვლიდა. ის გრიბოედოვს იხსენიებდა ეპითეტებით „გენიალური“, „უეკლავი“, რაც იმ დროისათვის დიდი ქება იყო; მით უმეტეს, რომ „გვი ჰკუთსიანა“ ბევრს არ მოსწონდა და რუსულ საზოგადოებაზე პასკვილად მიაჩნდა. წერილის ავტორმა და გაზეთმა ამ წერილის გამოქვეყნებით ა. გრიბოედოვს, როგორც ეროვნულ პოეტს, საკადრისი მიუძღვნეს. გაზეთმა ეს წერილი იმ დროს დაბეჭდა, როცა „ტიფლისკიე ვედომოსტიში“ აქტიურად თანამშრომლობდა ა. ბესტუევე-მარლინსკი, — პოეტის მეგობარი. ჩვენი აზრით, ეს წერილი სწორედ მის კლამს უნდა ეკუთვნოდეს. ამ მოსაზრებას ბევრი რამ უჭერს მხარს: თხოვრების მანერა, ის გარემოება, რომ წერილის ავტორი თბილისს კარგად არ იცნობს, რომ თავს კომპეტენტურად თვლის შეაფასოს ა. გრიბოედოვის შემოქმედება. ყურადსაღებია, რომ იმავე ნომერში აგრეთვე ხელმოუწერლად დაბეჭდილია ბესტუევე-მარლინსკის „მოთხოვნა ოფიცრისა, რომელიც მთიელებთან იყო ტყვედ“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაზეთის კორესპონდენციაში გამოთქმული მოსაზრებები ა. გრიბოედოვის შესახებ იდენტურია ა. ბესტუევის მიერ საქართველოში გამომგზავრების წინ, იმბირიდან 1829 წ. 25 მაისს დედისადმი გაგზავნილ წერილში გამოთქმული მოსაზრებისა: „არაფერს ვამბობ უკვე — წერდა ა. ბესტუევი დედას, — თუ როგორი ზიმწარე განვიცადე იმ ადამიანის დაკარგვით, რომლის კეთილგანწყობილებით მქონდა პატივი შესარგებლად,

მაგრამ როგორც ადამიანს, როგორც რუსს, მაქვს თუ არა უფლება ვიგლოვო ადამიანის ასეთი უდროო გარდაცვალება, რომელსაც ბედნიერად პირდებოდა ყველაფერს მომავალში და რომელიც ამდენ რამეს პირდებოდა სამშობლოს თავისი ცოდნითა და ტალანტით“³.

დასასრულს კიდევ ერთი არსებითი დეტალი, რომელიც ამტკიცებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ავტორი წერილისა „გრიბოედოვის საფლავი“, ა. ბესტუევეია. ცნობილია ფაქტი, თბილისში ჩამოსვლისთანავე ა. ბესტუევეი 1829 წ. აგვისტოში გრიბოედოვის საფლავზე იყო და ამით თავისი უკანასკნელი ვალი მოიხადა მეგობრის ხსოვნის წინაშე. ფ. ბულგარინისადმი 1839 წ. მიწერილ წერილში ბესტუევეი აღნიშნავდა: „1829 წელს მე ვიყავი ჩვენი დაუფიწყარი გრიბოედოვის საფლავზე და ვტიროდი როგორც ბავშვი, მე ვიყავი მარტო“.

ასეთია მოკლედ გრიბოედოვის ურთიერთობა კავკასიაში პირველ რუსულ გაზეთთან, რომლის ღირსებასა და წარმატებით საქმიანობისათვის, როგორც ზემოთმოყვანილი მასალიდან ჩანს ასე ბევრს ზრუნავდა ა. გრიბოედოვი. მზრუნველობას არ აკლებდა ა. გრიბოედოვი საქართველოსა და მისი ხალხის კეთილდღეობას, რომელიც მწერალმა შეიყვარა „ისე მგზნებარედ, ისე წმინდად, როგორც იშვიათად უყვართ თავიანთი სამშობლოც კი“⁴.

გაზეთი „ტიფლისკიე ვედომოსტი“ „რუსეთის ამიერკავკასიის პროექტთან“ ერთად იყო ის ლონისძიება, რომლის განხორციელება მიზნად დაისახა ა. გრიბოედოვმა და რომელსაც თვითმპყრობელობის პირობებში უნდა გარდაეჭმნა საქართველო და კავკასია პროგრესულ საწყისებზე. უდროოდ სიკვდილმა დაეიწყებას არ მისცა მის შემოქმედებასთან ერთად მისი პრაქტიკული საქმიანობაც, ამიერკავკასიის ხალხების აღორძინებისაკენ მიმართული. ამ პრაქტიკულ საქმიანობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთი „ტიფლისკიე ვედომოსტი“ საქართველოსა და კავკასიაში პირველი რუსული გაზეთი, რომლის პირველი ნომერის გამოსვლიდან უკვე 140 წელი შესრულდა.

¹ იხ. იქვე, 1901, II, გვ. 401.

² წერილი გამოქვეყნდა „ტიფლისკიე ვედომოსტიში“ 1831 წ. № 9, 10, 11, 11 თებერვალს, გვ. 80-83.

³ „რუსკი ვესტნიკი“, 1870, გვ. 261.

⁴ იქვე, 1901, II, გვ. 261.

⁵ ა. გრიბოედოვი თანამედროვეთა მოგონებებში, მოსკოვი, 1899, გვ. 200. (რუს. ენაზე).





დალრი ქოქია-შანჯიქია

ისევ თარგმნის ხელოვნებაზე

უცხო კულტურის მშობლიურთან დაახლოების მისია წარმოადგენს თარგმანის, როგორც ლიტერატურული ფაქტის უპირველეს დანიშნულებას. ქვეშეაღიზღად მაღალმხატვრულ თარგმანს შეუძლია მშობლიურ კულტურაში ორიგინალური ლიტერატურის ტოლფასი წვლილი შეიტანოს, გაამდიდროს იგი უცხო კულტურის სპეციფიკით, ენის სფეროში კი უამოაციცხლოს და ახალი ელვარება შესძინოს ენის შრეების მივიწყებულ და მტკრით დაფარულ მრავალ საუფესს.

ყველა დროის დიდ მოაზროვნეებს ღრმად ჰქონდათ შეგნებული, რა დიდი სარგებლობას მოტანა შეეძლო თარგმანს მშობლიური კულტურისათვის. გოეთე „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“ წერდა: „თარგმანს, რომელიც მიისწრაფვის ორიგინალთან იდენტურობისაკენ, ბჭვარედის სიზუსტე გააჩნია და უსაზღვროდ გვახლოებს ორიგინალთან. მას თითქოს კინწისკვრით მიეყვარათ დედანთან და უცხოსი შესს მშობლიურთან, უცნობის ნაცნობთან მიახლოების წრე საბოლოოდ იკვრება“.

თომას მანი საკმაოდ სექტიკურად უყურებდა თარგმანში ორიგინალის მხატვრული და იდეური მხარის აღდგენის შესაძლებლობასაც კი, მაგრამ თარგმანს ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში მაინც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მწერალი თავის უნგრელ ჯამომცემელს ენე დიემორის სწერდა: „...პოეტური ქმნილების სხვა ენაზე თარგმნა შეუძლებელია. ეს ფაქტი უკვე დიდი ხანია აღიარებულია, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ეს აზრი მაღალი პროზის მიმართაც მართებული იყოს? თარგმანში ხომ იკარგება მისი ბუნებრივობა, ირღვევა პიტმი, იკარგება ყველა ფაქიზი ნიუანსი, უფრო მეტიც, ნაწარმოების შინაგანი მიზანსწრაფვა, სულიერი წყობა და იდეური ჩანაფიქრიც კი ისე მახინჯდება, რომ მისი ცნობაც კი ჭირს, მახინჯდება სრულ გაუგებრობამდე, თუმცა მთა-

რგმნელს შეიძლება სულით და გულით სურდა შეექმნა ზუსტი თარგმანი“.

რა თქმა უნდა, დიდი მწერლის ეს მოსაზრება ზედმეტად მკაცრი და გადაჭარბებულია, მაგრამ მასში არის ქვეშეაღიზღების მარცვალი.

ერთმა ცნობილმა მთარგმნელმა თქვა, თარგმნა ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასხმა არისო, მაგრამ გადასხმაც არის და გადასხმაც. გადასხმისას არ შეიძლება წვეთები არ დაიღვროს და არ დააყლდეს ორიგინალს. მთარგმნელის უმაღლესი მოწოდება ისაა, რაც შეიძლება ცოტა წვეთი დააკლოს ორიგინალურ ქმნილებას და თარგმანის მკითხველს თითქმის ორიგინალის მშობლიურ ენაზე მკითხველისოდენა ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს.

აქვე მინდა გავაგრძელო თომას მანის აზრი: „ძალიან ცოტამ თუ იცის უცხო ენა ისე, რომ ნაწარმოების ყველა ნიუანსი ორიგინალის მშობლიურ ენაზე მკითხველივით აღიქვას. მე ასე მგონია: თუმცა ნაკლებს ჰკარგავ, როცა უცხო ნაწარმოებს დედანში კითხულობ, მაგრამ მაინც ბევრით მეტს არა, თუ თარგმანი კარგია“.

მხატვრული თარგმანის მიზანს უცხო ნაწარმოების მართო შინაარსის გადმოცემა როდი წარმოადგენს, თუმცა ესეც კი კმარა, რომ თარგმანმა წვლილი შეიტანოს ერის სულიერ განვითარებაში. თარგმანის მიზანია ასევე სრულფასოვნად აღადგინოს ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური ფუნქცია და უკიდურესი სიზუსტით აღადგინოს მწერლის სტილის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები.

თარგმანის შესაძლებლობის ფაქტი ენის თვისებიდან გამომდინარეობს, რომ არ არსებობდეს ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობა, ენას რომ არ ჰქონდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, რომ არ გააჩნდეს სიტყვათქმნადობის ამოუწურაუი შესაძლებლობანი, თარგმანი ვერ იარსებებდა.

რა თქმა უნდა, ორ ენას შორის არსებული

განსხვავებანი: სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვა სემანტიკური ტევადობა, სიტყვების სხვადასხვა კომბინატორული ცვლილებანი, სიტყვათშეკავშირების სხვადასხვა კანონები თუ ფრაზეოლოგიური ერთგულებების სხვადასხვა მეტასომოტიური საფუძველი თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს, მაგრამ სათარგმნ ტექსტში ასახული სინამდვილის სწორი და ღრმა გაგების შესაძლებლობა ამ სიძნელეებს დასაძლევს ხდის. როგორც არ უნდა იყოს ორი ენის შეჯახებისას წარმოქმნილი სიძნელეები, თუ თარგმანი შემოქმედებაა, არ არსებობს უთარგმნელი ნაწარმოები, როგორც არ არსებობს სინამდვილე, რომლის ასახვა მწერალს არ შეეძლოს.

მხატვრული თარგმანის შემოქმედებითაა თარგმანის განვითარების დღევანდელ ეტაპზე აღარ არის საკამათო, ამდენად იგი თითქოს იმავე კანონებს და შეფასების იმავე კრიტერიუმს უნდა ეყრდნობოდეს, რასაც ეყრდნობა ორიგინალური შემოქმედება, მაგრამ თარგმანის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე თარგმანის განმარტება და მისი წარმართველი კანონების დადგენა სრულყოფილად ვერ მოხერხდება.

მხატვრული თარგმანი რთული ესთეტიკური ფენომენია და თარგმნის პროცესიც ორიგინალის ასლის გაღმობლვას არ ნაშნავს. ეს არის ისეთი მხატვრული მეთოდი შექმნის პროცესი, რომელიც ორიგინალის თავისებურებებსაც ითვალისწინებს და ამავე დროს ახალი ენობრივი საშუალებებით განსხეულების გამო ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურის მონაპოვართა მატარებელიცაა.

თუ ვადავებხვდეთ თარგმანის ისტორიას, შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა თარგმნის მეთოდებიც და თარგმანის შეფასების კრიტერიუმებიც.

უკანასკნელი დროის თეორიულ ნაშრომებში განსაკუთრებით ესმება ხაზი თარგმანის ორმაგ ბუნებას და მის შუალედურ ადგილს მხატვრულ შემოქმედებაში, თუმცა არც ეს აზრი საცესებით ახალი. თავის დროზე მსგავსი მოსაზრება ვითეთს აქვს გამოთქმული „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“. გოეთე ახასიათებს ევროპული ლიტერატურის ისტორიაში თარგმანის განვითარების სამ პერიოდს და უკანასკნელ პერიოდს დამავიჯრავინებლად თვლის, „ვინაიდან აქ ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ორიგინალის იდენტური თარგმანი, რომელიც ორიგინალს არ უტოლდებია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იმის ორიენტაცია კი აქვს, რომ შეენაცვლოს ორიგინალს. თარგმანის ასეთი სახეობა პირველ ხანებში დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. აქ ხომ მთარგმნელი, რომელიც ორიგინალს ერთგულად მისდევს, ცოტათ თუ ბევრად შორდება თავისი ერის ორიგინალობას და ამ გზით ქმნის რაღაც მესამეს. იმ

მესამემდე კი ჭერ უნდა აბოლდეს მკითხველთა მსგებობის გემოვნება, რომელიც თავისი ერთგული მსოფლშეგრძნებითაა შეზღუდული“.

რა არის ეს, რასაც გოეთე „რაოც მესამე უწოდებს? რა არის მხატვრული სინამდვილის დამოკიდებულება აქვს მას რეალურ სინამდვილესთან? რა განსხვავებაა ორიგინალურ ნაწარმოებსა და მხატვრულ თარგმანს შორის?

„მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, რომელშიც დედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც ორიგინალური შემოქმედებისათვის ცოცხალი სინამდვილე“ (გ. გაჩეჩილაძე), მაგრამ როგორ წარმოგვიდგება რეალური სინამდვილე მხატვრულ ნაწარმოებში და შესაბამისად მხატვრულ თარგმანში?

ხელოვნების ნაწარმოებში ასახული მხატვრული სინამდვილე რეალური სინამდვილის ზუსტი განმეორება არ არის, იგი ყოველთვის გულისხმობს სინამდვილის წვდომასა და გარდასახვას ხელოვნების ნაწარმოების ენაზე. მხატვრულ ნაწარმოებში თავისებურად აირეკლება სინამდვილის რეალური მიმართებაანი, სინამდვილის ობიექტური ლოგიკა, მაგრამ ლიტერატურაში სინამდვილის ასახვა სარკისებურ არეკლვად არ უნდა მივიჩნიოთ, „ხელოვნება არ მოითხოვს მისი ნაწარმოები სინამდვილედ ვალაზროთ“ (ლ. ფოიერბახი), იგი მხოლოდ სინამდვილის მსგავს შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს აღამიანზე.

რა შეიძლება ამ მხრივ ითქვას მხატვრულ თარგმანზე? თარგმანშიც აისახება რეალური სინამდვილე, მაგრამ აისახება ორიგინალში ერთხელ უკვე ასახული სინამდვილე, გააზრებული და გარდასახული დედნის ავტორის მიერ. თავისთავად მხატვრულ ნაწარმოებში ასახული სინამდვილე მხოლოდ იმას კი არ გვიდასტურებს, რას წარმოადგენს ობიექტი, არამედ იმასაც, როგორ დამოკიდებულებაშია მასთან სუბიექტი, რას განიცდის იგი, როცა ობიექტზე ფიქრობს (ნ. ჰეკევაძე, სინამდვილის მხატვრული ასახვის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ, რუსულ ენაზე) თარგმანში ასახულ სინამდვილეს სწორედ ამ ეუთხით უნდა მივედგეთ, აქედან იწყება სწორედ განსხვავება ორიგინალურ და თარგმანულ ნაწარმოებს შორის. ვინაიდან მთარგმნელი დედანში ერთხელ უკვე ასახულ სინამდვილეს ასახავს, იგი სინამდვილეს თითქოს სხვისი თვლით უცქერის და მას მხოლოდ გამოსახვის შესაძლების ფორმას უძებნის, მთარგმნელის წინაშე დგას ორიგინალის ავტორის მიერ ერთხელ უკვე ასახული სინამდვილე, შემეცნებულ და ვერდამტყდარი ავტორის მსოფლმხედველობით პრიზმაში, განსხეულებული ავტორის მიერ მონახული მხატვრული საშუალებებით. ამდენად, მთარგმნელისათვის დედანში ასახული სინამ-

დალი კოპია-ფანჯიშიძე
ისამ თარგმნის ხელოვნებაზე

ულის წევრობა და ასახვა გართულებულია ამ სინამდვილის ასახვაში საშუალებების მთელი სისტემის არსებობით.

სინამდვილე მთარგმნელს ეძლევა არა როგორც ცოცხალი სინამდვილე, არამედ როგორც ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ერთანობა და მან უნდა გაიმეოროს ეს სინამდვილე ამავე ერთიანობის შენარჩუნების გზით, სადაც შინაარსი ავტორის მიერ კონკრეტულ დროულ-სივრცობრივ ფარგლებში მოქცეული რეალური სინამდვილის საფუძველზე იქმნება, ხოლო ფორმა ავტორის მიერ შერჩეული მხატვრული საშუალებების ორგანიზაციის შედეგს წარმოადგენს.

ამგვარად, მთარგმნელის ასახვის ობიექტი მხოლოდ დედანში ასახული სინამდვილე არ არის, მთარგმნელის ასახვა სფეროში შემოდის მწერლის მიერ ამ სინამდვილის გარდასახვისათვის მოქმედი იდეურ-შინაარსობრივი და მხატვრული საშუალებების მთელი სისტემა. თუ თარგმანში სწორედ ის მხატვრული საშუალებები არ იქნა აღდგენილი, რაც ორიგინალის მხატვრულ საშუალებათა სისტემაში იყო მოცემული, მაშინ თარგმანის დედნისაგან დაშორების კოფიციენტი ისე გაიზარდება, რომ შეიძლება თვისობრივად ხელი ნაწარმოები მივიღოთ. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იდეალურად ზუსტი თარგმანიც კი საკმაოდ შორდება ორიგინალს, მაშინ თვალსაჩინო ვახდება, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტურად შესაძლებელი სიზუსტის დაცვას თარგმანში.

ტუხასის უნივერსიტეტის პროფესორი ვერნერ ვინტერი მთარგმნელს ადარებს ხელოვანს, რომელმაც უნდა შექმნას მარმარილოს ქანდაკების ზუსტი ასლი, მარმარილო კი არა აქვს. თუ ის კარგი ოსტატია, მისი ასლი, სხვა მასალის შესარულებელი, შეიძლება კარგი გამოიღვს, ჩინებულიც კი. შეიძლება აჯობოს კიდევ ორიგინალს, მაგრამ მისი ზუსტი ასლი ვერ იქნება.

ამ სიტყვებში თითქოს ზუსტად არის გადმოცემული მთარგმნელის ვასაჰირი. მაგრამ ამავე დროს მეტისმეტად იზღუდება მხატვრული ნაწარმოების ფორმის ცნება. ამ შემთხვევაში მარმარილოში მხოლოდ ორიგინალის ენა იგულისხმება და არა ნაწარმოების მთლიანი ფორმა, რასაც, ცნობილია, მხოლოდ ენა არ ჰქმნის.

მართალია, თარგმანში ერთი შეხედვით თითქოს საესებით იცვლება ნაწარმოების ფორმა, ფორმის კომპონენტების სხვა ენობრივი საშუალებებით განსხვავების გამო, მაგრამ ფორმის ზოგიერთი კომპონენტი, ისევე როგორც ავტორის ინდივიდუალური სტილის მრავალი კომპონენტი, შეიძლება თარგმანში შევინარჩუნოთ. მწერლის სტილის ზოგიერთი კომპონენტი ორ ენის შორის არსებული გრამატიკული და ლექსიკური განსხვავების გამო უკავლოდ იკარგება თარგმანში, მაგრამ თარგმანი ორიგინალის მხა-

რესთან კავშირის მაინც ინარჩუნებს იმ სტილის-ტური კომპონენტების საშუალებით, რომლებიც ფუნქციონალურ კომპენსაციას ეწოდებოდა. ფორმის ზოგიერთი კომპონენტი, მთავარი ნაწარმოების კომპოზიცია, უცვლელად ვადგომის თარგმანში.

ენობრივი საშუალებების შერჩევის საფუძველს მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის შორის არსებული მიმართება წარმოადგენს. როცა მხატვრული თარგმანში ფორმისა და შინაარსის ერთიანობის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ორიგინალის შინაარსისათვის არა თვისობრივად სრულად ახალი ფორმის მორგება, არამედ ახალი ენობრივი საშუალებების განსხვავებული ფორმის გამოყენება, სადაც ენობრივი საშუალებები ორიგინალის საერთო კონცეფციის გათვალისწინებისა და ორიგინალის ფორმისა და შინაარსის შორის არსებული მიმართების შენარჩუნების საფუძველზე იქნება ორგანიზებული. ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი ახალ მხატვრულ მთელს მშობლიური ენობრივი საშუალებებით ჰქმნის, იგი მაინც მიჯაჭვულია ნაწარმოების არა მარტო შინაარსზე, არამედ ავტორისეული სტილისტური საშუალებების ფუნქციონალურ თავისებურებებზე და მოცემული შინაარსის შესაფერ ფორმას მათი კომპენსაციის გზით ჰქმნის. შესაბამისად მხატვრულ თარგმანში შერწყმულია ორი მონაცემი: უცხო შინაარსი და მშობლიური ენობრივი საშუალებებით განსხვავებული ფორმა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თარგმანი წარმოადგენს ორი სტრუქტურის კონფლომერატს, სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრივად არის ქცეული.

ამგვარად, თარგმანი არ არის მონოლითური ნაწარმოები. ერთი მხრივ, არსებობს ორიგინალის შინაარსი და ფორმალური თავისებურებანი, მეორე მხრივ კი არსებობს მთელი კომპლექსი მხატვრული ხერხებისა, რომელიც მთარგმნელის ენასთან არის დაკავშირებული.

თარგმანში ეს ორი პლასტი მუდმივ დაძაბულობაში იმყოფება და მისალღნელია მათი წინააღმდეგობაში გადაზრდა. მთარგმნელს ეკვეთის უხდება ამ წინააღმდეგობათა მორგება, რათა არ წარმოიქმნას მკვეთრი კონფლიქტი მოქმედების ადგილსა და მთარგმნელის მშობლიური ენის გამომსახველობით საშუალებებს შორის: „აი, რატომ მოეთხოვება თარგმანის ხელოვნება, გარდა იმ მოთხოვნებისა, რაც საერთო ნათარგმნი და ორიგინალური ლიტერატურისათვის, კიდევ ერთი სპეციფიკური პირობა: მთარგმნელი ვალდებულია ერთმანეთთან შეარავოს თარგმნილი ნაწარმოების ორმაგი ხასიათიდან მომდინარე წინააღმდეგობანი“ (ირვილი, თარგმნის ხელოვნება, რუსულ ენაზე).

ამ წინააღმდეგობათა ძირითადი მატარებელია ნაწარმოების ნაციონალური კოლორიტი. ერთი

შეხედვით, თითქოს ყველაზე აშკარად ნაციონალური კოლორიტი ნაციონალურ რელიგიებში მდებარეობდა, მაგრამ ეს რომ ასე იყოს, მაშინ თარგმნილი ნაწარმოებში თითქმის მთლიანად დაიკარგებოდა ნაციონალური კოლორიტი, ვინაიდან ნაციონალური რელიგიების უმრავლესობა თარგმანში მიახლოებით შესატყვისით, ანუ ანალოგიით გადმოიციმა ან სრულიად გამოიკარგა, რელიგიების გადმოცემის მესამე გზა — ტრანსლიტერაცია კი შედარებით შეზღუდულია. თარგმანი, უპირველეს ყოვლისა, უცხო ენის არმცოდნე მკითხველისათვის სრულდება, უცხო სიტყვების დახვევა კი ხშირად ნაციონალური კოლორიტის შექმნის მაგივრად ნაწარმოების ემოციური ღირებულებების გაუფასურებას იწვევს, გაუგებარ სიტყვას ყოველთვის მოჰყვება ყურადღების დაძაბვა და თუ ეროვნულ გვირგვინზე მკითხველს რამდენიმე გაუგებარი სიტყვა შეხვდა, ნაწარმოების ესთეტიკური აღქმის ხარისხი შესამჩნევად ქვეითდება (თავისთავად კი ნაციონალური კოლორიტი ნაწარმოებისაგან მოგვირეოლი ემოციური შთაბეჭდილების გაძლიერების ერთ-ერთი საშუალება უნდა იყოს). ამიტომ ვამბობთ, რომ ნაციონალური რელიგიების შენარჩუნების საშუალებით თარგმანში ნაციონალური კოლორიტის აღდგენა ყველაზე უფრო შეზღუდული გზაა.

როგორც ვთქვით, ნაციონალური რელიგიები არც არის მთავარი და ძირითადი ნაციონალური კოლორიტის ცნებაში. ნაციონალური კოლორიტი, უპირველეს ყოვლისა, უცხო ხასიათებში მდებარეობს, უცხო ყოფით დეტალებში, უცხო შეხედულებებში, უცხო წეს-ჩვეულებებში და უცხო კერძების აღწერაშიც კი. თარგმანში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი შენარჩუნებული უნდა იყოს, მათი ნაწილი ჰქმნის ნაწარმოების შინაარსს, უცხო ხასიათები კი ფორმის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

ნაციონალური კოლორიტის გადმოცემის შესაძლებლობა ემყარება ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ნაციონალური და ინტერნაციონალური ელემენტების დიალექტიკურ ერთიანობას, რაც თარგმნილი ნაწარმოების ენაში თავისებურ გამოხატულებას პოულობს.

მხატვრული ნაწარმოების ენა გვევლინება განსაკუთრებული ესთეტიკური ფუნქციით. მხატვრული ნაწარმოების ენა მარტო აზრის გამოსახატვის საშუალება არ არის, იგი სახისა და ხასიათის ახების საშუალებასაც წარმოადგენს. მხატვრული ლიტერატურის ენა სალიტერატურო ენას ემყარება, მაგრამ მისგან განსხვავებით, თავის თავში შეიწოვს საერთო სახალხო ენის შრეების ისეთ ელემენტებსაც, რომლებიც სალიტერატურო ენის მიღმა დგანან (დიალექტიკური, პროვინი, არგო), აჰყავს ეს საშუალებები ესთეტიკურ ხარისხში და ასრულებს ერთსა და იმავე დროს კომუნიკაციურ, შემეცნებით და ეს-

თეტიკურ ფუნქციებს, სადაც ესთეტიკურს წამყვანი როლი ეკისრება.

მხატვრული სტილი ფართოდ განსხვავდება ენის სხვადასხვა სტილთა ელემენტების ამ დროს არ იქცევა წმინდა სასაუბრო, წმინდა საკანცელარიო, ან სამეცნიერო სტილად. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ სტილების ელემენტები მხატვრულ ტექსტში დამოუკიდებლად კი არ ცოცხლობენ, არამედ სრულად ახალ მიმართებათა სისტემაში განაგრძობენ სიცოცხლეს, ექვემდებარებიან მხატვრულ სტილს, როგორც დაბალი მაღალს და იქცევიან გამომსახველობით საშუალებად. ამიტომ გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ მხატვრული ლიტერატურის სტილზე, არა როგორც სხვადასხვა სტილთა ელემტიკურ ნარევეზე, არამედ როგორც დამოუკიდებელ, თვისობრივად განუმეორებელ კატეგორიაზე“ (რ. ა. ბუღაგოვი).

მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, მხატვრული თარგმანის ენაც გვეძლევა როგორც თვისობრივად განუმეორებელი კატეგორია, არც იგი შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა სტილთა ელემტიკურ ნარევეს, ასევე უპირატესია მხატვრული თარგმანის ენისათვის ესთეტიკური ფუნქცია, მაგრამ მხატვრული თარგმანის ენა ორიგინალური ენისაგან მაინც განსხვავდება სალიტერატურო ენას სტილებისადმი და მით უმეტეს სალიტერატურო ენის მიღმა მდებარე სტილისტური შრეებისადმი თავისი დამოკიდებულებით.

კერძოდ, მხატვრული თარგმანის ენა თავისი სპეციფიკის გამო (თავისი ორმაგი, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო) ორიგინალური ნაწარმოების ენასთან შედარებით შეზღუდულია ენის მთელი რესურსების გამოყენების სფეროში, მხატვრული თარგმანში ენობრივი რესურსების სრულად გამოყენება ხელს უშლის თარგმანში გადმოცემულ უცხო შინაარსსა და მშობლიური ენობრივი საშუალებებით გამოხატულ ფორმას შორის არსებული დაძაბულობა.

დაუბრუნდეთ ისევ ნაციონალურ კოლორიტს და ენახოთ, როგორ შეიძლება იქცეს ნაციონალური კოლორიტი ამ დაძაბულობის წინააღმდეგობაში გადაზრდის მიზეზად.

ნაციონალური კოლორიტის ცნებაში ამ მიართებით უნდა განვასხვავოთ ორი ასპექტი: უცხო ნაციონალური კოლორიტის დაცვის აუცილებლობა და გადაჭარბებული ქართული კოლორიტის შექმნის საფრთხე.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვას „გადაჭარბებული“, ვინაიდან თარგმანი რომ მშობლიური კულტურის ნაწილად იქცეს, „ამ ამოცანას მთარგმნელი ვერ განახორციელებს, თუ თარგმანის ფორმაში რაღაც დროებით არ შეიტანა ისეთი ელემენტები, რომლებიც თარგმანის მკითხვე-

დალი კოპაია-ფანჯიჩიძე
ისამ თარგმნის ხელოვნებაზე

ლისათვის მშობლიურობის ნიშნით იქნება აღბეჭდილი“. ამ შემთხვევაში რევზ თვარაძის ვაჟობაში „რალეც დოზით“ თეორიული თვალსაზრისით ერთადერთ შესაძლებელ ფორმულირებად მიგვაჩნია, ვინაიდან ამ დოზის ფარგლების მკაცრად განსაზღვრა შეუძლებელია. თარგმანში მშობლიური ელემენტების შეტანის ხარასხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურად უნდა გადაწყდეს, მაგრამ რას გვეულისხმობს ზვენ „მშობლიურობის ნიშნით აღბეჭდილ ელემენტებში?“ უბირველეს ყოვლისა, სალიტერატურო ენის ფარგლებში მოქცეულ ელემენტებს და არა სალიტერატურო ენის მიღმა მდებარე შრეების კუთვნილ ენობრივ საშუალებებს, ვინაიდან მხატვრული თარგმანის ენა არალიტერატურული ენობრივი რესურსების გამოყენების სფეროში, როგორც ვთქვით, ორიგინალური ნაწარმოების ენაზე უფრო შეზღუდულია.

სალიტერატურო ენის ფარგლებში მოქცეული ენობრივი საშუალებებიდანაც თარგმანის ენისათვის განსაკუთრებული სიფრთხილითა და ტაქტით უნდა შეირჩეს წმინდა ქართული კოლორიტით აღბეჭდილი გამოთქმები, ვინაიდან ყველაზე უფრო მკვეთრად ენის ნაციონალურ სპეციფიკას ამა თუ იმ ხალხის ყოფასთან და ისტორიასთან დაყვებულ ფრაზოლოგიაში და ლექსიკურ ერთეულებში ჰქმნის, უნივერსალური ენობრივი საშუალებების ექვევლენტების დაქმნა კი არც ერთ კულტურულ ენაში არ არის ძნელი. ნაციონალური სპეციფიკით აღბეჭდილი ენობრივი რესურსების მეტი ნაწილი ჰქმნის ორიგინალური ნაწარმოების ენობრივ საფუძველს, თარგმანის ენა კი ძირითადად ისეთი ენობრივი საშუალებებით უნდა საზრდოობდეს, რომელიც ეკუთვნის ყველას და არ ეკუთვნის კერძოდ არავის.

თარგმანში არაა აუცილებელი ორიგინალის ხატოვან თქმებს, ან სხვა გამოისახელობით ხერხებს ყოველთვის მოუვნახოთ წმინდა ქართული შესატყვისი. აქ უნდა გავარჩიოთ ავტორისეული და ტრადიციული მხატვრული საშუალებანი. ავტორისეული გამოისახელობითი ხერხების თითქმის ყოველთვის, ხოლო ხშირად ტრადიციული მხატვრული ხერხების შესაფერის ფორმით (მაგ. ანდაზისათვის ანდაზის ფორმის მიცემით) ზუსტად გადმოტანა ამდიდრებს მშობლიურ ენას და, გარდა ამისა, ანიჭებს თარგმნილ ნაწარმოებს იმ უცხო ელფერს, რაც, ჩვენი აზრით, თარგმანს უპეველად უნდა ახლდეს თან.

ამა თუ იმ ხალხის ნაციონალური სპეციფიკა განსაკუთრებით აშკარად სალიტერატურო ენის მიღმა მდებარე ლექსიკურ შრეებში მედღენდება. თარგმანის ენაში ამ შრეების (დიალექტის, ჟარგონის, არგოს) გამოყენებას შეიძლება ორმა ფაქტორმა შეუშალოს ხელი: თარგმანის ენაში არსებულმა ტრადიციამ და ამ ლექსიკაში


მაგალითად გამოხატულმა ქართულმა ნაციონალურმა კოლორიტმა.

ქართულ ლიტერატურაში არ არის შექმნილი ქარგონისა და არგოს გამოყენების ტრადიცია. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ ქართულ ლიტერატურაში ჯერჯერობით არ შექმნილა ისეთი ქუშმარტიად მაღალმხატვრული ნაწარმოები, სადაც ქარგონი და არგო მხატვრული ხერხის სიმაღლედ იქნებოდა აყვანილი. ეს გარემოება ზღუდავს თარგმანის ენაში ქარგონისა და არგოს სრულად გამოყენებას, თუმცა ესეცაა, რომ იგივე ტრადიცია, ქუშმარტიად მაღალმხატვრულ თარგმანსაც შეუძლია დაამყაროს, მიუთმეტეს, რომ დასავლური მწერლობის ზოგიერთი მწერლის (მაგ. ბერტოლტ ბრეჰტის, გრიმ მარია რემარკის) შემოქმედებისათვის ქარგონისა და არგოს მხატვრული ხასიათების შექმნის საშუალებად გამოყენებაა დამახასიათებელი (ემ მხრივ სანიმუშოა თედო სახოციას თარგმანები).

იგივეს ვერ ვიტყვით დიალექტზე. მხატვრული მიზნით დიალექტის გამოყენებას ქართულ ლიტერატურაში მკვიდრი ტრადიცია აქვს. მაგალითად მარტო დავით კლდიაშვილი იკმარებდა, რომლის შემოქმედებაში დიალექტი ისეთ მაღალ ფეთეტიკურ ხარისხშია აყვანილი, რომ დაუდევრარი მხატვრული ხასიათების ძირითად შემქმნელად გვევლინება, ე. ი. ქართულ თარგმანში დიალექტის გამოყენებას ლიტერატურული ტრადიციის არარსებობა ვერ შეუშლის ხელს, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ დიალექტში ყველაზე უფრო ნათლად მედღენდება ხალხის, უფრო სწორად მისი რომელიმე კუთხის ნაწარმოადგენულთა ნაციონალური სპეციფიკა.

თუ გავიმეორებთ იმ მოსაზრებას, რომ თარგმანში გადმოცემულ უცხო შინაარსსა და მშობლიური ენის საშუალებებით ავებულ ფორმას შორის დაძაბულობის ძირითად მატარებლად ნაციონალური სპეციფიკა გვევლინება, შეგვიძლია დავასკვნოთ, რომ დიალექტის, როგორც მკვეთრად გამოხატული ნაციონალური სპეციფიკის მატარებელი მხატვრული ხერხის გამოყენების სფერო თარგმანის ენაში უეველად მკაცრად შეზღუდული აღმოჩნდება. მაგალითად, გერმანული, ამ ფრანგი ენების რომელიმე კუთხის ქართული გლეხის ენით ალაპარაკება მკითხველში პაროდის ასოციაციას გამოიწვევს და თარგმანის შინაარსს და ფორმას შორის არსებული დაძაბულობის წინააღმდეგობაში გადაზარდის მიზეზად იქცევა. მკითხველის გონებაში წარმოდგენილი უცხო პერსონაჟი, სწორედ იმიტომ, რომ უცხო პერსონაჟს მხოლოდ უცხო ენა და უცხო ნაციონალური რეალები კი არ ჰქმნის, არამედ იგი უცხო მხატვრული ხასიათია, ქართული რომელიმე კუთხის დიალექტით შექმნილი ენობრივი პორტრეტი ვერ შეეფიქსება.

ისმება კითხვა, მაშინ რაღა ვუყოთ ავტორის სტილის ამ კომპონენტს? თუ თარგმანში დია-



ლექტს მთლიანად მოეხსნით, მეორე სიყალბეს ჩავდივართ, — იმლება პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი, პერსონაჟის ენა უნიფიცირდება. აქ შეიძლება მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობდეს: დიალექტით გამოწვეული სტილისტური ეფექტი უნდა აღსდგეს იმ ზოგადი დიალექტური ნიშნების ზომიერი გამოყენებით, რომლებიც დიალექტზე მიგვანიშნებენ, მაგრამ ფაქტიურად არცერთი ქართული კუთხის ასოციაციებს არ იწვევენ.

თარგმანში ასევე გადაჭარბებული ქართული კოლორიტის შექმნის მიზნით შეიძლება არქაიზმების ჭარბად გამოყენება გახდეს. ცნობილია, რომ ქართული ენის არქაისტული შრე, როგორც ლექსიკური ერთეულების, ასევე გრამატიკული ფორმების განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა, ვინაიდან იგი ქართული ლიტერატურის უძველესი ძეგლების ენობრივი რესურსებით საზრდოობს. არქაიზმი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გამომსახველი სტილისტური შრეა, რომელიც ღრმავარაუდნად ემოციურად განსაკუთრებით მდიდარ სინონიმებს გვაძლევს, ამიტომ არქაიზმის ხმარება გარკვეულ სტილისტურ მიზნებს უნდა ექვემდებარებოდეს, არქაიზმული ენა თარგმანის ენის საერთო თენთანად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ენის ექსპრესიულობას განაპირობებს შეფარდებითი ენობრივი ელემენტების არსებობის ფაქტი. ენაში მარკირებული ელემენტების გვერდით ნეიტრალური ლექსიკა რომ არ არსებობდეს, ვერ იარსებებდა ამ ლექსიკის ფუნქციონირება ენის სტრუქტურასთან, მისი მხარეზელი ხალხის ისტორიასთან. არქაიზმების ზოგიერთი სინტაქსურ და ლექსიკურ ერთეულს თარგმანში შეუძლია სრულად მოულოდნელი ელფერი შემოიტანოს, რომელიც მხოლოდ თარგმანის ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიის პერიოდებებს შეიძლება ასახავდეს, ამიტომ აუცილებელია თარგმანის ენაში არქაიზმების ზომიერი და ფრთხილი გამოყენება.

მხატვრული ნაწარმოების ნაციონალური სპეციფიკა, უპირველეს ყოვლისა, უცხო მხატვრულ ხასიათებში ვლინდება, ამიტომ თარგმანში უცხო ნაციონალური სპეციფიკა შესაბამისად უცხო მხატვრული ხასიათებისა და უცხო გარემოს შენარჩუნებით გადმოიცემა. მხატვრული თარგმანის ენა, როგორც ამ ხასიათების განსხვავებულ ერთადერთი საშუალება, გარდა მშობლიური ენის კანონების მკაცრად დაცვისა მეორე პირობასაც უნდა ასრულებდეს — იგი უპირატესად უნივერსალური ენობრივი საშუალებებით უნდა აიგოს, უფრო ზუსტად, მხატვრული თარგმანის ენა უფრო მკაცრად უნდა

მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება.

მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებული სახეებისა და აზრების სისტემას და ერთდროულად კომუნიკაციური, შემეცნებით და ესთეტიკურ ფუნქციას ასრულებს. თარგმანი გაცილებით იოლია ნაწარმოების კომუნიკაციური და შემეცნებითი მხარის აღდგენა, ვიდრე ესთეტიკური ფუნქციის კომპენსაცია, მაგრამ თარგმანი, როგორც ლიტერატურული ფაქტი, სრულფასოვანი ვერ იქნება, თუ მასში კომუნიკაციური და შემეცნებითი მხარე ესთეტიკურთან მკიდრო კავშირში არ იქნა აღდგენილი, უფრო მეტიც, ესთეტიკური ფუნქცია არის მხატვრული ნაწარმოების არსებობის საფუძველი, ამ ფუნქციის გარეშე ვერ იარსებებს მხატვრული ნაწარმოები, შესაბამისად მხატვრული თარგმანის, როგორც ლიტერატურული ფაქტის არსებობის საფუძველს, ორიგინალის ესთეტიკური ფუნქციის აღდგენა უნდა წარმოადგენდეს.

თავის მხრივ, ესთეტიკური ფუნქციაც ვერ იარსებებს კომუნიკაციური და შემეცნებითი ფუნქციისთან მკიდრო კავშირის გარეშე. ნაწარმოების ესთეტიკური ფუნქცია თითქმის უნასკვება მისსავე კომუნიკაციურ ფუნქციას და ზეუს უწყობს ნაწარმოების, როგორც საერთო ჩანაფიქრის ასევე ცალკეული შედარებით დამოუკიდებელი თავებისა და მონაკვეთების ჩანაფიქრის ხორცშესხმას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესთეტიკური მხარე შინაარსობლივ მხარეს მისაწევლად ხდის. შესაბამისად, მხატვრული თარგმანი ვერ იარსებებს, თუ მასში შინაარსობლივი და მხატვრული მხარე, ე. ი. კომუნიკაციური და ესთეტიკური ფუნქცია ისეთივე ხარისხში არ იქნა შერწყმული; როგორც ორიგინალურ ნაწარმოებში, მაგრამ თარგმანი როგორც სინამდვილის ასახვის მეორადი სახე ამ „შერწყმას“ ორიგინალის ორივე მხარის — შინაარსობლივსა და მხატვრულის შესატყვისის პოვნით და არა თვისობრივად სრულად ახლის ქმნალობით აღწევს.

სრულფასოვანი მხატვრული მთელის მისაღებად, სადაც უცხო შინაარსი და მშობლიური ენის საშუალებებით განსხვავებული ფორმა უმაღლეს ესთეტიკურ ხარისხში იქნება შერწყმული, მთარგმნელმა, ჩვენი აზრით, სამი ფაზა უნდა გაიაროს: თარგმანზე მეშობა სათარგმნი ტექსტის ყოველმხრივი შესწავლით იწყება. თუ პირველ ფაზას პირობითად მხატვრულ ნაწარმოების წაკითხვას ვუწოდებთ, აქ „წაკითხვა“ მეტად ფართო აზრით უნდა იქნას გაგებული. მთარგმნელის მიერ ნაწარმოების წაკითხვა

დალი კობაკია-ფანჯიკიძე
 ისამ თარგმანის ხელოვნებაზე

გულისხმობს მწერლის მთელი შემოქმედების ცოდნას, მწერლის მსოფლმხედველობაში ნათლად გარკვევას, კონკრეტული, სათარგმნი ნაწარმოების შექმნის ისტორიას და ამ ნაწარმოების მიმართების შესწავლასაც მწერლის მთელი შემოქმედებასთან. ნაწარმოების წაკითხვა ასევე გულისხმობს მწერლის სტილის დაწვრილებად ანალიზს და ამ სტილის კომპონენტების შიშობლივით ენის ფარგლებში გადმოტანის გზების დასახვევას.

თარგმან ერთსა და იმავე დროს ანალიზური და სინთეზური შრომაა, სადაც ანალიზური მეცნიერულს ეხამება, სინთეზური კი შემოქმედებით მომენტთან არის დაკავშირებული. ყოველ თანამედროვე თარგმანში არის მეცნიერული და შემოქმედებითი ელემენტები, მაგრამ ნაწარმოების უარისა და სტილის მიხედვით მათ შორის შეფარდება იცვლება. თარგმანში იდეალურად ითვლება მწერლური ხელოვნებისა და პროფესიონალი მთარგმნელის მაღალი კვალიფიკაციის თავისებური და რთული შერწყმა.

თუკი მხატვრული ნაწარმოების სტილის ანალიზი ძირითადად ნიშნავს მწერლის საერთო სტილისტურ სისტემაში ამა თუ იმ ელემენტის ფუნქციის გარკვევას, მხატვრულ თარგმანთან მიმართებით ორიგინალის სტილისტური ანალიზი დამატებით მოითხოვს ორიგინალისა და თარგმანის ენის კანონებს გათვალისწინების საფუძველზე მხატვრული ნაწარმოების სტილისტური სისტემიდან იმ არსებითი ელემენტების გამოჩენვას, რომელთა შენარჩუნება შესაძლებელი და აუცილებელია თარგმანში. ასევე უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელისათვის მწერლის პოზიციის გარკვევას, ასახული მოვლენებისადმი, პერსონაჟებისადმი მწერლის დამოკიდებულების გარკვევას (მაგალითად, თარგმანში რომელიმე პერსონაჟს „გომბოს“ უწოდებდნენ, თუ „მანდილოსანს“ ეს არჩევანი მწერლის კონცეფციასა და არა მთარგმნელის სურვილზე დამოკიდებული).

მთარგმნელის წინაშე ყოველთვის უნდა იდგეს კითხვა: ემთხვევა თუ არა მის მიერ შერჩეული მხატვრული საშუალებები მწერლის მიერ შექმნილ საშუალებებს? მწერალი ხშირად ქვეშევსებულად კი ჰქმნის მხატვრულ საშუალებათა სისტემას, მთარგმნელი კი ვალდებულია ერთდროულად ამ სტილისტური სისტემის ანალიზიც მოახდინოს და სინთეზიც.

თუ ნაწარმოების „წაკითხვა“ ანალიზური სამუშაოა, თვით თარგმნის პროცესი (II ფაზა) უპირატესად სინთეზური, შემოქმედებითი შრომაა პროცესია, მაგრამ აუცილებლად აქტიური პროცესია. მთარგმნელი განუწყვეტლივ იბრუნებს ორი ენის შესაყარზე, არცერთ ენას არ ეშვება მხედველობის არედან, ერთმანეთს უპირისპირებს მათ კანონებს, ჩადის თვითული ენის სპეციფიკის სიღრმეში. ამავე დროს თარგმანს არ არის ორი ენის შესატყვისების პრაქტი-

კული ძიების პროცესი. თარგმნის პროცესში ენობრივი საშუალებების არჩევა იმ პირველი ანალიზის ბუნებრივი შედეგია, რასაც ნაწარმოების „წაკითხვა“ აძლევს მთარგმნელს. მთარგმნელი ენობრივ საშუალებებს ეძიებს მთარგმნელის წაკითხვის შედეგად შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე, კონცეფციის ძიება თარგმნის პროცესში არ უნდა ხდებოდეს. ვინაიდან ახალი მხატვრული მთელის შექმნა წინასწარ შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე ხდება, ჩვენი აზრით, თარგმანში ორიგინალურ შემოქმედებასთან შედარებით წინ უნდა იყოს წამოწეული შემეცნებითი და არა ინტუიტური მომენტი. მთარგმნელის გონებაში ერთხელ დადგენილი კონცეფციის საფუძველზე შეიძლება ელვის სისწრაფით, მაგრამ უბიარატესად შეგნებულად მიმდინარეობდეს ორიგინალის ფორმის შესატყვისის ფორმისათვის ყველაზე უფრო შესაფერი საშუალებების ძიების პროცესი, სადაც არც ცალკეულ სიტყვასთან ჭიდილია გამორაცხული. გ. გაეჩილაძის ცნობით, ივ. მაჩაბლის აქონი შექმნის დედანი აქრლებულთა ინგლისური სიტყვისა და გამოთქმების ქართული შესატყვისებით. ე. ეტყინდი მოგვითხრობს, როგორ მუშაობდა მ. ლოზინსკი დანტეს „ღვთაებრივი კომდიის“ თარგმანზე. ლოზინსკის, გარდა იმისა, რომ საფუძვლიანად შეუსწავლია დანტეს გენიალური პოემა და მის ირგვლივ არსებული ყველა მასალა, ცალკე ჰქონია საქალაქე „სიტყვა“, სადაც თავმოყრილი ყოფილა დედნის ცალკეული გამოთქმებისა და ენობრივი ფორმებისათვის მოძებნილი საუკეთესო რუსული შესატყვისები.

ამგვარი მუშაობა სიტყვაზე, რა თქმა უნდა, ლინგვისტური ხასიათის არაა, იგი ესთეტიკური ჩანაფიქრით განისაზღვრება. ამასთან ენობრივი საშუალებების ძიების პროცესი მხოლოდ ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულებისათვის შესატყვისების ძიებით არ იფარგლება. ეს აზრი თანაბრად ეხება ნაწარმოების გრამატიკული სტრუქტურისათვის შესატყვისის გამოძებნასაც. გრამატიკული სტრუქტურა აზრის გამოფორმებელია მხოლოდ და ის, როგორც ასეთი, არასდროს არ გადმოიცემა, მაგრამ ორიგინალის გრამატიკული სტრუქტურა მთარგმნელისათვის განურჩეველი არ არის. ნაწარმოების სტილისტურ პოლიფონიაში გარკვეული როლი ეკისრება საკითხს, რთულ თუ მარტივ წინადადებად მათ დასახვევად ავტორი, ახასიათებს თუ არა გრძელი პერიოდები. ვინაიდან რთული თუ მარტივი წინადადება, გრძელი თუ მოკლე პერიოდები, შესაბამისად ავტორის აზრის მოძრაობასთან არის დაკავშირებული და მისი უგულვებელყოფა თარგმანისა და ორიგინალის სტილისტური სისტემების შესაძლებელ ზღვარს იქით დაშორებას გამოიწვევდა.

ყველა ზემოაღივთვლილი შენარჩუნებულ ელემენტები, რა თქმა უნდა, მექანიკურად, სი-

ტყვა-სიტყვით არ გადმოღის თარგმანში. თარგმანში მხოლოდ შეიძლება შევინარჩუნოთ სტილის აბსტრაქტული ნიშანი: ლექსიკური სიუხვე ან სიმშრალე, მაღალფარდოვანივით თუ სისადავე, სტრუქტურული სირთულე, თუ სიმარტივე, ნაწარმოების საერთო რიტმი, ინტონაცია და განწყობილება. ყველა ეს კომპონენტი ქმნის ნაწარმოების სტილისტურ ატმოსფეროს, რაც თარგმანში მშობლიური ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების განსაკუთრებული ორგანიზაციით მისაღწევია და აუცილებელიც.

ზემოჩამოთვლილი კომპონენტებიდან განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ რიტმი, როგორც მხატვრული ნაწარმოებისა და შესაბამისად მხატვრული თარგმანის ესთეტიკური ფუნქციის ერთერთი საფუძველი. თომას მანი წერს: „პირველითგან იყო რიტმი, — თქვა ჰანს ბიულოვემა. ეს დირიჟორის სიტყვებია, გეთანხმებო, მაგრამ მე მგონია იგი ხელოვნების ყველა სახეობაზე ზედგამოჭრილი ვახლავთ, უპირველეს ყოვლისა კი წყობილსიტყვაობაზე (die Dichtung), რაშიც მე მარტო ლირიკას არ ვვულისხმობ. დარწმუნებული ვარ, პროზის იდუმალი და უძლიერესი მიზიდულობის ძალა მის რიტმულობაში იმალება, ხოლო პროზის რიტმის კანონები ლექსწყობის აშკარად გამოხატულ მეტრიკულ კანონებზე გაცილებით უფრო დელიკატურია“. მართლაც პროზის რიტმის კანონების კვლევა სტატისტიკურ და მექანიკურ გამოთვლებს ძნელად ემორჩილება. პროზის რიტმი არ იქმნება პოეზიის მსგავსად მოწესრიგებული და დასათვლელი მარცვლების რაოდენობით. ამიტომ პროზის რიტმის აღქმაში ბევრი რამ სუბიექტურ შეგნებაზეა დამოკიდებული. ძირითადი, რაც შეიძლება პროზის რიტმზე იაქვას, ის არის, რომ რიტმულობის „შთაბეჭდილება რეგულარულ ან არარეგულარულ აქცენტთა თანამიმდევრობას ემყარება. პროზის რიტმის სპეციფიკას ისევე, როგორც ნაწარმოების მხატვრული მხარის შემადგენელი ყველა კომპონენტის სპეციფიკას, მწერლის აზროვნებასთან მჭიდრო კავშირი განსაზღვრავს. პროზაში აზრის მსგელობა არ შეიძლება უადგილოდ გაწყდეს სუნთქვის პაუზით. აზრის ლოგიკური და-

სასრული სუნთქვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს კავშირი გრძელი პერიოდის თარგმანისას, გრძელი პერიოდი მხატვრული აზროვნების განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენს და იგი სტრუქტურულად აზრის ლოგიკური დასასრულისა და სუნთქვის პაუზის ურთიერთდამხვევის საფუძველზეა აგებული. თარგმანში იგივე აზრის დასასრულისა და სუნთქვის პაუზის შეთანხმების გზით შეიძლება აღსდგეს ყოველგვარი სიგრძისა და სირთულის პერიოდი. მით უმეტეს, რამდენადაც ფრაზის სიმოკლისა და სიგრძის დაცვა მეორეხარისხოვანი საკითხი არ არის პროზის თარგმანში. ფრაზის სიგრძესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი რიტმი, ხოლო ფრაზების ერთობლიობა მთელი ნაწარმოების ან მისი გარკვეული მონაკვეთის რიტმულ სურათს ჰქმნის.

თარგმნის პროცესში ავტორისეული რიტმის გადმოღება, რა თქმა უნდა, მექანიკურ გამოთვლას არ ემყარება. იგი უშუალო შედეგია მთარგმნელის შინაგანი სმენისა და ინტუიციისა, რაც ჭერ ორიგინალის, ხოლო შრომის დასასრულს კი თარგმანის უმაღლეს მკითხველურ დონეზე წაითხვის უნართან არის დაკავშირებული.

დასრულებული მხატვრული თარგმანის შეფასების მთავარი კრიტერიუმი (თარგმანზე მუშაობის მესამე ფაზა) მასში უცხო და მშობლიური კულტურის შერწყმის ხარისხით განისაზღვრება, სადაც ზემოჩამოთვლილი კონკრეტული საკითხები დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ. უცხო და მშობლიური კულტურის კონგლომერატი მით უფრო მაღალხარისხოვანი აღმოჩნდება, რაც უფრო ჰარმონიულად იქნება მასში ორი კულტურის ელემენტები შერწყმული. უამისოდ შეუძლებელია მხატვრულ თარგმანზე, როგორც შემოქმედების ფორმაზე, მსჯელობა, ხოლო უცხო და მშობლიური კულტურის ელემენტების ჰარმონიული შეხამების საფუძველზე შექმნილი მხატვრული მთელი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების ტოლ, დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს და მას შეფასების იმავე კრიტერიუმებით უნდა მივუდგეთ, როგორც ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებს ვუდგებით ხოლმე.



3. მიხაილოვი, ა. იუხინი

ჰემინგუეი და სპორტი

1. რას მიიღებს გამარჯვებული?

ერნესტ მილერ ჰემინგუეი...

იგი იმ საუქუნის შვილია, რომელსაც ნეი-ლონის, რაქეტის, კიბერნეტიკისა და... სპორტის საუქუნეს უწოდებენ.

„რომანსტიკოსთავე ყველაზე ნაცნობი ქვეყანა — საუთარი ვულია“, — ამბობდა მწერალი. სპორტი კი ბავშვობიდანვე ცოცხლობდა მის გულში. შემდგომაც არა ერთხელ გაუმეორებია:

„იმიტათვის, რომ გაიგო ხარების ბრძოლა, — ისევე, როგორც წიგნი, მთასვლელობა, ციგურებით სრიალი, სიყვარული, სროლა — მუდამ საკუთარი გამოცდილებაა საჭირო“.

საამისო გამოცდილება კი, იცოცხლეთ, ჰქონდა.

იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა. ქვეყანაში, სადაც დიდი ხანია შეუპოვრად ნერგავენ სპორტს. სპორტი ამ ქვეყანაში მრავალი მიზნისთვის ჭირდებათ: იგი ერას პრესტიჟია, მატერიალური გამდიდრების წყაროა, პოლიტიკიდან ხალხის ჩამოცილების უფარი საშუალებაა... სპორტი ამერიკას „მაგარი ბიჭების“ აღსაზრდელად უნდა. განა შეეძლო უდიდეს ამერიკელ მხატვარს არ ეწერა სპორტზე? ჰემინგუეი სპორტის სხვადასხვა სახეობისადმი სხვადასხვაგვარად იყო განწყობილი. შეჯიბრებებს სახალხო დღესასწაულებს აღარებდა და ამავე დროს, სპორტულ ასპარეზობებს ჯოჯოხეთის მსგავსად აღწერდა. სპორტზე წერდა სხვადასხვა ქალაქებში, სხვადასხვა ქვეყნებში, წერდა თავისი შემოქმედების კველა პერიოდში. წერდა სხვადასხვაგვარად, მაგრამ არ შეეძლო არ ეწერა. არ შეეძლო, რადგან მტკიცედ სწამდა, სპორტი ადამიანს პატიოსან გამარჯვებას და დამარცხების ვეჟაკტურად

გადატანას აჩვენებს. სპორტი ადამიანს ცხოვრებას ასწავლის.

ჰემინგუეი ყველაზე იმედისმომცემი ამერიკელი იყო ევროპაში, — ამტკიცებს ლინკოლნ სტეფენსი. ამის გაგება იოლია: ცნობილი ლიტერატორი, მწერალთა წრის უსაყვარლესი პიროვნება, სიცოცხლით სავსე, ღონიერი, თავის ძალონით თითქოს შეცბუნებული და დაღონებული, — დიდებული მეთევზე და მონადირე, ჩინებული ჩოგბურთელი, აზარტული ველომბროლი, მოყვარული მატადორი, სამხედრო ჯილდოებით მკერდამშვენებული ომის ვეტერანი, — აი, ვინ იყო პარიზელთათვის ჰემინგუეი.

მრავალი წლის შემდეგ მწერალი ჰარი „თოვლიან კლიმანჯაროში“ მოიგონებს მეზობლებს მაშინდელი პარიზის ღარიბი გარეუბნებიდან: ორი კატეგორიის მეზობლებს — ლოთებს და სპორტსმენებს:

„სპორტსმენები ვარჯიშს აყოლებდნენ გულს“...

ცხადია, ეს ჰემინგუეის სიტყვებია. ამას რგი თავის თაზე ამბობს და ეს აზრი არაერთხელ მეორდება მისი სიკვდილის შემდეგ გამოცემულ რომანში: „დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთანაა“.

მისი უსაყვარლესი სიტყვები იყო მაშინ:

— დავნიძლავდეთ!

და ვი მას, ვინც დავნიძლავებოდა: თუ კი მწერალს სურდა რაიმე დამტკიცებინა, ამისათვის მას ვაჟაკობაც ჰყოფნიდა და ნებისყოფაც. არაერთხელ უთქვამთ, თითქოს სპორტმა მას დაუმკვიდრა ღონიერი, უხეში ბიჭის სახე-

ლი, რომელიც ვითომ მზად იყო ლამის მუშაობით გაეკვლია გზა ლიტერატურაში. სინამდვილეში კი ახალგაზრდა ჰემინგუეი მოკრატა-ღებულში, მორცხვი კაცი იყო. ჩვენ გვგონია, რომ თვითონ იგი, თავის შესაძლებლობებზე მინდობილი დიდ იმედებს არ ამყარებდა. უბრალოდ, იმ მიმე დღეებში სპორტი მას ოპტიმიზმის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა, ცხოვრების სიხარულისთვის სჭირდებოდა, ცხოვრებას კი იმხანად პარიზში თავშეყრილ ნიჭიერ ადამიანთათვის სიტბოც ბევრი აქვდა და ზმირად, დიმილიც არ ემეტებოდა.

სპორტს მწერალი კიდევ იმიტომაც მისდევდა, რომ იცოდა: „სპორტი — ჯანმრთელობაა, სპორტი — სიცოცხლის ხანგრძლივობაა“. სილო იმისათვის, რომ დედაშიწაზე დატოვო რაიმე კვალი — დიდხანს უნდა იცოცხოლო, — ამბობდა იგი. ადამიანთა სიყვარულის ჯაჭვი ნელ-ნელა ინასკვება. ათი წლის შემდეგ „აფრიკის მწვენი გორაკებში“ მან აღიარა:

„მწერალს მოეთხოვება ჰკუთ და უანგარობა. და რაც მთავარია, ხანგრძლივი სიცოცხლე. სცადე, შეაერთე ყოველივე ეს ერთ პიროვნებაში, ამიტუტე დაძლიოს ყოველგვარი გავლენა, რაიც ამომიგებს მწერალს“.

შრომით დაქანსული მწერლისთვის ყველაზე კარგი დასვენება ველოსიპედით გაქროლება, ტანვარჯიშის დარბაზში თუ რინგის კვადრატზე ვარჯიში იყო.

ლინკოლნ სტეფენსი იგონებს: პარიზის ქუჩებში, რომელთაც ვერაფერი გააკვირვებს, ზმირად მინახავს მხიარული ჰემინგუეი, დალაჯებდა ეს ამოდენა კაცი და ეკრივებოდა წარმოსახვით მოწინააღმდეგეს. მაგრამ მას რეალური მოწინააღმდეგეები ჰყავდნენ.

იგივე კაჟინი ჰყვება ზამთრის ველოდრომზე მომხდარ ამბავს:

„აქ (პარიზში) ყოველგვარი წესის საწინააღმდეგოდ, მოეწყო საშუალო წონის ჩემპიონის და მსუბუქი წონის მოკრივის ტრავეს შეხვედრა. ტრავე მარჯვედ იცავდა თავს და მეთვე რაუნდში მოთმინებლად გამოესულმა ჩემპიონმა თავისი წონის უპირატესობა გამოიყენა. გამოიყენა და მერე როგორ! ეს ორთაბრძოლა უუკველად სიკვდილით დამთავრდებოდა, მაგრამ დარბაზში ჰემინგუეიმ პიჯაკი გაიძრო, რინგზე შეხტა და ჩემპიონს თავისი უშეუღლებელი მუშაობით დააცხრა თავს. დასახიჩრებული ტრავე აშკარა სიკვდილს გადარჩა.“

მას თავის დაცვა შეეძლო და სხვისი ხსნაც. ეს გულწრფელად ახარებდა ბევრს, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, უმეტესად დაზარალებულთაგან, ვინც მას შფოთისთვის ეძახდა. ცხადა, მხედველობაში ჰქონდათ არა მისი ლიტერატურული, არამედ სპორტული წონა“.

იმ წლებში ჰემინგუეიმ სილვია ბიჩს აშკარა ხუმრობით ერთი ინტერვიუ მისცა და იგი ჰემ-

მარიტებად გასაღდა. მწერალი ამბობდა, თორქოს ოჯახური პირობების გამო, იძულებული იყო მოკრივე პროფესიონალი გამხდარიყო — პირველი ფული რინგზე მოგებებით „კაქეთა და რეი“ დგომ ძალზე გაუძმენლა მოკრივის პროფესიის მიტოვება.

პარიზში, სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად, ჰემინგუეი კრივის დარბაზში ვარჯიშს განაგრძობდა. ამაზე წერს წიგნში: „მშვიდობით, იარაღო!“

„ტანვარჯიშის დარბაზში კრივში ვეარჯიშობდი, მოციონისათვის. ჩვეულებრივ, დილ-დილობით დაედიოდი ხოლმე... გაზაფხულის დღეებში უდიდეს სიამოვნებას მგვრდა ვარჯიშისა და მსხაის შემდეგ ქუჩაში ვავლა, გრილი პერიის უნთქვა, კაფეში შევლა, იქ ჯდომა, ადამიანთა სახეების ცქერა და გაზეთის კითხვა... ტანვარჯიშის დარბაზში კრივს უღვაშიანი კაცი ასწავლიდა. მას ძალზე სწრაფი და მოკლე მოძრაობები ჰქონდა. დარბაზში ყოფნა ძალზე მსიამოვნებდა... იქ ბევრი შუქი და პერიი იყო და მე სინდისიერად ვშრომობდი: ბაწრით ასკინკილას ვუფელოდი, კრივის სხვადასხვა ილეთებს ვსწავლობდი, ღია ფანჯრიდან შემოჭრალ, იტაცებ ვაწოლოლ მზის შუქზე ვეოტრიაობდი, ხან მუცლის კუნთებს ვავარჯიშებდი, ხანაც მწერთელს კრივში ვჯამნიდი. პირველ ხანებში მალაღი, ვიწრო სარკის წინ ვარჯიშს მიჭირდა — საშინლად მეუხერხულებოდა წვეროსანი ორულის ცქერა. მერე თანდათან შეეჩვიე და მეციენებოდა კიდევ. ერთ ხანს, კრივში ვარჯიშის დაწყებისას, წვერის მოპარსვაც კი მქონდა გადაწყვეტილი“.

ოციან წლებში მწერალს კვლავ გაეღვიძა ველოსიპედისადმი სიყვარული. იგი აღრეც მოაწილეობდა სხვადასხვა შეჯიბრებაში, მაგრამ ველოსიპედი ამერიკაში არ იყო პოპულარული. ამიტომ ერნესტის სიყვარული ველოსიპედისადმი ბევრს არც კი შეუფხინევია. ევროპაში ჰემინგუეიმ ნამდვილი შეჯიბრებაც ნახა და „ოჯოხეთის ტრასის“ ნამდვილი ჯადოქრებიც.

მწერლის არკივში შემორჩენილია ომის წლებში გადაღებული ფოტოსურათები. დაბა ფასალტაში დანგრეულ სახლთან ველოსიპედით დვასრიგით ერნესტ ჰემინგუეი. ველოსიპედის დერძელაზე კარბინია საწვერტულებით მიკრულია.

საფრანგეთში მწერალს იმდენად ველოშეჯიბრება არ იტაცებდა, რამდენადაც გზატკეცილებსა და ტრეკზე ვანუშეორებელი, წარმტაცი შეჯიბრები. შემდგომ იგი საიამო მოიგონებს:

„ველოსიპედმა უტეც გამიტაცა: იყო მასში რაღაც ახალი და შეუცნობი. ამაზე მოთხრობას წერაც კი დავიწყე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დავამთავრე. მინდოდა ეს მოთხრობა ისეთივე შესანიშნავი ყოფილიყო, როგორც ველოშეჯიბ-

3. მისანილოზი, ა. იუსინი

ჰემინგუეი და სპორტი

რები ტრეკზე და გზატკეცილზე. შევეცადე ამეწერა ღამის ველოდრომი: ხის ტრეკი და რუხიანის საბურავების შრიალი, ველომბროლეტა უაღრესი დაძაბულობა, მათი ტრაქტიკა, და ისიც, შეგნებულად რომ უთმობენ ლიდერობას მოწინააღმდეგეს, რათა მერე, ისარივით ავარდნენ ზემოთ. მომეოხბო სალიდერო სრბოლის მომხიბველობაზე...“

მრავალი წლის შემდეგ, თავისი პარიზული ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნის შესავალში, ჰემინგუეი გულნატკეცი იტყვის, რომ ჯერ არაფერი არ დაუწერია „ანასტაზის“ სტილიონზე, სადაც რინგი ბაღში იყო გამართული, მაგადეი ხის ჩრდილებში იდგა და ოფიციალურად მოკრივეები იყვნენ. არც ლარი გეისონთან ვარჯიშზე დაუწერია და არც ზამთრის ცირკში გამართულ ოცრაუნდიან ბრძოლებზე“.

მაშაუბრი ორთაბრძოლები კრივის დარბაზებში და მომქანცველი ველობროლები, ზამთრის უამინდობაში — მწერლის ახალ გატყეობას უთმობდნენ ადგილს: ოციან წლებში ჰემინგუეი თხილამურებმა გაიტყა. მთაში იგი პირველად ჭორწინებს მესამე თვეს მოხვდა, 1922 წლის იანვარში. ამას წინათ ამერიკის ყურნალ „სეის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა კელა ჰემინგუეის მოგონებები იმაზე, თუ როგორ უყვარდათ მწერლის ოჯახში სათხილამურო სპორტი.

„შვეიცარიაში ჩასვლისთანავე თხილამურები აუცილებლობად გადაგვეტკა. ერნესტი უდიდესი გულსიყურით არჩევდა ხოლმე აღქურვილობას და ყველას სთხოვდა რჩევა-დარიგებას. გვეცონა, ვერასოდეს ვისწავლიდით ხეირიანად. სრიალს მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი უცებ გამოგვეცოდა“.

იმხანად, საფრანგეთისა და შვეიცარიის ალპებში ჯერ კიდევ არ იყო საბავირო გზები. რამდენიმე წუთიანი სლალომითა და სწრაფდამყვებით ტეკობა — ტანჯვის შემდეგ, საათობით უნდა გვევლო პირშედლა. ერნესტი სულ სიცილით ადიოდა ზემოთ და ხუმრობდა: „თუ თევაზობა გიყვარს, ფეხს დასველებაც უნდა გიყვარდესო“.

ალბათ იმ წუთებში, როცა იგი ქვემოთ მიქროდა, ალბათ იმ საათებში, როცა იმ მწვერვალისაკენ მიიწევდა, იბადებოდა მის გონებაში თხილამურებისადმი მაღლიერების სიტყვები, რომლებიც შემდგომ გაისმა ნომელაში „კროსი თოვლზე“.

— თხილამურებზე კარგი არაფერია, ზომი — აქვა ნიკა, — რა შეგარძნებაა, როცა იმ სიმალლიდან თავიქვე ეშვები!

— ჰო, — თქვა ჯორჯმა, — თქმაც კი ძნელია, იმდენად კარგია. რა იქნება, ნიკ, რომ ერთად წავსულიყავით? წაგველო თხილამურები, ჩაემჯდარიყავით მატარებელში, ჩამოვსულიყავით, სადაც კარგ თოვლს ვნახავდით, გვეარა ჩვენს

ქუაზე, გაგვეთია ღამე სასტუმროში, გადაგვეარა ობერლანდი, ვაღ, ენგანდინი, თან მარტო ჩანთა გვეჩოვდა, და... ჰერი, ეშმენსაქე სწავლა-განათლება და ყველაფერი...“

— და კიდევ, გადაგვეარა მთელ შვარცალდი. აუ, რა ადვილებია!

— ეს იქაა, შარშან თევზს რომ ვიჭერდით? — ჰო.“

1928 წლამდე მწერლის ოჯახი ყოველ წელს ავსტრიის ერთ მივარდნილ სოფელ შრუნცში ატარებდა. აქ ჰემინგუეი ადვილობრივ სათხილამურო სეზონში ვარჯიშობდა, შეჯიბრებაში იღებდა მონაწილეობას. როგორც ყველაფრისთვის, რასაც შეიყვარებდა ხოლმე, თხილამურებისთვისაც ახარტულა. უხვად ფლავავდა ესოდენ ძვირფას დროს. სულ არ ენანებოდა სპორტისათვის დაკარგული წუთები და საათები.

სტეფენსმა შემოგვინახა მოგონებები იმ დღეებზე:

„უშველებელ, ბუთხუზა ბუმბი-ჰემს მოხუცი გადია ზრდიდა... მშობლები კი თხილამურებით დასარილვდნენ ალპებში, ან ესპანეთში დადიოდნენ ხარების ბრძოლის შესასწავლად“.

ჰემინგუეიმ კორიდა საშუალოდ შეიყვარა.

იგი მას ავიწყებდა რინგის ირგვლივ არსებულ საქმიან ვარჯიშებს. დამახასიათებელია, რომ სტატიაში „პირველად ხარების ბრძოლაზე“ მწერალი წამოიძახებს:

„მრგვალი არენა სილით იყო მოფენილი. ეს უცნაურად მოგვეჩვენა. ჩვენ რინგის ოთხკუთხა მუდანს ვიყავით შეჩვეულები“.

კორიდა მას ყველაზე მეტად თავისი უკომპრომისობით ხიბლავდა.

„როცა იგი თავისი დაშნითა და წითელი ნაჭრით გამოვა, სიკვდილი შეიძლება ან მას ეწვიოს, ან მის მატალორს, ან ხარს. რადგან ფრე ამ ბრძოლაში არ არსებობს“.

ერთხელ, ესპანეთში მოგზაურობისას ჰემინგუეი და დოს-პასოსი არენაზე გავიდნენ. ბეც დოს-პასოსს ანახლად ხარზე შეტევა მოეხალისა. მწერალს სიკვდილი ემუქრებოდა. იგი ჰემინგუეიმ იხსნა. ამ შემთხვევის შემდეგ მან დაწერა „ტრონტო სტარ უკილისათვის“ დიდი და მწვევე სტატია კორიდაზე და ხარების ბრძოლაზე, იმაზე, თუ სად თავდება სპორტი და სად იწყება ტრაგედია.

და მაინც, 1924 წლის ივნისში ჰემინგუეიმ ვერ გაუძლო მწერალი ღონაღდ ოგდენ სტიუარტის, რ. მკაჟონის და იმავე დოს-პასოსის თოვნას და პამპლონში, ხარებთან ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. ოგდენ სტიუარტმა სანაძლეო დადო, ხარს მოეთოკავ, რქებში ხელს ვტაცებ და თვალებში სიგარეტის კვამლს შევაბოლოებო. მაგრამ სტიუარტმა დაშნის ამოღება კი ვერ მოასწრო, რომ ხარმა იგი ჰაერში აავლო და რქებით მიეტანა. ჰემინგუეი მეგობრის საშველად გადაეშვა, მაგრამ ხარმა ერნესტიც რქე-

ბით აიტაცა და შორს გადაისროლა. სტიურ-ტმა არენიდან ვაცოცხლა მოასწრო. ორი ნეკნი ჩამტერეული აღმოაჩნდა.

ჰემინგუეი კი ვეღარ დამშვიდდა — მეორე ხარს სტაცა რქებში ხელი და დააჩქა.

ხარების ბრძოლა!.. თი, დამარცხების შემდეგ სავადმყოფოდან გამოსულ მატადრო მანუელ გარსისა სურს დაუბრუნდეს კორიდას. ბრძოლის წინ იგი ესალბება მის მეგობარს პიკადორ სურიტოს:

— რატომ არ შეეშვები ამ საქმეს? — თქვა სურიტომ. — რატომ არ ჩააგებ შენს კოლეტას, მანოლიო?

— არ ვიცი, — თქვა მანოლიომ, — არ შემიძლია თავის დანებება. ოღონდ შანსი იყოს თანაბარი და მე მეტი არაფერი მინდა. რომ არ გამოვიდე, არ შემიძლია.

— არა, შეგიძლია.

— არა, არ შემიძლია. ვცადე თავის დანებება...“

სურიტო უფრო გამოცდილი მებრძოლი იყო და, როცა შეატყო, მისი საუკეთესო მეგობარი ხართ ბრძოლას არ იშლიდა, დაენიძლავა: თუ მანუელი წააგებს, ნაწინავი უნდა მოიჭრას...

მანუელი საბრძოლველად გამოდის. უკანასკნელ წაშ ხარი დაჭრის მას, მატადროს მიინც წამოდგება და ჰკლავს ხარს. სურიტოს უნდა შეასრულოს ნიძლავი — შეაჭრას მანუელს ნაწინავი, მაგრამ ლამის გრძნობადაკარგული მანოლიო ემუდარება:

— „შენ არ იზამ ამას... მე ფორმამი ვიყავი. უბრალოდ, არ გამოვივიდა“.

მატადროს თავის შინაგან გამარჯვებას დამარცხებამი კი ხედავს.

ნამდვილი სპორტსმენი ის კი არ არის, ვინც ბრძოლაში დაუმარცხებლად ტოვებს მოედანს, ნამდვილი სპორტსმენი ისაა, ვინც შინაგანად დაუმარცხებლად გრძნობს თავს.

ჰემინგუეის ყველა სპორტულ მოთხრობას, დაწყებული „ტორონტო სტარ უიკლი“ გამოქვეყნებულებიდან, დამთავრებული „მოხუცი და ზღვით“, საერთოდ მთელს მის შემოქმედებას გასდევს იდეა — დამარცხებამი გამარჯვებისა, ერთი მხრივ და გამარჯვებისა, რომელიც გამარჯვებულს არაფერს აძლევს, მეორე მხრივ. მწერლის სპორტული ნოველებს კიდევ ერთი თემაა — კეთილშობილური ნორმების დაცვა თუ დარღვევა სპორტსა და ცხოვრებაში, ამასთან პირველ შემთხვევაში ჯილბა — მოვალეობის შეგრძნობა, მეორეში კი, პიროვნების გამოფიტვა და გადაგვარება-სასყელი.

ჰემინგუეის ყველა მკითხველს როდი მოსწონდა მის რომანებსა და მოთხრობებში გაბნეული სპორტული მოტივები. იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი კრიტიკოსები, რომლებმაც მის განუმეორებელ „ფისტაში“ კრივის, ბოთლვისა და ხარების ჭიდილის მეტი ვერაფერი დაინახეს. მა-

გრამ მწერალი თავისაზე იდგა. დიან, იგი არ ფარავდა სპორტის ჩრდილოვან მხარეებს, მის მანკიერებას, მეტასტაზებს, იგი მანკიერებას მათ და საქვეყნოდ გაიძახოდა: **სპორტის**

„— სპორტი ლობას იწყებს. სასიკვდილო იარაღად ლობას სპორტის ცოცხალ ქსოვილს, თუ კი მას განგსტერებს, მღიდრებსა და ზოლიტიკოსებს ჩაუვლდებოდა ხელი. ჩვენ არ გვაქვს უფლება არ დავინახოთ, რომ სპორტი ავადია, ჩვენ არა გვაქვს უფლება ველმდეთ, რადგანაც გვიყვარს სპორტი!“

ახლა, რა პოეტურად არის აღწერილი სპორტი — ფისტაში!“

1927 წელს ჰემინგუეიმ გამოსცა კრებული „მათაცები ქალბობის გარეშე“. კრებულის ყველა მოთხრობა ჰიმნია მამაკაცური მეგობრობისა. სპორტულ თემაზე მასში ექვსი მოთხრობაა დაბეჭდილი, მათ შორის განუმეორებელი „ჩემი მოხუცი“ და „კროსი თოვლზე“. „ჩემს მოხუცში“ მწერალი არაჩვეულებრივად თბილად ზეპირად ამხუცი ჟოკის პორტრეტს. იგი იძულებულია წონა დაიკლოს, რათა ცხენს ტვირთი შეუმსუბუქოს. მოხუცის მძლეოსნურ ვარჯიშებისადმი მიძღვნილი სტრიქონები ნამდვილი ჰიმნია სპორტისა — სილადისა და ძლიერების მომნიჭებელი სპორტისა.

თუ როგორ ცხოვრობდა იმ წლებში ჰემინგუეი, ამხუცი გვიამბობს მისი ძველი მეგობარი ჯედი კეილი. იგი ჰემინგუეის კი-უესტში, მეთევზეთა პატარა სოფელში ეწვია, ფლორიდაში, იქ 1928 წელს მწერალმა სახლი იყიდა.

ორივე, ჰემინგუეიცა და კეილიც, კრივის ნამდვილი ტრფილინი იყვნენ. ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე გაიცნვეს ერთმანეთი, მათი მეგობრული შეხვედრები ჰემინგუეის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა.

კეილი მოხიბლული იყო ჰემინგუეის ნათელი, განუმეორებელი ხასიათით. წიგნის წინასიტყუობაში იგი წერს:

„ეს რაუნდებად დაყოფილი ანგარიში მატჩზე, რომელიც ერთი მხარის აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, დამარცხებულის მიერ დაიწერა, ერნესტ მილერ ჰემინგუეის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ.“

და თუ რომელიმე რაუნდში თქვენ სისხლს დაინახავთ, შებრუნდით, როგორც იქცევა ბევრი ჩვენგანი ხარების ბრძოლის ცქერის დროს, ნუ დაივიწყებთ, რომ ეს წიგნი დიდი ადამიანის პატივსაცემად გაღებულ ხარკია.“

კეილის მოგონებები ჰემინგუეის ძებნი იწყება. ერნესტი არ შეშინებია ვაფთრებულ ღელვას და პატარა გემით ზღვაში შესულა, სამ დღეს მთავრითი აფარფატებდა ტალღები მის გემს. ასაათიანი ღვლით თაბრულდახეუ-

3. მიხაილოვი, ბ. იუხინი
ჰემინგუეი და სპორტი

ლმა ჰემინგუეიმ მხოლოდ მეოთხე დღეს დაადგა ფეხი ხმელეთს. მეგობრები რომელიღაც ღუქანში შეხვდნენ ერთმანეთს. რაც იქ მოხდა, ასე აქვს აღწერილი ჯეიდ კეილის (მისი მონათხრობი შემოკლებულად მოგვყავს):

— მე ასეთ პირობას ვდებ: თუ რომელიმე აქაური ორ რაუნდს გამძღვებს, ათ ვირვანქას ვუხდა. დიზლი უნდა ბედი სცადოს. ესაა და ეს.

— ესაა და ეს? — ჩაეკითხა გიბსონი, — ამ ოყლაყთან მართლა ახლა ხომ არ აპირებ ჩხუბს?

— რატომაც არა? — თქვა ერნესტმა.

— გადადე ზვალამდე, — ვერჩიე მე.

— არ შემძლია. მე მთელ კვირას მიცდიდნენ. წასვლისას დავპირდი, დავბრუნდები თუ არა, ვაჩხუბებ-მეთქი. ახლა დავბრუნდი და არ მინდა თავი შევირცხვი.

— თუ იჩნებებ, შერცხვები, — ვთქვი მე.

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ, — თქვა მან.

— აი, შემოიღო! ოცდათხუთმეტზე მეტისაა უკვე, ოთხი დღე ბობოქარ ოკეანეში დაჰყო. უში თევზის მეთრ არაფერი უქმია, არ უძინია, მარილიან წყალს თხვლებდა. ახლა კი, უცებ გამოძდა და მასზე უფრო ღონიერ და ახალგაზრდა კაცს უპირებს ცემას.

— ორ რაუნდს ვერ გაუძღვებ, — ისევ ვთქვი მე.

— დავნიძღვდეთ!

არაფერი გამოვიდა.

... ერნესტმა მაგიდრიდან ზარი აიღო და მოაწყო.

— მსაჯი იქნება, ქრონომეტრისტი და მსაჯი, — თქვა მან. — საქმე ცოტა გექნება. ოღონდ ჩნარა არ დათვალო. მოწინააღმდეგეს სულის მოთქმის საშუალებას მუდამ ვაძლევ ხოლმე. თუ ერთმანეთს ჩაეხვიეთ, მაინც ნუ გაგვაზაზავენ, თორემ შეიძლება შენ მოგხედეს: კბენა თუ დამიწყო, არც მაშინ ჩაერიო. მეც ვუკბენ. ყურადღებით ადევნე თვალს დროს და სამი წუთი რომ გავა, ზარი დააწვრიალე. თუ ორი რაუნდის შემდეგ იგი კიდევ ფეხზე იდგება, მოგებული იქნება.

... მე შევამჩნიე, რომ ფავორიტი ნამდვილად პაპა იყო. მას ისე ეპყრობოდნენ, თითქოს აღფრთოვანებული კლუბის იმედის მომცემი მოკრძეე ყოფილიყო. ისიც შევამჩნიე, რომ მას ეს მოსწონდა. როგორც ყოველთვის, ჩემპიონობა სურდა და ბრბოს აღფრთოვანება სიამოვნებას ჰგვრიდა.

ზარის ხმაზე წითელტრუსიანი გოლიათი მარტორქასავით დაიძრა წინ და იერიშზე გადავიდა. ხელთათმანებში თითქოს გირი ჰქონდა ჩადებული. „ამ მუშტის ერთი დარტყმა და... ზღვიდან მოსული მოხუცი სულს გააცხებს“, — გავიფიქრე მე. მაგრამ დარტყმა არ ჩანდა. არც ჰემინგუეი ურტყამდა. „თავს იკატუნებს, ვითომ სულს ვარო, — გავიფიქრე მე, — ორი წუთის შემდეგ კი დასცხებს“, ასეც ამბობდა დარტყმის წინ. მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია.

მოწინააღმდეგე კვლავ უტიმედა. ამჯერად იგი ცოცხალ თოთან მიიმწყვდია და მარჯვნივ ისეთი ხუკი ამოკრა, სადაც უმიზნებდა. იქ რომ მოხვედროდა, ჩვენს ჩემპიონს უფრო წაადგინა მაგრამ დარტყმა მიზანს ასცდა. ერნესტი გვერდზე ასტა და მოწინააღმდეგის მუშტებმა მის შავიერ ორი მაყურებელი მოცულა.

ამ შეფერხებამ საშუალება მომცა საათისთვის დამეხედა. ღმერთო დიდებულო! რაუნდი მთელი ოთხი წუთი გავრძელებულიყო. ზარი დაეაწყარუნე...

დავრეკე თუ არა მეორე რაუნდის ზარი, ცა ღრუბელმა დაფარა და ცხელი ჰაერის ნაკადმა შემომკრა. კარიბის ზღვის თბილი ქარი მეგონა, უცებ რომ იცოდა ხოლმე ამოვარდნა. მაგრამ ეს წითელტრუსება შავი ღრუბელი იყო. იგი თავაწყვეტილი მიიწევდა მსხვერპლისაკენ. გგონიათ გრივალ-ჭეკსონი იყო? არა, ეს გრივალ-გეტნა იყო, კეროლი და კონი — ერთად აღებული! თხილაბურებზე შედგმული ქარის წისქვილივით ჩამიჭრალა გვერდით, მიზანს მისწვდა და მისი მუშტების წულიც გაისმა.

მაგრამ „ზღვიდან მოსული მოხუცი“ ქარიმ ხალს მიჩვეულ პალმასავით შებარბაცდა მხოლოდ. მისი დიდი ტერფები მაგრად ჩამჯდარიყვნენ სილაში, მოქნალი თითები ფესვებივით შეხრდოდა მიწას...

ერნესტის მოწინააღმდეგეს ეგონა, ცოტაც და გამარჯვებას ვიზუივებო, და სავეებით მოაღუნა სიფხიზლე. მისი მძლავრი მარჯვენა წამდაუწუმ აპობდა ჰაერს. მისი მუშტი იმ უშველებელ გირს ჰგავდა. მუშები სახლების დასანგრავად რომ ხმარობენ. „აი, ახლა კი მორჩა!“... გავიფიქრე მე.

და მართლაც, ყველაფერი გათავდა. მაგრამ ისე კი არა, მე რომ მეგონა. თეთრმა ელვამ მარცხნიდან მოიქნია და შვე ღრუბელს ლეწია. ძნელი იყო იმის თქმა, საიდან მოვარდა იგი, მაგრამ ძალა რომ დამანგრეველი ჰქონდა, ჩანდა. გინახავთ ოდესმე, როგორ ეცემა გულში ხანჯალგაყრილი ხარი? დიზლიც ისე დაეცა, ჯერ მუხლებზე დაეშვა, თითქოს ლოცულობსო, მერე გადატრიალდა და მიწაზე გაიშობა.

დათვლას აზრი აღარ ჰქონდა. მაგრამ მე მაინც ვითვლიდი, ნება-ნება, ჩიკაგოური მანერი. თუ არც კი ინძრეოდა. ფერმკრალმა პაპამ ნოკაუტით მოიგო, მოიგო მეორე რაუნდის პირველ ათ წამში. ილიებში შევუღდექი და როგორც რიტუალი მოითხოვს, წაქცეული ფეხზე წამოვყენე. იგი ისე მიმეღ სუნთქვდა, რომ კინაღამ ძირს არ დამცა!

— გამიმარჯვია! ჩემპიონად კვლავ ცხადდება პაპა!

ჰემინგუეის კი — უესტში კრივის მოედანი ახლო ჰქონდა და მუდამ ვარჯიშობდა. როცა კი უესტში ოკეანის ნაპირზე დასასვენებლად ჩამოსული ცნობილი მოკრივე გამოჩნდებოდა, მწერალი მასთან უშველად მატჩს აწყობდა.

ჰემინგუეის ბევრი მომუშავე ამ კრივეებში მხოლოდ ერთ მისწრაფებას ხედავდა — თითქოს მწერალი ცდილობდა რეკლამით დაემკვიდრებინა თავისი ჩემპიონობა ამერიკულ ლიტერატურაში.

ბევრი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ სპორტის რომანტიკული ბურუსი მწერალს თვალებს უხსნებს და იგი ცხოვრების უკუმხარეს ვერ ხედავს. მაგრამ ეს სულაც არაა ასე, საქმარისია მოვიგონოთ მოთხრობა „რომოდღათი ასასი“.

არაშინ არასოდეს არ კვდება

ოცდაათიან წლებში მწერალი ცდილობდა ჩაკეტულიყო თავის სამყაროში — ჰემინგუეის სამყაროში. იგი თითქოს ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილი ცხოვრობდა. რას აღწერდა — ხარების ბრძოლას? პო. ნადირობას? ცხადია, თევზის პერას? რასაკვირველია.

ხდებოდა შემოქმედების რაღაც საოცარი თვითშემოზღუდვა. თითქოს არც პიტლერიზმი აღმოცენებულიყო გერმანიაში, თითქოს არც მუსოლინის და ბრიმონ დე რივერას ფაშისტება გამეყინებრებულიყვნენ იტალიაში. თითქოს ამ ქვეყანაზე ხარების ბრძოლის, კატერისა და კრივის მეტი არაფერი ყოფილიყო.

მწერალს ესმოდა, რომ თვით გენიალურად დაწერილი ეტიუდიც კი, მთლიანის რაღაც ნაწილია მხოლოდ.

და მანინ განიდა წიგნი „სიკვდილი ნაშუადღევს“. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ჰემინგუეის საბჭოთა მკვლევარი ი. კაშკინი, ამ ნაწარმოებში ჰემინგუეიმ შესწავლის საგნად, აბსტრაქტულად აღებული ბრძოლებმა — ნაშა-ლადევი სიკვდილი — აირჩია, რაიმე მაღალი მისწინის მისაღწევად თავის განწირვა კი არა — ისწავარზე წასული კაცის სიკვდილი.

„ჰემინგუეი ჰოლსტრიმში თევზს იჭერდა, მაგრამ ეს ჯერ არ იყო მოხუც სანტ იაგოს ყველაზე დიდი თევზი. მან კი-უტესტში მიწის ნაჭერი შეიძინა, მაგრამ თავისი უზომო ენერჯის დასაბარჯავად იღვლი მიიწვ ვერ ებოვა, ამადღე დარდობდა ჯეი ბარნის და მომავალში იღარადებს მწერალი გარი. მაგრამ ეს ქაირზხლისწინა სიწყნარე, შეტევის წინ ძალის მოკრეფა იყო“.

ბოლოს, დადგა კიდევ შეტევაზე გადასვლის დრო, ჰემინგუეის ჯერ მოუხვეწრობა და დაუდგრომლობა ეუფლებოდა. იგი დაეხეტება დედამიწის ზურგზე, დღეს ევროპაშია, ხვალ აფრიკაში, ზეგ — ამერიკაში. შეხვედრები მატადორებთან, მონადირებთან, მეთევზეებთან, ომის ეეტერანებთან, ასასი მისვლა-მოსვლა, ნაცნობობა... მაგრამ წიგნები ჯერ არ ჩანს. შეიდი წლის მანძილზე მოთხრობების ერთ კრებულს უშვებს — ყველაზე ნაღვლიან წიგნს: „გამარჯვებულს არაფერი არ ხვდა“. ამ კრებულის ეპი-

გრაფი პასუხობს იმ კითხვაზე, რომელიც ცხოვრებამ დააყენა მწერლის წინაშე: „გამარჯვებულს არაფერი არ ხვდა, არც შევება, არც სიხარული, არცა დიდება“. ამ კრებულის სურათებზე თავი მოიყარა ყველაფერმა, ვინაშია მისი და ნაღვლიანმა, ყველაფერ უიმედომ. ადრე, როცა მატადორ გარსიას დამარცხებას აღწერდა, ჰემინგუეი მის დამარცხებაში დაუმარცხებლობას ხედავდა და შინაგან სიძლიერეს აღიღებდა. აქ კი „გამარჯვებულს არაფერი არ ხვდა“.

ესოდენ გახმაურებული აფრიკაში მოგზაურობის შემდეგ, 1933-34 წლებში იგი სამ წიგნს აქვეყნებს: „აფრიკის მწვანე გორაკები“, მოთხრობები: „ფრენსის მკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“ და „თოვლიანი კილიმანჯარო“.

„აფრიკის მწვანე გორაკებში“ ჰემინგუეი თავის იმ კონცეფციებთან დავობს „სიკვდილი ნაშუადღევსში“ რომ განავითარა. ამ წიგნში იგი ამბობდა: ქვეყნიერება სხეებმა გადაარჩინონ, მე კი ჩემი მატადორების მახვილს ავლესავო ...ახლა კი, ამ ყოყონთან აღუსრულებელი მოვალეობანი და ადამიანის თვითგამორკვევის სურვილი დანახა, დინახა, რომ ხარების ბრძოლაზე ტრაქტატით, რაც არ უნდა კარგად იყოს იგი დაწერილი, ვერც ქვეყნიერებას გადაარჩენ და ვერც სინდისს დამშვიდებ“.

„ფრენსის მკომბერის ხანმოკლე ბედნიერებაში“ მწერალი თავის უსაყვარლეს თემას — მამაცობის საკითხს უბრუნდება. რგი ხაზს უსვამს, რომ მამაცობა ყოველთვის თანდაყოლილი თვისება როდია; მისი გმირი მხალღია, ოჯახში, გარეთ, ნადირობაში, მაგრამ მაინც ბოულობს თავის თავში ვეჯაკობას, აღმაღლებდა და დაჭირი კამერს შეერკინება. იგი ბედნიერია. მას აღარაფერი აღარ აწინებს... და იმწუთშივე ტყვია ხვდება კეფაში. ცოლმა ესროლა, ცოლმა მოკლა, ცოლმა, რომელმაც იგარძნო, რომ სამუდამოდ დაეარება ძალა-უფლება ქმარზე.

„თოვლიანი კილიმანჯარო“ ეპიგრაფ-შედეგრით იწყება:

„კილიმანჯარო — მუდმივი თოვლით დაფარული, 19710 ფუტის სიმაღლის მთის მასივია. ამბობენ, აფრიკის უმაღლესი მწვერვალიაო. მასის ტომი დასავლეთ პიკს „ნგაი-ნგაის“ უწოდებს, რაც „ღვთის საუფლოს“ ნიშნავს. ზედ დასავლეთის პიკს მწვერვალთან გამოფიტული, გაყინული ლეობარი ზგდია. რისთვის ამოვდა ლეობარი ამ სიმაღლეზე, ვერავის აუხსნია“.

ამ მოთხრობის გმირი, მწერალი გარი განგრენით კვდება, მაგრამ ეს ფიზიკური სიკვდილია. მორალურად იგი დიდი ხანია მკვდარია — მწერლის ტალანტი ჩაშლილია საზოგადო-

3. მიხაილსონი, ა. იუხინი ჰემინგუეი და სპორტი

ების მიერ, სადაც იგი ცხოვრობს, მოსაწყენი, მდიდარი ადამიანების მიერ.

გარი ვერ გადაარჩინა ნადირობამ. ნადირობა, სპორტი კარგია, როცა იგი სასიცოცხლო პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს. ერთხელ, როცა სიმდიდრეს, სახელსა და სხვა ამქვეყნიურ ტკობას აყოლილი სკოტ ფიტცჯერალდი მოიგონა, ჰემინგუემი გოცემით თქვა:

— თუ ვერ განსაზღვრავ — ვისთან ხარ; თუ ვერ შეძლებ იმათგან თავის დაღწევას, ვისაც თავად უწოდებდი მდიდრების წინამძღოლ თევზ-ლოცმანებს, თუ ცხოვრებას ისე წარმოიღვენი, თითქმის იგი გამუდმებული „ფიგეტა“ იყოს, მაშინ რაღად გინდა სპორტი...

და ჰემინგუემი განსაზღვრა, ვისთან უნდა იყოს იგი. დამთავრდა უესტის მდიდარ უქნარებთან ერთად ნადირობის, თევზის ჰერის, კრივისა და აფროსნობის პერიოდი. მოდიოდა ახალი ეტაპი — მრისხანე, ცეცხლოვანი... ომამდე წუთებდა რჩებოდა. ჰემინგუესთვის, როგორც პალანტის ყველა პატიოსანი ადამიანისთვის, მეორე მსოფლიო ომი ესპანეთში დაიწყო, დაიწყო რესპუბლიკელთა გამარჯვებით, ბრძოლით, მათი დამარცხებით...

პატიოსანი და გულადი ჰემინგუეი ხიფათს პირდაპირ, ჯიქურ ევეკთებოდა ხოლმე. როცა ფლანკისტული ფლანგისტები, მუსოლინის შავ-ხალათიანთა და ჰიტლერელთა მხარდაჭერით, აღრჩობდნენ რესპუბლიკას, ჰემინგუეი რესპუბლიკელთა შორის იდგა, მამაცი და დაუმორჩილებელი ხალხის მხარეზე იყო. მისი ხმა, ხმა მწერლისა და ეურნალისტისა, მთელს დედამიწის ზურგზე გაისმოდა.

„ჩვენ ნათლად უნდა გვესმოდეს ფაშისმის დანაშაულებანი და ვიცოდეთ მასთან ბრძოლის საშუალებები“.

ფაშისმი საშიში ბანდიტია. „ბანდიტის ჭკუაზე მოყვანა მხოლოდ ერთი საშუალებით — მაგრაღ ცემით შეიძლება“.

ეს ჰემინგუეის მწერალს სადმე კი არ ამოუციხხავს, ამას თვითონ მიხვდა, მათში დაბეჭითებითაა მინიშნებული ადამიანთა ხვედრის გამო, არსი. ჰემინგუემი, ყველა დიდი მხატვრისდაგვარად, თავისი მიზნების შესასრულებლად ბასრი, ზუსტად გამიზნული მახვილი გამოსჭდა და ამ მახვილით უტყდება მამაცურად და შეურიგებლად. იმ დღეებში აშკარად გამოჩნდა, რომ ჰემინგუეი, არც აბსტრაქტულ „მამაცური თვისებების“, არც ყოველგვარი განსაცდელისა და „ძლიერთა გამარჯვების“ მომდგარი არ იყო. ჯერ კიდევ ესპანეთის ამბებამდე, დასცილოდა რა მუსოლინის ყოყლოჩინობასა და პოზიორობას, ჰემინგუეი წერდა:

„ჰემინგუეი მამაც ადამიანებს არ სჭირდებათ დუფელში ბრძოლა, მაგრამ მხდალები ამას მაინც აკეთებენ, რათა თავისი თვით საკუთარ გულადობაში დაარწმუნონ“.

ძალა და სიმამაცე, ოღონდ რისთვის, რა მიზ-

ნით — აი, რა იყო მწერლისთვის მთავარი. შემდგომ დღეებისადმი მიძღვნილ რომანში „ვის უხმობს ხარი“ ჰემინგუეი დაცენვით, ეტყვის, „ხარის ძალ-ღონეს, ისე როგორც ხარის მამაცობას, დიდი დღე არ უწერია“. მუსოლინის მწერლისთვის არ არსებობს აბსტრაქტული ღირსებანი. არ შეიძლება არ გაიხსენო სპორტი, როცა კითხულობ რომანის გმირის რობერტ ჯორდანის სიტყვებს: „ლამაზ სხეულში არის რაღაც ჯალნისური ძალა“.

ჰემინგუეი იბრძოდა იმისთვის, რომ სწამდა, შეჭაროდა ყოველ მამაც თანამებრძოლს. მრავალი წლის შემდგომ იგი ეტყვის ფაშისმის წინააღმდეგ გულად მებრძოლს, განთქმულ მსახიობს მარლენ დიტიჩს: „შენზე უკეთესი მერინგზე არავინ მინახავს“.

თვითონ ჰემინგუეი იმ წლებში შეუდარებელი იყო სამწერლო რინგზე. მას არ აზინებდა იმ თანამომეტა წინააღმდეგ გამოსვლა, ვინც არ იცოდა, რა იყო ომი და რჩევას იძლეოდა — როგორ აღეწერათ იგი.

„ისინი იმ ადამიანებს ჰგვანან, ბეისბოლზე რომ დადიან და პროვოკაში ჩაუხედავად მოთამაშეებს ვერ დაგისახელებენ. ისინი იმ მოთამაშეებს ჰგვანან, რომელთაც იოლი ბურთის აღებაც კი არ ძალუთთ, ბურთი ხელიდან უფარდებთ და მთელი გუნდის მონდომებას წყალში ტყობან. ამ ხელით მე ბევრი სწრაფი და ზუსტი ყრიან. მე ვივასრულე და მუდამ ცეცხლოვანი ბურთი ჰაერში ან მიწაზე დამეჭირა“.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1944 წლის გაზაფხულამდე, ჰემინგუეი თავისი მოტორიანი ნავით გერმანელთა წყალქვეშა ნაგებს დასდევდა მექსიკის ყურეში. ამ მოტორიანი ნავითვე იჭერდა იგი თევზს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

იმის თაობაზე, თუ როგორ მონაწილეობდა ეს ნავი ფაშისტების წინააღმდეგ ომში, ჰყვება მოტორისტი გრეგორიო ფუნენტოსი:

„... ჩვენ ჰიტლერელთა წყალქვეშა ნაგებზე ენადირობდით. ეს კუბისა და შტატების ერთობლივი მოქმედება იყო. ჩვენი ნავის მსგავსი ორმოცდახუთამდე ნავი მოქმედებდა ერთად. მათი ამოცანების შესახებ მხოლოდ სამხედრო ხელმძღვანელობამ იცოდა. ზღვაზე უბრალო, თევზსაჭერი ნაგების მსგავსად გადიოდით. ბრძანებებს რადიოთი ვღებულობდით. ეს ძალიან საშიში იყო. ჩვენი ნავის ტიპის ხუთი ნავი ჩაიბრეს გერმანელებმა. უშუქოდ დაცურავდით. სადაც მოგვიხდებოდა, იქ ვათევდით დამეს. ჩემსა და ჰემინგუეის გარდა გემზე ამერიკელი სამხედრო ტექნიკოსი და რამდენიმე კუბელი მოხალისე იყო.“

ხელსაწყობით ზღვას ეუსმენდით. ერთხელ დაეინახეთ, როგორ ამოყვინთა წყალქვეშა ნავმა, ჩვენ დავეინახა და იმწამსვე ჩაიშალა. ეს ამბავი მექსიკასა და კუბას შორის მოხდა. მაღლე ჩვენს ნიშანზე რამდენიმე ამერიკული თვით-

მფრინავი მოფრინდა. მერე გვაცნობეს: ნავი სადღაც ამერიკის შერტებულ შტატების სა- ნაპირებთან ჩაეძირათ...

მშვილობიან დროს ჰემინგუეი ზღვაში წერდა; მას განსაკუთრებით უყვარდა წერა, როცა ქალბატონი მერიც თან გვახლდა, ომის დღეებში კი იგი არასოდეს არ წერდა და საქესთან მუ- ღამ თვითონ იღვა. გემზე მას ყველანი პაპს ემძახებთ და შერჩა კიდეც ეს სახელი. მაშინ ყველა ჩვენგანს, კონსპირაციის მიზნით, ზედმე- ტი სახელები გვეჭრა.

1944 წელს სამხედრო კორესპონდენტი ერ- ნესტ ჰემინგუეი ლონდონში ჩადის და ამერი- კული თვითმფრინავებით სამხედრო ოპერა- ციებზე დაფრინავს. მსოფლიოს უკვე მერამ- დენდ ეფინება მწერლის დაღუპვის ამბავი, მაგრამ ჰემინგუეი ცოცხალია, საფრანგეთის სა- ნაპირზე იგი ფრანგ პარტიზანებთან ერთად გადადის და პარიზში ამერიკის სამხედრო ნაწი- ლებზე ადრე შედის.

მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჰემინ- გუეი ბევრს მუშაობს, ოცნებობს შექმნას დი- დი წიგნი ომზე — ხმელეთზე, წყალში, ჰაერში ბრძოლებზე. ამათგან მხოლოდ ერთი ნაწილი დაამთავრა. „ომი წყალზე“ — ამბავია იმაზე, თუ როგორ დასდევდა სპორტული ნავი გერმან- ელ პირატებს. ეს წიგნი, — „ასი ათასი სიტყ- ვა“ — პირველია...

„— ისე გულდადებულად და შეუჩერებლად ვწერ, თვეები, კვირები ისე სწრაფად გარბი- ან, უკან მოხედვას ვერ მოვასწრებ, რომ დაე- ბერდები.“ — სწერდა იგი კ. სიმონოვს.

მწერალს ცხოვრების წესი იმ ხანად არ შეუ- ცვლია. ძველებურად დიდ დროს ანდომებდა სპორტს — კრიგს, თევზაობას, ნადირობას. 1949 წელს ნადირობისას ჰილზის დასატენი ას- ხლტა და თვალში მოხედა. დაეწყო სისხლია მოწამვლა. იწვა დაუძლურებული, დაბრმავე- ბული. ცხადია, იმოქმედა ჰაბუკობის წლებში, ჩიკაგოს კრივის დარბაზში მიღებულმა ტრაე- მამაც. მაგრამ გოლიათურმა სხეულმა გაუძლო, არ გატყდა ამაყი სული.

გამოხდა ხანი და ჰემინგუეიმ ერთხელ თქვა: „მე ვისურვებდი მენახა: ახალ-ახალი მოკრივე- ები, მოკრიბთე ცხენები, ბალეტი, ველორბო- ლები, ტორედორები“.

იმ დღეებში კი იგი ლაპარაკობდა:

„მე ძალიან მოკრძალებულად დავიწყე... და... ვისძლიე ბატონ ტურგენევის. შემდეგ — ეს უკვე დიდი შრომა დამიჯდა, — ბატონი დე მოპასა- ნიცი დავგაპანე. ბატონ სტენდალთან ორჯერ ფრე მქონდა, თუმცა, მგონი ბოლო ორ რაუნდში ქუ- ლებით ვძლიე, მაგრამ ბატონი ტოლსტოის წი- ნააღმდეგ რომ გავიდე რინგზე, ან შემოილილი უნდა ვიყო ანდა შეუღარებელ ოსტატობას უნ- და მივადწიო... ბატონი ფლობერი ბურთს მუდამ აბსოლუტურად, ზუსტად, ძლიერ და მძლავრ აწოდებდა. მერე ამას ბატონი ბოლდე-

რი მოჰყვა, მისგან მე ძნელი ბურთების მიწო- დება ვისწავლე; და ბატონი რემბო — მას ცხოვრებაში არასოდეს არ მოუწოდებია არც ერთი კარგი ბურთი.

სასიამოვნოცაა, როცა ორმოცდაათი წლის ასაკში გრძნობ, რომ შევიძლია შინ ტიტულის დაცვა. მე იგი ოციან წლებში მოვიპოვე, დავი- ცავე ოცდაათიანში, ორმოციანში, და მზადა ვარ დავიცვა ორმოცდაათიანშიც.

მე დავიცავე ჩემი ტიტული...“

„უშეშა კარგი წიგნი ერთი რამით ჰგავს ერთმანეთს, — ამბობდა ჰემინგუეი, — როცა ბოლომდე ჩაათავებთ, გგონიათ, რომ ეს ამ- ბავი თქვენ შეგმობსხვით და თქვენთვის აბსო- ბელი და ნაცნობია ცუდიც და კარგიც, აღ- ფრთოვანებაც, ნადვლეიცა და სინანულიც, აღამიანები და ადგილები, თვით ამინდიც კი. თუ თქვენ ძალკვით ყოველივე ეს მისცეთ ადა- მინებს, მაშინ მწერალი ყოფილხარო. და ქვეყ- ნიერებაზე არაფერია იმაზე ძნელი, ვიდრე ამის გაკეთება...“

„ყველაზე ადრე დგებოდა — დილის ექვსზე, ივარჯიშებოდა, აუზში იცურავებოდა, მერე საქმეს ჰკიდებოდა ხელს. სადილობამდე წერდა, დღის მეორე ნახევარს კი კითხვას ანდომებდა, — იგონებს მწერლის მოსამსახურე და მეგობარ რენე ვილარეალი, რომელიც ახლაც ჰემინგუე- ის სახლში ცხოვრობს, კუბაზე. — იგი ფეხზე მდგომი, ფეხშიშველი წერდა. — ფეხჩაცმული ვერ ვფიქრობო, — ამბობდა. შინ, ჩვეულებ- რივ, წელსზემით ვახდელი და ფეხშიშველი იყო. კუბის დიდებული კლიმატი იძლეოდა ამის საშუალებას...“

საინტერესო დოკუმენტური მასალა დაგვი- ტოვა პენრიხ ბორაგიკმა; იგი კუბაში იყო სტუმრად მწერალთან და საკუთარი თვლით ნახა, როგორ მუშაობდა იგი:

„ჰემინგუეი იმიტომ კი არ წერს ფეხზემდგო- მი, რომ ხერხემალი აქვს დაზიანებული საავი- ციო კატასტროფაში, არამედ შემოქმედების ადრეული პერიოდის შემორჩენილი ჩვევის გამო.“

წამოდგებოდა ხოლმე დილით და ქამთა- სელით ჩაშვებულ ლითონის საჭერიით დამაგ- რებულ, თხელ, პაპირისის ქალღალზე უფრო თხელ ქალღალზე წერდა. დაწერილი ფურც- ლებს მარჯვნივ ალაგებდა. ხელით საბეჭდო მანქა- ნას მხოლოდ მაშინ ხმარობდა, როცა იოდად ეწერებოდა, მაგრამ ეს, ჰემინგუეის თქმით, იშვიათად ხდებოდა ხოლმე.“

ჟურნალ „ლუკში“ გამოქვეყნდა მერი ჰემინ- გუეის საინტერესო ინტერვიუ.

„— როგორ მიმდინარეობდა თქვენი ცხოვრე- ბა კუბაზე მისის მერი? მე ვერ წარმომიდგენია

3. მიხაილოვი, ა. იუხინი ჰემინგუეი და სპორტი

წყნარი ჰემინგუეი, რომელიც მკაცრად განსაზღვრულ საათებში დადიოდა სათევზაოდ და ასევე განსაზღვრულ საათებში ჯდებოდა საწერად.

— და მინტ, მთელი იმ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში, რაც ჩვენ ერთად გავატარეთ, ეს ასე იყო: როცა იგი არ წერდა, ეს კი იშვიათად ხდებოდა ხოლმე, იგი სათევზაოდ მიდიოდა ან აუზში ცურაობდა. ბანაობის შემდეგ ჩვენ ვსადილობდით... ნასადილევს, ჩვეულებრივ, კითხულობდა, ერთდროულად ოთხ-ხუთ წიგნს კითხულობდა. ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად, იტალიურად... ნავსიც კი ახერხებდა კითხვას. როცა აფრიკაში სანადიროდ წავედით, თან ათამდე წიგნი წამოიღო. საღამოს, ნავსშემევს, საწოლში კითხულობდა, დაწოლით კი ადრე წვიებოდა“.

— ყველაზე უფრო იგი რუს მწერლებს აფასებდა და მათი წიგნები ნადირობის დროსაც თან დაქონდა“. — ჰყვება ჰემინგუეის შუათანა შვილი პატრიკი, რომელიც ტანზიის პატარა ქალაქ არუშაში ცხოვრობს. სამხრეთ აფრიკის სამონადირეო ცენტრში.

ასე მუშაობდა იგი იმ წლებში — კითხულობდა და წერდა.

როგორ ისვენებდა?

მერი ჰემინგუეი იგონებს ერთ-ერთ უკანასკნელ ნადირობას:

„ჩვენ ჰაობში მივდიოდით. პაპა და სხვები წინ გვიძღოდნენ. თოფი შემართული მქონდა. უცებ ფეხქვეშ ტოტი ვამიტყდა. ვიქცეოდი და შემეშინდა — მეწინავენი არ დაეჭრა-მეთქი; თოფი მძლავრად ავწიე და მთელი ძალით იდაყვზე დავვიცი. მკლავი დავიმსხვრიე, ხელი პაპამ გადავიჩინა. რამდენიმე წლის განმავლობაში დილა-საღამოს მიზნულა მკლავს არ მახსოვს შემთხვევა, რომ სეაფსი გამოეშვა. სულ ჩაჩიხინებდა: უნდა გჯეროდეს, რომ მკლავი მოგიჩიხება, უნდა გწამდეს ეს, იყავ მაშაცი და გჯეროდეს გამარჯვებისა... იყავ მაშაცი და გჯეროდეს გამარჯვებისა...“

ჰემინგუეი დარწმუნებული იყო, რომ მწერალს თვითონ უნდა გადაეტანა და გამოეცადა ყველაფერი. იგი იმას აღწერდა, რაც თვითონ ჰქონდა ნახატი, განცდილი, აღქმული.

მისი უსავარლები გმირებია: ჯარისკაცი, მონადირე, რემორტიონი, სპორტმენი, მოქმედი, მაშაცი, რისკიანი აღამიანები, მაგრამ არა შეუბრალებელი სუბერმენები.

თვითონაც მოქმედების კაცი იყო — კეთილი, ქველი.

ერთხელ მოხუცებულობის ემს ჰემინგუეის ჰკითხეს:

— სპორტის რომელ სახეობას არჩევდით ახლა?

— სიამოვნებით ვირბენდი. აღამიანი რბენის გემოს 75 წლის ასაკში გრძნობს“.

1954 წელს, ნობელის პრემიის კომიტეტმა თავისი გადაწყვეტილება ერნესტ ჰემინგუეისთვის ნობელის პრემიის გადასაცემის შესახებ იმით დაასაბუთა, რომ მწერალი „ოსტრურად ფლობს თხრობის თანამედროვე ხელოვნებას“. ტევედი ლავონიზმი, მთავარის წინ წამოწევა და მისი ძირითად ფრაზაში, ან სათაურში დასმის უნარი, რემორტიორულად შეკუმშული, ბოლომდე ართქმა, სხარტი, ძალდაუტანებელი დიალოგი, ზუსტი აღწერილობა, შინაგანი მონოლოგების ლირიკული საბურველი, „ობიექტური“ ხაზგასმული სიმრავლე. — აი, ჰემინგუეის პროზისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელშიც აისახა ჩვენი საუკუნის დინამიზმი.

1899 წლის 21 ივლისს ჩიკაგოსთან ახლო მდებარე ქალაქ ოკ-პარკის მყიდრო, ჩრდილოეთ კუჩაზე, დაიწყო ექიმის — კლარენს ჰემინგუეის ოჯახში ახალშობილი ბავშვის ტირილი გაისმა. ბავშვს საპატივცემულოდ მას ერნესტ მილერი დაარქვეს.

1961 წლის 2 ივლისს, ვულ რივერის დასავლეთით მდებარე მზიურ ხეობაში, ამომაგალი მზისკენ ფასადშეკეცილ სახლში, ვაგარდა ვერცხლით მოქედილი 12 კალონბრანი ორლულიანი თოფი. მოკვდა სახელგანთქმული მწერალი ერნესტ ჰემინგუეი.

... მზე ამოდის და ჩადის. მაგრამ ის კი არ არის მართალი, თითქოს მონაბერი ქარი თავის ადგილს უბრუნდებოდეს შემდგომ. საუკუნის ქარს აღამიანთათვის ახალი მოაქვს. ის ახალი, რაც საუკუნის შვილმა, ერთ-ერთმა უნიკერესმა მწერალმა, მათთვის გააკეთა. ყველა მდინარე ზღვაში ჩადის“. და დღეს შეუძლებელია წარმოიდგინო აღამიანთა კულტურის ზღვა იმის გარეშე, რაც იქ ჰემინგუეის მიქეფარე ნაკლმა შეიტანა.

„ქვეყანა — კარგი ადგილია. მისთვის ღირს ჩხუბი, ძალიან არ მინდა მისი დატოვება“, — თქვა მწერლის ერთმა გმირმა. ეს ჰემინგუეის კრედი იყო. იგი თავის გმირების ცხოვრებით ცხოვრობდა, ამიტომ იყო მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ესოდენ დიდი ადგილი, რომ დაიკავა სპორტმა.

მწერლის ცხელარი მზიურ ველზე განისვენებს, იმ ველზე, სადაც მთიდან დაშვებულ მოთხილამურეებს ქარი უწივით ყურებში, სადაც მესლალომეების ფერად-ფერადი კოსტიუმები ელავენ, სადაც სისწრაფის დუოკებელი სერენადა ქლერს. იქ მოთხილამურეთა საუფლოა. მის ირგვლივ დღეს და გადადულს სიცოცხლე, იგი კი წევს წყნარი, მშვიდი.



საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს სერგო ზაქარიძეს 60 წელი შეუსრულდა. იმ დღეებში შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ქ. მახარაძეში იმყოფებოდა საგასტროლოდ. მიმდინარეობდა სპექტაკლი — ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“. სპექტაკლში სერგო ზაქარიძე მთავარ მოქმედ გმირს — იმერელ გლეხს ასახიერებდა. მისი შვილის — დიტოს როლს კი ახალგაზრდა მსახიობი გოგი ხარაბაძე ასრულებდა, სპექტაკლის შემდეგ „შვილმა“ გულითადად მიულოცა „მამას“ სახელოვანი იუბილე, ამასთან სთხოვა, პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე. ყურნალი „ციხეკარი“ სიამოვნებით აქვეყნებს ამ საიუბილეო ინტერვიუს და უსურვებს სახელგანთქმულ მსახიობს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ვინ არის თქვენი საყვარელი მხატვარი?

ფიროსმანი, ვოგენი.

მწერალი?

თომას მანი, დოსტოვესკი, სტეინბეკი, ნ. ლორთქიფანიძე, გურამ რჩეულიშვილი.

ლიტერატურული გმირი?

დონ კიხოტი.

კომპოზიტორი?

ფალიაშვილი, ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, გერშვინი.

დრამატურგი?

შექსპირი, ბრესტი, ბერნარდ შოუ.

პოეტი?

ვაჟა, პაინე, გალაკტიონი, ტიუტჩიევი, შექსპირი (სონეტები).

მსახიობი ქალი?

ქულიეტა მახინა, ანა მანიანი, ვივიენ ლი, ს. თაყაიშვილი.

მსახიობი კაცი?

ლოუტონი, იანინსკი, შტრაგური, უშანგი, ხმელითაძე, შჩუკინი.

რეჟისორი?

მარჯანიშვილი, ახმეტელი, პიტერ ბრუკი, ტოვ-სტონოვოვი.

კინორეჟისორი?

ბერგმანი.

სპორტსმენი?

ბელე.

მომღერალი?

სარაჯიშვილი, ჯილი, შარო დელ მონაკო, მიმწონს სოტკილავას ხმა.

რა არის თქვენი პოზა?

ფიქრი, ბორიალი, ცხელი მქადი და ყველი. თქვენ არ ატარებთ ჰალსტუხს. რატომ?

მზუთავს, ვერ ვეგუებო, ალბათ ჩოხას მეტი სიამოვნებით ვატარებდი.

განვლილი ცხოვრებიდან რაზე გწყდებათ ყველაზე უფრო გული?

უნაყოფოდ დაკარგულ დროზე.

რას უსურვებდით ჩვენს ახალგაზრდობას? ერის სიყვარულს, შრომას, ნებისყოფას, პროფესიონალიზმს.

ვინ მიგაჩნიათ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდად ქართველ მსახიობებში?

ვიქტორბ, გვრძნობ, მაგრამ ვერ ვამბობ სერიოზული მოსაზრების გამო.

რას გრძნობთ, როდესაც კარგად შესრულებულ როლს უყურებთ?

სევდასა და სიხარულს, სიხარულს და სევდას.

რა უმთავრესია მსახიობის შემოქმედებაში? ნიჭი და შრომა, ნებისყოფა, ბედი.

ცხოვრების გზაზე გყავდათ თუ არა თეატრის გარეთ ვინმე — მეგობარი ან მრჩეველი, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა თქვენს შემოქმედებაში?

ჩემი მეუღლე მერი ქორელი, უშანგი ჩხეიძე, სიმონ ჩიქოვანი, ავთანდილ გუნია, ლევან გოთუა, მიშა კვესელავა.

რომელი ხელოვანის სიკვდილმა დაგწყვიტათ ყველაზე მეტად გული?

უშანგის, ხმელიოვის, შავგულიძის სიკვდილმა. უშანგისა და სესილიას გარდა, ვინ მიგაჩნიათ ყველაზე კარგ მსახიობად ჩვენში?

შავგულიძე, ადრინდელი გომიაშვილი.

რა აზრისა ხართ ჩვენს ტელევიზიაზე?

ჭერჭერობით უარყოფითისა: არაპროფესიონალიზმა, ცუდი გემოვნება...

თქვენი ყველაზე საყვარელი როლი?

ყოველი როლი, რომელიც კი ოდესმე მითამაშვინია. მიუხედავად მისი ავკარგვიანობისა, და ეს იმიტომ კი არა, თითქოს მათ ავკარგვიანობაში ვერ ვერკვეოდოდ. არა. ამით, უძირველეს ყოვლისა, ის მინდა აღვნიშნო, რომ მე არც ერთი როლი არ მითამაშვინია ხელაღებით და თავმუხუხებულად, ყველაზე მიწვალთა და მიწრობისა. ამიტომ ის შემდეგ ჩემი სულისა და ხორცის ნაწილად ქცეულა. მოზბელს შვილი მარტო იმიტომ კი არ უყვარს, რომ გააჩინა, არამედ იმიტომაც, რომ აღზარდა, ე. ი. იზრომა. კაცი სხვის შვილს აიყვანს, გაზრდის და მერე ღვიძლითი თუ უყვარს. აი, ასევეა ჩემი როლებიც: ისინი ჩემი შვილებია, და როგორც დედას არ შეუძლია გაარჩოს შვილები, ასევე ჩემთვისაც, ჩემი ნათამაშვეი როლები ერთნაირად ძვირფასია, ისინი რომლებიც ცუდად ვითამაშე, უძვირფასესნი არიან ჩემთვის იმიტომ, რომ მასწავლეს, თუ როგორ არ უნდა თამაში. ეს მწარე და დიდი გაკვეთილები საბავია ყოველივე იმისა, თუ რაიმე ღირსეული გამიკეთებია.

რის თამაში გწყურიათ ყველაზე მეტად?

დონ კისოტისა, ფალსტაფისა, ალექსანდრესი, „გმირთა ვარაში“, ცეზარისა (შოუ).

გინდათ თუ არა დადგათ რამე?

არა, მხოლოდ მჩრეველი შემიძლია ვიყო.

თქვენი ყველაზე უფრო საყვარელი პარტნიორები?

უშანგი, შავგულიძე, ანჯაფარიძე, თაყაიშვილი, კ. საკანდელიძე, გ. გეგუქორი.

თქვენი დღის რეჟიმი სპექტაკლის დღეს?

ნერვიულობა, უქმელობა, მოუსვენრობა.

გაქვთ თუ არა რეპერტუარში წარმოდგენა, რომლის შედეგადაც გიჩნდებათ უკმარისობის გრძობა?

ხან მაქვს, ხან არა, ხან ერთის მიმართ მიჩნდება ამგვარი გრძობა, ხან მეორის მიმართ, ზოგის თავი არ მომწონს, ზოგის ბოლო.

რა არის თქვენი, როგორც მსახიობის, დადებითი მხარეები?

შრომა, მსახიობური ფიქრი და ხედვა, მეტყველება გარკვეული გმირისა.

რას თვლით თქვენს ნაკლად?

ცხოვრებაში სიფიცხეს, სცენაზე სიჭარბეს. ამოირჩიეთ იდეალური რამდენიმე პარტნიორი და რეჟისორი.

შემიძლია ყველას შევეწყო. მითაც, ვინც მეთანხმება და მათაც, ვინც არ მეთანხმება. მაქვს დარწმუნების უნარიც...

რა მიგაჩნიათ ყველაზე აქტუალურ თემადა თანამედროვე ქართულ თეატრში?

პატრიოტიზმი, ადამიანი, ინდივიდი.

რომელი ფერი გიყვართ ყველაზე მეტად? ფიზიკისა, მწიფე შინდისა.

ვინ მიგაჩნიათ ყველაზე კარგ დეკლამატორად? გუშინ-ჩემი თავი, დღეს-გურამ საღარაძე.

რას უსურვებთ ქართველ მსახურებელს?

მაღალ გემოვნებას, სიყვარულსა და გრძნობას, მომთხოვნელობას ქართული თეატრისადმი. რას უსურვებთ თეატრს, როგორც მისი სამხატვრო ხელმძღვანელი?

უპირველესად ყოვლისა, მინდა ვიყოთ ჩვენი ერის დაუღალავი მსახურნი, ვიმოღვაწეოთ მხოლოდ ქეშმარიტი გზით, ვიყოთ მაღალპროფესიონალურნი, ყოველთვის იყოს თეატრში ნდობა, იმედი, სიყვარული, მიზანი, სწრაფვა, წვა, შემოქმედებითი ისხარული, პასუხისმგებლობა.

ვინ მიგაჩნიათ დღემდე ყველაზე კარგ სამხატვრო ხელმძღვანელად საქართველოში და თუ ამირებთ მათგან რაიმეს ადგებას?

ყველას ჰქონდა ხარვეზები, მაგრამ სიკეთეც უხედა ჰქონდათ მომადლებული. მე ყოველი მათგანი თვალწინ მიდგას, ყველასაგან მინდა ავიღო და ვავიზიარო ყველაფერი, რაც კარგი იყო მათს შემოქმედებაში.

რომელი ქალაქი გიყვართ ყველაზე მეტად? თბილისი, ქუთაისი.

თქვენი ყველაზე უფრო ცუდად ნათამაშები როლი?

ბევრი, მაგრამ განსაკუთრებით ფარნა (ნ. მიქავას პიესა).

შექსპირის რომელ ტრაგედიაში გითამაშიათ?

თუ რაიმე შემქმლო მეთამაშა, ეს რიჩარდ III (თუ არ ვცდები), მერე ანტონიუსი. ბევრჯერ მსმენია, უსათუოდ უნდა ითამაშოს რიჩარდიო, მაგრამ სადაც ვიყავი იმ თეატრში არ დავიღვა. რაც შეეხება ანტონიუსს, შემომთავაზეს, მაგრამ არ ვითამაშე. ბოლოს, ჩემი ასაკის გამო, შემქმლო მხოლოდ ლირი მეთამაშა. ასეც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი რამ არც თუ ისე ურიგო იყო, განსაკუთრებით შუა ნაწილი, როლს მაინც სჭირდებოდა დახვეწა. საერთოდ, როდესაც შექსპირს თამაშობენ, თავიდან იშვიათად არის სრულყოფილი. სპექტაკლს ბევრი ნაყალი ჰქონდა, ბევრ მსახიობს არ უყვარდა ამ

წარმოდგენაში თამაში, გაფორმება ტექნიკურად იყო მოუხერხებელი და, რაც მთავარია, ის მაყურებელი აკლდა სპექტაკლს, რომელთანაც კონტაქტი სრულყოფს ხოლმე სახეს.

საუბედუროდ, ასეთივე ბედი ხვდა წილად ჩემს „ფიროსმანსა“ და „ჰაჰიაშიელს“.

რა ახალი, ნოვატორული იდეები გქონდათ, როდესაც თეატრს ჩაუდევით სათავეში?

მინდა ცხოვრებას კულში არ მიეჩანჩალებოდა. მაშინ ყველაფერი ახალი და საინტერესო იქნება.

ვინ მიგაჩნიათ დასში დასაყრდენ ძალად თქვენი მხატვრული პრინციპების განხორციელების უამს?

კოლექტივი.

იდეალური ვარიანტი თეატრის ხელმძღვანელისა:

რეჟისორი? დრამატურგი? იქნებ აქტიორი? სამივე. ერთად: ბრეხტი.

რა აზრისა ხართ ჩვენს თანამედროვე თეატრალურ კრიტიკაზე?

ბევრჯერ ძალიან მშველს, მაგრამ პირიქითაც

ხდება. მაგალითად, იმდენი საგინებელი რეკენზია, რამდენიც ჩემმა ბესიკმა შეიღო, მე არ მქონია, მაგრამ მისი ქება ხალხიდან უბრალო მაყურებლიდან, დღესაც ხშირად მესმის. გიორგი მახარაშვილმაც თავისი სიცოცხლე უარყოფითი რეკენზიით დაიწყო. საერთოდ, ქართულ თეატრს ერთი უბედურება სჭირს: სანამ შენ როლს გამოაკეთებ, გასწორება, პიესა უკვე იხსნება. რუსეთში საშუალო წარმოდგენაც კი 20-40 წელი ძლებს სცენაზე (თუ მეტს არა).

ჩატარდება თუ არა საიუბილეო საღამო თქვენი დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად?

მე ყველგან, ჩვენი ლამაზი ქვეყნის კუთხეში ვხვდები ხალხის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ჩემი შემოქმედებისადმი. არ ვიცი, რით შემძლია ეუბასუხო მათ, გარდა სიყვარულისა მათდამი, ერისადმი, მამულისადმი. ჩემი თავდადებული შრომა იყოს მათი სიყვარულის სამაგიერო. ვთვლო, რომ ამ გრძნობის აფიშირება ზედმეტად მეტიჩრობა და ტყუილად დროს დაკარგვა იქნება.



სალი რულიანე

იქნის ნაქვინკალი

ჩემი მეზობელი სახალწლოდ სხვაგან რომ გადავიდა, ვკითხე, თქვენს ყოფილ ბინაში ვინ ჩასახლდება-მეთქი.

— ყველაფერი რიგზე იქნება, ძამიკო! ვადმოვალა ძალიან წესიერი ქალი, თანაც მარტოხელა! საღდაც მსახურობს, მაგრამ სახელდობრ, საღ, არ ვიცი, მშვენიერად შეეწყობოძო!

და აი ისიც მოვიდა. ასე ორმოცდაათიოდე წლის ქალი, ტანმალალი, მაგრამ მეტისმეტად ხმადაბლა მოლაპარაკე. მე და ჩემმა ცოლმა თავი წარვუღვინეთ ძველ მობინადრეებად და თავისი ოთახი ვუჩვენეთ; ყველაფერი დაწვრილებით ავეხსენით.

— საბაზანო?.. — გვეითხა მან.

— შეგიძლიათ, როცა გნებავთ, მაშინ ისარგებლოთ, ცალკე შესასვლელი გაქვთ.

— ჰოლი?

— საერთოა.

— სამზარეულო?

— კარგა მოზრდილია. მარტო თქვენ და ჩემი ცოლი ისარგებლებთ.

— თქვენი ცოლი საქმელს ამზადებს?

— რა თქმა უნდა, რაღაცით ხომ ვიკვებებით.

— მაშასადამე, ჰოლი?

— როგორც მოგახსენეთ, საერთოა.

ამით დამთავრდა ჩემი ხანმოკლე გაცნობა და მეზობელი სამსახურში წავიდა.

— სამზარეულოში ადგილი გაუნთავისუფლეთ. — ვუთხარი ცოლს, — დადგას ქურა, მაგვიდა... ერთი სიტყვით, რაც იქ დასჭირდება. ადგილი გავუთნავისუფლეთ.

სადილის შემდეგ, ხუთი საათისათვის, რაღაც გაბმული კაჟუნი მომიმემა ჰოლში.

„ალბათ მეზობელი სურათებს თუ კიდებს“, — გავიფიქრე. მაგრამ ვიგრძენი, რომ ამ კაჟუნს შემწვარი ბადრიჯნის მძაფრი სუნით ერთვოდა. „მაშ ბადრიჯნის სუნი რატომ ღვას,

თუ სურათებს კიდებს? — ვთქვი და ჰოლის კარი ოდნავ შევადღე; მეზობელი მაგიდაზე ბადრიჯანს ჰკრიდა; ხოლო გახურებულ ქურაზე ადრე დაქრილი შიშინებდა.

— ამზადებთ? — ვკითხე.

— გამზადები — ისე მიპასუხა, არც შემოუხედავს.

— ბადრიჯნებს?

— ბადრიჯნებს!

— შეგერგო!

— გამაღობთ.

ჩავახველე და განვაგარძე:

— იცით, სამზარეულოში ადგილი გაგითავისუფლეთ!

— ვიცი! — მითხრა და ქურაზე ჭვებით რაგუ შემოღდა.

— რაგუც გაქვთ?

— რაგუც მაქვს.

— იცით, სამზარეულოში ადგილი მოგიმზადეთ.

— ვიცი.

კვლავ ჩავახველე.

— კარგ მადას გისურვებთ!

— მერსი!

კარი დახურე. მერე ისევ გავადღე:

— იცით რა, თქვენ ხომ სამზარეულოს გამოყენების უფლება გაქვთ. ჩემს ყოფილ მეზობელსაც ჰქონდა...

— მითხრა.

ქურაზე ახლა ორი სიმინდის ტარო იწვოდა. ჰოლში ისეთი ბოლი იდგა, გეგონება საელმავლო დეპოაო. საერთოდ, რისი სუნი არ ტრიალებდა! იმ სუნმა ჩემს საწოლ ოთახშიც შემოაღწია.

ლოგინზე მივწევი და ვცადე წამეძინა, მაგრამ უცებ ჰოლში საშინელი ქახაქუხი გაისმა. მე ისევ კარი შევადღე: იგი კაჟალს ამტვრევდა.

— კაცლებია? — გეკითხები.
— კაცლებია!
— მაშ როდის უნდა დაეძინო?
— ღამე.
— მაგრამ მე ახლა მინდოდა დამეძინა.
— დაძინეთ.
— როგორ უნდა დაეძინო?
— როგორც გნებავთ: გვერდზე, ზურგზე, პირქვე!
ბოლოს და ბოლოს გული მომივიდა:
— კი მაგრამ, ვერ ვიძინებ!
მან მომწამაღელი მზერა მტყორცნა და ჩაიჩურჩულა:

— დასაძინებელი ფხვნილი მიიღეთ!
სამი დღის შემდეგ ჩვენს პოლს ველარ იცნობდით — კედლები შეიმკვარტლა, ხოლო პარკეტზე ყოველგვარი სადილის მენიუს ნაკვალევი დარჩა, რაც კი მეზობელმა მოაშადა. მე შეტევაზე გადავიდი:
— აი რა, მოწყალეო ქალბატონო, სამზარეულო საერთოა!
— შერე რა?

— სამზარეულოში რატომ არ ამზადებთ საქმელს?
— ვილატის თვალწინ საქმლის კეთება არ მიყვარს.

— რატომ არ გიყვართ?
— იმიტომ, რომ არ მსურს ვინმე ჩემს ქვაბებში ცხვირი ჩაყოს.
— თქვენ განა რამე საიდუმლოს მიირობეთ?

— ის ჩემი საქმეა, რასაც მიირობთ?
— ღმერთმა შეგარგოთ, მაგრამ საქმელი სამზარეულოში უნდა მოაშალოთ, ჩვენს საერთო სამზარეულოში!

— პოლი კი არ არის საერთო?
— საერთოა!
— მაშ რაღა გნებავთ?

წუთიერად გაეშტერდი და ხმა გაგვიმინდე, მაგრამ მალე ისევ გონს მოვედი:

— კი მაგრამ, პოლი ხომ სადილების დასამზადებლად არ არის განკუთვნილი?

— აბა მაშ რისთვისაა?
— გასავლელად.
— ვინ ვიშლით, თქვენც ადვილთ და გაიარეთ!

ფერძნობდი, გაცხარებას აღარა მაკლდა რა — კარი გაიჭახუნე და გავედი. ლოჯინში ჩავუქეი და შევეცადე, დავმშვიდებულყოყავ, მაგრამ პოლიდან ისევ კაკუნის ხმა მომესმა — მეზობელი ბაღრიჯანს ჭრიდა. მისი მენიუს გამოცნობა ხმისა და სუნის მიხედვით შევისწავლე. ბაღრიჯანს ყოველდღე მიირობებდა; ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით — ბოსტნეულის რაგუს; სამშაბათობით, და პარასკეობით — ხორციელს.

განსაკუთრებით ხუთშაბათობით ისეთი იშვიათი სურნელება იფრქვეოდა, ყოველივე ეს სამზარეულოში რომ დამეზადებინა, ცოლს

ვიაძულდები, რეცებტები ეთხოვა. მაგრამ ჩვენს შორის მეზობლური ურთიერთობა შეწყვეტილი იყო. ეს არაომატი იწირვედა დღის დასვენებას, პოლსა და დამის ძილს ჩემსა და ეამას შემწვარი ხახვის საამურე სურნელი ასლიოდა, ზეწრებს — ბულიონისა, ხოლო საბანს — ბაღრიჯანისა. საღამოთი, დაძინებისს მეჩვენებოდა, თითქოს სამზარეულოში ვწევბოდი. სიზმრებშიც კი სულ გადამისხვადებოდა. მეზმანებოდა, ვითომ გუფთა ან შემწვარი ფარვა ვიყავი. და როცა გვერდს ვინაცვლებდი, მეღანდებოდა, თითქოს ტაფაზე ვხტოდი.

ერთ მშვენიერ დღეს სახლმმართველს დავუძახე და ვუჩვენე, რას ვადა პოლი. იგი შერწუნდა და საღამოს მეზობელი საქმლის რომ ამზადებდა მასთან მოსალაპარაკებლად მოვიდა. ჩემამდე ცალკეული ფრაზები აღწევდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კარი შევალე და ვინაღამ გული შემიღონდა: სახლმმართველი მაგიდასთან მიმჯდარიყო და მადიანად ილუქმებოდა. დავუდარაჯდი სახლმმართველს და, როცა გამოვიდა, ვკითხე:

— აბა, საქმე როგორ არის?
მან მხარზე ხელი დამკრა:

— თავი დაანებე, ჩინებულად ამზადებს!
მეორე დღეს ტექნიკოსი გამოცხადდა, რადგან მეზობელს პოლში წყლის ბაჟის დადგმა გადაეწყვიტა. ტექნიკოსი ამას რომ მიხვნიდა, თან ჰამდა.

— რას მიირობეთ? — ვკითხე.
— რაგუს! მშვენიერად ამზადებს ეს თქვენი მეზობელი!

გუშინ სახალხო საბჭოში მივედი და ინსპექტორი ვიკითხე. ჩაფსკვნილი, ლოყებდაყდა-ეა კაცი წამოღდა, მე ვარო. ჩემი გასაჭირი ავუსხენი.

— მოვალ, — მითხრა მან.
დარცხენით ჩავახველე:
— კი არ გეწყინოთ, მაგრამ არ შეიძლება სხვა ვინმე მოვიდეს?

— რატომ? — გაცოდა.
უცებ ერთ-ერთ საწერ მაგიდასთან თვალი მოვკარი გამხდარ ახალგაზრდას, რომელსაც ჩაცენილი ლოყები და მოღუშული გამომეტყველება ჰქონდა.

— მითხარით, გეთაყვა, ისიც რასპექტორია?
— კი.
— რატომ არის ასე გამხდარი და ნაღვლიანი?

— ავადმყოფია.
იმდის ნაპერწკალი გამოკრთა სულში:
— განა რა სჭირს?

— ექვის წყლული აქვს.
— წყლული? — აღმომხდა სისხარულით, — ღმერთმა კარგად ამყოფოს! მე მინდა რომ სწორედ ეგ მოვიდეს!

ახლა ჩემი მეზობელი სამზარეულოში ამზადებს სადილ-ვახშამს.

თარგმან შოთა ამირანაშვილგა.

მედიის პრობლემები

მეცნიერებმა პირველად ძველი პერუს ხალხების ლეგენდიდან შეიტყვეს, რომ ეს ქალაქი ჭერ კიდევ იწყებდა ბატონობის ხანაში არსებობდა. ლეგენდა ამტკიცებდა, რომ სადღაც აღმოსავლეთ ანდების ერთ-ერთ მწვერვალზე იდგა ულამაზესი ქალაქი მაჩუ-პიკჩუ. ლეგენდაში არაფერი იყო ნათქვამი, თუ როდის და ვინ ააშენა ეს ქალაქი, ვინ იყვნენ მისი მფლობელები და როდის დაიხსოვნენ. მხოლოდ ერთი ფანტასტური მითი იუწყებოდა, რომ ადამიანებს მშენებლობაში ჩიტები ესმარებოდნენო. საუკუნეების მანძილზე ლეგენდა ლეგენდად რჩებოდა. მაგრამ 1911 წლის ზაფხულში ამერიკელი არქეოლოგის პირამ ბინგემის ექსპედიცია ძველი ინკების ქალაქების ძიებისას, ერთ-ერთი მთის ძირში წააწყდა რამდენიმე ინდიელს, რომლებმაც ექსპედიციის წევრები მთის კალთაზე გაშენებულ ულამაზეს ქალაქში მიიყვანეს. გრანდიოზული ქვის შენობები ტერასებზე ბუნებრივად ამოსულის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ტერასები კლდეში გამოკვეთილი კიბეებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, ყვაოდა კლდეზე დაკიდებული ბალები, ქალაქის მოედნებზე დაყენებული მზის საათები განაგრძობდნენ დროის აღრიცხვას. ინდიელებმა ამ მთას მაჩუ-პიკჩუ — ძველი მთა უწოდეს.

ქალაქი-ლეგენდა სინამდვილედ იქცა და მას შემდეგ მაჩუ-პიკჩუს მთაზე ექსპედიციები განუწყვეტლად ცვლიან ერთმანეთს. მაჩუ-პიკჩუს შექმნის საიდუმლოება აქამდე ამოუხსნელია.

... ცნობილია, რომ მტრის შემოსევებისაგან დასაცავად ინკები მთებში აშენებდნენ სიმაგრეებს. შესაძლებელია მაჩუ-პიკჩუ ერთ-ერთი ასეთი სიმაგრე იყო. მაგრამ რამ აიძულა ადამიანები მიეტოვებინათ ეს ქალაქი? მთის კალთებზე დღესაც აწყვია დამუშავებული ქვის ვეებერთელა მოწილითები, რომლებიც ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ვერ მოუსწრიათ მათი ატანა და შუაგზაზე მიუტოვებიათ. ვინ იცის, ყოველივე მტრის მოულოდნელი შემოსევის შედეგად მოხდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დამტკიცდა, რომ ქალაქში 8 ათასამდე მცხოვრები იყო და ერთ მამაკაცზე ათი ქალი მოდიოდა. როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, შესაძლებელია „მაჩუ-პიკჩუ იყო თავშესაფარი იმ ულამაზესი ინკი ქალების, „უღიასებისა“, რომლებიც მთელი თავიანთი სიცოცხლე მზეს ემსახურებოდნენ“.

რაც შეეხება ფანტასტურ მითს, რომელიც იუწყებოდა, ადამიანებს მშენებლობაში ჩიტები ესმარებოდნენო, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ზოოლოგებმა ანდებში აღმოა-

ჩინეს ჩიტი, რომელსაც ინდიელები „ხაკაკლო“ ეძახიან. ეს ჩიტი თურმე ქვას ბურღავს. ხაკაკლო ტროპიკულ ტყეებში ამტვრევს რალაც დღემდე უცნობი მცენარის ტოტებს, მიაქვს შორს მთაში და ამ ძალით ძალიან ადვილად ბურღავს ქვაში ერთი მეტრი სიღრმის ბუდე.

მაჩუ-პიკჩუს ქვების მოწილითების დამუშავების ტექნიკა დიდი ხანია აოცებთ მეცნიერებს. ქვები ისე მჭიდროდ აწყვია ერთმანეთზე, რომ ვარაუდობენ ინკები ქვის ზედაპირს იმ უცნობი მცენარის საშუალებით ამუშავებდნენ, რომლის საიდუმლოება ინკებს ჩიტმა „ხაკაკლომ“ გაანდო.

აშშ

საზღვარგარეთული ბეჭდვის ასოციაციამ პოლივუდში პრემია „ოქროს გლობუსი“ მიანიჭა სოფი ლორენს და სიდნეი პუატიეს, როგორც წლის ყველაზე პოპულარულ მსახიობებს იმ შეერთებებისა და ანექტების საფუძველზე, რომელიც შედგენილ იქნა 28 სახელმწიფოში.

პოლივუდის პარასკვლავი

1922 წლის 10 ივნისს ამერიკაში მოხეტიალე მსახიობების ავტოფურგონში დაიბადა

ჩვილი, ფრენსის გამი, რომელიც 47 წლის შემდეგ გარდაიცვალა მსოფლიოში ცნობილი მსახიობის ჯული მარლანდის სახელით.

ჯული ორი წლის იყო, როდესაც პირველად მამის მიერ დადგმულ ინსცენირებაში იმღერა. მოხიბულმა მსახიობებმა შეიძღვრეს გამოიყვანა პატარა ჯული სცენაზე. რამდენიმე წლის შემდეგ ავტოფურგონმა იგი ჩიკაგოში მსოფლიო გამოფენაზე ჩაიყვანა. იქ, ერთ-ერთ კონცერტზე ჯული აღმოაჩინა პოლივუდის საქმისანამდელ როზენმა და სულ მალე „მეტრო პოლივუდის მიეიერის“ სტუდიაში ჯული მარლანდმა შეცვალა ცნობილი მომღერალი დინა დურბინი.

ჯული მარლანდმა გადაღებები 12 წლის ასაკიდან დაიწყო. 16 წლის უკვე პოლივუდის ცნობილი კინოვარსკვლავი, ხოლო 18 წლისა გადაღებებისაგან მოვლილი და განერვიულებული ფსიქიატრის პაციენტი იყო. მან მან ფილმში ითამაშა და ოცტერ სცადა სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაემთავრებინა.

ერთ-ერთ გადაღებას მსახიობი ასე იხსენებს: „ფილმში ახალგაზრდა მსახიობ მიკი რუნისთან ერთად ვთამაშობდი. რეჟისორები გვაიძულებდნენ დღე და ღამე შეუსვენებლად გვემუშავა. როდესაც დაღლილობისაგან ფეხზე ვეღარ ვდგებოდით, გვიყვებდნენ მორფს და 72 საათის განმავლობაში შეუსვენებლად გვატრიალებდნენ კამერის წინ. შემდეგ მივყავდით სტუდიასთან არსებულ ჰოსპიტალში. გვაძლევდნენ ძილის საშუალებას. ოთხი საათის შემდეგ კვლავ ხელოვნურად გვაფხიშლებდნენ და გადაღებებზე მივყავდით. ამ ჯოჯობითი დღეების შემდეგ მორფი გახდა ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი. ასე ვმუშაობდით და

ნელ-ნელა ჰკუდიან ვიშლებოდით...“

სწორად ჯული მარლანდს მერილინ მონროს ამსგავსებენ ხოლმე. მათ ცხოვრებაში მართლაც ბევრი საერთო იყო. ადრეული წარმატებები, უდიდესი ექსპლოატაცია კინორეჟისორების მიერ, არეული პირადი ცხოვრება, მრავალი ქმარი, ფსიქიატრიული კლინიკა, ბევრი ფული, დაუსრულებელი ვადები — ყველაფერი ეს ორივე მსახიობის ცხოვრებას თან სდევდა. მაგრამ მარლანდი მონროსგან განსხვავებით, გაცილებით ნიჭიერი მსახიობი იყო.

ერთ-ერთი გადაღების დროს ჯული ფსიქიატრიულში წაიყვანეს, იქიდან დაბრუნების შემდეგ კი სტუდიაში განუტყაბდეს, რომ იშოვებს მისი შემცველი მსახიობი და მას დასვენება ურჩიეს. დიდებას მიჩვეულმა მსახიობმა ვერ აიტანა ეს ამბავი და სახლში დაბრუნების შემდეგ ვენები გადაიჭრა. ეს იყო თვითმკვლელობის პირველი ცდა. მარლანდმა მსახიობობას თავი მინც არ ანება და ამჟერად ესტრადა აირჩია. თავის ქალიშვილთან ერთად მოგზაურობდა და წარმატებით გამოდიოდა კონცერტებზე. დიდმა წარმატებებმა თითქოს გაუნელა და დაავიწყა პოლივუდში გატარებული ჯოჯობითური დღეები. მაგრამ მისი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდებულა. ლონდონში, ერთ-ერთ კონცერტზე ჯულიმ ხმა დაკარგა, ვეღარ შეძლო დაესრულებინა მისი საყვარელი სიმღერა „ცისარტყელა“ და მსახიობის ყვირილით „დაგვიბრუნეთ ფული უკან...“ გაოგნებული ჯული მეორე დღეს თავის საბაზანოში მკვდარი იპოვეს.

გადაწყვეტილი იყო, ჯული პოლივუდში დაეკრძალათ, მაგრამ მისმა მეუღლემ მაიკლ

დინსმა განაცხადა: „პოლივუდში მას ექცეოდნენ, როგორც თოჯინას მანამ, ვიდრე თვითმკვლელობამდე არ შეიყვანეს იქ მინც დაანებონ თავი. მე არ მინდა, ფეხქვეშ თელავდნენ მის სახელსა და საფლავს“. მარლანდი ნიუ-იორკში დაკრძალეს.

ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე პოლივუდის კიდევ ერთმა ნიჭიერმა ვარსკვლავმა, ასე დაემართა მერილინ მონროსაც.

ვინესუელა

რომულო

გალიეგოსის

სიკვდილი

კარაკასში, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ვენესუელელი მწერალი აკადემიკოსი რომულო გალიეგოსი.

ლიტერატურული მოღვაწეობა გალიეგოსმა დაიწყო 1909 წელს. იმ წელს მან დააარსა უურნალი „ლა ალბორადა“. 1913 წელს გამოვიდა მისი პირველი მოთხრობების კრებული „თავგადასავალის მაძიებლები“. მწერლის კალამს მრავალი რომანი ეკუთვნის. მათ შორის რამდენიმე ნაწარმოები, კერძოდ, რომანი „დროს ბარბარა“, რომელმაც გალიეგოსს სახელი მოუხვეჭა, თარგმნილია რუსულ ენაზე.

რომულო გალიეგოსი იყო მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.

დემოკრატიული შეხედულებებით გამსჭვალული მწერალი ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო ვენესუელის პარლამენტის დეპუტატი.

1947 წელს გალიეგოსი აირჩიეს რესპუბლიკის პრეზიდენტად. მაგრამ იმავე წელს გადააყენეს ამერიკელ იმპერიალისტთა დამპყმების ნებასურვილით და დიდხანს ცხოვრობდა ემიგრაციაში.



ინგლისში ჩატარდა სტუდენტთა თეატრების XIV ფესტივალი, რომელიც ორგანიზებული იყო სტუდენტთა ნაციონალური კავშირისა და გაზეთ „სანდი ტაიმისის“ რედაქციის მიერ. ფესტივალის უმაღლესი ჯილდო დამსახურა სტიუარტ კონის პიესამ „შპილა“. პიესა დადგა ედინბურგის უნივერსიტეტის თეატრალურმა კოლექტივმა, იგი წარმოადგენს ფსიქოლოგიურ დრამას, სატირას ბურჟუაზიულ მორალზე. ფესტივალზე ჩაჩვენები იყო მრავალი პოლიტიკური პიესა. მაგალითად, ანტიამერიკული პიესა „ზოოპარკი, ზოოპარკი, ეიდერშინის ზოოპარკი“. იგი დადგა ლესტერის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ფესტივალზე დიდი წარმატება ხვდა როლ-კოლეჯის სტუდენტების მიერ წარმოდგენილ ომის საწინააღმდეგო სექტაკლს „მტკივნეული ადგილი“.

იტალია

მელინა მერკური

ბერძენი მსახიობი ქალი მელინა მერკური იტალიაში აგ-

როვებს თანას თავისუფლესათვის მებრძოლი ბერძენი პატრიოტების დასახმარებლად. ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის დღესასწაულზე იტალიის პროგრესულმა ორგანიზაციებმა „შავი პოლიკოვნიკების“ რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ მამაც ქალს მელინა მერკურის ვადასცეს პრემია „ოქროს მიმოზა“.

მარანი დრამატური და მსახიობი

ახალგაზრდა მწერალი დანია მარანი, რომლის რომანები დიდი პოპულარობით სარგებლობს იტალიაში, უკანასკნელ ხანებში თავის შემოქმედებაში ადგილს უთმობს დრამატურებას. მისი პიესა „შნტაუი თეატრში“, წარმატებით იდგმება იტალიისა და პარიზის თეატრებში. მეორე პიესაში „თამაში სცენაზე“ მწერალი გამოდის არა მარტო ავტორის, არამედ რეჟისორის და მსახიობის როლში. პიესის გმირები, ახალგაზრდა მსახიობები, ცდილობენ დადგან ახალი სპექტაკლი, რომლის ტექსტი ჯერ დაწერილი არ არის, და რომელიც შეეხება ვიეტნამის საკითხს.

ათენელი პოლიკოვნიკები ყოველმხრივ ცდილობენ დამტკიცონ, რომ საბერძნეთში არ არსებობს არავითარი ფაშისმი და „დემოკრატიის აკანსი კვლავ ძველებურად ირწყვია ჩვილი“.

სამხედრო ხუნტის რეჟიმის „რეაბილიტაცია“ უმაღლეს დონეზე მიმდინარეობს. სახელმწიფოს მთავარმა ჯალათმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა პაკოკოსმა იტალიური ბურჟუაზიული გაზეთის „ეუროპეოს“ კორესპონდენტს ვანუცხადა: „საბერძნეთი დღეს არის განმრთენი ქვეყანა, რომელიც ცხოვრობს სიყვითისა და თავისუფლების უდიდესი იდეალებით!“ და როდესაც კორესპონდენტი შეეცადა გამოერკვია, მას, რითთა გამოწვეული სახელმწიფოში ათასობით უდანაშაულო ადამიანის დასჯა და დაპატიმრება, მინისტრმა ცინიკურად განუმარტა: „საბერძნეთში თავისუფლების დასაცავად ჩვენ მივმართეთ ყველა საშუალებას. სიყალბეა, თითქოს საბერძნეთის ციხეებში 18 ათასი პატიმარი იტანჯებოდეს. სიყალბეა ყველაფერი ის, რაც საბერძნეთზე გაზეთებში იწერება.“ — განაცხადა მან.

გარეკანის მეორე გვერდზე ნახ. დ. ზარაფიშვილისა.

ქურნალი გააფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის პარკი. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-88. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 1/VII-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VIII-69 წ. ქალაქის ფორმატი 70X108/16 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14 შეკე. № 1972. უე 00876 ტირაჟი 18.800.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14, Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

3360 60 333.

16/160



საქართველოს
საქართველოს

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236